


ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

12 ნოემბერი 2010

№23(127)



შელის ოდა დასავლეთის ქარისადმი
მაია ნადარეიშვილი ჯანი როდარზე
გია მურღულიას საღამოს ლექსები
ნათია გიორგაძის ციკლინათელა
ნმინდა ნინოს სიტყვიერი ხატი
ნესტან-ნენე კვინიკაძის პიესა
შამილი — მიჯნურის როლში
მაინც რა ფერავს საფერავს?
ფრიდემ კარინტის ნოველა
ორი კულტურის მსახურნი

შინაარსი

უჩუველო რაკურსით	2	თამაზ ნატროშვილი შამილი — მიჯნურის როლში
არი და გადისწარა	4	ინგა მილორავა წმინდა ნინოს სიტყვიერი სატი
მსარს-ინტერვიუ	9	ლიანა ელიავა „რასაცა ბასცემ, შენია“
პროზა	10	ელგუჯა ბერძენიშვილი რანუარის ვარდები
დრამატურგია	11	ნესტან-ნენე კვინიკაძე ზრანგულის გაკვეთილი
ქიება	14	გიორგი გაბუნია აპაკის „დაკარგული“ სტროფების კვლდაკვალ...
პოეზია	15	ნათია გიორგაძე ოცდამეერთე ციცინათელას და სხვა ლექსები
პირველი შთაბეჭდილება	18	მაკა ჯოხაძე ცაში გაგზავნილი წერილები
	19	გია მურღულია საღამოს ლექსები
უსწოთის სწოვრებიდან	22	მაია ნადარეიშვილი ტრემლზე მსუბუქი (ჯანი როდარი)
პროზის გზავნა	25	ელენე ამალღობელი სტუმრად ლინდგრანის ქვეყანაში
რეპორტაჟი	28	ეკა ბუჯიაშვილი ორი კულტურის მსახურნი (ლიაოჭაის მოთხრობები ქართულად)
დაუვიწყარი სახელები	30	თამარ ოთხმეზური მრავალწარმოვნებითა და მასშტაბურებით (ელენე მეტრეველის ბიობიბლიოგრაფია)
წუთები და წლები	31	როსტომ ჩხეიძე აღსარება გურამ დონანაშვილისა
დაუვიწყარი სახელები	40	თეკლე ჯანელიძე ის — უმტკიცესი რვალისა (კოტე ხიმშიაშვილის მემორიალური წიგნი)
რეპორტაჟი	42	რიტა ბაინდურაშვილი „მერე წვიმად რომ წამოვიდე“
ახალი წიგნები	44	სალომე კაპანაძე იმ ნდობის პასუხად (ნატო ჩხეიძის „ის ოთხი წელიწადი“)
	45	ივანე ამირხანაშვილი ხასიათის მთლიანობა (ელდარ ნადირაძის „გრძნობა შენი მოვლისა“)
დღიურის ფურცლებიდან	46	საბა სულხანიშვილი დარღისა და თამაშის სიმჟონიები (კოტე კაკიტაძის გახსენება)
კრიტიკა	48	ნინო ვახანია მინც რა ზერავს საზერავს?
	49	ციალა გორდეზიანი მზეში ჩატაული გული
ახალგაზრდობა, აწ კი თქვენ	51	ქართული ტელეეთერი
ენისტიკა	56	უილიამ ბატლერ იეიტსი შაქლის პოეზიის ფილოსოფია
პოეზიის პერიდიანები	57	პერსი ბიში შელი ოდა დასავლეთის ქარისადმი
უსწოური ნოველა	58	ფრიდემ კარინტი კეისარი და აბუ კარი
ლიბერატორული სწოვრება	60	გვანცა შუბითიძე მეცნიერის გახსენება
ნაქვსები	61	მასვილსიტყვაობის ნიშნები
მოზიკა	63	თავისუფლება ციხის საკანში

ორკვირული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96_20_62

რეკლამა – (995 93) 65_93_68

გავრცელება – (995 77) 11_24_30

ფაქსი: (995 32) 96_20_62

E_mail: info@mtserloba.ge



გაზეთი საბაჟო „ომეგა ტეგ“
საქართველო, თბილისი, საჯაროების 17
ბარჯონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEG" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TEL PHONE: +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ხდის ხეობა

ბაბუა ალუდაურის ფოტოგეტიუდი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 26 ნოემბერს

თამაზ ნატროშვილი

შამილი — მიჯნურის როლში

ლევ ტოლსტოის მოთხრობა „ჰაჯი-მურატი“, შექმნილი მწერლის შემოქმედებითი სიმწიფის უამს, ობოლი ვარსკვლავით ციმციმებს უხვად მოჭედილი, მაგრამ პირქუში ცის კაზადონზე.

რუსულ მწერლობაში ბევრი არ მოიძებნება ესოდენ ჰუმანისტური (და ინტერნაციონალისტური!) სულისკვეთებით გამსჭვალული ნაწარმოები — ტოლსტოის უბადლო შემოქმედების ნაგვიანვე გვირგვინი, სადაც მთავარ პერსონაჟად გვევლინება კაცი, რომელიც უნაყოფოდ ლამობდა, რომ გამკლავებოდა მის სამშობლოზე ვეებერთელა ზვავივით ჩამონოლილ ჩრდილოეთს.

მოთხრობა, სათაურად „ჰაჯი-მურატი“, ცხადია, უნდა მოგვითხრობდეს სწორედ ჰაჯი-მურატის შესახებ და მოგვითხრობს კიდევ მისი მშფოთვარე ცხოვრების ყველაზე საბედისწერო ეპიზოდს, მაგრამ ჰაჯი-მურატი უშამილოდ ისევე წარმოდგენილია, როგორც, ვთქვათ, სააკაძე უთემურაზოდ და ჩეჩნეთ-დაღესტნის სახელოვანი იმამიც დაბინავებულა ლევ ტოლსტოის უკვდავი მოთხრობის ფურცლებზე.

„ჰაჯი-მურატის“ მეცხრე თავში გვითხულობთ:

„იმ საღამოს, როცა მწუხრის ლოცვა დამთავრდა და ბინდი ჩამოდგა, შამილმა თეთრი ქურქი მოისხა, ღობის იქით, ეზოს იმ ნაწილში გავიდა, სადაც მისი ცოლები იმყოფებოდნენ და ამინეთის ოთახისკენ გაემართა. მაგრამ ამინეთი იქ არ დაუხვდა. იგი უფროს ცოლებთან იყო. მაშინ შამილი ამინეთის მოლოდინში ოთახის კარს უკან დადგა, ცდილობდა არავის შეემჩნია. ამინეთი შამილზე გაბრაზებული იყო, რადგან მან აბრეშუმის საკაბე მას კი არა, ზაიდეთს აჩუქა. ამინეთი ახლა ხედავდა, როგორ გამოვიდა შამილი და შევიდა იმ ოთახში, როგორ ეძებდა მას, მაგრამ ამინეთი განგებ არ შევიდა თავის ოთახში. დიდხანს იდგა ზაიდეთის ოთახის კართან, ჩუმად იცინოდა და უთვალთვალეობდა თეთრ ფიგურას, რომელიც მის ოთახში ხან შედიოდა და ხან გამოდიოდა. ამაო ლოდინის შემდეგ შამილი შუალამის ლოცვის დროს დაბრუნდა თავის ოთახში“ (თარგმნა ელიზბარ უბილაევამ).

არ არის გამორიცხული, რომ მკითხველმა ზემოთ დამონმებული პასაჟი ავტორის შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნიოს და იფიქროს, თუკი მწერალი ამ მოთხრობაში გარკვეულ ადგილს უთმობს რუსეთის იმპერატორის, ნიკოლოზ პირველის ამურულ თავგადასავალს, შამილმა რაღა დააშავა, მისი

ცხოვრების ამ კუნჭულსაც ყურადღებას მიაპყრობდაო. და ვინაიდან ძნელი წარმოსადგენია, რომ ისტორიას ამგვარი ცნობა შემოენახოს ძლევამოსილი იმამის შესახებ, მაშასადამე, მწერალს უნდა გაეებდა და შეეთხზა არცთუ ძნელად გამოსაგონი ამბავი.

მაგრამ, როგორც აღნიშნავენ, ლევ ტოლსტოი, „ჰაჯი-მურატის“ წერისას, არაჩვეულებრივად ზუსტი იყო არა მარტო მაშინ, როდესაც ამა თუ იმ მოვლენას აღწერდა და დოკუმენტებს ანდა თვითმხილველთა მოწმობას ეყრდნობოდა, არამედ რომელიმე საუბრის გადმოცემისასაც კი, სადაც თითქოსდა შეედლო გასცდენოდა სინამდვილეს და ვითარების ლოგიკიდან გამომდინარე ტექსტი ჩაესვა.

თავად მწერალი ზემოთქმულს ადასტურებს თავის ერთ კერძო ბარათში და გვაუწყებს: „როცა ისტორიულ თემაზე ვწერ, მიყვარს, რომ უწვრილმანეს წვრილმანეშიც კი სინამდვილის ერთგული ვიყო“.


თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მოთხრობის უკანასკნელ თავში, სადაც ჰაჯი-მურატის დაღუპვა აღწერილი, ბულბულთა სტვენაც კი (უწვრილმანესი წვრილმანე!), ბრძოლის შემდეგ ისევე რომ დაიწყებენ გალობას, გამონაგონი არ არის. ლევ ტოლსტოი აქ ეყრდნობა არნოლდ ზისერმანს, რომელიც თავის ნიგნში „ოცდახუთი წელიწადი კავკასიაში“ გვამცნობს: „საერთოდ ნუხა თავისი ადგილმდებარეობით, შედარებითი სისუფთავით, სულისშემხუთველი სიცხის უქონლობითა და საღამოობით ბაღებში უთვალავ ბულბულთა სტვენითა და გალობით, ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს“ (როგორც ცნობილია, სწორედ ქალაქ ნუხაში ცხოვრობდა ჰაჯი-მურატი თავის უკანასკნელ გაქცევამდე და მის სანახებში იგემა სიკვდილი. რაც შეეხება ზისერმანს, მისი ინფორმაცია სხვა შემთხვევებშიც გვხვდება „ჰაჯი-მურატის“ ფურცლებზე. „ოცდახუთი წელიწადი კავკასიაში“, თურმე, თავად ავტორს უჩუქნია მწერლისათვის).

და როგორც ირკვევა, თავშესაქცევი ამბავი, რომელსაც შეიძლება ვუნოდოთ „შამილი — მიჯნურის როლში“ ლევ ტოლსტოის არ შეუთხზავს. აქაც ისტორიული სინამდვილის ერთგული რჩება.

ამ ეპიზოდის თხრობა თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა იმ ამბავს, რომელსაც გადმოგვცემს ევგენი ვერდერევესკი თავის ნიგნში „კავკასიელი ტყვე ქალები ანუ ტყვეობა შამილთან (უტყუარი მოთხრობა გენერალ-მაიორ, თავადი ორბელიანისა და პოლკოვნიკ, თავადი ჭავჭავაძის ოჯახების რვათვიან და ექვსდღიან ტყვეობაზე შამილთან 1854-55 წლებში“), მოსკოვი, 1857.

აი, თავად განსაჯეთ:

„ერთხელ, გვიან საღამოს, კენი-ნებმა გადაწყვიტეს გასვლა შუშაბანდში, რათა თავიანთ ძელსკამზე დამსხდარიყვნენ და მთვარიანი ზამთრის ღამის ცივი ჰაერი ჩაეყლაპათ. ამინეთი, ცოლი შამილისა, იყო მათთან ერთად. უეცრად გამოჩნდა შამი-



ლი. თეთრ ქურქში ჩაცმული თავისი ოთახიდან ეზოში გამოვიდა და ამინეთის ოთახისკენ წავიდა. ამინეთმა ეს შენიშნა და ხმაამოუღებელი დაიმალა იმ სკამის უკან, რომელზედაც ტყვე-ქალები ისხდნენ. ამასობაში შამილი ამინეთის ოთახიდან გამოვიდა, გაიარ-გამოიარა შუშაბანდში, ალბათ, ელოდა, რომ ამინეთი სხვა ოთახიდან გამოვიდოდა; მაგრამ იმედი გაუცრუვდა, მისი ოთახის კარი ჩაკეტა, გასაღები აიღო და სახლის კუთხეში დაიმალა. დიდხანს იდგა იქ დიდებული წმინდანი, იმამი ჩეჩნეთისა და დაღესტნისა, უბრალო ცოდვილი ჭაბუკის მსგავსად, სატრფიალო პაემნის მოლოდინში რომ იყინება. მაგრამ იგი ტყუილად დარაჯობდა: ამინეთს არ სურდა გამოჩენა ტყვე-ქალების სკამის უკნიდან. შამილი, ბოლოს და ბოლოს, ეტყობა, სიცივემ და ამაო ლოდინის მოსაწყენობამ აიძულა, თბილ ოთახზე ეფიქრა და თავის კაბინეტში დაბრუნდა“.

ვერდერევესკი შენიშნავს, რომ ტყვე-ქალების მდგომარეობა, ამ სცენის დროს, ძალზე სახიფათო იყო. ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ ძვირად დაუფდებოდათ იმამის ცოლის დამალვა და განსაკუთრებით ის გარემოება, რომ თავისდაუნებურად მოწმენი შეიქნენ სასაცილო ეპიზოდისა. ვინ იცის, რა მოხდებოდა, შამილს რომ ისინი შეემჩნია! მაგრამ, საბედნიეროდ, ეს არ მომხდარაო. ვერდერევესკის სიტყვით, ამინეთი, რამდენიმე წუთის შემდეგ, სამალავიდან გამოვიდა და წამოიძახა: დახეთ, თვალყურს მადვენებს. მერე კი ლამის გასათევად შამილის ასულთან წასულა.

ტყვე-ქალები შიშობდნენ, რომ შამილი, უსათუოდ, გაუნყრებოდა ამინეთს, მაგრამ მეორე დღეს გულს მოეშვათ, როცა შეიტყვეს, რომ შამილის ვაჟს ყაზი-მაჰომას, ვისთანაც ერთად ყოფილა გაზრდილი მისივე თანატოლი ამინეთი, შეურიგებია იგი თავის მამასთან.

ქართველი კნეინების მიერ ზემოხსენებული თავშესაქცევი ეპიზოდის გამხელას ვერდერევესკისათვის, ერთგვარად, სამაგიეროს გადახდის ელფერი დაჰკრავს.

ამერიკელი მწერლის პავლე ჭავჭავაძის რომანში „მთები ალაჰისა“ შამილი ტყვეობაში მყოფ ანა ბატონიშვილს, დავით ჭავჭავაძის მეუღლეს, ასე მიმართავს: „შენ დიდხანს მალოდინე, ანა... რამდენჯერ გამოვგზავნე ჩემი მზვერავები, ვიდრე არ მომახსენეს თქვენი ჩამოსვლა წინანდალში“.

როცა კნეინა ანამ გაიაზრა შამილის სიტყვების აზრი, შეძრწუნებულს აღმოხდა: „თქვენ იმის თქმა გნებავთ, რომ ჩვენი კუთხის ნახევარი გაძარცვეთ და ასობით სული წუთისოფელს გამოასალმეთ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს დასატყვევებლად?!“



ამინეთი — იმამ შამილის ერთ-ერთი ცოლი

მაგრამ შამილსაც მოეპოვება თავისი სიმართლე, ფეხს რომ უწყობს ცხოვრებისეულ სისასტიკეს: „მამ სხვაგვარად როგორ დავიბრუნო ჩემი შვილი? ქართველი მეფის შვილიშვილისა და შვილთაშვილთა გულსაკლავი ვედრებანი, უეჭველია, მისწვდება ძღვევამოსილი რუს-ხელმწიფის სმენას“.

მერე კი დიდსულოვნად აუწყებს: აქ კაციშვილი არაფერს დაგიშავებთ, თქვენ მოგეპყრობიან, როგორც ჩემი ოჯახის წევრებს, თუკი უსიტყვოდ დამემორჩილებითო.

შამილს, რასაკვირველია, მშვენივრად ესმოდა, რომ ქართველი კნეინებისათვის რაგინდ საუცხოო პირობები შეექმნათ, ტყვეობა ტყვეობად რჩებოდა ანკი რანაირად უნდა შეექმნათ ისეთი პირობები, როგორსაც ისინი იყვნენ შერეული? რუს-ხელმწიფესთან უთანასწორო ომში ჩაბმულ მთიელებს განა საამისოდ სცხელოდათ?!

აკაკი განერელია შენიშნავს: „შამილს მართლაც ანუხებდა ის გარემოება, რომ ვედენოში ქართველი ტყვეები მოკლებული იყვნენ კარგ პირობებს“.

პავლე ჭავჭავაძის რომანში იმამი გულისხმიერებას იჩენს და ტყვე-ქალებს ეკითხება, საუზმე მოგეწონათ თუ არაო?

ქართველი კნეინები გულწრფელად პასუხობენ: ყველაფერი მოგეწონა გარდა ქონიანი პურის ქერქისა. ქონს მიჩვეული არა ვართო.

მეც არ მომწონს და დღეიდან თქვენთვისაც ისეთ პურს გამოაცხოებენ, ჩემთვის რომ აცხოებნო, — ამშვიდებს ტყვე-ქალებს შამილი.

მეტი რალა უნდა ექნა?!

გრიგოლ ორბელიანი 1859 წლის 31 ოქტომბრით დათარიღებულ კერძო წერილში აღნიშნავს: „შამილა გავიცანი პეტერბურღში. დარბაისელი კაცი ყოფილა. მაგრამ ძალიან გაცოცხლებული იყო ყოვლითა მით, რასაცა ჰხედავდა. — მითხრა, კნიაზო, დიდად ვჰსწუხვარ, რომ ვერ ვნახე თქვენი ნათესავნი ქალები, რომ ბოდიში მომეთხოვაო; ახლა ვჰხედავ, რასაც ნაკლულოვანებაში იყვნენ ისინი...“

როგორ მოგწონთ, ანა და ბარბარე ბატონიშვილებისათვის ბოდიშის მოუხდელობას ნანობს მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა!

კიდევ ერთხელ ნდომებია ბოდიშის მოხდა, თორემ, ვერდერევესკის მიხედვით, 1855 წლის მარტში, როდესაც მოხდა ტყვე-ქალების გადაცვლა შამილის ვაჟზე, ჯვრალედინზე, ამ პროცედურამდე შამილს ბოდიში მოუხდია ქართველ კნეინებთან და თავი ასე უმართლებია: უკეთესი მოპყრობა მე არ ვიცოდითო.

იგი კალუგაში ყოფნის დროსაც იმეორებს იმ სიტყვებს, გრიგოლ ორბელიანისათვის რომ უთქვამს პეტერბურღში.

დავუბრუნდეთ თვალწარმტაც ამინეთს — შამილის უკანასკნელ სიყვარულს.

ვერდერევესკის წიგნში, ცხადია, ქართველი კნეინების მონათხრობზე დაყრდნობით, ამინეთის ფიზიკური პორტრეტია მოცემული:

„ტანწერნეტა და საუცხოოდ აღნაგი ქალი, ჩვიდმეტი თუ თვრამეტი წლისა. მას ეცვა ჭრელი ჩითის ახალუხი, მუქი ფერის პერანგი და წითელი შარვალი. ლეჩაქის ნაცვლად თავზე ეხურა დიდი, შავი ფერის აბრეშუმის თავსაფარი. მისი პირისახე სითეთრით გამოირჩეოდა; ცხვირი ჰქონდა პატარა, თხელი, ოდნავ აპრეხილი; პირი — საკმაოდ დიდი, კბილები კი — თვალისმომჭრელად თეთრი, ტუჩები — ლაღლადა ვარდისფერი და მშვენიერი, დიდრონი ცისფერი თვალები“.

ამინეთი, მესამე ცოლი შამილისა, წარმოშობით ქისტი ყოფილა, ბავშვობაშივე გატაცებული სამშობლოდან.

ვერდერევესკის სიტყვით, ამინეთი შამილის ახირება (კაპრიზი) უფრო იყო, ვიდრე ცოლი თუ მეგობარიო.

გინდ კაპრიზი დაარქვით და გინდ გატაცება, სიყვარულიც აბა სხვა რა არი?!

კარგად კი გაუთამაშებია კავკასიის გმირთაგმირი, რუსეთის იმპერიას შეჭიდებული ფალავანი, იმხანად უკვე ორმოცდათხუთმეტს რომ უკაკუნებდა.

შამილს, ისევე როგორც მის ტოლ-ამხანაგებს უკვდავთა პანთეონიდან, რა თქმა უნდა, არაფერი ადამიანური არ ეუცხოებოდა.

იოტისოდენა ეჭვსაც არ იწვევს ისტორიული სინამდვილის ერთგულება, ლევ ტოლსტოის რომ გამოუჩენია „ჰაჯი-მურატის“ წერისას, მაგრამ მწერალი, და მით უფრო დიდი მწერალი, რის მწერალი იქნება, ოდნავ მაინც რომ არ გადაუხვიოს დაფიცებულ ჩარჩოებს და „ჰაჯი-მურატის“ ფურცლებზე ამიტომაც ჩნდება უიღბლო ლამქრობიდან დაბრუნებული, სულიერად დაღლილი შამილის იდუმალი და სანუკვარი ფიქრები (ამას ვერც ქართველი კნეინები ეტყოდნენ ვერდერევესკის და ვერც შამილის არარსებულ დღიურებში ამოიკითხავდა):

„ამ წუთში არაფრის გაკეთება არ უნდოდა, არაფერზე ფიქრი არ სურდა. ენადა მხოლოდ ერთი რამ: თავისი ცოლებიდან ყველაზე უფრო საყვარელ, თვრამეტი წლის შავთვალა, ფეხმარდ, ტანწერნეტა ქისტის ქალ ამინეთთან დასვენება და ოჯახური ალერსის სიამენი“.

ვერდერევესკის წიგნში დამოწმებული ეპიზოდი, მონათხრობი ქართველი კნეინებისა, ერთგვარი გასაღებია, რომელიც ნებას აძლევს ლევ ტოლსტოის, რომ გაკვალული ჭუჭრუტანიდან თამამად შეიჭვრიტოს თავისი პერსონაჟის ინტიმურ განცდებში და ოსტატის ფუნჯი ახალი ფერებით ამდიდრებს საყოველთაოდ ცნობილსა და აღიარებულ პორტრეტს.

ინგა მილორავა

წმინდა ნინოს სიტყვიერი ხატი

თანამედროვე მეცნიერების წინაშე მრავალი მნიშვნელოვანი ამოცანა დგას. მან უნდა შეინარჩუნოს წინა ეპოქებში მიღწეული ფასეული შედეგები, შეძლოს ახალი ტენდენციებისა და მიმართულებების გონივრული შერჩევის საფუძველზე შეთვისება და შემდეგ თავისი თვითმყოფადი სახის შენარჩუნებასთან ერთად, სიახლის შემოტანა, მყარ ტრადიციებზე დაფუძნებული ახალი შენობის აგება. ამ რთულ, საპასუხისმგებლო გზაზე — რომელიც სულაც არ არის ყოველთვის ია-ვარდით მოფენილი სვლა დიდ შემოქმედებით ენერჯიას, თავდადებასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს იმ ადამიანებისაგან, რომლებმაც აირჩიეს მეცნიერების სხვადასხვა დარგის სამსახური.

ლიტერატურათმცოდნეობა თავის თავზე იღებს გაორმაგებულ პასუხისმგებლობას, რადგან მეცნიერული ძიებებისა და აღმოჩენების, ღრმა, საფუძვლიანი, მეთოდოლოგიურ საძირკველზე დაყრდნობილი კვლევების გარდა, მას აქვს კიდევ განსაკუთრებული სულიერი მისია, რადგან ლიტერატურა უხსოვარი დროიდან, ყოველთვის, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის შინაგანი სამყაროს გამოხატავსა და მისი გარესამყაროსთან მიმართების ასახვას ემსახურება.

ეპოქების ცვლილების მიხედვით, ბევრი რამ იცვლებოდა სიტყვის ხელოვნებაში, მაგრამ ადამიანის სულის მოძრაობის გამოხატვის აუცილებლობა სულ რჩება და სწორედ ამიტომ არის ასე მრავალფეროვანი და ამავდროულად ყველა დროის მკვლევარისა თუ უბრალოდ მკითხველისათვის ასე გასაგები და ახლობელი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კულტურულ სივრცეში შექმნილი ნაწარმოებები.

აქედან მოდის მკვლევრის პასუხისმგებლობაც. მან არამარტო უნდა „გაკვეთოს“, დაანაწევროს, მიკროსკოპის ქვეშ განჩხრიკოს და რაღაც სქემას მოარგოს ცოცხალი ტექსტი, არამედ პირველ რიგში სწორედ სიცოცხლე შეუნარჩუნოს და ადამიანებამდე უდანაკარგოდ მიიტანოს მისი სუნთქვა, განცდა, სურნელი და ფერადოვნება, რაც მთავარია, ის სულიერი მისია, რომელიც ნაწარმოებს გააჩნია.

როცა ჩვენს სამეცნიერო, სალიტერატურო სივრცეში გამოჩნდება ღრმა, საინტერესო, განსაკუთრებული ღირებულების მქონე ცალკეული ნაშრომი ან კრებული, ეს ყოველთვის დიდ სიხარულს იწვევს. ასეთ განცდას აუცილებლად აღძრავს მკითხველში ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემული შესანიშნავი კრებული „წმინდა ნინოს ცხოვრება და ქართლის მოქცევა“.

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ბევრი კარგი კრებული, ჟურნალი, მონოგრაფია მომზადდა და დაიბეჭდა და ეს ყოველმხრივ გამორჩეული კრებულიც ღირსეულ ადგილს დაიკავებს მათ შორის.

„წმინდა ნინოს ცხოვრება და ქართლის მოქცევა“ რომ მაღალი ხარისხისა და მეცნიერული ღირებულების მქონე იქნებოდა, მის სარჩევზე, ავტორების ჩამონათვალზე ერთი თვალის გადავლევითაც იოლი გასაგები იყო. აქ დაბეჭდილია ქეთევან მანასა, მალხაზ კობიაშვილის, ია გრიგალაშვილის, გოჩა კუჭუხიძის, გიორგი ალიბე-

გაშვილის, ნინო ჟვანიას, ნანა გონჯილაშვილის, ირინა ნაცვლიშვილის, სოსო მახარაშვილის, ეკატერინე ჩიკვაიძის, დარეჯან მენაბდის, ქეთევან ნინიძის წერილები. ყველა მათგანს კარგად იცნობს ჩვენი სამეცნიერო საზოგადოება და ამ საკითხებით დაინტერესებული მკითხველი.

ნიგნი, როგორც აღინიშნა, ლიტერატურის ინსტიტუტში მომზადდა და მის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს კომპეტენტურმა სარედაქციო კოლეგიამ და სარედაქციო საბჭომ: ირმა რატიანი, მანანა კვაჭანტირაძე, გაგა ლომიძე, რევაზ სირაძე, რუსუდან ჩოლოყაშვილი, როსტომ ჩხეიძე. ნიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული, რაშიც, როგორც ჩანს, დიდი წვლილი მიუძღვის მარკეტინგული და მედიაკომუნიკაციების ინსტიტუტს, რომელსაც ლიტერატურის ინსტიტუტი თანამშრომლობისა და განულები დახმარებისათვის მადლობას უხდის.

თუმცა კრებულის შინაგანი მთლიანობა, ჰარმონიულობა, სიღრმე და თავისებური, განსაკუთრებული, მარადიული სიბრძნესთან ზიარების შეგრძნება მაინც ალბათ სარედაქციო კოლეგიის მუშაობამ განაპირობა: სოსო მახარაშვილი (რედაქტორი), ივანე ამირხანაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), გიორგი ალიბეგაშვილი, გოჩა კუჭუხიძე, დარეჯან მენაბდე, ზვიად ტყეშელაშვილი. მათ მართლაც არაჩვეულებრივ მასალებს, შესანიშნავ ავტორებს მოუყარეს თავი და შექმნეს ყოველმხრივ გამართული, სრულყოფილი სამეცნიერო კრებული, მაგრამ განსაკუთრებით მაინც რედაქტორის, სოსო მახარაშვილის, დამსახურება და ღვაწლი უნდა გამოიკვეთოს. და არა იმიტომ რომ ის დღეს აღარ დადის ამ ჩვენს ათასი ცოდვითა და ჭირ-ვარამით დამძიმებულ მიწაზე, არა იმიტომ, რომ წესია გარდაცვლილის აღმატებულად მოხსენიება, არამედ იმიტომ, რომ მან მართლაც მთელი სული, გული, უკანასკნელი ძალა ჩადო ამ პროექტში.

სოსომ ბოლომდე უპატრონა ნიგნს, გზაზე დააყენა, ფორმა მისცა, თუმცა თავისი სული „განწირული კვეთების“ ნაყოფს ვერ მოესწრო, ვერ დაინახა როგორი მშვენიერი გამოვიდა ის, რასაც ასეთი ინტერესითა და სიყვარულით აკეთებდა თანამოაზრეებთან ერთად, ის, რაზეც თითქმის ბოლო წუთებამდე ზრუნავდა და ფიქრობდა... იგი ძალიან კარგი, კეთილი და სულიერად ძლიერი ადამიანი იყო. მას ბევრი იცნობდა როგორც ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარს, მეგობრულ, კეთილმოსურნე ადამიანს, მაგრამ ბოლოს იყო გმირობა, ჭიდილი სიკვდილთან, რომელმაც ვერ გატეხა სოსო, მისი სული და კი აჯობა, მაგრამ ვერ დაამარცხა. ის არ შემდრკალა, არ დანებებულა და ეს ნიგნიცაა ადამიანის სულის სიძლიერის, სიცოცხლის, თავისი საქმის, გვერდით მყოფი ადამიანების სიყვარულით ჩადენილი ერთი ყოფითი გმირობის მოწმე.

კრებული ივანე ამირხანაშვილის შესავალით იხსნება, რომელშიც ზუსტადაა მონიშნული მისი მიზანდასახულობა და მნიშვნელობა თანამედროვე სამეცნიერო პროცესში. მართლაც, „ისტორიის აქტუალიზაცია თანამედროვე



კულტურულ-სამეცნიერო კვლევების ერთ-ერთი მთავარი ტენდენციაა...“ ივანე ამირხანაშვილი ნებისმიერ შრომას, რომელიც ამ მიმართულებით წარიმართება, გარკვეული სოციალური კონცეფციის ნაწილად თვლის. სამეცნიერო ცოდნა კი გარდაუვალად გულისხმობს საზოგადოებრივ აქტუალიზებასაც.

შესავლის ავტორი ამ კონტექსტში განიხილავს ამ კრებულს და მისი რედაქტორის მიზანს: „წინამდებარე კრებულის შედგენის სამუშაო ჰიპოთეზაც, როგორც ჩანს, ეს იყო. ყოველ შემთხვევაში, აქ არის ცდა იმისა, რომ წმინდა ნინოს ღვაწლი, როგორც ისტორიული სიმბოლო, თანამედროვე კულტურულ შინაარსად გარდაიქმნოს.“

ეს გახლავთ სურვილი და მიზანდასახულობა კრებულის რედაქტორისა, რომელიც, სამწუხაროდ, ნაადრევად წაივდა ამ ქვეყნიდან.

ივანე ამირხანაშვილმა პატარა შესავალში შეძლო მოეხაზა სოსო მახარაშვილის პორტრეტის რამდენიმე მსუბუქი შტრიხი და ხაზი გაესვა იმ ჩანაფიქრისათვის, რომელიც რედაქტორს ჰქონდა: „ამ პროექტით მას სურდა წარმოედგინა წმინდა ნინოს კულტის აქსიოლოგიური მნიშვნელობა, კიდევ ერთხელ განესაზღვრა საკითხის ისტორიულ-კულტურული საზღვრები და გარკვეულ სოციალურ ჭრილში დაენახა ისტორიული რეალობა“.

სოსო მახარაშვილის წინათქმაში გამოიკვეთა რედაქტორის და ავტორთა კოლექტივის მიზნები და პასუხისმგებლობის გრძნობა. ისინი ისეთ მნიშვნელოვან სულიერ და სამეცნიერო თემას შეეჭიდნენ, რომ ეს სრულიად ბუნებრივია. კრებული „გზამკვლევის“ სერიოზულ შექმნილი და ამიტომ რედაქტორი აღნიშნავს, რომ მას „არა აქვს პრეტენზია, მთელი სისრულით გააშუქოს „წმ. ნინოს ცხოვრებისა“ და ქართლის მოქცევასთან დაკავშირებული, თუნდაც, ლიტერატურული საკითხები. პრობლემის სირთულიდან გამომდინარე, ეს უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა. ავტორთა კოლექტივი უფრო მოკრძალებულ მიზანს ისახავდა: წარმოეჩინა ქართველი განმანათლებლის ცხოვრება-მოღვაწეობის უმთავრესი ასპექტები, გადმოეცა ქართლის გაქრისტიანების პერიპეტეიები, გარკვეულწილად შეევსო და შეეჯამებინა ჩვენს მეცნიერებაში ამ კუთხით წარმოებული ძიებები; ამავე დროს, შეძლებისდაგვარად გამოეთქვა ახალი მოსაზრებანი, წამოეჭრა პრობლემური საკითხები, დაესახა მათი გადაჭრის გზები და საშუალებები.“

კრებულის წაკითხვის შემდეგ ნათელი ხდება, რომ ყველა მიზანი წარმატებით შესრულდა, ხოლო კრებულში თავმოყრილი მასალების მაღალმა მეცნიერულმა ღირებულებამ უფრო მეტის გაკეთების შესაძლებლობა შექმნა და მისი მნიშვნელობა სამეცნიერო სივრცეში ერთიორად გაზარდა, უფრო შორსმიმავალი პერსპექტივებიც გამოკვეთა.

„წმინდა ნინოს ცხოვრება და ქართლის მოქცევაში“ ათი რუბრიკაა გამოყოფილი, რაც, ვფიქრობ, მასალის ზუსტად აღქმისა და კლასიფიცირების საშუალებას იძლევა. რუბრიკები ქმნიან ერთგვარ ჩარჩოებს, რომლებიც თითქოს აცალ-

კევებენ საერთო პრობლემას და ერთმანეთისგან გამოყოფენ საკითხებს, მაგრამ ამავე დროს ხელს უწყობენ წმინდა ნინოს ცხოვრებისა და ქართლის მოქცევის შემსწავლელებსა და მკვლევრებს შეარჩიონ ერთიანი, მთლიანი სუბსტანციიდან მათთვის მნიშვნელოვანი და ამავე დროს არ დაკარგონ პრობლემის მონოლითურობის განცდა, რომელიც საკვლევე თემების შინაგანი, უხილავი კავშირის ხარჯზე მიიღწევა.

აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს გამოცემის ხარისხი, მაღალი პოლიგრაფიული, ესთეტიკური დონე, რომელიც შინაარსთან ერთად ნებისმიერი წიგნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და სხვა საფეხურზე აჰყავს. ეს გამოცემა ნამდვილად იმსახურებს მაღალ შეფასებას, ყდის დიზაინი, მშვენიერი ილუსტრაციები, ყველაფერი ხელს უწყობს კრებულში მოწოდებული მასალების შემეცნებასა და შეგრძნებას.

რუბრიკა „კალიდოსკოპი“ შეიცავს სხვადასხვა ავტორის ნაწერებიდან პატარა ამონარიდებს, რომლებიც წმინდა ნინოს ცხოვრებას, მის სახეს ეხება. დიმიტრი ბაქრაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, სარგის კაკაბაძის, პავლე ინგოროყვას, ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის, რევაზ სირაძის, მარიამ ჩხარტიშვილის, თამილა მგალობლიშვილის, ედიშერ ხოშტარია-ბროსეს, რევაზ ბარამიძის, ზაზა ალექსიძის, მზია სურგულაძის, მარიამ ლორთქიფანიძის, ვახტანგ გოილაძის ჩანაწერები ამზადებენ მკითხველს, კიდევ ერთხელ აგრძნობინებენ, თუ როგორი ფასეული ტრადიცია, მყარი ფუნდამენტი არსებობს ქართულ მეცნიერებაში ზოგადად და კონკრეტულად ამ საკითხის კვლევისათვის.

რუბრიკა „სათავეებთან“ მოიცავს წერილებს, რომლებშიც, ფაქტობრივად, წმინდა ნინოს ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ყველა ფუნდამენტური საკითხი ნარმოდგენილი — საკითხის შესწავლის ისტორიიდან დაწყებული, ქართული სამოციქულო ეკლესიის წარმოშობით დამთავრებული.

ქეთევან მანიამ წერილში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შესწავლის ისტორიიდან“ მიმოიხილა ძველის კვლევის ისტორია „თხზულების შესახებ გამოთქმული პირველი შეხედულებებით დაწყებული, უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევების გათვალისწინებით...“ ის მსჯელობს ამ გამოკვლევებში წარმოჩენილი და ამ ძველის შესწავლასთან დაკავშირებული პრობლემების გათვალისწინებით. ეს პრობლემებია: დათარიღება, შედგენილობა, მისი ცალკეული ნაწილების ტექსტოლოგიური კვლევის ისტორია, ატრიბუცია, რედაქციების ურთიერთმიმართების გარკვევა, მეთოდოლოგიური და ისტორიოგრაფიული ანალიზი. ამ საკითხებს იგი შესაბამის ქვეთავებში წარმოადგენს: ძველის დათარიღების საკითხის შესახებ; ძველის ტექსტოლოგიური კვლევა; ძველის შედგენილობის შესწავლა; ძველის ავტორის ვინაობის შესწავლა; ძველი წყაროების საკითხის შესწავლა; ძველის სახისმეტყველებითი ანალიზი; ძველის სანდოობის საკითხის შესწავლა; პუბლიკაციები და თარგმანები. შედეგად იქმნება საკითხის შესწავლის ისტორიის მოკლედ გადმოცემული, ვიწრო ჩარჩოებში მოქცეული, მაგრამ სრული, ამომწურავი სურათი.

მაღზაზ კობიაშვილის წერილში „წმინდა ანდრია საქართველოში“ წარმოდგენილია ძალიან მნიშვნელოვანი წყაროები და მსჯელობა, რომლის შედეგადაც ანდრია

პირველწოდებულის საქართველოში მოღვაწეობას ეფინება ნათელი. წერილის ავტორი თავიდანვე მიმოიხილავს არსებულ მასალებს და ჩამოთვლის კიდევ იმ მკვლევრებს, რომლებიც ამ თემაზე მუშაობდნენ, მაგრამ მაინც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საკითხი კიდევ უფრო ღრმა შესწავლასა და კვლევას საჭიროებს. მოცემული თემის სიღრმისეულად გასააზრებლად და გამოსაკვეთად იგი მიმოიხილავს ივანე ჯავახიშვილის ნარკვევს, რომელიც შეეხება ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობას საქართველოში.

ივანე ჯავახიშვილი სარწმუნოდ მიიჩნევს პლატონ იოსელიანის ცნობას, თითქოს წმინდა ანდრიას ქადაგების შესახებ საქართველოში წმინდა ნინოს დროსვე იცოდნენ. ამის შემდეგ იწყება ძალიან საინტერესო ძიება, საიდან არის ეს ცნობა, იცოდნენ თუ არა ჩვენმა წინაპრებმა ამის შესახებ რამე IX საუკუნემდე. სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით დაასკვნის, რომ ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მისიონერული მოღვაწეობის შესახებ ზუსტი, დოკუმენტური ცნობა არ არსებობს და ეს მხოლოდ თქმულებაა. წერილის ავტორი უყურადღებოდ არ ტოვებს ამ თეზის საპირისპირო მოსაზრებასაც, რომელიც მოსე ჯანაშვილს ეკუთვნის, ასევე არ გაუზიარებია ივანე ჯავახიშვილის შეხედულება მიქელ თამარაშვილსაც, რომელმაც თავის მხრივ საგულდაგულოდ განიხილა და უარყო ივანე ჯავახიშვილის მსჯელობის ძირითადი პოსტულატები. თამარაშვილისეული მსჯელობა და კონტრარგუმენტაცია სრულადაა მოყვანილი წერილში. სამაგიეროდ, კორნელი კეკელიძე ძირითადად ეყრდნობოდა და იმეორებდა ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას, როცა ქართველთა მოქცევის ისტორიულ-ქრონოლოგიურ საკითხებს განიხილავდა. მაგრამ, მოგვიანებით, 1943 წელს „ლიტერატურულ ძიებანში“ გამოქვეყნებულ ნარკვევში, რომელშიც განხილული იყო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ის შედგენილობა, წყაროები და ეროვნული ტენდენციები“ ეს საკითხი უკვე სხვაგვარად განიხილა. წერილის ავტორმა საკითხის სრულყოფილად წარმოსაჩენად სხვა წყაროებსაც მოუხმო, რითაც ნათლად დაგვანახა პრობლემის სიღრმე და სირთულე და არსებული ორი მოსაზრება წმინდა ანდრიას მისიონერული მოღვაწეობის შესახებ თვალსაჩინო გახადა.

ია გრიგალაშვილის წერილში „ქართული სამოციქულო ეკლესიის წარმოშობის ისტორიიდან“ წარმოდგენილია წყაროები, რომლებიც მოგვითხრობენ საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლისა და მისი მქადაგებლების შესახებ. წერილის ავტორი სრულად მიმოიხილავს უძველეს ცნობებს და ისტორიული დისკურსის გათვალისწინებით „აგებს“ თავის სათქმელს. ცდილობს ფერგამკრთალ ფრამენტულ ცნობებზე დაყრდნობით ალადგინოს გარემო, ის სულიერი განწყობა, რომელიც წინ უძღოდა ქრისტიანობის შემოსვლასა და განმტკიცებას. წყაროებზე დაყრდნობით ავტორი აყალიბებს დასკვნას, რომ საქართველოში ქრისტიანობა უქადაგაით წმინდა მოციქულებს: წმიდა ანდრიას, წმიდა სვიმეონ კანანელს, წმიდა მატათისა და ბართლომეს. „მათ ნაქადაგარს უკვალოდ არ ჩაუვლია. ჩვენს ქვეყანაში ეკლესიათა მშენებლობა მათი მოღვაწეობის პერიოდში დაწყებულია. წმიდა ნინოს მეოხებით ქრისტიანობა ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა IV საუკუნეში,

თუმცა, მისი აღიარებისთვის ნიდადაგი ქართველთა ცნობიერებაში უკვე შემზადებული ყოფილა.“

წმინდა ნინოს მოღვაწეობისა და მისი ეპოქის შინაგანი ძვრებისა და გარესამყაროში, ისტორიულ დროსა და სივრცეში მიმდინარე პროცესების გაანალიზება შეუძლებელია ისტორიულ წარსულში ერთგვარი „მოგზაურობის“ გარეშე, რის საშუალებასაც გარდასული ეპოქების ტექსტები მართლაც იძლევიან. „მოგზაურობაში“ წასული მკვლევარი კი „შეიარაღებული“ უნდა იყოს საკითხის საფუძვლიანი ცოდნითა და ყველაფრის გარკვევის, ძირისძირამდე ჩაყოლის სურვილით. ასე იქცევა გოჩა კუჭუხიძე წერილში „წმინდა ნინო და ქართლის მოქცევა.“ ქართლის ისტორიის შესწავლა, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, წმინდა ნინოს სახელთან დაკავშირების გარეშე არასწორი და უშედეგოა. „ქართლის მოქცევის ისტორია უშუალოდ წმიდა ნინოს სახელს რომ უკავშირდება, ამას, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების, ბერძნულ-რომაული და სომხური წყაროების გარდა, იმ წყაროთა მონაცემებიც ცხადყოფს, რომლებშიც წმიდა ნინოს ნახსენები არ არის...“ — აღნიშნავს იგი. წერილში გაანალიზებულია გრიგორ განმანათლებლის ის არაბული და ბერძნული ვერსიები, რომლებშიც სომხების მოქცევის გარდა ქართლის, ლაზიკისა და, ერთგან, ალანებისა და დურძუკების ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ზიარების ამბავია გადმოცემული. ამ ვრცელ და საინტერესო წერილში ბევრი საგულისხმო დაკვირვებაა, უმთავრესი კი მსჯელობის და ტექსტების ანალიზის შემდეგ მიღებული დასკვნაა, რომ იმ ტექსტებში, რომლებშიც წმინდა ნინო ნახსენები არაა, იმგვარი ისტორია ისახება მკითხველის თვალწინ, რომ შეუძლებელი ხდება წმინდა ნინოს ღვაწლში ეჭვის შეტანა. წერილი შინაგანად თითქოს ორ ნაწილად იყოფა. ასეთი მნიშვნელოვანი დებულების შემოთავაზების შემდეგ იგი შატბერდული და ჭელიშური რედაქციების ანალიზზე გადადის და აქაც უამრავ საინტერესო და მნიშვნელოვან დეტალს წამოსწევს წინა პლანზე. ძალიან საყურადღებოა საბოლოო დასკვნაც, რომელიც რედაქციებს ეხება: „როგორც შემორჩენილი ტექსტები მიგვანიშნებს, ადრეულ პერიოდში „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ორი რედაქცია შექმნილა. ისინი შატბერდულ-ჭელიშურმა რედაქციებმა შემოგვიწინა...“

რუბრიკაში „უწყებანი“ წარმოდგენილია გიორგი ალიბეგაშვილისა და ნინო ჟვანიას წერილი „უცხოური მასალები საქართველოს მოქცევაზე.“ მოცემულია მრავალი საყურადღებო ცნობა. როგორც ავტორები აღნიშნავენ, საქართველოს მოქცევის შესახებ სხვადასხვა უცხოელ ავტორთანაა



სოსო მახარაშვილი

შემონახული ინფორმაცია, ზოგი წინამორბედთა ნათქვამს იმეორებს, მაგრამ მთავარი ეს არ არის. „არსებითია ის, რომ ავტორთა ერთი ნაწილი IV-V საუკუნეების მოღვაწენი არიან და, ამდენად, მათ მნიშვნელოვანი ცნობები აქვთ აღნიშნული პერიოდის საქართველოში მომხდარ კულტურულ-ისტორიულ ცვლილებებზე, იცნობენ იმ ტრადიციებს, რომლებიც ასახულია „წმინდა ნინოს ცხოვრებაში.“ ავტორებს მართლაც ძალიან მრავალფეროვანი და საყურადღებო მასალა აქვთ შერჩეული და საფუძვლიანადაც გაანალიზებული.

საინტერესო გამოვიდა რუბრიკა „სახისმეტყველებაც“, რაც სულაც არ არის გასაკვირი, რადგან სახისმეტყველებითი კვლევები ყოველთვის იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას და ნშირად აზრთა სხვადასხვაობასაც იწვევს, რაც თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია. ამ შემთხვევაში კი წარმოდგენილია ორი ძალიან საინტერესო წერილი, რომლებიც, ვფიქრობ, დაიმსახურებენ სპეციალისტთა აღიარებას. ნანა გონჯილაშვილი და ირინა ნაცვლიშვილი განსხვავებულ თემებს ეხებიან და მსჯელობის სხვადასხვა სტილს წარმოგვიდგენენ, მაგრამ ეფექტი ერთნაირია – სიახლისა და გარდასული, გამქრალი დროის სურნელის ერთდროულად და უჩვეულოდ მძაფრად, ცოცხლად შეგრძნება.

ნანა გონჯილაშვილის წერილში „ნინოს ცხოვრების“ ერთი პარადიგმული სახე (კერპ-ლვთაეზა არმაზის განსახოვნება)“ მრავალ წყაროზე დაყრდნობით თითქოს ხელახლა, ოღონდ სიტყვაში აღიზარება არმაზის კერპი, როგორც საქართველოსთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპოქის უტყველო მოწმე. არქაული წყაროების პარალელურად მკვლევარი მიმართავს აკაკი წერეთლის, ვასილ ბარნოვის, თეიმურაზ ბატონიშვილის, გიორგი ლეონიძის, გურამ დოჩანაშვილის თხზულებების მხატვრულ სამყაროს. თითქოს ერთმანეთში იკვეთება, გადაედინება სხვადასხვა დროსივრცული ლოკალი და შედეგად მკვლევარი ახერხებს დახატოს არმაზის ერთგვარი პორტრეტი, რომლის სახეც მეცნიერულ საფუძველზე რეკონსტრუირებული და მრავალმხრივი ანალიზი კი მისი კულტის არსისა და მნიშვნელობის შესახებ თავისი შეხედულების ჩამოყალიბების საშუალებას აძლევს მკვლევარს.

ირინა ნაცვლიშვილს სიტყვისა და ისტორიის განსაკუთრებული შეგრძნების უნარი აქვს საერთოდ და ეს ამ კრებულში წარმოდგენილ წერილშიც ნათლად გამოჩნდა. „მირიან მეფის „ნიგნი – ანდერძი“ ეძღვნება „ნიგნსა“ და „ანდერძს“, რომლებითაც სრულდება „წმინდა ნინოს ცხოვრების“ უძველესი რედაქციის შატბერდული და ჭე-

ლიბური ნუსხები. თუმცა ეს არ არის უბრალოდ შესწავლა და მიმოხილვა. ავტორი შეეცადა დაედგინა ისტორიულ სინამდვილესთან შინაგანი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, დაეზუსტებინა დაწერის დრო და, რაც მთავარია, ჩვენამდე მოეტანა და ზუსტად გადმოეცა „ნიგნი-ანდერძის“ ჭეშმარიტი არსი, თვალთ უხილავი შინაგანი შრეები: „...თავისი სულიერი შინაარსით იგი ნათელღებული მეფის აღსარებაა, შინაგანი გამოცდილებისა და პიროვნული გარდატეხის გზით „ახალ ცხოვრებას“ ზიარებული კაცის ესქატოლოგიური მოლოდინის იმედიანი განცდაა, სულიერი ღვანლია, დაუბადებელი ნათლის ხილვის სასოებით გაცისკროვნებული. შესაბამისად, მხატვრულ-ესთეტიკური ბუნებით მირიანის „ნიგნი-ანდერძი“ ბიბლიურ-ქრისტიანოლოგიურ წარმოდგენებსა და სახეობრივ სისტემას ეფუძნება.“

ავტორი წარმოადგენს „ნიგნი-ანდერძში“ თავმოყრილ ძალიან მნიშვნელოვან მხატვრულ-სიმბოლურ, ბიბლიურ სახეებს და ფაქიზად, დიდი პასუხისმგებლობით ცდილობს „გახსნას“ თითოეული მათგანი, ისე, რომ ერთი ნაბიჯითაც არ დასცილდეს ბიბლიურ ჭეშმარიტებას და თანაც წარმოაჩინოს მხატვრული სახის პოეტური ხიბლი. მის მიერ აგებული არაჩვეულებრივი სახეობრივი სისტემა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

რუბრიკა „იდეა და რწმენა“ წარმოადგენს სოსო მახარაშვილის წერილს „წმ. ნინო, ჯვარი ვაზისა და საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილგდომილობის საკითხისათვის“. აქ განხილული საკითხი მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ქართული მესიანიზმი ღვთისმშობლისადმი წილგდომილობის იდეას ეფუძნება. სოსო მახარაშვილი შეეცადა ნათლად წარმოედგინა მესიანისტური იდეოლოგიის წარმოშობის ისტორიული და ფსიქოლოგიური წინაპირობები. მას განსაკუთრებით აინტერესებს როგორია ღვთისმშობლის სახე „წმ. ნინოს ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეულ ყველაზე ადრეულ რედაქციაში და ამ ინტერესს ლოგიკური, მისი წინარე კვლევებიდან გამომდინარე საფუძველი აქვს: „ ეს საკითხი

მით უფრო საინტერესოა, თუკი გავითვალისწინებთ, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს-ს“ შატბერდულ-ჭელიშური ვერსია დამუშავებულია არაუადრეს IX საუკუნისა, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც დაწერილია „წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრება“. ავტორი სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე გამოკვეთს ღვთისმშობლისა და წმინდა ნინოს ვაზის ჯვრის, როგორც მყარი იდეოლოგიური ნიშნების ჩამოყალიბების გზას.

რუბრიკაში „პარალელები“ წარმოდგენილ ეკატერინე ჩიკვაიძის ძალიან მნიშვნელოვან წერილში „ნიკოლოზ გულაბერისძის „სვეტიცხოვლის საკითხავი“ და წმინდა ნინოს ცხოვრება“ წარმოდგენილია ამ მკვლევრისათვის ჩვეული სიღრმით, პასუხისმგებლობითა და მახვილგონიერებით

შესრულებული კვლევის შედეგები. საკითხი, საკმაოდ რთულია და დიდ შრომასა და ლოგიკურ აზროვნებასთან ერთად, გარკვეულწილად ინტუიტიური წვდომის უნარიც მოითხოვა მკვლევრისგან, რადგან, ვფიქრობ, ორი ურთულესი, სულიერებით სავსე მხატვრული სამყაროს თანხვედრის ზუსტი და უდავო წერტილების აღმოჩენა არ არის იოლი საქმე. წერილში გამოიკვეთა საკითხავის კომპოზიციის და მისი ნინოს ცხოვრების სხვა რედაქციებთან მიმართების საკითხი; ენობრივ-სტილური და ლექსიკური კვლევების შედეგები; ძეგლის უანობრივი სპეციფიკა, სახის-მეტყველებით-იდეური და იდეოლოგიური საკითხები.

დარჯჯან მენაბდე დიდი ყურადღებით იკვლევს „წმინდა ნინოს ცხოვრების“ უცხოურ „ოდისეას“. როგორც რუბრიკაში „თარგმანები“ დაბეჭდილ წერილში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ უცხოურ ენებზე“ აღნიშნავს, ამ შემთხვევაში მიზანი არ აღმოჩნდა ცალკეული გამოკვლევებისა თუ თარგმანების შეფასება. ამჯერად ამოცანა უცხოურ ენაზე დასტამბული მასალის მხოლოდ აღნუსხვა-კლასიფიკაცია იყო და მკვლევარი შემოიფარგლა ძეგლის თარგმანებით, აგრეთვე იმ გამოკვლევებითა და გამოცემებით, რომლებიც წმინდა ნინოს შესახებ დაიბეჭდა უცხოურ ენებზე. მან მართლაც არაჩვეულებრივად მდიდარი და საგულისხმო მასალა მიანოდა მკითხველს რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ, პოლონურ, უნგრულ და ბერძნულ ენებზე გამოქვეყნებული თარგმანებისა და გამოკვლევების შესახებ.

რუბრიკაში „საგალობელთა ექო“ ქეთევან ნინიძემ წარმოადგინა წერილი „წმინდა ნინოს ჰიმნოგრაფიული ხატი“, რომელშიც სრულად გამოიკვეთა წმინდა ნინოს საგალობლების სიმბოლოთა გენეზისი. მკვლევარი მდიდარ მასალას ეყრდნობა და რამდენიმე მნიშვნელოვან სახესაც გამოკვეთს.

კრებულში არის რუბრიკა „ბიბლიოგრაფია“, რომელიც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს სრულ ბიბლიოგრაფიას მოიცავს და რუბრიკა „ტექსტი“, რომელშიც „წმიდა ნინოს ცხოვრების“ უძველესი რედაქციებია დასტამბული.

ეს შესანიშნავი კრებული აუცილებლად დაიკავებს თავის ადგილს თანამედროვე სამეცნიერო, ლიტერატურათმცოდნეობის სივრცეში. მას თავისი მეცნიერული და სულიერი ღირებულება გააჩნია, რომელიც დროთა განმავლობაში კიდევ უფრო საგრძნობი გახდება. ალბათ სწორედ ეს იყო ამ ნიგნზე მომუშავე ყველა ადამიანისა და მისი რედაქტორის ამოცანა, რომელიც ვერ მოესწრო კრებულის გამოსვლას, მაგრამ მისმა ოცნებამ და ნაშრომმა ხორცი შეისხა და წარმატებითაც. მომავლისათვის, შემდეგი თაობებისათვის დარჩა, როგორც კვალი, და ეს ნამდვილად არ არის პატარა საქმე ამ ყველასთვის ხანმოკლე, მართლაც ნუთიერ სოფელში.



ლიანა ელიავა

„რასაცა გასცემ, შენია“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებულ მდგომარეობა?

— როცა პირად უბედურებას საქვეყნოც ერთვის, სიცოცხლე არ გინდა. მე ამას გადავურჩი, ჩემი ძმა კი დაიღუპა.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— მე საქართველოს მოქალაქე, მაგრამ ბედისწერას ვერ გავექეცი და ფინეთში ვცხოვრობ. მთები სიზმრების განუყრელ პეიზაჟად მექცა. ბედნიერი ვიქნებოდი ისევე საქართველოში მეცხოვრა, სადაც ხალხი ისევე ბედნიერი იქნებოდა, როგორც ფინეთშია (მე-2 ადგილი მსოფლიოში ხალხთა ბედნიერების მიხედვით).

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— როცა ამ „ბინდისფერ სოფელში“ შენი ადამიანი გყავს გვერდით, შენი საქმეც გაქვს, შემოქმედებით ბედნიერებას რომ გაზიარებს.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ავთანდილი, ანდრეი ბოლკონსკი, რემედიოსი...

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— დავით აღმაშენებელი, ალექსანდრე მაკედონელი, გიორგი ჭყონდიდელი, მაჰათმა განდი...

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— მიქელანჯელო, ბოტინელი, ვან გოგი, ფიროსმანი, ფარჯიანი...

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— განწყობილების ცვალებადობის მიხედვით ერთმანეთს ენაცვლებიან: დიდი სამეული: ბეთჰოვენი, ბახი, მოცარტი, შუმანი, გრიგი, ვივალდი, მალერი, ლალიძე...

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— ნიჭი, იუმორი (სიმაღლეც არ აწყენდა).

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— სათნოება, სიკეთე, მომხიბლაობა (სულიერი).

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულით ნაკარნახევი ქველმოქმედება.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ადრე კინოს გადაღება, ახლა კომპიუტერთან ჯდომა და ტექსტზე მუშაობა, თავისუფალ დროს საჩუქრების ძებნა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— არასოდეს მიფიქრია სხვად ქცევაზე (რაც უნდა უკმაყოფილო ვიყო ჩემი თავით).

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— გულწრფელობა, ცნობისმოყვარეობა, პასუხისმგებლობის გრძნობა (ფრიადოსანი მონაფის დონეზე), საკუთარი თავის მუდმივი წვრთნა, დახვეწა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ერთგულებას, ინტელექტს, სულიერებას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— მიმნდობლობა, რომელმაც კინალამ დამლუპა და სიჯიუტე, რომელმაც არაერთხელ გადამარჩინა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— აქ, ეტყობა, ყოველდღიურობა იგულისხმება. ბედნიერი ვარ, როცა საყვარელ ადამიანთან ერთად ვმოგზაურობ.

— რა იქნებოდა თქვენი ყველაზე დიდი უბედურება?

— პირად ცხოვრებაში საყვარელი ადამიანის დაკარგვა, გნებავთ ფიზიკურად, გნებავთ სულიერად. ქვეყანაში ის, რაც მოხდა საქართველოში 1991 წელს ანუ სამხედრო გადატრიალება (ერთ-ერთი მიზეზი საქართველოდან ჩემი წასვლისა).

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— როგორიც გავჩნდი. ოღონდ ახალგაზრდობაში მეოცნებებოდა შემხვედროდა „ჩემფერა“ და დედობაც მღირსებოდა.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ფერებისადმი დამოკიდებულება შემეცვალა ასაკთან ერთად. ახალგაზრდობაში შავ ფერს ვანიჭებდი უპირატესობას. ახლა სუფთა ფერს მირჩევნია ის, რაც ძირითად ფერებშია. მიყვარს ბუნებრივი ფერები, მაგალითად, თუშური ჯანგარო, ანუ ელდის ხავსის ფერი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ვარდი, ია.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— მაფშალია.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ყაზბეგი, მარკესი, ტოლსტოი, გოგოლი, ჰამსუნი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— პოეტების მეფეთ-მეფე — რუსთაველი, მეფე — გალაკტიონი, ვაჟა-ფშაველა, უცხოელთაგან: ცვეტაევა, დიკინსონი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ნესტან-დარეჯანი, ჯულიეტა...

— საყვარელი გმირი ისტორიაში?

— მერაბ კოსტავა.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— თამარ მეფე, ქეთევან წამებული.

— საყვარელი სახელი?

— არჩილი, მზია, შორენა.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— უღირსთა აღზევებას და პირიქით — მედროვეობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ხრუმროვი (ზიზღი ძნელი სათქმელია, უბრალოდ ვინც მეზიზღება, ის უბრალოდ არ არსებობს ჩემს არეში).



— საომარი ქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?

— როგორც გადმოცემით ვიცი, დიდგორის ომი ანუ „ძღვევაი საკვირველი“.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმება.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— ღმერთს ვერ შევცოდავ იმაზე მეტის სურვილით, რაც მარგუნა.

— როგორ გინდოდათ მომკვდარიყავით?

— ისე, რომ არ მექონდეს სანუხარი: „სად გამითხრიან საფლავს, ვინ დამიხუჭავს თვალებს“.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— თვითონვე მიკვირს, იმდენად ვერ ვგრძნობ ასაკს.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— უნებლიე შეცდომები.

— თქვენი დევიზი?

— ადრე, როცა უბედურებები ერთმანეთს მიეწყობოდა, თავს ვიმხნევებდი, „გულს ნუ გაიტეხ, წინ უკეთესობაა!“ ახლა რუსთველის შეგონება მაქვს დევიზად: „რასაცა გასცემ, შენია“.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— მიზეზთა გამო გვიან მოვინათლე. ნათლისღებისას მამამ მითხრა: ღმერთს ჰყვარებიხარ, რადგან მოუნათლავე არ დაგტოვაო. უფალი გულით მხედველია. ბედნიერი ვიქნები, თუ ღირსმყოფს შემდეგი სიტყვებისას: შვილო ჩემო, მიპატიებია შეცოდებანი. ვიცი, შენის ნებით არ მოგსვლიაო.

პროზა

ელგუჯა ბერძენიშვილი

რენუარის პარდეზი

მოხუცი რენუარი მოლბერტის წინ იჯდა და მოუთმენლად მოელოდა მენატურე ქალის გამოჩენას. ქალი იგვიანებდა. შეიძლება დღეს არც კი მოსულიყო. რენუარი შესცქეროდა მოლბერტზე ჩამოდგმულ ტილოს და მღელვარებას ვერ იკავებდა. მოიხბო თავისი ერთგული მოსამსახურე ქალი და სთხოვა შესულიყო ბაღში და ვარდები დაეკრიფა.

რენუარი უკვე მიხრწნილი მოხუცი იყო, რევმატიზმს ხელ-ფეხი წაერთმია, მხატვარი ფუნჯს ველარ იკავებდა, თითებს მგრძნობელობა დაჰკარგოდა. ოდესღაც ნატიფი, დახვეწილი თითები, ახლა ხის ფესვებს დამსგავსებოდა, ერთმანეთში გადაგრეხილს და დაღვლარჭნილს, მაგრამ არ არსებობდა ძალა, რომელიც ამ ხელებიდანაც კი ფუნჯს გააგდებინებდა. მოხუცი დილიდან საღამომდის დაუცხრომლად იღვნოდა. „ამქვეყნად არ არსებობს ფერწერაზე დიდი სიამოვნება, რა შეედრება იმ ნეტარებას როცა ფერებით ანთებულ პალიტრას დახედავ“. მოხუცი ისევ ისე იყო შეპყრობილი ფერებით, ისევ სიცოცხლის ბედნიერებას, ისევ სიცოცხლის ხალისს ხატავდა და, როცა ფუნჯს შეახებდა ტილოს, ამქვეყნად აღარაფერი ახსოვდა.

მენატურე ქალი არ გამოცხადდა, სამაგიეროდ, ბაღში ენით უთქმელი სილამაზის თაიგული მზადდებოდა.

რენუარისათვის თითებს შორის ფუნჯი გაეჩხირათ, გარედან ტილოს ნაჭრები შემოეხვიათ, უგრძნობელ თითებს მყარად ეკავა ფუნჯი. მის მოსამსახურე, ერთგულ მეგობარ ქალებს პალიტრაც გაემზადებინათ. რენუარი მღელვარებით გასცქეროდა ბაღს და ხედავდა, ვარდის ფურცლებს როგორ ცვიოდა დილის ცვარი.

თაიგულს საამური სურნელი შემოჰყვა სახელოსნოში. მოსამსახურე ქალმა ბროლის ლარნაკში ჩაანყო ვარდები.

მხატვარმა აუხსნა ქალს, სად უნდა დაედგა თაიგული, და გააკოჭილი ხელით მიანიშნა დაახლოებით იმ ადგილას, სადაც მენატურე ქალი უნდა მჯდარიყო. რენუარმა მადლობა მოახსენა მოსამსახურე ქალს ასეთი დიდებული საჩუქრისათვის, თაიგული, სხვადასხვა ფერის ვარდებით შეკონილი, სიცოცხლის სურნელს აფრქვევდა. რენუარმა სთხოვა მოსამსახურე ქალს, შებინდებამდე არავინ შემოეშვათ სახელოსნოში. მოსამსახურე ქალმა ფრთხილად გაიხურა სახელოსნოს კარი.

თაიგული მზის შუქში გახვეულიყო. რენუარი მთელი დღე შრომობდა. თაიგული იყო მდიდრული, მრავალფერი. ვარდები ამოსხლეტილნი ბროლის ლარნაკიდან, ლაღად შეფრქვეოდნენ სივრცეს. ვარდისფერი ვარდები, თეთრი, ღვინისფერი, სპილოსძვლის ფერი, ყვითლები, მენამული, მიმქრალი ვარდისფერები, გათენებისას რომ გადაჰკრავს ცას, წითელი, ცაცხლისფერი ვარდები, ბრონეულის ყვავილის ფერი, ჩამაცული მზის შხეფებით ცეცხლოვანი, ათასფერი ვარდები... გალობდა შუქნაკრთომი ვარდების თაიგული, რენუარიც გალობდა გულში, მოხუცი კვლავ სიცოცხლის ხალისს, ყოფნის სიხარულს უმღეროდა ნათელ ფერებით.

სულ მალე ქორფა ვარდები დაჭკნებიან, თავს ჩაჰკიდებენ დამღრალნი, მაგრამ რისთვის იღვნოდა მხატვარი? იმისათვის, რომ ეცოცხლათ ვარდებს მუდმივად, ყოფილიყვნენ აყვავებულნი, იმისათვის რომ არ დამქვარიყვნენ, არ ჩამქრალიყვნენ ფერები, არ გამქრალიყო სიცოცხლის სურნელი, წამიერი ყვავილობა რომ ექცია მარადიულად. რა მშვენიერი თაიგული იყო, ისინი ჩამოჭკნენ. რენუარმა შრომა დაამთავრა. ოსტატის შემხმარი მარჯვენის ძალით ტილოზე ფეთქავდა სიცოცხლე.

რენუარი ალტაცებული შესცქეროდა თავის შედეგს. ბროლის ლარნაკში ჩამომღრალ თაიგულისკენ გახედვა აღარ სურდა. ის უკვე მკვდარი იყო. სიცოცხლეს ტილოზე გადმოენაცვლებინა. „ფერწერაში მთავარია მოისპოს სიუჟეტი, თხრობა, ეს მწერლობის საქმეა. ფერწერა ფერის ხელოვნებაა, ფერი სიცოცხლეა“.

რენუარი უღიმოდა თავის ქმნილებას, დიდხანს შესცქეროდა ხელებგაკოჭილი და საგორებელ ურიკაში ჩაჭედვლილ შებინდდა.

პროზა

სახელოსნოში რენუარის ნასაყვანად ფრთხილად შემოვიდნენ მოსამსახურე ქალები. ისინი გაოცებულნი მიაჩერდნენ ტილოს. გაოგნებულები შეცქეროდნენ ხან ტილოს, ხან ვარდების თაიგულს, გაკვირვებულები მხრებს იჩეჩავდნენ, ბოლოს მომღიმარ მხატვარს მიუახლოვდნენ და ჰკითხეს: ბატონო რენუარო, ჩვენ გაკვირვებულები ვართ და ვერ ვხვდებით, თუ რას ნიშნავს ეს ყველაფერი, გვითხარით, რა საჭირო იყო ამდენი ვარდების დაკრეფა, შიშველი ქალის დახატვას თუ აპირებდით?

რენუარს გაელიმა: ეგ ქალი მაგ ყვავილებისგან იშვა. ვარდების თაიგული განა იგივე ქალწულის სხეული არ არის, სინორჩით აყვავებული და სურნელოვანი? შეხედეთ იმ სპილოსძვისფერი ვარდის გაუშულელ,



პიერ რენუარი

ქალი ვარდებით

მკვირვ კოკრებს, ისინი ხომ ქალწულის მკერდია. „ღმერთს რომ ქალწულის ძუძუ არ გაეჩინა, მე მხატვარი არ გავხდებოდი“. თქვენ ვერ გრძნობთ პულსაციას მის სავესე ბაგებში? აი ის ბრონეულისფერი წითელი ვარდია ეს მომღიმარი ბაგეები. მე მიყვარს სიცოცხლე, მისი პირისჩენა კი ქალია. მე მოხუცი ვარ, შეიძლება ხვალ აღარ ვიყო, მაგრამ სწორედ ახლა უფრო მეტად მიყვარს სიცოცხლე. მოხუცი შესცქეროდა სურათს და მშვიდად საუბრობდა.

შიშველი, თეძოსრული და მკერდავსე ქალწული მდინარის პირას იდგა ვარდების ბაღში და სავესე მკლავებით ოქროსფერ აგრაგნილ თმას იმაგრებდა კეფაზე, თან ნაზად უღიმოდა ოსტატს წითელ ბაგეებით.

„ღიახ, მე მიყვარს სიცოცხლე და სიცოცხლე ქალია“.

დრამატურგია

რა შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც ერთ ჩვეულებრივ კერძო ბინაში, ფრანგულის რეპეტიტორი თინეიჯერ მოსწავლეს რიგით გაკვეთილს უტარებს, მოულოდნელად კი ცნობილი ხდება რომ ომი დაიწყო?! მასწავლებელიც და მოსწავლეც კონკრეტული და აშკარა რეალობიდან თავის დაღწევას მოჩვენებითი სიმშვიდით ცდილობენ.

ეს არის პიესა შიშის შესახებ. როცა ომს გამოგონილ და ილუზიურ სამყაროში ემალები. როცა მასწავლებელი ერთადერთ იმედს, თინეიჯერ მოსწავლეს, სახლში (მშობლებთან) არ უშვებს და როგორც საყრდენს თავისთან იტოვებს.

მათ შორის ლტოლვა მას შემდეგ მძაფრდება, რაც გარეთ თვითმფრინავების ხმა მატულობს. თუმცა მასწავლებელს აქაც არ ეყოფა ვნებებში გამოტყდომის ძალა და ისევ მოსწავლეს მიიყვანს მთავარ სათქმელამდე, — მოსწავლე მასწავლებლის სათქმელს იტყვის.

მასწავლებელი იმ გაუკუღმართებული თაობის წარმომადგენელია, რომელმაც ინტელექტით და გულში მუშტის ცემით ვერაფერი შეცვალა; რომელსაც სიბერის შიში აქვს და მისთვის ერთადერთი ხსნა მის ახალგაზრდა მოსწავლეშია აკუმულირებული.

მოსწავლე ერთდროულად რომანტიკული და გულცივია. მანერულობით ინიღბება, თუმცა საღად აანალიზებს არსებულ სიტუაციას. ის ჩემი თაობის გმირია. როგორც მინდა რომ იყოს გმირი, — ცოტა სუსტი და ამავდროულად ამაყი, რომელსაც რეალურად შესაძლოა მართლაც შეუყვარდეს საკუთარი მასწავლებელი (ისეთი, როგორც არის), მაგრამ გმირი „წრდილოეთის ორაგულივით“ ცხოვრებას გეგმავს, — გამუდმებით დინების წინააღმდეგ! ხშირად საკვების გარეშე, მაგრამ მხოლოდ უსაფრთხო ადგილას დაყრის ქვირითს.

გმირი ფრთხილობს, რადგან ერთ დროს უპასუხისმგებლობამ ჩვენ ქვეყანას ტრაგედია მოუტანა.



ნესტან-ნენე კვინიკაძე

ფრანგულის გაკვეთილი

მოქმედი პირნი:

სალომე — ფრანგულის მასწავლებელი

ირაკლი — თინეიჯერი მოსწავლე

მასწავლებელი, სასიამოვნო გარეგნობის, საშუალო ასაკის ქალბატონი.

16 წლის ირაკლი, სიმპათიური, ახალგაზრდა, ასაკისთვის ოდნავ დიდი შეხედულების. საუბრობს მანერულად, ჭკვიანი გამომეტყველებით.

პირველი მოქმედება

საცხოვრებელი სახლის პატარა კაბინეტი, კედლებზე ნახატები და დეკორატიული თევზები კიდა. თაროებზე ნიგნები აწყვია. კაბინეტიდანვე მოჩანს სამზარეულო, სადაც მხოლოდ პატარა მაგიდას, მაგიდამდე ჩამოსულ ქალს და ორ სკამს ვხედავთ.

კარზე ზარი ისმის. სამზარეულოდან გამოდის სალომე მასწავლებელი და ალებს კარს.

ირაკლი – Bonsoir.

სალომე – ირაკლიი, Bonsoir.

ირაკლი – როგორ ბრძანდებით? (ყვავილების თაიგულს უწვდის მასწავლებელს).

სალომე – ისევე ყვავილები? (კეკლუცად) როგორ მახარებ და მაიმედებ, ირაკლი!

ორივე კაბინეტში შემოდის, ირაკლი მხარზე გადაკიდებულ ჩანთას იხსნის და სკამზე ჯდება.

სალომე – მთელი დღეა ცუდ ხასიათზე ვარ... ტელევიზორს ვუყურებ დილიდან.

მასწავლებელი თაროდან ლარნაკს იღებს. სამზარეულოდან გამჭვირვალე, წყლით სავსე დოქი შემოაქვს. წყალს ლარნაკში ასხამს და შიგნით თაიგულს დებს.

ირაკლი – მადამ, მანდ კარგს არასოდეს იტყვიან! მე საერთოდ არ ვუყურებ. არ მიყვარს. თან რა არის, იცით, ტელევიზორს ვერ ვუყურებ იმიტომ, რომ იმნამსვე ინყება თარგმანი. (სერიოზული სახით) იმნამსვე ფრანგულ სინქრონს ვინყებ. (თან ჩანთიდან ალაგებს რვეულებს და ნიგნებს).

სალომე – (ღიმილით) ეჰ, ირაკლი, ირაკლი... როგორ ხარ? რა არის ახალი?

ირაკლი – მე კარგად. მამა იყო ცუდად, გული ხომ აწუხებს და...

მასწავლებელი მოპირდაპირე მხარეს იკავებს თავის ადგილს.

სალომე – (შენუხებული) უი, რა ცუდია. არაუშავს, ირაკლი, ყველაფერი კარგად იქნება. (მოულოდნელი აღმაცერობით) გული ვის არ აწუხებს... (პაუზის შემდეგ) გამახსენე დავალება.

ირაკლი – წასაკითხი მქონდა ეს მოთხრობა (ნიგნს უთითებს და უწვდის), მოსასმენი ეს სიმღერა (დისკს უწვდის), სავარჯიშოები — თავისთავად და 300 სიტყვიანი ესეი დასაწერი.

სალომე – მოგეწონა?

ირაკლი – მოთხრობა და სიმღერა მომეწონა. სავარჯიშო და ესეი თქვენ უნდა მოგეწონოთ, მადამ (ალმაცერად შეხედავს მასწავლებელს).

სალომე – რა სასაცილო ბიჭი ხარ! (თან სავარჯიშოების რვეულს იღებს და კითხულობს). ირაკლი, შეგიძლია მოთხრობა შეაფასო? რატომ მოგეწონა? (მასწავლებელი თავს არ წევს რვეულიდან).

ირაკლი — ეს არის სასონარკვეთილი ადამიანების ყოფა, სადაც სამყაროს დასასრულის და აპოკალიპტიკურობის განცდა ჭარბობს (ერთმანეთს მიაყრის ირაკლი).

სალომე — (დაბნეული ახედავს) – კი მაგრამ, აბა მომეწონაო?!

ირაკლი — მე მოთხრობა მომეწონა, მადამ, და არა პერსონაჟები და მათი მოწოდებები.

სალომე — რატომ, ირაკლი? შენ თვლი, რომ სამშობლოს სიყვარული სასონარკვეთაა? თუ მოდური აღარ არის დღეისთვის?

ირაკლი – მადამ, მე ასე არ მიტყვამს. უბრალოდ, არ ვიზიარებ მთავარი გმირის შეხედულებებს. მე არასოდეს დავტოვებ საყვარელ ადამიანს! არაფრის გულისთვის და არავის გულისთვის!

სალომე — მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ ღირდა?

ირაკლი – რა ღირდა, მადამ? (ირონიული გაკვირვებით) ლალატი???

სალომე — იქნებ ეს ლალატი არ არის? იქნებ, უბრალოდ, ცუდი დასასრულია, არ შედგა სასიყვარულო ამბავი, Voila!

ირაკლი — მადამ, თქვენ ალბათ მთავარი გმირის წარმომავლობა, ელეგანტურობა და საუბრის მანერა ისე გნებლავთ, რომ მზად ხართ, ყველაფერში გაამართლოთ.

სალომე — ირაკლი, ცხოვრება სხვა რეალობას ითხოვს დროთა განმავლობაში. წარმომავლობაც ბევრს განაპირობებს ხოლმე, ელეგანტურობა კი შინაგან კულტურაზე მეტყველებს... ჩემი თაობა, ყოველ შემთხვევაში, ამ დეტალების წყალობით იქცა თაობად და შენ ამას ერთ დღესაც აუცილებლად მიხვდები.

ირაკლი — შესაძლოა, მადამ, მაგრამ მე ჯერ ხომ საკმაოდ ახალგაზრდა ვარ?!

სალომე — მაგრამ ეს არ გარიდებს პასუხისმგებლობას.

ირაკლი — ვის წინაშე, მადამ?

სალომე — საკუთარი თავის, ირაკლი. იმიტომ, რომ სხვა დანარჩენი ეგოიზმია. ჩვენი ახალგაზრდობა, სილალის და უდარდლობის მიუხედავად, ამ პასუხისმგებლობას მაინც გრძნობდა.

ირაკლი — როდის, მადამ? (ირონიულად).

სალომე — ყოველთვის! (მკაცრად).

ირაკლი — რატომ გაბრაზდით, თქვენ მკითხეთ, მოთხრობა თუ მოგეწონაო, მე გითხარით, რომ მომეწონა. უბრალოდ, მთავარი გმირი... როგორ გითხრათ, სხვა თამამს თამამობს (არტისტულად), როგორც ერთი მწერალი იტყოდა, სხვა ჯინსები აცვია. (ღიმილით) მას სიყვარული არ შეუძლია და სხვა რალაცევებით ამართლებს ამას. და თან, მე არ მჯერა ტრანსპარანტების, მადამ.

სალომე — როდის ნახე ბოლოს ტრანსპარანტები? (ნიშნისმოგებით).

ირაკლი — დღეს.

სალომე — მაინც სად?

ირაკლი — თქვენი სახლის სადარბაზოს კარზე, მადამ.

სალომე — (თითქოს შეიშმუშნება) კარგი, კარგი (მხრებში გასწორდება. სახეზე ეტყობა კმაყოფილება, თითქოს ირაკლის უკომპრომიზობით ერთგვარი სიამოვნებაც განიცადაო).

ნაიკითხე შენი 300 სიტყვიანი თემა, თუ როგორც შენ ეძახი — ესე!... როგორ დაასათაურე?

ირაკლი — (რვეულს გადაშლის და სალომეს ქვემოდან ახედავს) მარტივად, მაღამ, — „ჩემი საყვარელი მუსიკოსი“ (ჩაახველებს და კითხვას შეუდგება):

„მას არ სჯერა პოლიტიზებული როკ-ვარსკვლავების — ბონოსა და სტინგის მოძღვრების. ავანგარდული მუსიკის ალქიმიკოსი სულ უფრო კონცეპტუალურ და პოლიტიკურ ალბომებს ქმნის. დღეისთვის, თანამედროვე მუსიკაში ის უნიკალური შემოქმედია —

მოუსვენარი ნოვატორი, პროფესიონალი პიანისტი და სუპერვარსკვლავი. 4 წლის ამ პიანინოზე და ვიოლინოზე დაკვრა დაიწყო. 7 წლისა სკოლის გუნდში მღეროდა. ჩ-ის ხმის ტექნიკოსის შეიღმა მალე საკუთარი სახლის საყოფაცხოვრებო ნივთები მუსიკალურ ინსტრუმენტებად აქცია: სარეცხი მანქანის, ტოსტერის და კბილის ჯაგრისის ხმები მან მუსიკისთვის გამოიყენა“...



ირაკლი — რა გითხრათ?

სალომე — მოკლედ, შენ დღეს აქ უნდა დარჩე, ირაკლი! (პირისპირ მდგარი მასწავლებელი და მოსწავლე ერთმანეთს თვალეში ჩასჩერებიან).

მეორე მოქმედება

მასწავლებლის საძინებელში მკრთალი შუქი ბუუტავს. ოთახში დგას ერთკაციანი საწოლი, ტახტი და ტანსაცმლის კარადა. დასადგამი სარკის კიდეზე მძივები კიდა. ძირს სხვადასხვა ზომის ზარდახშებია მიწყობილი.

სიჩუმეა. სიჩუმეს არღვევს გარედან შემოსული ვერტმფრენების ხმა. საწოლზე წევს მასწავლებელი. ტახტზე — მოსწავლე.

ირაკლი — ვერ ვიძინებ.

სალომე — დაითვალე.

ირაკლი — (პაუზის შემდეგ) პარიზში ნამყოფი ხართ, მაღამ?

სალომე — კი.

ირაკლი — მე — არა, მაგრამ კარგი ლექსი ვიცი.

სალომე — აბა!

მხატვარი ნინო ხურცილავა

ირაკლი — ...პარიზის არყით მთვრალი საღამო, მიმქრალი შუქის ნისლით ნაგები...

მწვანე ტრამვაის გიჟურ სიმღერას

მკერდზე ინერენ ლიანდაგები...

გიომ აპოლინერი. Voila!

სალომე — (პაუზის შემდეგ) კარგი თარგმანია.

ირაკლი — მაღამ, რა არის მთავარი თარგმნის დროს?

სალომე — თარგმანი უნდა იყოს უანგარო და არა ბოლმიანი.

ირაკლი — ხო, მეც ასე მგონია... (პაუზა) და მაღამ, თქვენი თაობის, ასე ვთქვათ, ბიოგრაფია „სამი მუშკეტერიდან“ იწყება?

სალომე — შეიძლება ითქვას... დაიძინე! დაიძინე, ირაკლი! (დაჟინებით).

ირაკლი — კი მაგრამ, არ მეძინება და როგორ დავიძინო?

სალომე — უნდა დაიძინო!

ირაკლი — როგორ?

სალომე — რამე კარგზე იფიქრე.

ირაკლი — ანუ თქვენზე, მაღამ?

სალომე — ირაკლი! (მკაცრად)

ირაკლი — გინდათ გაგაცინოთ? სოფელში რომ ვიყავი, მეგობრის ბაბუამ, იცით, რა გვასწავლა? თუ გინდა შეიტყო, ქალი ქალწულია თუ არა, აილე ამბრაგის თესლი, რაღაც სომხურია მგონი, კარგად დანაყრ და წყალში გაზავებული დაალევიწიეო. თუ მაშინვე მოშარდა, ნახმარია, თუ ნახევარი საათის შემდეგ, ქალწულიაო. (იცინის) ასე თქვა, ზუსტად ასე. ნახმარიო (სულელივით იცინის).

მთელი მონოლოგის მანძილზე, სალომე ირაკლის ნეტარი და აღფრთოვანებული სახით შესცქერის.

მოულოდნელად ისმის მობილურის ზარი. ირაკლი კითხვას წყვეტს და ჯიბიდან მობილურ ტელეფონს იღებს.

ირაკლი — (ჩურჩულით) დედა, გაკვეთილზე ვარ, ხო იცი, ნუ (პაუზა). რატომ?... რა საქმე გაქვს?... კაი, ხო (დაბნეული და შეწუხებული მასწავლებელს უწვდის ტელეფონს) — თქვენ გთხოვთ.

სალომე — (დაბნეული) ალო, დიახ, არაუშავს. დიახ... (დაძაბული)... რას ამბობთ! დანამდვილებით იცით? (მასწავლებელი თითქოს სუსტდება, პატარავდება და შიში იპყრობს). ანუ უკვე ამაზე საუბარი?! სად მოისმინეთ? (პაუზა) თავისთავად ცხადია, რომ საშიშია. (პაუზა) რა ვთქვა, არ ვიცი... დილიდან ცუდი შეგრძნება დამყვება, კი ვიფიქრე, დღეს ირაკლის დავურეკავ და იქნებ გაკვეთილი გადავდოთ-თქო, მაგრამ მე... (პაუზა). არა, ხმა ჯერ არ გაგვიგია... (პაუზა). ირაკლი?... არა. დრო და ვითარება გვიჩვენებს... ნუ იდარდებთ. (პაუზა) დამშვიდდით. (პაუზა) არა, ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია! მშვიდობით.

ირაკლი — რა უნდოდა, მაღამ?

მასწავლებელი ფეხზე დგება.

სალომე — იცი, ირაკლი, დედამ მითხრა...

ირაკლი — მამა მოკვდა? (ირაკლიც ფეხზე დგება).

სალომე — არა. (თავს ნერვიულად გააქნევს). არა, ირაკლი, დანყნარდი.

სალომე – (მკაცრად) ხომ არ თვლი, რომ ზედმეტი მოგდის?!

ირაკლი – არა... ეს ისე, რომ გაგამხიარულოთ. (ტახტიდან დგება) მაშინ ჩაერთავ იმ სიმღერას, რისი ტექსტიც დამაზებურივით, მადამ. (დგება და რთავს სიმღერას. ისმის ჟაკ ბრელის სიმღერა **Ne Me Quitte Pas**) არ ვიცეკვოთ?

სალომე – ირაკლი, ცუდად თუ მოიქცევი (თითქოს ენა ებმება), ჩე... ჩემიიი ხელით მიგიყვან სახლში.

ირაკლი – ვერ მიმიყვანთ, მადამ სალომე... (ნელა და ერთგვარი იმედგაცრუებით) აქედან რომ ვერსად გავალთ, გგონიათ, არ ვიცი? (პაუზა). თქვენ მე დებილი გგონივართ? ან იქნებ იმპოტენტი? გგონიათ, არ ვიცი, რომ მე სვალაც აქ ვიქნები და ზეგაც და საერთოდ, შესაძლოა, ერთად მოგვკვდეთ ამ პატარა სახლში? გგონიათ აპოლინერი მესხლისება? თქვენ დედაჩემივით ხართ...

(იჭრება და ნერვიულად აქნევს ხელებს). არა, სალომე! თქვენ გულს ვერ ამიჩუყებთ.

თქვენ გიჟდებით სასწავლებლად დასავლეთში წასულ ბურჟუებზე. მე – არა! ყოველ გაკვეთილზე იმას მიყვებით, ტიფით გარდაცვლილი 20 წლის მომხიბვლელი ფრანგი მწერლის — რაიმონდ რადიგეს დაკრძალვის ხარჯები კოკო შანელმა გაიღო.

და რა მერე, მადამ? ერთიც მკვდარია და მეორეც. ბედნიერების გარანტიას ვერაფერი ვერ იძლევა. და ამან გამოუშრო ხახა თქვენსაირებს.

თქვენ ახლა გეტირებათ იმაზე, რაც გართ ხდება. მე — არა, მადამ. იცით რატომ? იმიტომ, რომ ეს თქვენ ხართ გამუდმებით ბედნიერების გარანტიის მოლოდინში და, შესაბამისად, ბევრი გაქვთ დასაკარგი. მე — არა! მე ახლა უნდა დავინყო ყველაფერი. მარტომ. (თითქოს როლში შედის) მე გადავწყვიტე, მადამ — ჩრდილოეთის ორაგულივით ვიქნები!

სალომე — გამუდმებით დინების წინააღმდეგ? (დასუსტებული)

ირაკლი — ხშირად საკვების გარეშე, მაგრამ მხოლოდ უსაფრთხო ადგილას დავყრი ქვირითს. ხო! თქვენგან განსხვავებით! (პაუზის შემდეგ, დამშვიდებული სინანულით ამბობს): არ შეიძლება, დუმილმა რომ შეცვალოს? არ დავანგრიო და არ ვიყვირო. არ შევცვალო ცხოვრება. არ შეიძლება, თავისით რომ დაემხოს?

ირაკლი ნელა, დამარცხებული, ლოკინში ბრუნდება.
სიჩუმეა ერთი-ორი წუთი.

ირაკლი — მადამ! (პაუზა) Je t'aime

აკაკის „დაკარგული“ სტროფების კვალდაკვალ...

1889 წლის გაზეთ „ივერიის“ სამ ნომერში (230, 247, 252, გვ. 1) გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის საკმაოდ ვრცელი – სამი თავისგან შემდგარი სარკასტული ლექსი, სათაურით „პროზიდან ბოდვა“, რომელიც უცვლელად არის შეტანილი 1893 წელს გამოცემულ დიდი მგოსნის „თხზულებანის“ II ტომში (იხ. გვ. 252-271). 1902 წლის 22 სექტემბერს „ივერიის“ ფურცლებზე (202, გვ. 2) დაიბეჭდა სულმნათი პოეტის ლექსი „პოემიდან „ბოდვა“, რომელიც IV თავად შეერთებული „პროზიდან „ბოდვას“-თან, რამაც მთლიანობაში შეადგინა 135 სტროფი, საერთო სათაურით „ბოდვა“, სრულად იქნა შეტანილი 1940 წელს გამოცემულ აკაკის თხზულებანის სრული კრებულის (შვიდ ტომად) I ტომში (იხ. გვ. 394-409). 1954 წელს მკითხველმა მიიღო აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის (თხუთმეტ ტომად) III ტომი, რომელშიც, მართალია, მოხსენიებული ლექსის ოთხივე თავი არის შეტანილი, მაგრამ არასრულად – ნაცვლად 135 სტროფისა, როგორც ეს უნდა იყოს, არის მხოლოდ 133 სტროფი (იხ. გვ. 40-59). ურთიერთშეჯერების შედეგად, დავადგინეთ, რომ „ბოდვის“ სრული ტექსტიდან აკაკის თსკ III ტომში აკლია 130-ე და 131-ე, ანუ ლექსის IV თავის 33-ე და 34-ე სტროფები. ცხადია, იბადება კითხვა: რა „დააშავა“ ამ ორმა სტროფმა ისეთი, რომ მათთვის ველარ „გამოინახა“ ადგილი დიდი მგოსნის თხზულებათა უკანასკნელ სრულ კრებულში? ჩვენი აზრით, ყოველივე ამის მიზეზი გახლდათ შემდეგი:

„ბოდვის“ IV თავში აკაკი, მისთვის ჩვეული ენაკვიმატობით, წარმოაჩენს XX საუკუნის დამდეგი ხანის საქართველოს ყოფას, ქვეყნის იმდროინდელ სოციალურ, აგრეთვე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას და სავსებით ბუნებრივია, რომ თვალმახვილ პოეტს საქართველოში იმხანად მოქმედი ლეგალური თუ არალეგალური პარტიებისა და სხვადასხვა პოლიტიკურ მიმდინარეობათა არც „გზააზნეული“ ლიდერები გამორჩენია მხედველობიდან, რომელთაც „უძღვნა“ ამგვარი სტროფები:

**ეს მარქსობს, ის გარიბალდობს,
ის კეისრობს და ეს ბრუტობს;
ნამდვილ საგანს კი ვერც ერთი
ვერა ხედავს, ყველა ბრუტობს.**

**და ბრუტიან მეთაურებს
ვინლა მოსთხოვს გზის სისწორეს?
იქით-აქეთ უგზო-უკვლოდ
ედებიან ლობე-ყორეს.**

აი, სწორედ ეს ორი „პოლიტიკური“ სტროფი, რომლებშიც აკაკი აშკარად გულისხმობდა, უპირველეს ყოვლისა, კომუნისტთა უშუალო იდეურ წინაპრებს – სოციალ-დემოკრატებს, საბჭოთა ცენზურის „დაუდევრობით“, ერთ დროს „გაპარული“ დიდი მგოსნის თსკ (შვიდ ტომად) I ტომში, ბოლშევიკმა „ტვინმეისტერებმა“ (ასე უწოდებდა პოეტი „სიტყვის ჯალათებს“ – ცენზორებს) „აღმოჩენისთანავე“ გაიმეტეს „გასაქრობად“ და ამით შეეცადნენ „დაბნეული“ წინამორბედი კოლეგების „ლაფსუსის“ გამოსწორებას, რასაც, ნაწილობრივ, კიდევაც მიაღწიეს.

ეჭვს გარეშეა, რომ აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალ გამოცემებში გენიალური კალმოსნის ზემოაღნიშნულმა „დაკარგულმა“ სტროფებმა უთუოდ უნდა დაიკავეთ თავიანთი კუთვნილი ადგილი და, ვფიქრობთ, რომ ამ საშურ საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილის შეტანა შეუძლია წინამდებარე ჩვენს პატარა შენაშენს, რომელიც სწორედ ამ მიზნით დაიწერა და, ვიმედოვნებთ, რომ იგი არ დარჩება „ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

გიორგი გაბუნია



ნათია გიორგაძე

* * *

ეს მხარე სამხრეთის არაა,
და ეს ცა დამრეცი ჩრდილების
გოია და მცირე ეფრემი...
დავმარცვლე გოლგოთა
და ისე დამძიმა სამივე მარცვალი
რომ ფრთები დაკეცა მოხუცმა ლამურამ.
უფალო შენა ხარ? გეძებდი,
მიხსენი...

ვერ შევძელ მელოცა,
ვერც გული გაგიღე სხვაგვარად,
მეგონა ლექსებს რომ ვამბობდი,
გესმოდა და ახლაც
სიზმრები გადავლენ თუ არა
მგონია, სიცოცხლე
არ კმარა განცდისთვის
და რას არ ვიგონებ,
რომ მკვდარმაც ვიცოცხლო,
ჩემში და ჩემ გარეთ
სიტყვაა,
დუმლის შიშისგან
უფალო მიხსენი...

* * *

რადგან დავწერე და მოვაბრუნე ძახილი ჩემში,
რადგან ავხადე სახურავი საკუთარ კუბოს,
რადგან ღიმილი დავინახე ჩემი მენყვილის,
მინდა მას ვუთხრა...
გატაროს მთელი ცხოვრება,
თითქოს მგ ზავრია საჰაერო ხომალდის კართან,
რომ თითქოს წამით შემოასწრო კარის დაკეტვას
და ბედნიერი იყურება ახლა სარკმელში,
სადაც ნაცნობი არავინაა,
მანც მიფრინავს, თუმცა არ იცის,
რომ დაშვებისას დგება სიკვდილი,
როგორც საყვარლის მკლავებში მწოლი,
ის იღვიძებდა და მოდიოდა
შიშით, რომლითაც მე არ მეძინა.
მინდა მას ვუთხრა, ძლიერია ჩემი ძახილი
და გულისძგერა მის მოლოდინში.

* * *

მე შენ ყოველდღე გითმობ თითო წამს,
შენ ჩემგან ითხოვ ძალიან ცოტას.
შენ იცი მტვერი ჩემს ფრთებზე,
როგორც დროის საზომი
კედელზე სუნთქავს და
მძიმედ ჩადის კლდეზე ფეხმძიმე
ნისლი ყოველთვის, მე ვარ პეპელა
იმ ერთი წამის საიდუმლოში
მე ვცხოვრობ ცოტას, ძალიან ცოტას
და ჩემს თვალებში ზღვა არ ლაპლაპებს
და არასოდეს გაუგიათ ჩემზე იმ გემებს
შენ რომ დაჰყვები...
მე არ გიმზადებ დილაობით
ყავას და ლამე მე არ გითენებ,
არც ხელებს ვკეცავ, რომ იდაყვებით
მეჭიროს შენი მოლოდინი, ფანჯრის რაფასთან,
მე გაუვალი ჭაობივით მექცა ფინჯანი
და კარის ჭრიალს ფასი აღარ აქვს.

* * *

მიჰყვება ტივი აღმა წყალს,
მეტივეც აღმა მიდის.
წყალმა იცვალა ბუნება
და ჩვენ ვიცვალეთ გზა.
როგორ დაღლილა ლაზარე,
სადაც შორს ისევ დაზამთრდა,
მე სული მსურდა შენი,
თოვლი არ მოდის და
ყვავები ბარდნიან საკულტო ფრთებს.
ტყის ბარელიეფი ზოგადი ჰიმნია
ჩვენ ხეებს ვიცნობთ,
ისინი არასდროს შრიალებენ ერთნაირ ხმაზე.
მე სული მსურდა შენი,
ტივი ლაზარეს გათლილია,
მეტივეც ლაზარემ გაზარდა.
ჩემი თვალების ლაზარეთში
წვანან ისინი.
და ასე იქნება მუდამ
მე სული მსურდა შენი
წამოდი საყვარელო,
წამოდი შინ.

* * *

გადამიშალე ხელისგული
ვერ შემაშინებ,
ჩემი გზა უფრო მოკლეა,
ვიცი, დაგიცდი ყველგან
და ყოველთვის შემახსოვრება,
რომ ვარსკვლავები იქმნებიან
სამკუთხედებით.
გადამიშალე ხელისგული,
რომ ამოვკენკო ცოტა სინათლე
თორემ დავბრმავდი და ნისკარტით

ვნერ და ვკითხულობ და ნეტავ მართლა
 ბელურა ვიყო.
 მაშინ არასდროს მიმატოვებდი,
 რადგან უმწეო ჩიტს ვერ დატოვებ
 და ვერ ეტყვი, რომ თავს მიხედოს,
 ჩიტმა რა იცის, ცის გარეშე როგორ მოიქცეს?
 ან მე რად მითხარ, საყვარელო,
 რომ...
 ფრთები არ მაქვს.

* * *

იქნებ შენა ხარ, ვისაც არასდროს შეხებია ჩემი სიზმარი,
 იქნებ შენა ხარ. ვისაც ახლა გამოვაცოლებ თვალს
 და ვკითხავ, თუ რომელ წყალზე ადრე ჩაივლის
 დღეები ერთად რომ გავატარეთ?
 იქნებ შენა ხარ, ვინც მე არ მყავდა, ვინც ითვლებოდა
 ქვიშასავით ისე მარტივად, რომ ვერასოდეს გაიგებდი
 რამდენი წელი აღარ ცხოვრობდი, დიდებასა და პატივში
 მყოფი ჩემთვის, უბრალო პოეტისთვის, იქნებ პირველი
 ვიყავი მაშინ?
 ვინც ერთის ნაცვლად ორი სიტყვა გამოიმეტა,
 ვინც ერთის ნაცვლად ორ გზას დაადგა,
 ოლონდაც შენთვის ეჩვენებინა, რომ ბრმა არ იყო
 და იქნებ მზეზე უფრო თაკარა მისი თვალები
 დღესაც კი შენს კვალს ეძებენ, ღმერთო.

* * *

ისე მომწონს შენი სახლი, არაფრისგან ნაგები,
 ისე მომწონს შენი მზერა და თვალების ფანჯრები,
 ისე მომწონს რომ ვაპირებ შენთან გადმოსახლებას,
 ნამოვიღე სული ჯამით და კარებთან დავტოვე,
 კატის ორი ლურჯი ფსკერი, ჰორიზონტის კატარა
 და თევზების ასარკული ტანი: აქ მე არ ვჩანვარ
 უფრო მშვიდი, უფრო სავსე, ვიდრე სათნო ფოტინე,
 გთხოვ, გამიღე და ხავსივით ტკივილს მომაპოტინე.
 გულისძგერა მომიტანე, დღე მიქციე ქარიშხლად
 ისე მომწონს შენი სახლი რომ სისხლიც კი გამიშრა,
 შემომიშვი. უკვე ოცი საუკუნე გავიდა,
 შემოვალ და შვილებს დავზრდი
 ზღვისას, ცისას, ქარისას...

ოცდამეერთე ციციანთელს

შენზე წერდნენ უდიდესი პოეტები,
 მე კი მინდა დაგითანხმო მცირე ინტერვიუზე,
 გკითხო, როგორ მოახერხე დღისთვის გეტქვა უარი
 ანდა ღამე ასე როგორ დაამგვანე სამოთხეს?
 მე მოვედი სათხოვნელად
 და მე ბავშვი აღარ ვარ,
 როცა უბით გაგროვებდი,
 არ ვიცოდი ცხოვრების
 არც კიბე და არც კარები,
 არც ალუბლის სიმწარე,
 მერე ყველა გავიცანი,

ყველას კვალი ნავშალე,
 შენ კი დღემდე გაიბრწყინებ
 ნამით როგორც ნიშანი:
 როცა დარდი მირევს თავგზას,
 ვერ ვიხსენებ სული სად მაქვს?
 მახსოვს მხოლოდ შენი სიბრძნე,
 შენზე წერდნენ უდიდესი პოეტები,
 მე კი მინდა დამიძახო,
 მეგრულ მარნკინაიათი, ლაზურ წინინათურათი
 ნლების ყინვას სანამ ვათბობ.

* * *

თუ ვიგულისხმებთ რამე შემთხვევას,
 როგორც ეს ხდება და სადაც ხდება,
 ყველა კუნძულის მოსალოდნელ
 ჩაძირვას ველით,
 ბერძნულ მითებში მითითებებს
 გვაძლევენ მუდამ,
 ვითომ არ ვიცით რომ გარშემო
 ოკეანეთა ზვიგენებს შიათ,
 ჩვენ შეგვიძლია ვიქცეთ საკვებად,
 მაგრამ ჩვენს ასულს, ჩემი მუცლის ოკეანეში
 რა უნდა ვუყო?
 მან ხომ ახლახან ისწავლა ცეკვა?
 და თუ გახდება ისიც თვრამეტის
 ღმერთო, განკურნე მისი წარსული,
 რომ აბრაამის ასულივით
 შენ გადიდებდეს.
 ღმერთო იხსენი,
 რადგან სინანულს ვერ დავიბრალებ
 მისი შობისთვის
 და არც ბეჭედი მაქვს საქორწილო,
 მაგრამ გაუბედე, შენს წინ დამხოზა
 და კანქვეშ მენვის გველის სიჭრელე.

* * *

ახლა დადგება დრო ჯინივით
 და ალაღინის გამოჩენას დაელოდება.
 მე დავიჯერებ გაცვეთილი ჯინსების
 ზღაპარს და უკანასკნელ სურვილს
 ავიხდენ,
 დათვალე ჩემი ნაბიჯები,
 თითქოს არაბულ სტრიქონებს ითვლი
 ჩემო ძვირფასო,
 ბავშვობიდან ვარ მემარცხენე,
 კოჭლი ცხენების რემასავით
 რომ ჩადგეს ღამე
 ჩემს თვალებსა და შენს თვალებს შორის
 ვერ დამაეჭვებს რომ სხვას უმზირე.

ისე მჭირდება ახლა სიცოცხლე
 რომ თავთან მიზის ჭირისუფალი,
 შენ იცი, როგორ გამოვცადე და არაერთხელ
 უფალმა როგორ აირიდა ჩემი სიბრძნე,
 როგორ მიცადა სანამ სახლში დასაბრუნებელ

პირს მოვძებნიდი და მაშინ მივხვდი
რისთვის მქონდა მრთელი მუხლები?
იქ აღარ ვცხოვრობ, დაბრუნებას თუ დააპირებ
ფესვი გავიდგი,
სადაც მშვიდად ელიან სიკვდილს.

* * *

ის ვინც ვერ მოვიდა შენამდე დაბრკოლდა
ქართ და წვიმით და თოვლით და ამბორით,
და კიდევ რამდენი სიტყვაა რომელსაც
ამბობენ,
მე ვიცი რომ სიტყვებს არ უნდა ვუსმინო,
რომ ზღაპრებს სჩვევიათ გამიჩინოს არმოკვლა,
რომ მთების უსიერ ღამეებს დაღლილი
მივაგდებ,
რომ იმ ორ პარასკევს არასდროს დავზოგავ,
მე ვიცი და მინდა ჩემსავით იცოდე
რას ნიშნავს, თავს ექცე ნადირთა პატრონად,
ცხრა ტყავი გაგაძრონ, მეთათ დატოვო,
ვით კვალი, რომელსაც ვიღაცა მიაგნებს...

* * *

ეს ხალხი შორ გზაზე დამდგარი ხალხია,
არ ვიცი მე მათი ენა და წარსული,
თუმც ვხედავ დედები აქლემის კუზივით
უკუღმა ამოსულ ძუძუებს ივსებენ,
რომ ქონდეთ მარაგი ურძეო პოეტებს,
რომ ქონდეთ კუმისი სალექსო ფორმებად.
ეს ხალხი მათ ცეხს, თავს როგორც მოხუცი
ვიმალავ, არ მიყვარს, სიბერის შეტყობა.
ათასჯერ შემცდარი ათ მცნებას ვჯერდები
ნაბიჯი ვით გულის ბრმა ტახიკარდია
და მერე ბორძიკით სავალი ბილიკი
ან კი რა ეტყობა სიყვარულს ასეთი?
დრო ძველი ახალი, ტალღებად მარტყია
როგორ დამჩემდა ამ ბოლო დროს სასონარკვეთა
და ფსკერის ძებნა თავის ქალაქი,
მან რომ იცოდეს საიდუმლო აბრეშუმების
მან იცოდეს ჩემი სიბრმავე,
გაიხუმრებდა: — ქალბატონო, ალბათ დაბერდით
და არასოდეს დაბრუნდებოდან.

* * *

დამოძღვრილია ყველა უჯრედი
გულის გარშემო ჩამორიგდნენ
ხელისგულები, ერთი მათგანი
ჯალათისაა, ერთი მათგანი ჯვარდანერილის
ვერ შევისმინე, სანყისებიდან
და მანვეს მძიმედ ქვა საჯილდაო,
თქვენ ეჯიბრებით მხოლოდ ერთმანეთს
და როცა ამბობთ, სხვა ჯიშის ხარ-ო,
მე მიხარია, რადგან ვისხენებ
რომ ახმატოვას მადარებდა ჩემი მოხუცი,

მე მიხარია, როცა სიტყვებს ჩემსას იბრალბთ,
როცა სიცოცხლე გინდათ მარტო ამ სიტყვებისთვის,
მაგრამ უცნაურ გზას გაჰყურებს როცა ქვისმჭრელი
მე ვერ ვპოულობ ენას ვაჭრებთან,
და მე ვიბნევი, როგორც უვიცი,
რომელსაც მეფე არ შეინყალებს
და მე ვწრიალებ შენს სიბნელეში
თუ
არის
ვინმე?
რომ საფლავი მიმაგნებინოს.

ათვლა

ცა — ციფერბლატი,
სადაც დიდ ისარს უცდის პატარა,
სადაც წამია საუკუნე და ნაკიანი
წლები იყოფა ოთხზე უნაშთოდ,
როგორც იესომ იოანეს, ლუკას,
მათეს და მარკოზს გაუყო სიტყვები
რითაც ჩვენ გავიხარეთ,
ხოლო რაც უთქვამთ მინისძვრებიდან
წყალდიდობამდე იწყება ჩვენით
უფალო გამდლობ სიყვარულისთვის
და სიმკაცრისთვის, რომელსაც ველით.

* * *

თამაშობს ზღვა და აყირავებს ნავეს ბავშვივით,
დედა შორსაა, მზე უკითხავს დედის წერილებს.
რომ გაიზრდება მტრედებისთვის უნდა დაწეროს,
აუცილებლად გაიზრდება დაწერს რაიმეს
ხოლო მანამდე ქვიშიანი მუხლისთავებით,
მონყენილობით, ჩუმი ნისლით თვალებს გადაღმა,
ღამეებიდან გადათვლილი (მორჩა თითები)
რომ არ დააკლდეს მერე, ახლა აქვე დამალავს,
თანდაყოლილი მზადყოფნისთვის ნანინაობა,
სადღელამისო ტალღებიდან თავის დახსნაა,
მან ეს ოინი მოიგონა და შიშით გული რომ არ გაგისკდეთ,
ყველა მენავეს ანგელოზი მისცა მფარველად,
ხოლო მანამდე ის ბავშვია...
და წყალიც მხოლოდ მდინარეა იორდანის.

* * *

დაიშალა შენი ძვლების ეიფელი
და ვერასდროს დაირწევა ქარის ძალით,
მინამ ზამთრის ყვავილივით შეიფერა
წყლის დასხმაც ვერ მოვასწარი.
და მშვიდია ყველაფერი ძველებურად
და სიზმრები გვირაბიდან გამოსული
ისე კარგად ითარგმნება ჩემს ენაზე,
ვით ფრანგული პოეზია და
მე ვიცი, ახლა როგორ არ ბერდები,
ახლა როგორ გემატება ხმაში მღერა

და რომ გახდი გულმავინცი, ციდან
მომდის ისევ ჩემი წერილები
ერთხელ მაინც მოგენერა?

* * *

ვერ გაექცევა შენი თვალი ბადურის კედლებს,
და რაც არ უნდა ჩამოშალოს მიწამ კალთები,
შენ ზღვა იქნები ამღვრეული თუ მეოცნებე
ჩემს ფეხისთითებს შეეხები და დანყნარდები
და ავიშენებ შენში კატარლას, ვიცი არა აქვს
მნიშვნელობა მანძილს სიტყვებს და სტრიქონებს შორის,
ვიცი სიმართლე სიმშვიდესთან თავის მიტანა და

გვირგვინია, შემკობილი თვალ-მარგალიტით.
ჩიტები სტვენენ და გალობენ, ხოლო ვარსკვლავებს
უყვართ ციმციმი, სტანდარტულია ჩემო კარგო,

ეს ყველაფერი

და ავიცილე და შევიყვარე ენა ფსალმუნთა
და ვთქვი დიდებით და ვთქვი სამჯერ ალილუია,
რომ ნათელთვევებს დარჩენოდათ გზაჯვარედინი,
სადაც ყოველთვის დაიბნევა ვინმე საჩემო,
ვით დიაკონი ახალბედა, მისდევს საკუთარ ხმას
და განიცდის რომ „ასპიტსა და ვასილისკოსსა
ზედა ხვიდოდი“ რომ მე ვარ ფსკერი უღმრთოების
და გვედრები, მსურს გადარჩენა.

პირველი შთაბეჭდილება

ცაში გაგზავნილი
წერილები

ნამდვილი ხელოვნება ყოველთვის იყო და რჩება ღვთის-
მაძიებლობად.

ადამიანი ცოდვით იბადება და ამის გამო უკვე „განწირულია“
ამ ძიებისათვის, მით უფრო ხელოვანი. ტალანტის გარშემო ხომ
დემონები განუწყვეტლივ როკავენ და ფერს იცვლიან — მთელი
ცხოვრება ამ ფერადოვან ცდუნებებთან გამკლავებაა, სიტკბოს
ილუზიით შემოპარულ ამ მწარე პარკუჭებთან, სულიერ წყლუ-
ლებად რომ სდებიან და მათ მოშუშებას ხშირად ერთი სიცოცხ-
ლეც კი არ ჰყოფნის, მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარი მაინც და-
ცემის შემდეგ ნამოდგომის სურვილია, სინანულის ცრემლი და
სიყვარულის შუქი. მთავარი ჯანსაღი სიჯიუტეა, სიზიფეს პათო-
სი და ლამაზჩელის სიკეთით აღსავსე შეუპოვრობა. კრეტელები ამ
სიბრძნეს ასეთი ღრმა სისადავით გამოხატავენ: „სადაც მიზანს
ასცდები, ისევ მობრუნდი, სადაც ვაგიმართლებს — გაერიდი!“

ისეთი შთაბეჭდილება ჩნდება, რომ თანამედროვე ხლოვ-
ნებამ მოიხსნა სრული მორალური პასუხისმგებლობა ადამი-
ანის ბედისა და სამყაროს წინაშე. აღვირახსნილობის ენერგი-
ით რეტლასხმული შეუდგა წგრევას, რღვევას, გაპარტახებას.

არადა, როგორც იტყვიან, ჩიტი რომ ჩიტია, ისიც კი ბუდეც
აშენებს. ერთი სულის შებერვა, ეს ფიორა არსება ფრთებით
დასაჩქურა უფალმა, ამან მადლიერების ნიშნად გადაწყვიტა
დაჩეილი ბარტყებისათვის ცისკენ ფრენა ესწავლებინა.

კაცს რალა ღმერთი უწყრება, რამ დაამახინჯა, რამ გააბო-
როტა ასე, რამ ჩაფლო ასე მიწაში, მიწას ვინ ჩივის, ჭაობის ფა-
ფაში ხელოვნება ფორმაზე გადაერთო, უფრო ზუსტად, ტექნი-
კაზე. ტექნიკის ვირტუოზულობაზე დღევანდელ საშემსრუ-
ლებლო სფეროშიც ერთხმად აღნიშნავენ მუსიკის ექსპერტები,
მაგრამ ამასობაში როგორც წყალი უდაბნოში, ისე იკარგება
მუსიკის სული, დესტრუქციული, სიმეტრიული, კაკაფონიური
სამყაროდან ელექტრონულ სადენებში მიიპარება, ცახცახებს
და თრთოლვით კოსმიური აკუსტიკის ილუზიას ქმნის. კოსმო-
სი ყველას აინტერესებს, ადამიანი აღარავის. აი სნობიზმის პი-
კი, ესეც XXI საუკუნის კიდევ ერთი ეგზოტიკური აბსურდი.

დღევანდელი ადამიანის ეგოცენტრიზმზე, ეგოიზმზე,
როგორც შემლილობის უკიდურეს ფორმაზე, ცოდვის სიცა-
რიელესა და უცოდველობის სისავსეზე, ციციანთელების
სიბრძნეზე: დღეზე უარის თქმა და ღამით წამიერ ნათებად —

ამ ღვთაებრივ სიმბოლოზე და არა მეცნიერულ მექანიკაზე
(ეს ჩვენ გვგონია ადამიანებს სიმბოლოური ჩვენი გამოგონება,
არადა ღმერთი ხშირად ამ სიმბოლოებით გვესაუბრება, რო-
ცა სამყაროს მიგვაახლებს), ყველაფერ ზემოთქმულსა და
კიდევ უამრავ რამეზე ფიქრები და განცდები გამიჩინა ახალ-
გაზრდა ქალის ნათია გიორგაძის პოეტურმა სამყარომ.

ამ ღრმად ნიჭიერ და უაღრესად მორიდებულ ადამიანს
ისეთი საოცარი სიყვარული შეუძლია და, რაც ასე უცნაურია,
ზომიერების დაურღვევლად ისე გადაგვიშლის საკუთარი აღ-
ქმისა და წარმოსახვის უსაზღვრო სივრცეებს, რომ გრძნობ,
მისი ტექნიკა, მისი სტილი ყოველთვის დიდი სათქმელიდან,
მნიშვნელოვანი შინაარსიდან მოდის. არსად გრჩება იმ უხერ-
ხული ხელოვნურობის, უონგლიორობად ქცეული ესთეტიკით
თამაშისა და თვითტკბობის განცდა, რაც ასეთი დიდი დოზით
იკითხება თანამედროვე ტექსტებში. სავსებით ვიზიარებ ბუ-
ფონის ცნობილ მოსაზრებას, რომ „სტილი ადამიანია“.

დავმარცვლე გოლგოთა
და ისე დამძიმდა სამივე მარცვლი
რომ ფრთები დაკეცა მოხუცმა ღამურამ.

იშვიათად შემხვედრია პოეზიაში ჯვარცმით მოგვრილი
გლოვის ამგვარი ხილვა-ჩამოხნელება.

„ფრთებდაკეცილი მოხუცი ღამურა“ — რა თქმა უნდა ეს
მანერა, ძველთაძველი და მარად ახალი ტკივილის, განსაც-
დელის ამ ფორმით გადმოცემა, თვით პიროვნების (ამ შემთხ-
ვევაში ავტორის) სულიერებისა და ინტელექტის მაღალ ხა-
რისხზე მეტყველებს და არა მაინცდამაინც სტილის შექმნაზე
ან თუნდაც სტილზე ზრუნვას. განცდის ხარისხი და მისი ეს-
თეტიკა თავისთავად ქმნის სტილს.

იქნებ შენა ხარ, ვისაც არასდროს შეხებია ჩემი სიზმარი
.....
ვინც ერთის ნაცვლად ორ გზას დაადგა,
ოლონდ შენთვის ეჩვენებინა, რომ ბრმა არ იყო
და იქნებ მზეზე უფრო თაკარა მისი თვალები
დღესაც კი შენს კვალს ეძებენ ღმერთო.

ნამდვილი ხელოვანი ყოველთვის იყო და დღესაც რჩება
ღვთისმაძიებლად.

მაკა ჯონსაძე



სიყვარულისა არ იყოს, არც ლექსმა იცის ასაკი. კაცმა რომ თქვას, რამ გაყო ლექსი და სიყვარული. სადაც ლექსია, იქ სიყვარულიც არის, და სადაც სიყვარულია, იქ ლექსიც ამოითქმება. ცნობილი პედაგოგი და ლიტერატორი ლექსებს აქვეყნებს — ეს რა თქმა უნდა სენსაციიაა, მაგრამ თუ ფაქტს სხვა მხრიდანაც შევხედავთ, ალბათ ესეც მოსალოდნელი იყო ისეთი არაორდინარული ფილოლოგისგან, როგორც გახლავთ გია მურღულია.

მან თავის სამსტროფედებს „სალამოს ლექსები“ უწოდა. მინიშნება გასაგებია — ეს არის სა-შემოდგომო განწყობილებები, რომელიც „გაზაფხულის ნაზ ყვავილებს სულაც არა ჰგავს“, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აქ არის ყველაფერი, რაც ლექსს უხდება: მდიდარი ფანტაზია, ზუს-ტი მეტაფორა, შთაბეჭედავი პოეტური ხატი, ღრმა სიმბოლო — პოეტური გემოვნების ნიშანი; იდუმალების განცდა, ყოფიერების აღქმის უშუალოება, გრძნობათა სიფაქიზე, განსაკუთრებული დამოკიდებულება საგნების, დროის, სივრცის მიმართ — ეპისტემოლოგიური სიმნიშვნის ნიშანი; ზომიერი რიტმი, ჭკვიანი რითმა, მონესრიგებული კომპოზიცია და კიდევ ბევრი რამ ქართული კლასიკური ლექსის არსენალიდან — ლიტერატურული ინტელექტის ნიშანი.

გია მურღულია

ატამმა სკდომა დაინყო,
გამოანგრია კედლები,
ბუნება სევდას მოიხდენს,
სანამ შენ არ გამდებდრდები.

სალამოს ლექსები

* * *

ჰაერმა იგრძნო შენი აქ ყოფნა
ბედმა დაგვტოვა ისევ მარტონი,
მეძვირფასება შენი მონება –
მობრძანებულა თავად ბატონი!

მშვენიერ ფერხით სულ ფარჩას გიგებ,
ზედ აწერია სიზმრის კითხვარი
და ოთახიც გრძნობს მწველ ხიბლს სიტყვების,
სხვათამორის რომ გუშინ მითხარი.

დამინიოკა ხარბი ფიქრები
განცდის ცვლილებამ მალეზე მალის,
ახლა ხომ მაინც მეცოდინება,
რას ნიშნავს ტრფობა მშვენიერ ქალის!

* * *

გუშინ გხატავდი ფანქრით ჩემს სულში
და აღარ დარჩა სხვისთვის ადგილი
და გელიმება, უშენოდ ყოფნა
რომ აღარ არის ჩემთვის ადგილი.

შენა ხარ ჩემი სიტკბოც, სიმწარეც,
ჩემი ყოველი და არაფერი,
მაგ ამოსუნთქვის სურნელი შემშლის,
როგორაც ვნების ტყვიების ჯერი.

სულაც არ მინდა ზედმეტი სევდა,
აღარ ვარსებობ უშენოდ თითქმის,
თუ ახლოს არ ხარ, მწყინდება ზეცაც
და ყველაფერი არაფრად ითქმის.

* * *

სალამომ შემოიხვია
ლურჯი სიმნიშვნის სურვილი,
მზე გაინაბა ფოთლებში
ოცნებით შემობურვილი.

მაგრამ ჯერ ვერ მცნობ ველარც მე,
ვერც ჩემი გულის ხეხილსა,
დილით მოვკვდები, ფოთლებში
მზის შუქი თუ არ მეღირსა!

* * *

ამ ოთახს ახსოვს, დღეთა წინარე
რომ შემოხვედი მკრთალი ბავშვივით,
შემაშფოთებლად საამო სახით
და მშვენიერი თმებით – გაშლილით.

შემოიტანე თითქოს გარედან
ასეულ წელთა ჯიშის თარეში,
უცხო მხარეთა მოგქონდა ვნება
და მე მომწონდი უცხო მხარეში.

როგორ გიამბო, ფიფქთა ნიაგო,
რა გასაოცრად ისევ მინდინხარ
და მიყვარს ის დრო, როცა ბედივით
ჩემთან მოხვალ და აღარ მიდინხარ.

* * *

მე არც კი გიცნობთ, მაგრამ ყოველდღე
მინდა მოგწონდეთ საზღვართა მიღმა,
თქვენ რომ გიყვარდათ, იმ ლექსებს გეტყვით,
ჩემი სურვილი არაფერს ნიღბავს.

გვერდით ჩაუვლის ფარული მზერა
თქვენი ღიმილის უცხო ნახნაგებს,
ჩემი ოცნება ლურჯ ცას მოიხმობს
და სამოთხისდარ სივრცეს ააგებს.

არაფერს ნიშნავს, უთქვენოდ რაიც
რამეს ნიშნავდა აქამდე თითქოს,
სიცვიე თქვენი არარსებობის
თანდათან იძენს უტკბილეს სითბოს.

* * *

ცას როგორ უყვარს გემო
დაუცხრომელი მიწის,
შეყვარებულთა გარდა
მხოლოდ ამ ღამემ იცის.

არაფერს იტყვის ღამე –
უცხო ამბავთა ქვევრი,
არ გინილადებს რამეს,
რომც ებაასო ბევრი.

შენი სახება მახლავს
ღამის ღიმილებს შორის
და რასაც გინერ ახლა,
საიდუმლოა ორის.

* * *

ლექსი ის არის, სიტყვებს რაც უნდათ –
მოსურვილება ერთმანეთისა,
ხან სამოთხეში სურთ ნეტარება,
ხან ბნელი მოსდგამთ ჯოჯოხეთისა.

არავინ უწყის მათი ამბავი
პოეტების და მუზეების გარდა,
პოეტის კალთას შეეფარება,
რაც უცაბედად ცას ჩამოჰვარდა.

სიტყვა რა არის? რაც ღვთის წინაშე
ცოცხლებს და მკვდრებსაც აერთიანებს.
როცა ლექსები გაცოცხლდებიან,
თავს დაუხრიან ადამიანებს.

* * *

შენს სილამაზეს ვუცქერ უძღვები,
ბრმა სიყვარულით დავიხუნძლები
და ყვავილებით სავსეა ველი,
სადაც შენ არ ხარ, სადაც შენ გელი.

ერთი ყვავილი ზეცას შესცქერის
და, ჩემი ხათრით, შესთხოვს შენს მოსვლას,
არრას ვიჩემებ, გარდა ერთისა –
ყვავილის ნატვრით სულის შემოსვას.

* * *

ნურაფერს მეტყვი...შენი ღიმილი
ახლა ჰგავს უფრო ბოდიშის მოხდას,
ემშვიდობება სითბო სხვა სითბოს,
ვიღაც კი ამბობს: “რაც მოხდა, მოხდა!”

სულ უადგილოდ ვიხსენებ ამ ნუთს
პირველ შეხვედრას – “ჰოს” მსგავს “არას” – და
შენი ღიმილი მაშინდელ ღიმილს
სევდის სიცხადის დარად არა ჰგავს.

შენ ახლა სხვა ხარ და ვიღაც სხვისთვის
გაზაფხულდები სულ ცოტა ხანში,
მე მოგონებას შევუერთდები,
გაგახსენდები, ვით დიდი ბავშვი.

* * *

ღრუბლის ნატყხი მესტუმრა,
ცის კიბე ჩამოიარა,
სამშობლოს დარდი მიაგბო,
საყვარლის სევდა კი – არა.

პატარა ბავშვი მოვიდა,
ღვთის ხიდზე გადმოიარა,
წარსული თავად წაიღო,
მერმისის დამრჩა იარა.

ბოლოს მე თვითონ მოვედი
საკუთარ თავთან ზიარად
და ღრუბლად გადავიქეცი –
სურვილმა წამომიარა!

* * *

უმენოდ დავრჩი უცბათ,
ამაო იყო შველა,
მე, ზღვა, მთები და გზები –
შენზე ვფიქრობდით ყველა.

ქალი მღეროდა სახლში,
ეს დღე ებმოდა მითოსს,
გამხარებელი გულის
შენ მიმღეროდი თითქოს.

უკვე იქით ხარ, მიღმა,
არაფერს მეტყვი აქ მყოფს,
მომავალს ვტოვებ განზე,
წარსულს კი უყვარს ანმყო.

* * *

დილით მინდორში პეპელამ
კაბის სილურჯე მოგტაცა,
მერე ის ცას მიართვა და...
ბედნიერებით მოკვდა ცა.

ღამე იშობა წამწამზე –
შერცხვა საკუთარ სიშავის,
ხიბლი მოგქონდა თვალებით
სამყაროს – გაუთიშავის.

შენს სახეს ღმერთმა უმადლა
ქალის მარადი ოცნება
და რაც ღიმილი მაჩუქო,
სუყველა დამეოცნება.

* * *

წყლის წვეთი ჩამოიპარა
ობოლი ფოთლის წვეროდან.
ჩავხედე იმ წვეთს და შიგნით
მთელი სამყარო მელოდა.

ბალახმა ისე მიმიხმო,
ლამის საყვარელს გამყარა,
სურნელი გამიზიარა -
მანაც მაჩვენა სამყარო.

ციყვს ანგელოზთა სახება
ჩამოუცურდა ბენვიდან,
პატარა ხელისგულებზე
მთელი სამყარო ეწვინა.

* * *

მე ისეთს გხედავ, როგორც ანგელოზს
დაეძინება ბავშვური ძილით,
შენ მიღამდები ყოველ საღამოს
და მითენდები ყოველი დილით.

ბევრი საათი, როგორც მარაოს,
ჩემს ფიქრებს შენზე იმედით ვშლიდი,
არ მშორდებოდა წამის წამითაც
კეთილი სახე - წყნარი და მშვიდი.

შენ რომ არ მყავდი, სწორედ ამიტომ
მკაცრად ვუნყრები საკუთარ წარსულს,
შენით სიყვარულს ვუხსნი სიყვარულს
და უამისოდ სიცოცხლე არ მსურს.

* * *

გზაზე მოდიხარ, თითქოს ანგელოზს
ცაზე დაუგეს სიზმრის ბილიკი,
ბრმაც კი ხარბ მზერას გამოგაყოლებს,
უკანასკნელი ცოდვის შვილი კი

აუმხედრდება საკუთარ სურვილს —
ნებას არ მისცემს, ცუდი გაკადროს,
ცელი ბალახთან არის თამამი,
ვარდის სიმაღლეს არ მტრობს არასდროს.

შენს მიღმა გავცქერ იმ გზას, რომელიც
აქეთ მოგიყვანს — უცილობელი —
და მე არ ვიცი, ხვალ ვინ ვიქნები —
ეშმაკის ყმა თუ განძის მფლობელი.

* * *

სუფრასთან მღერის ლამაზი ქალი,
ტოტზე ბულბული გარინდებულა,
მარიამი და ქალღმერთი დალი
წმინდა მშვენებით გარიგებულან.

სუფრის კაცები გულის ფანცქალით
ერიდებიან ამოსუნთქვასაც
და ამ სიმღერის საამო ვალი
ედება წყლიდან ამოსულ ქვასაც.

ქალი კი მღერის და ამ საღამოს
არაფერია მისი ხმის დარი,
სახლის ფანჯრიდან გავცქერი ზეცას -
მშვიდად იხსნება სამოთხის კარი.

* * *

ამ დაღამებამ სიბერე
გამიჭაბუკა თავიდან,
ოცნება გადავიბეგრე
წუთისოფელის ნავიდან.

ფიქრები მისაღამოვა
შენმა ჩემთვისა ჩენამა,
ნატვრაში ისე ამოვალ,
ვერცრა მოგიტხროს ენამა.

რა თეთრი კაბა გაცვია,
წამლები გულის გონისა,
შენ რომ უყვარხარ, კაცია
ღვთისფერი შემოდგომისა.

* * *

ჭიქა შევავსე ალისფერ ღვინით
და შენზე ფიქრის გაოცნებებით,
მთვარეც გაივსო ამ ღამის ღვინით,
შემოავერცხლა ჩემი ვნებები.

ახლა რომ აქ ხარ, ეს ნიშნავს იმას,
რომ მე ვუყვარვარ ბედის მწვერვალებს,
შენ შემარიგე ცის მაცნეს - წვიმას
და მე აღარ ვთხოვ ჩემს თავს ძველ ვალებს.

გუშინ ბაზარში ვილაც ღვინის ჰყიდდა
და მეც მომიყიდა ერთი მისხალი
ანგელოზის ხმა ჩამესმა ხიდან:
“გინდა გიყვარდეს? აი, ის ქალი!”



ნატუმორტი
ემზარ ცირდავა

2010 წლის 23 ოქტომბერი ჯანი როდარის დაბადებიდან 90 წლისთავია. ცოცხალი, ხატოვანი ენით დანერგული მის ზღაპრებს ახალ ათასწლეულშიც არ აკლდება დიდი თუ პატარა მკითხველი. ქართული საზოგადოებისთვის ძვირფასი საჩუქარია მშობლიურ ენაზე უკანასკნელ პერიოდში გამოსული განახლებული თარგმანები: „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“, „ჩიპოლინოს თავგადასავალი“, „ჯელსომინო ცრუთა ქვეყანაში“ და ა.შ.

მაია ნადარეიშვილი

ცრემლზე მსუბუქი

ჯანი როდარის თავისუფლების რეცეპტი მარტივი და იოლადხელმისაწვდომია: „ფიქრიც სასარგებლო საქმეა, იქნებ ყველაზე საჭიროც. ჩემი აზრით, თითოეული ადამიანი დღეში ნახევარი საათი აუცილებლად უნდა ფიქრობდეს“. როდარის ყოველ ნააზრევსა თუ ნაწერს უცნაური ტონალობა აქვს: ერთდროულად სერიოზულიც და მსუბუქიც. როგორღაც ახერხებს განცდათა სიღრმის, დებულების ფილოსოფიური გაზრებისა და გასაგებად მარტივი ფრაზეოლოგიის ნაზავის იმგვარად მოწოდებას, რომ ვერასდროს იტყვი დარწმუნებით, რომელ აუდიტორიაზე გათვლილი ავტორის ნაწერი: მცირეწლოვანებსა თუ ზრდასრულებზე. ყოვლად გაუმართლებელი სტერეოტიპის მიხედვით, ნაწარმოები ან დიდებისთვის უნდა დაინეროს, ან პატარებისთვის. აუდიტორიის ასაკის შეუზღუდაობის აღმნიშვნელი U ნიშნის მქონე ფილმებსა და ნიგნებს გასართობის სტატუსს ანიჭებენ და ყველას ერთ — არასერიოზულობის — კატეგორიაში ერეკებიან. არადა არსებობს დროისგასაყვანი შეუზღუდაობაც და სერიოზული, მაგალითად, ბიბლიური სიბრძნის საყოველთაობაც.

1969 წელს იუმორითა და რაციონალურობით სავსე ნიგნის — „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“ — შესავალში ჯანი როდარი პირდაპირ, თუმცა სტრიქონებს შორის გაფანტულად განმარტავს თუ რატომ ირჩევს წერის თავისებურ (იგულისხმება, პოლიტიკური ზღაპრის ჟანრი) მანერას: „მწერალი, ლამის, შემთხვევით გავხდით... თუმცა, ჩემდაუნებურად, დიდხანს ვემზადებოდი სამწერლო მოღვაწეობისთვის, მაგალითად, როცა სკოლაში ვმასწავლებლობდი... იმედია, ეს ნიგნი სათამაშოსავით მხიარული აღმოჩნდება. სხვათა შორის, ბავშვობაში, მევიოლინეობისა და მხატვრობის გარდა, სათამაშოების კეთებაზეც ვოცნებობდი. ყოველთვის მინდოდა, სათამაშო მოულოდნელი, აზრიანი გამოსულიყო, რათა მისი გამოყენება ყველას შესძლებოდა. ასეთი სათამაშოები ხანგრძლივად არსებობენ და არასოდეს იქცევიან მოსაბეზრებელ ნივთებად. რადგან არც ხესთან, არც ლითონთან მუშაობის უნარი არ მქონდა, ვცადე სათამაშოების კეთება სიტყვებიდან. სათამაშოები, ჩემი აზრით, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ნიგნები... ვისურვებდი, რომ სათამაშოები დიდებსაც და ბავშვებსაც ერთნაირად გამოდგომოდათ, ერთად ეთამაშოს მთელ ოჯახს, მთელ კლასს — მასწავლებლიანად. მინდა, ჩემი ნიგნები სწორედ ასეთი სათამაშოები აღმოჩნდეს“. ფიქრს, სურვილის მეტი, მართლა არაფერი უნდა.

ფიქრს შეუძლია ძალზე შორს წაიყვანოს ადამიანი, გაუგონარი გააგონოს, დაუნახავი დაანახოს. ამიტომაც გასაკვი-

რი არ არის, რომ ჯანი როდარის ნიგნებზე გაზრდილმა, უკვე ზრდასრულმა ერთმა მკითხველმა „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრებზე“ დართულ კომენტარში აქტუალური პრობლემის გადასაჭრელად ირონიული იდეა წამოაყენა: „იქნებ ვინმეს ზედმეტად თავხედური მოეჩვენოს, მაგრამ ზღაპრის „უკუთხო ქვეყანა“ ტექსტი ტატუს სახით ზურგზე უნდა გაუკეთდეს ყველა ქვეყნის ყოველ ხელახლა არჩეულ პრეზიდენტს (ან სხვა სახის ხელისუფალს). თითოეული ინაუგურაციის წინ პრეზიდენტი ხალხისკენ ზურგით უნდა დგებოდეს, მასა კი ერთხმად უკითხავდეს ამ ზღაპარს. გარანტიას ვიძლევი, სამყარო უკეთესი გახდება“. ვფიქრობ, მკითხველში სწორედ ამგვარი — ფიქრიანი, ინტერაქტიული რეაქციის — გამოწვევის სურვილით წერდა ჯანი როდარი. სხვა საკითხია, როგორ უნდა გავდოთ ხიდი ჩვენს დღევანდელ ცხოვრებასა და იდეალურ „უკუთხო ქვეყანას“ შორის. იქ ხომ შენი დანაშაულისთვის პოლიციელს, ჯარიმის სახით, სილა უნდა გაანწა. განსაკუთრებული მორალური აღზრდაა საჭირო, რომ ამის გაკეთება იმდენად არ გინდოდეს, დანაშაული არასოდეს ჩაიღინო. ჯანი როდარის ნიგნებზე უნდა იზრდებოდეს თაობები მანამ, სანამ მთელი საზოგადოების შეგნება ჯოვანიწო უსაქმურის დონეს მიაღწევს არ მიაღწევს: საოცრად მოეწონა ჯოვანიწოს უკუთხო ქვეყანა, მაგრამ პოლიციელს ხელი ვერ გაართვია და საზღვრების დატოვება მოუწია „ჯარიმის“ გადაუხდელობის გამო. ცხადია, რეალურ სამყაროში პოლიტიკოსთა „ტატუირებამდე“ ჯერ ძალიან შორია.

ჯანი როდარის ე.წ. საბავშვო ნაწარმოებები ძალზე იშვიათად ითარგმნება ინგლისურ ენაზე და, შესაბამისად, ამერიკელი და ბრიტანელი ბავშვები მოკლებულნი არიან არაჩვეულებრივ სატირულ-იუმორისტულ თხზულებათა თავშესაქცევი ფაბულის კითხვის სიამოვნებას. პოლიგუდი არ იყენებს ჯანი როდარის ნაწარმოებებს მხატვრული ან ანიმაციური ფილმების სცენარებისთვის.

ჯანი როდარი საკუთარ თავს ყოველთვის ჟურნალისტად მიიჩნევდა. ზღაპრების თხზვას თავის მორიგ დავალებას უწოდებდა და, ალბათ, ზესაიდუმლო მისიას გულისხმობდა. „მეჩვენება, რომ კაცობრიობის ყველაზე სახიფათო მტრები ცრუპენტელები არიან. ამქვეყნად ასობით ათასი მატყუარაა. ჟურნალისტი, რომელიც თავისუფლებაზე წერს და სინამდვილეში დამქირავებლის მიერ დაქირავებული ადამიანის ექსპლუატაციის თავისუფლებას გულისხმობს, მატყუარაა. ცრუობს ისიც, ვინც მშვიდობაზე ქადაგებს იმ დროს, როცა რეალურად ომს აჩაღებს... წურავის გაალიზიანებს ჩემი ვარაუდი იმის შესახებ, რომ მატყუარები სამყაროს ყველა კუთხეში მოიძებნებიან. თითოეულ ქვეყანას საკუთარი ცრუპენტელები ჰყავს ან ჰყავდა. კარგია, თუ რომელიმე სახელმწიფომ სიცრუის დაძლევა მოახერხა. მე გულწრფელად მჯერა სიმართლის ძალის“, სწერდა 1957 წელს ჯანი როდარი თავის ნამდვილ მკითხველს იმ იმედით, რომ იქნებ შვილებთან ერთად მშობლებსაც მოეკრათ თვალი ამ სიტყვებისთვის და აზრიც მიეყოლებინათ.

რატომღაც ნაკლებად დაინტერესდნენ იტალიელები „საბავშვო თხზულებებით“ და 1970 წელს ძალიან ბევრი გაოცდა,

როცა გაიგო, რომ „მცირე ნობელად“ ნოდებუი ჰანს კრისტიან ანდერსენის სახელობის ჯილდო მათმა თანამემამულემ, „ვინმე“ სინიორ როდარიმ მიიღო. სიმბოლური იყო „მეფის ახალი სამოსის“ ავტორის სახელობის პრემიის მინიჭება „ცრუთა ქვეყნის“ მემატინესთვის. ძნელი სათქმელია, მეზღაპრის მიერ სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების ორიგინალურად გაზრებისთვის გამოარჩია იტალიელი ავტორი საყმანვილო წიგნების საერთაშორისო საბჭომ (ისე, ეს IBBY არასამთავრობო ორგანიზაცია) თუ „ტელეფონზე მოყოლილი ზღაპრების“ სიუჟეტებმა მოხიბლა. ფაქტია, კომისიას რეიტინგებსა და გამოკითხვებზე დაყრდნობით არ მიუღია გადაწყვეტილება. თანამედროვე მშობლებისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რომ „ჰარი პოტერის“ ავტორის სახელი დანიელი მეზღაპრის ჯილდოს მფლობელთა სიაში ჯერაც ვერ მოხვდა, თუმცა ათ წელზე მეტი გავიდა როულინგის პირველი წიგნის გამოცემიდან და პოტერიზმის მსოფლიო ბუმის დაწყებიდან. პოპმოდერალმა მადონამაც სცადა ბედი მეზღაპრეობაში და კიდევ ერთხელ დაამტკიცა ძველი ჭეშმარიტება: ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს...

ნახევარი საუკუნე ისე გალია ჯანი როდარიმ, რომ მისი ერთ-ერთი პერსონაჟის დარად, ხალხისთვის უჩინარი რჩებოდა თვითონაც და მისი უმდიდრესი შემოქმედებაც. არ სწყინდა. ამბობდა, კარლო კოლოდის უკვდავი პინოქიოს აღიარებას ლამის საუკუნე მოანდომესო. საკუთარ თავზე დუმდა. უკიდურესად თავმდაბალი პიროვნება იყო. ამავე დროს, ზედმეტად კარგად იცნობდა ადამიანებს და რეალისტურად აფასებდა მათ გონებრივ შესაძლებლობებს. ერთ-ერთ ინტერვიუში განმარტა: „საბავშვო ლიტერატურას ჩვენში დიდ ლიტერატურად არ აღიარებენ“. ამას მხოლოდ და მხოლოდ იტალიელი მკითხველის ინდიფერენტულობის გასამართლებლად თუ იტყოდა, თორემ მისივე ნაწერები ამჟღავნებს, რომ საკუთარი სიტყვის ფასი ზუსტად იცოდა. თუმცა უნიჭიერესი მწერალი იყო, ვფიქრობ, იგი ბოლომდე ჟურნალისტად დარჩა, სულით ხორცამდე. მისი უკვდავი ზღაპრების ლირსებათა წყაროც ესაა.

პრაქტიკოსმა ჟურნალისტმა კარგად იცის ნიჭიერ და უნიჭო რედაქტორს შორის განსხვავება. ნიჭიერთან ურთიერთობა ჭიდილს წააგავს, მაგრამ საოცარ შემოქმედებით თავისუფლებასა და საკუთარი ნაწერის წარმოჩენის საშუალებასაც გაძლევს. ჯანი როდარის ნაირგვარ ადამიანებთან უწევდა საქმიანი ურთიერთობა. ალბათ, განსაკუთრებით მძიმე იყო სწორედ კოლეგების მიუხევედრელობა და არაპროფესიონალიზმი მისი ნაწერის შეფასებისას. „შენი ზღაპრები ზედმეტად აბსტრაქტულია. მაგას ბავშვები ვერ გაიგებენ“, უბოდიშოდ მიახალა ერთ-ერთი თხზულების

დაბეჭდვაზე უარის მიზეზი რედაქტორმა. ექსპერიმენტის სახით ჯანი როდარიმ მას შესთავაზა საკუთარი შვილისთვის მიეცა წასაკითხად ეს „გაუგებარი მოთხრობა“. რედაქტორი დათანხმდა. მალე გაკვირვებული დაბრუნდა და აღიარა: „იცი, ბიჭმა ყველაფერიც გაიგო“. ის ზღაპარი გაზეთის პირველივე ნომერში დაიბეჭდა.

სიცოცხლის უკანასკნელ ათწლეულში ჯანი როდარის თხზულებებისადმი მკითხველის მხრიდან საგრძნობლად გაზრდილი ინტერესი მწერალს უსაზღვროდ ახარებდა, ახალისებდა. უთუოდ „ბებერი მეგაზეთის“ პროფესიული რეაქცია იყო უშუალოდ უფროლი თაობისთვის დანერგილი ერთადერთი წიგნი „ფანტაზიის გრამატიკა. ამბების შეთხზვის ხელოვნების შესავალი“. ავტორი ხუმრობდა, დიდებისგან გასხვავებით, „შეცდომით“ პატარებმაც ნაიკითხეს ეს სამეცნიერო ფანტასტიკაო. როდარის ყოველი ფრაზის ქვეტექსტში ჩანს, როგორ მალა აყენებს ბავშვის გონებას, თავისუფლად და ფერად აზროვნების უნარს, მიუკერძოებლობას, სტერეოტიპთაგან დაუმახინჯებელ ხედვას. იქნებ გონივრულ ზღაპრებს პატარების პოლიტიკურ-სოციალური კუთხით აღზრდის სურვილით კი არ წერდა, არამედ მხოლოდ ისინი მიაჩნდა ღირსეულ მკითხველად, ისეთად, ვისაც მნიშვნელოვანი თემების სწორად გაგების უნარი დაბადებიდან დაჰყვა და შეინარჩუნა.

თუმცა ითვლება, რომ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ, სინამდვილეში ზოგი საერთოდ ახტება ცხოვრების ამ ხანას

(უნებურად ამოტივტივდება ბენიტო მუსოლინის კუმტი ლანდი და მისი თინეიჯერი ქალიშვილის ღრმა მოხუცივით უსიცოცხლო სახე), ნაწილი კი ცალი ფეხით ბოლომდე ბავშვობაში რჩება. ეს უკანასკნელნი ყველაზე სერიოზული და, ამავდროულად, ხალისიანი, სევდანარევი იუმორითა და უპრეტენზიო კეთილშობილებით აღსავსე პიროვნებები არიან. სწორედ ასეთი იყო სამართლიანი, შრომისმოყვარე და გულკეთილი მეფუნთუშე ჩრდილოეთ იტალიის პატარა ქალაქ ომენიადან. არავის გაკვირვებია, როცა იგი ერთ თავსხმა წვიმაში ფეხების ზედმეტად დასველებას არ მოერიდა და უზარმაზარ გუბებში ჩავარდნილი კნუტი გადაარჩინა. ათის ჯერ არ იყო ჯანი, როცა მამა ფილტვების ანთებით გარდაეცვალა. პროფესიის მიუხედავად, დიდი მწერლები გამოვლენ თუ გემრიელი ფუნთუშების მცხოვრებლები, ბავშვობასთან კავშირშენარჩუნებულ ადამიანებს რალაც კლანური აერთიანებს, რალაც საოცრად მძლავრი, იდუმალი, მიმზიდველი და მარადიული. იქნებ სწორედ ეს არის ადამიანის ღმერთთან წილნაყარობის გამოვლინება.

როცა მუსოლინი იტალიის მეორმოცე პრემიერ-მინისტრი გახდა, ჯანი როდარი ორი წლის იყო. ხუთისამ, ალბათ,



ჯანი როდარი

სიტყვა Duce-ც იცოდა, მაგრამ შორეული ბელადის საქმიანობისა ჯერ ბევრი არაფერი გაეგებოდა. თუმცა მისი „საბავშვო“ ნაწარმოებთა მუდმივი პოლიტიკური ქვეტექსტი მაფიქრებინებს, რომ ეს სწორედ ჯანი როდარის ყრმობაში ფაშისტური რეალობიდან შეჭრილი პოლიტიკური თამაშების ქვეცნობიერი გამოძახილია.

1944 წლიდან წინააღმდეგობის მოძრაობას შეუერთდა 23 წლის ახალგაზრდა. სიყმაწვილისას ყველას არ უნდა მოეთხოვოს გმირობა. არიან მოზარდები, რომელთა დანიშნულებაც სულ სხვა ასაკისთვის არის განკუთვნილი და მანამდე სავალ გზასაც იმ ერთი, დიდი მისიისთვის შესამზადებლად იყენებენ. ჯანი როდარი, სუსტი ჯანმრთელობის გამო, ფაშისტებმაც კი ვერ გაამწესეს ჯარში. რისკი ყოველ წუთს რეალური იყო, რომ ნიჭიერი ყმაწვილი ვერ მოასწრებდა საკუთარი უმდიდრესი ლიტერატურული ბუნებისა და ორიგინალური პოლიტიკური აზროვნების წარმოჩენას. მეორე მსოფლიო ომი დასრულდა, მაგრამ რაც შემდეგ დაიწყო, სწორედ ის აღწერა ბავშვებისთვის და დიდებისგან „საიდუმლოდ“.

როდარის სამყარო ზღაპრულ ქარგაში გახვეული რეალობაა. აშკარად იგრძნობა ლიტერატურაში ჟურნალისტიური ხერხების ოსტატური, სრულიად ორიგინალური გამოყენება. მისი ზოგიერთი „ზღაპარი“ წმინდა წყლის ფელეტონია. 15 წელიწადი მოანდომა სამოციოდ სატელეფონო ზღაპრის შეთხზვას. როგორც თვითონ ამბობს შესავალში, ყოველდღე თითო გვერდი რომ ეწერა, ბევრად ვრცელი ნიგნი გამოუვიდოდა, მაგრამ დრო არ ყოფნიდა: „საქმე ისაა, რომ ამ წლებში ვმუშაობდი როგორც ჟურნალისტი და თან კიდევ ბევრ სხვა რამესაც ვაკეთებდი. მაგალითად, ჟურნალ-გაზეთებისთვის სტატიებს ვწერდი, სასკოლო პრობლემებით ვიყავი დაკავებული, ჩემს ქალიშვილს ვეთამაშებოდი, მუსიკას ვუსმენდი, სასეირნოდ დავდიოდი, ვფიქრობდი“.

ვინც კარგად იცნობს ჯანი როდარის ზღაპრებს, იოლად მიხვდება, რომ ამ ყველაფერს მწერლის შემოქმედებითი სამზარეულოს ფუნქცია ჰქონდა. სწორედ ასეთ „ფონზე“, ცხოვრების ამგვარი წესის შედეგად, ფაქტისა და პუბლიცისტური გამოწვინების მიჯნაზე იქმნებოდა მინიატურული სიუჟეტები, სავსე ადამიანისადმი სიყვარულით და უკეთესი საზოგადოების ჩამოყალიბების რწმენით. მწვევე სოციალური გააზრების უკან სამართლიანობისადმი მწერლის ლტოლვა და სისხლადქცეული სიკეთე იგრძნობა:

„- რამდენს იწონის ცრემლი?“

- გააჩნია, ხან როგორ და ხან როგორ. ჭირვეული ბიჭის ცრემლი ქარზე ნაკლებს იწონის. მშვიდი ბიჭუნასი კი დედამინაზე უფრო მძიმეა“.

ეს პუბლიცისტიკაა...

არსებობს „ეზოპეს ენა“... დღეს ძნელად თუ ვინმე იკადრებს ისეთ შეზღუდულ შეფასებას, რომ ძველი ბერძენი მეიგავე მხოლოდ მცირეწლოვანთა გასართობად თხზავდა თავის უკვდავ მინიატურულ არაკებს.

არსებობს პუბლიცისტური გამოწვინება... სიმართლეს დაავადებას ეძახიან ცრუთა ქვეყანაში. სიმართლის მოქმედებას იქ საგიჟეთში ათავსებენ. ამ ნიგნის შესავალში ავტორი განმარტავს: „ზღაპრის დაწერა მომინდა სიმართლეზე... ნუ იტყვი, რომ ზღაპრები ტყუიან. ზღაპრების საშუალებითაც შეიძლება სიმართლის თქმა... ღრმად მწამს ისეთი

ზღაპრების, სიმართლეს რომ ამბობენ. მჯერა, რომ ასეთი ზღაპრების საშუალებით სიცრუის დამარცხება შეიძლება“.

თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ნაწარმოებში „ბარონი ლამბერტოს ორმაგი ცხოვრება ანუ კუნძულ სან-ჯულიოს საოცრებანი“ ჯანი როდარი მაქსიმალურად შეეცადა თავისი შემოქმედების არსი და დანიშნულება წარმოეჩინა, ყველაზე მიუხვედრელი მკითხველისთვისაც აეხსნა, რატომ აირჩია პროფესიონალმა ჟურნალისტიმა ზღაპრის ჟანრი საზოგადოებისთვის სიმართლის სათქმელად, ნებაყოფლობით დაბრმავებულთათვის რეალობაზე თვალის ასახელებად. დაუჯერებელია, რომ ჯორჯ ორუელის რომანი „1984“ გამოცემისთანავე (ჯერ კიდევ 1948-49 წლებში) აღიქვეს ზედმეტად სერიოზულად და ყოველი ათწლეული უფრო გასაგებს, ახლობელს ხდის პუბლიცისტის ჩანაფიქრს. იგივე აუდიტორია დღემდე ჯიუტად მიიჩნევს ჯანი როდარის „ფილოსოფიურ ქარაგმას“ ბავშვების საკითხავ, გასართობ ნიგნად. ფიქრის მოყვარულ მკითხველთაგან არაერთმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ჯანი როდარის იტალიური ზღაპრების ნაწილი წმინდა „ფილოსოფიური ნოველებია, თუმცა ისეთივე პარადოქსული კვანძის გახსნებით, რაც მის მთელ შემოქმედებას ახასიათებს“.

იქნებ ჯანი როდარის დაბადებიდან ასი წლისთავისთვის მაინც მოხერხდეს ნიადაგის შემზადება და იმის საჯაროდ აღიარება, რომ იტალიელი მწერალი მსოფლიო დონის ბელეტრისტი, პუბლიცისტი და საზოგადო მიღვანეა. სასურველი იქნებოდა მისი ზღაპრების მოიგლისურება და ნამდვილი ამერიკული ჰიარკამპანის აგორება მკითხველი მასის ყურადღების მისაპყრობად. მხოლოდ ის მიზეზი, რომ ჯანი როდარის ლიტერატურული ხმა უსამართლოდ რჩება „ხმად მლაღაღებლისა უდაბნოსა შინა“, ვერ აკნინებს მისი შემოქმედების ღირსებებსა და დანიშნულებას. ჯელსომინოს ხმაც ხომ საბოლოოდ ისე მძლავრად გაისმა, ყოფილი მეკობრის გამოგონილი, ტყუილებზე დაყრდნობილი სისტემა ერთ დღეში დაანგრია.

აშკარაა ანდერსენისეულ „ზღაპართან კავშირი“. ერთგან „მეფე შიშველია“ და ყრმის უმანკობაში დარწმუნებული მასა საკუთარი თვალთ ნანახის დაჯერებას ბედავს. მეორეგან ოდნავ ხანგრძლივი (შესაბამისად, უფრო თანამედროვედ რეალისტური) ქმედებაა აღწერილი: ჯერ პატარა კატა ფარულად წერს სიმართლეს უზურპატორის შესახებ - „ჯაკომო მეფე პარიკს ატარებს“. მეორე ბანანიტოს რეალისტურმა ნახატებმა „გაცოცხლება“ დაიწყეს და დიქტატორის კანონები დაარღვიეს. ბოლოს ყოფილმა მეკობრემაც შეიგნო, რომ მისი სასახლის ფანჯრებთან შეკრებილი ხალხი ცრუპენტელას გამოსვლის მოსასმენად არ იყო მოსული. ასე დასრულდა ცრუთა ქვეყნის არსებობა. სამთავრობო გაზეთის არცერთი ნომერი აღარ გაიყიდა იმ დღეს. მოქალაქეთა მასას შერეულ, გადაცემულ ჯაკომო მეფედყოფილსაც აეხილა თვალი და ისე მწარედ განიცადა ტყუილების საბურველში გახვეული საკუთარი ცხოვრების უაზროდ გაფლანგვა, რომ თავის მოკვლა დააპირა.

ცრუთა ქვეყნის ავტორის ფილოსოფია, ცხადია, ბევრს დღესაც არ ეხატება გულზე, ისევე როგორც თანამედროვე მედიის კვლავ „მეოთხე ხელისუფლებად“ გადაქცევის შესაძლებლობა. ამიტომაც ყველაფერზე უკულმა ლაპარაკია დაკანონებული. ალბათ, ოდესმე დადგება დრო, როცა ჟურნალისტიკა როდარისეულ თეორიულ ტაქტიკას რეალურად გამოიყენებენ...

ელენე ამალლობელი სტუმრად ლინდგრენის ქვეყანაში

რატუმის ოქროსფერი მოზაიკით მორთულ დარბაზში არის პანო, რომელზეც გაცოცხლებულია შვედეთის ისტორია და შეგიძლიათ ასეთი სურათიც ნახოთ: ტახტზე დაბრძანებულია მითიური ქალღმერთი მელარენი, რომელსაც კალთაზე უსვენია სტოკჰოლმი. გადმოცემით, მელარენი თურმე ზღვის ფსკერზე ცხოვრობს. მოდიან აღმოსავლეთი და დასავლეთი და თავჯანს სცემენ მას. შვედები ამბობენ: ჩვენი მესიანისტური იდეა არის ის, რომ მსოფლიოში ყველაზე მშვიდობისმყოფელი ქვეყანა ვიყოთ.

მელარენსაც და შვედურ შთაბეჭდილებებსაც ახლა საბავშვო ლიტერატურის ფონდის „ლიბოს“ ავან-ჩავანნი — მარიამ ნიკლაური და ირმა მალაციძე მიზიარებენ. რამ შეაჩერა ისინი მელარენის გამოსახულებასთან და რას ჩურჩულებოდნენ რატუმას დარბაზების კედლებს, ამას ცოტა მოგვიანებით გაგიმხელთ, ჯერ კი იმაზე, თუ როგორ მოხვდნენ ისინი შვედეთში.

ცნობისათვის:

სიტყვა „ლიბოს“ გარდა იმისა, რომ საძირკველს ნიშნავს, ასეც იმიგრება — „ლიტერატურული ინოვაციები და ბავშვთა ორიენტირები“. ამ სახელწოდების ფონდი საქართველოში 2006 წელს დაარსდა მარიამ ნიკლაურისა და ირმა მალაციძის თაოსნობით. ფონდმა მიზნად დაისახა ქართული საბავშვო ლიტერატურის პოპულარიზაცია, ოღონდ... საქმიანობას ის ყოველგვარი დაფინანსების გარეშე შეუდგა.

სწორედ „ლიბოს“ მესვეურთა ძალისხმევით დაარსდა „ქართული საბავშვო ნიგნის დღე“, რომლის აღნიშვნაც უკვე ტრადიციად იქცა ყოველწლიურად, 27 ოქტომბერს, იაკობ გომბაზაშვილის დაბადების დღეზე. უსახსრობის მიუხედავად, ამ წლების მანძილზე ფონდი არაერთი კარგი საქმის მოთავე იყო. სწორედ ამიტომ დაინტერესდნენ „ლიბოს“ საქმიანობით უცხოელი კოლეგები.

შვედური ინსტიტუტი მსოფლიოში ცნობილი ორგანიზაციაა, რომელიც კულტურული ურთიერთობების განვითარებისათვის იღვწის მთელ მსოფლიოში.

ამ ინსტიტუტს ბევრი საინტერესო პროექტი აქვს, მათ შორის ასეთიც: შვედი მწერალი და ილუსტრატორი ჩადიან რომელიმე ქვეყანაში და იქაურ კოლეგებთან ერთად მუშაობენ ერთობლივ საბავშვო ნიგნებზე, რომლებსაც შემდეგ გა-

მოსცემენ. აი, სწორედ ასეთი პროექტის განხორციელების მიზნით ეწვივნენ საქართველოსაც. რაკი არაფერი იცოდნენ ჩვენი ქვეყნის შესახებ, თავდაპირველად, ვორქშოპის დაგეგმვამდე, ისინი სიტუაციის დასაზვერად ჩამოვიდნენ. მწერალმა მარი ოსკარსონმა და მხატვარმა ჰელენ რუნდბერგმა სწორედ მაშინ გაიცნეს „ლიბოს“ მესვეურები და ძალიან დაინტერესდნენ ამ ფონდის საქმიანობით. სხვა კოლეგებთან ერთად საგანგებო შეხვედრაზე მიწვეულმა მარიამმა და ირმამ ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაც უამბეს და ისიც, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ საბავშვო ლიტერატურას ეროვნული თვითმყოფადობისათვის. თუ ქართული სიტყვის გადარჩენისთვის. მოსმენილით გაოგნებულმა სტუმრებმა გადანიშნეს, ბათუმში დაგეგმილი ვორქშოპის გარდა, ქართული ნიგნის დღეს, 27 ოქტომბერს საქართველოში ორდღიანი სემინარიც ჩატარებინათ შვედური და ქართული საბავშვო ლიტერატურის საკითხებზე.

ასეც მოხდა.

წარმომადგენლობითი დელეგაციით ჩამოვიდნენ, უკვე ტრადიციადქცეულ ქართული საბავშვო ნიგნის გამოფენაზე შვედური ნიგნების უზარმაზარი ფონდიც ჩამოიტანეს, ბათუმში ვორქშოპიც ჩაატარეს და ეს ყველაფერი მოხერხდა შვედური ინსტიტუტის დაფინანსებით. „ლიბოს“ მესვეურები კი შვედეთის მწერალთა კავშირის მიწვევით სტოკჰოლმში აღმოჩნდნენ. ამ ვიზიტის ფარგლებში მასპინძლებმა სტუმრებს ყველანაირი გამოცდილება გაუზიარეს საბავშვო ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით. სწორედ ამ შთაბეჭდილებების შესახებ გვიამბობენ მარიამ ნიკლაური და ირმა მალაციძე.

ეს არის ქვეყანა, სადაც 200 წელია ომი და კონფლიქტი არ ყოფილა და ჰაერსაც კი სიმშვიდის სურნელი აქვს.

შვედურმა მხარემ ძალიან საინტერესო, სასარგებლო და საქმიანი ვიზიტი და პროგრამა შემოგვთავაზეს ფონდის წარმომადგენლებს. გადანიშნეს ყველაფერი ეჩვენებინათ ჩვენთვის, რაც კი გაუკეთებიათ საბავშვო ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით.

შვედეთში ნიგნის პოპულარიზაციისთვის ბევრი ორგანიზაცია იღვწის. მათ შორისაა საბავშვო ნიგნის ინსტიტუტი, რომელიც 1967 წლიდან არსებობს და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. ამ ინსტიტუტის წარმომადგენელი ლილემურ ტორსტენსონი თბილისშიც იღვბდა მონაწილეობას სემინარში და შვედეთშიც ჩვენი მასპინძელი იყო. ეს საყმაწვილო ლიტერატურის ცენტრი, უდიდესი ბიბლიოთეკით, ახორციელებს სამეცნიერო სამუშაოს, იკვლევს და გამოსცემს შე-



ირმა მალაციძე და მარიამ ნიკლაური

რიოდიკას საბავშვო ლიტერატურის შესახებ, აწარმოებს საბავშვო ლიტერატურის ყოველწლიურ შეფასებას. ინსტიტუტს ჰყავს სამი დამოუკიდებელი ექსპერტი, რომლებიც წლიდან წლამდე ყველაფერს კითხულობენ, რაც კი რამ დაინერება საბავშვო ლიტერატურის განხრით შევადეთში. საერთოდ, იქ ძირითადად შევადური ლიტერატურა გამოიცემა, განსხვავებით თუნდაც საქართველოსგან, სადაც აქცენტი უცხოურ საბავშვო ლიტერატურაზეა. ექსპერტები ყველა საბავშვო გამოცემის შესახებ აქვეყნებენ რეცენზიებს, რომლებშიც თავიდან ბოლომდე შეფასებულია ეს წიგნები. მერე ყველაფერი შეჯამდება, კრებულის სახით გამოიცემა და უფასოდ დაურიგდება სკოლებსა და ბიბლიოთეკებს. ეს მასალა კარგი გზამკვლევაა მკითხველისათვის. ხოლო წიგნებს, რომლებიც გამოიცემა შევადური საბავშვო ლიტერატურის შესასწავლად და სარეცენზიოდ, უზარმაზარი დარბაზი უჭირავს.

ჩვენი ვიზიტი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ბევრი ისეთი რამ გავიგეთ და ვნახეთ, რასაც ვერც კი წარმოვიდგენდით. მათ შორის ისეთიც, ჩვენს ყოფამიც რომ შეიძლება დავენერგოთ, ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად.

ამ ინსტიტუტის მიერ დაარსებულია კონკურსი „წიგნის ჟიური“, რომლის დაწესება ჩვენც გადავწყვიტეთ (აქ დავარქმევთ „ბავშვების რჩეულს“). ამ კონკურსის პრინციპი ასეთია: ბიბლიოთეკებისა და სკოლების ერთობლივი ძალისხმევით, ბავშვებს წასაკითხად აძლევენ წიგნებს და პატარა მკითხველები ასახელებენ ხუთ საუკეთესოს. მერე ეს მონაცემები იგზავნება საბავშვო წიგნის ინსტიტუტში, სადაც ხმები ითვლება და წელიწადში ერთხელ ვლინდება ბავშვების რჩეული ავტორი. ამ კონკურსის საპრიზო ფონდი ფულად ჯილდოს არ ითვალისწინებს, მაგრამ ყველაზე დიდ აღიარებად ითვლება შევადეთში, რადგან მწერლებს საუკეთესოს ტიტულს სწორედ ბავშვები ანიჭებენ.

გადავწყვიტეთ ჩვენი გამარჯვებულები 27 ოქტომბერს, წიგნის დღეზე დაეჯილდოვოთ ხოლმე. ვფიქრობთ, კარგი იქნება ავტორებისთვის.

საბავშვო წიგნის ინსტიტუტში, სადაც ცალკე სექცია ეთმობა ასტრიდ ლინდგრენის წიგნებს, გამოცემულს მსოფლიოს 90 ენაზე, ქართული გამოცემები არ იყო. ჩვენ აქედან წავუღეთ სხვადასხვა წლებში ქართულად გამოცემული ასტრიდ ლინდგრენის წიგნები. სხვათა შორის, ძალიან მოეწონათ ჩვენი ანბანი.

შევადეთში მხოლოდ საკუთარ მწერლებზე როდი ზრუნავენ?! უამრავ პრემიას შორის გამორჩეული და მნიშვნელოვანია „ასტრიდ ლინდგრენის პრემია“, რომელიც 2003 წელს დაარსდა, როგორც სახელმწიფოს მადლიერი გამოხატულება ასტრიდ ლინდგრენის ღვაწლის მიმართ. დიდი ფინანსური ფონდი აქვს — 50 მლნ. შევადური კრონა. ამ პრემიას „საბავშვო ნობელსაც“ ეძახიან, მსგავსად „ჰანს ქრისტიან ანდერსენის სახელობის პრემიისა“ და ძალიან ფასეული ჯილდოა მთელი მსოფლიოს ავტორებისათვის. ჩვენ გვეგონა, რომ ლინდგრენის პრემიაზე წარდგენა დიდ სირთულეებს უკავშირდებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საქართველო 2006 წლიდან შესაბამისი მემორანდუმით მიერთებულია ამ საპრემიო კომიტეტს. ეროვნული ბიბლიოთეკა ოფიციალური წარმომადგენელია საქართვე-

ლოში. მან უნდა წარადგინოს კანდიდატი, მაგრამ რატომღაც აქამდე ეს ვერ მოხერხდა. სულ ოთხი ნომინაციაა და ყოველწლიურად შეგიძლია წარადგინო ერთი მწერალი, ერთი ილუსტრატორი, ერთი მთხრობელი და ერთიც ორგანიზაცია, რომელიც საბავშვო ლიტერატურის პოპულარიზაციის მხრივ მუშაობს. ჩვენი ვიზიტის ფარგლებში „ალმაშიც“ (ასტრიდ ლინდგრენის პრემიის შტაბ-ბინა, რომელიც შევადეთის კინოინსტიტუტშია დაბინავებული) ვიყავით, ძალიან თბილად მიგვიღეს, დაინტერესდნენ ჩვენი ქვეყნით, დავუტოვეთ კიდეც აქედან წაღებული სლაიდები და ფოტომასალა. მათ კი შემოგვთავაზეს, რომ ჩვენი ფონდიც გახდეს ლინდგრენის საპრემიო ფონდის წარმომადგენელი საქართველოში. ეს ძალზე მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმეა. მართალია პრემიას მხოლოდ ერთადერთი მონაწილე იღებს, მაგრამ წარდგენა და ნომინანტთა სიაში მოხვედრაც კი ბევრის მომცემია, რადგან საპრემიო კომიტეტი იწყებს ზრუნვას ყველა მონაწილის პოპულარიზაციაზე მთელ მსოფლიოში. გასულ წელს 63 ქვეყნიდან 161 ნომინანტი ჰყავდა და ჟიურის 12 წევრის გადანწყვიტვებით, ბელგიელმა ილუსტრატორმა მიიღო პრემია, იგი გარდა მხატვრობისა, წერს კიდეც საბავშვო წიგნებს და 35 წიგნის ილუსტრატორია.

ასევე მოეწყო შეხვედრა პერნილა გესენთან. ის საბავშვო მწერალი და პრიზ „შლანგბელლა“-ს („შურდული“) თავმჯდომარეა. შლანგბელლა შევადეთის მწერალთა კავშირის საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის სექციის მიერ დაწესებული პრიზია საბავშვო წიგნის დებიუტანტებისთვის.

ეს პრიზი უკვე 15 წელია არსებობს და ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ცალკეული მწერლებისთვის, ასევე ზოგადად საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურისთვისაც. „შლანგბელლამ“ გამოძებნა სამუშაო მოდელი ამ პრიზისთვის ფინანსების მოსაპოვებლად, რაც საკმაოდ სოლიდურ თანხას გულისხმობს, რადგან თავად ამ სექციას ასეთი სამსახურის განხორციელების საკმარისი თანხები არ გააჩნდა. პრიზს თავდაპირველად აფინანსებდა ასტრიდ ლინდგრენის ფონდი, რომელსაც მისი ოჯახი განაგებს და გარდა ამისა თანდათან ამ პრიზმა მოიპოვა სხვა სერიოზული დამფინანსებლები თავად გამომცემელთა სახით. ჟიური ყოველწლიურად სამ ნომინანტს ასახელებს 2 თვით ადრე დაჯილდოებაამდე და, მათგან ერთი, მარტში ღებულობს პრიზს 3000 ევროს ეკვივალენტ შევადური კრონს, ხოლო დანარჩენი ორი ჯილდოვდება ნომინანტის დიპლომით.

ვფიქრობთ, რომ უახლოეს მომავალში ჩვენი ფონდიც დააწესებს მსგავს კონკურსს დებიუტანტებისათვის.

„იუნიბაკენი“ ზღაპრის სამყაროა, რომლის გახსნის იდეაც ასტრიდ ლინდგრენის სიცოცხლეშივე დაბადებულია. თავიდან პროექტი ითვალისწინებდა მხოლოდ ლინდგრენის გმირების სამყაროს შექმნას, მაგრამ თავად მწერალი უთქვამს უარი — შევადური საბავშვო ლიტერატურა მხოლოდ მე არ ვარ და ეს პროექტი ყველასთვის უნდა განხორციელდესო. ასეც მოხდა.

დღესდღეობით ქალაქის ცენტრში არის შენობა, რომლის საოცარ პავილიონებშიც უჩვეულო სამყაროა შექმნილი — აქ საბავშვო წიგნები ხორცშესხმული და მატერი-

ალიზებულია: პეპის სახლი, რომელშიც შეგიძლია მთელი დღე იცხოვრო, მუმი ტროლის საბინადრო და რას არ ნახავთ აქ. მუშაობს თეატრი, უდიდესი წიგნების მალაზია, კაფე, რომელშიც საბავშვო პერსონაჟების ცნობილ მაჭკატებსაც და გუფთასაც მიირთმევენ. „იუნიაკენის“ სცენოგრაფი ტურ სვანე ასტრიდ ლინდგრენის ყოფილი მეგობარია. მას მსგავსი პროექტები, ასევე უმშვენიერესი ბიბლიოთეკები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აქვს გაკეთებული. წელიწადში 2-3-ჯერ ექსპოზიცია ახლდება. შეხვედრისას „იუნიაკენის“ სცენოგრაფმა გვითხრა — აქ მოსულმა დედამ ან ბავშვმა არ უნდა იფიქროს: ეს ხომ უკვე ვნახეო.

ეს არის სამყარო, სადაც ყველაფერი საოცარია. ვერ გეტყვით, რამდენი დამთვალიერებელი დაზუზუნებს იქ და როცა ამას უყურებ, გინდა ასეთი რამ ქართველ ბავშვებსაც ჰქონდეთ. და თუკი გვექნება შესაბამისი ბაზა და მონდობა, ვინ იცის... იქნებ ამ ოცნების განხორციელება არც ისე შორეული პერსპექტივა აღმოჩნდეს ჩვენთვის.

გავეცანით მწერალთა ცენტრის მუშაობასაც. ცენტრი წარმოადგენს ორგანიზაციას მოქმედი მწერლებისთვის. დაწესებულების მიზანია, გაავრცელოს ლიტერატურა საზოგადოებაში. მათი ერთ-ერთი ამოცანაა, მოუწყონ და დაუჯავშნონ მწერლებს შეხვედრები, მაგალითად, სკოლებში, ბიბლიოთეკებში და ა.შ.

ეს ორგანიზაცია 1967 წლიდან არსებობს და მთლიანად აგვარებს მასში გაერთიანებული 1400 მწერლის ყველა შეხვედრის ორგანიზებასა და დაფინანსებას. უნდა ითქვას, რომ ეს ცენტრი და მწერალთა კავშირი შეთანხმებულად მუშაობს. ცენტრში განვევრძინებთ მწერალს 2 წიგნი მაინც უნდა ჰქონდეს გამოცემული რომელიმე სერიოზულ გამოცემლობაში.

ბიბლიოთეკები კიდევ ერთი საოცრებაა შვედეთში.

ისეთი რამეები ვნახეთ, ჩვენ კი არა, თვითონ შვედებიც გაკვირვებულნი არიან.

ქალაქის ცენტრში, ერთ-ერთ მთავარ მოედანზე არის კულტურის ცენტრი, უამრავი საგამოფენო თუ საკონცერტო დარბაზითა და კლუბით. აქვე განთავსებულია ბიბლიოთეკა „საბავშვო ოთახი“, სადაც ყველაფერია იმისთვის, რომ სულიერი თუ ფიზიკური კომფორტი შეგიქმნან წიგნთან ურთიერთობისას. დარბაზები გამოყოფილია სამი ასაკობრივი კატეგორიისთვის. ძალზე შთამბეჭდავია საბავშვო ლიტერატურის დარბაზი. აქ შესასვლელად მშობლებიცა და ბავშვებიც ფეხზე იხდებიან და მერე მთელ დღეს ატარებენ წიგნის სამყაროში, იატაკზეც კი კითხულობენ, ათვალერებენ, ზოგს, შესაძლოა, იქვე ჩაეძინოს. ბავშვებს ყველანაირ პირობას უქმნიან, რომ წიგნთან ურთიერთობა მისთვის საინტერესო და სასურველი პროცესი იყოს. შვედეთში ასეთი ტრადიციაა: ბავშვის დაბადებისთანავე ოჯახის წარმომადგენელი უნდა გამოცხადდეს ადგილობრივ მუნიციპალიტეტში და მას საჩუქრად გადასცემენ საბავშვო ლიტერატურის დიდ კომპლექტს. ეს არის პატარის პირველი ბიბლიოთეკა.

გავეცანით „საერთაშორისო ბიბლიოთეკას“, სადაც მსოფლიოს უამრავი ქვეყანა თავისი საგამომცემლო პროდუქციის უზარმაზარი ფონდით არის წარმოდგენილი.

გული დაგვწყდა, როცა ვნახეთ, რომ ქართული ბიბლიოთეკა მოიცავდა ორ პანანინა თაროს და ისიც მხოლოდ პირადი ნაცნობობით იყო შევსებული. ჩვენ რაც გვექონდა თან, ყველაფერი დავუტოვეთ საჩუქრად.

რაკი თავის დროზე გადაცემები საბავშვო ლიტერატურის შესახებ საპატრიარქოს რადიოში და ტელევიზიაშიც გვექონდა, ვიზიტის ფარგლებში ტელერადიოკომპანიაშიც გვასტუმრეს.

შვედეთის ტელერადიოკომპანია „ურ“-ი (საგანმანათლებლო რადიო) უზარმაზარი შენობაა ქალაქის ცენტრში. უამრავი გადაცემითა და სტუდიით. ამ ორგანიზაციას აქვს თავისი საბავშვო გამომცემლობაც და ყველა გადაცემას, საერთოდ ყველაფერს, რასაც კი საბავშვო ლიტერატურის განხორციელებას უნდა დაეხმოს, წიგნებად გამოცემენ, არა მხოლოდ შვედურად, არამედ სხვადასხვა ენაზე ემიგრანტებისთვისაც.

ამ ორი წლის წინათ ჩვენი ფონდის თაოსნობით მაყვალა მრეველიშვილის 100 წლის იუბილე გადავიხადეთ და გადავწყვიტეთ, რომ ამ ადამიანის ხსოვნის უკვდავსაყოფად დაგვეარსებინა დღე — „მრეველობა“ და თუ 27 ოქტომბერს, ქართული საბავშვო წიგნის დღის გამო ვიკრიბებით, გაზაფხულისპირს „მრეველობაზე“ შეხვედრილიყავით, დაგვეპატიჟებინა ყველა, ვინც კი რამეს აკეთებს საბავშვო ლიტერატურის დარგში და სიმბოლურად აღგვენიშნა მათი ღვაწლი. უსახსრობის გამო სიმბოლური მედალი „კიკილი-კიკილი“ დავანესეთ და გადავცით გამორჩეულებს. ფარაჩინა ქალაქი იყო და მეტი არაფერი, მაგრამ თავისი მნიშვნელობა მაინც ჰქონდა. ეს ყველაფერი რომ გაიგეს შვედებმა, გაცუბულნი დარჩნენ და გადანიწყიტეს, ამ თვალსაზრისით ყველანაირი გამოცდილება გაეზიარებინათ ჩვენთვის. ასე აღმოჩნდით მათი მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციის საგაზაფხულო თავყრილობაზეც. თურმე ისინიც აკეთებენ სწორედ სამეზობლო და საგაზაფხულო თავყრილობას და ყველა კუთხიდან ჩამოდიან საბავშვო მწერლები და მთელ დღეს ერთად ატარებენ, თავადვე ამზადებენ ეროვნულ კერძს ორაგულისაგან, თავადვე აწყობენ სუფრას, მღერავენ და წარმოთქვამენ სიტყვებს, აბარებენ ერთმანეთს ერთგვარ შემოქმედებით ანგარიშს და თან მხიარულობენ. მათთვის სასიამოვნო იყო ქართველების სტუმრობაც. საერთოდაც, არ ვიცი, რა თვალზე შემოგვხედეს, მაგრამ ჩვენმა მასპინძლებმა გვითხრეს, ბედისწერის მადლობლები ვართ, თქვენ რომ აღმოგაჩინეთ და გვეგულეხით ამქვეყნადო.

ჩვენც ჩვენი მხრივ ბევრი რამის მადლობლები ვართ მათი. იმდენი რამ გვაჩვენეს, იმდენი რამ გავიგეთ... მადლობელი ვართ ჩვენი თარჯიმნის, თამუნა მანისურაძისა, რომელთანაც ერთად ბევრი რამ ვნახეთ და დავათვალიერეთ. ვნახეთ შვედეთის ერთ-ერთი უდიდესი გამომცემლობა, მუზეუმები, შვედეთის აკადემია, სადაც ნობელის პრემიის ბედი წყდება; რატუმის დარბაზები, სადაც გრანდ-ოზონული ბანკეტები იმართება ყოველწლიურად, 10 დეკემბერს, ნობელიანტების პატივსაცემად...

უცნაურ მისტიკას ჩაჭიდებულნი კედლებს ვერწერულეობდით ჩვენი ქვეყნის სახელს და ვთხოვდით, დიდი ქართული სახელებიც გამოეხმოთ პირადად

ეკა ბუჯიაშვილი

ორი კულტურის მსახური

დიდი ხანი არ არის, რაც ის ქართულ სივრცეში გამოჩნდა — ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მოთხრობა — „ჭრიჭინების ბრძოლა“ — მთარგმნელთა მხრიდან პირველი გაბედული ნაბიჯი იყო **ლიაოჭაის** ფსევდონიმით მოღვაწე ჩინელი მწერლის, **ფუ სუნგ-ლინ**-ის შემოყვანისა ქართულ სალიტერატურო სივრცეში... და აი, სულ მალე ამ ნაბიჯებს მთელი კრებულიც მოჰყვა, რომელშიც მწერლის უზარმაზარი მემკვიდრეობიდან მხოლოდ რამდენიმე ნაწილია გაერთიანდა — ის დიდი თუ მცირე ნოველები, ჩინეთში განსაკუთრებით პოპულარული რომ არის და ქრესტომათიულადაა მიჩნეული. ნარდგინება კი წიგნისა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში გაიმართა.

— **ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ისა და რუსუდან ქუთათელაძის** ეს თარგმანი ისეთია, როგორც ეკადრება ქართულ მთარგმნელობით დონეს და კიდევ იტრიალებს ჩვენს სინამდვილეში, როგორც მთარგმნელობითი ხელოვნებისა და დიდი მწერლობის ნიმუში, — ასე შეაფასებს შეხვედრაზე **როსტომ ჩხეიძე** კრებულს, რომელიც მისი რედაქტორობით გამოიცა და შეხვედრაზე მთარგმნელებმა დიდი მადლიერებითაც აღნიშნეს ბატონი როსტომის ღვაწლი ამ წიგნის მომზადებაში. მისი თქმით, „ლიაოჭაი თავის ნაწარმოებებში ფოლკლორულ მასალასაც იყენებს, ზოგ სიუჟეტს თვითონაც თხზავს და მის თვალწინ მომხდარ მოვლენებსაც აღწერს, მაგრამ ის არ კმაყოფილდება მარტო ამ გარემოთი — ყოფითი დეტალებიდან ამოაქვს სიბრძნე და ქმნის მეორე — მისტიკურ პლანს. ამ ყველაფერს არც იუმორი და დრამატიზმი აკლია. აქ არის მაქციების მთელი ციკლი, რაც ასე ნიშანდობლივად ქართული ფოლკლორისთვისაც და კიდევ გვაგრძობინებს სიახლოვეს ამ მწერალთანაც და ლიტერატურის ამ ნაკადთანაც“.

წიგნი, რომელიც მომზადდა საქართველო-ჩინეთის კულტურის ცენტრის „აბრეშუმის გზის“ თაოსნობითა და საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, ქართველ მკითხველს წარმოადგენს უქმნის მე-17 საუკუნეში მოღვაწე ჩინელი მწერლის სტილზე, იმდროინდელ ეპოქაზე, მისტიკური საბურველით მოცულ სამყაროზე, სიძველის სურნელით რომ გაჟღერებულია და, ამავე დროს, დღესაც არ გასვლია ყავლი. მსოფლიოს 30 ენაზე თარგმნილი მწერალი, რომელიც თავად ჩინეთშიც რთულ ავტორად არის მიჩნეული, ქართულად პირველად ითარგმნა. ამიტომაც, ძალზე საჭირო და მნიშვნელოვანია ის კომენტარი, რომელიც მთარგმნელებმა წიგნს დაურთეს და მკითხველს მოუთხრობენ როგორც ბიოგრაფიულ ცნობებს მწერლის შესახებ, ასევე საინტერესოდ მიმოიხილავენ მის შემოქმედებას და თარგმანის

სირთულეებსა და სპეციფიკაზეც საუბრობენ. აკი აღნიშნეს კიდევ შეხვედრაზე, რომ მუშაობის პროცესში ბევრი რამ შეიძინეს და ბევრნაირი სამყაროს კარი გახსნეს. მათი თქმით, ქართულ და ჩინურ ენებს შორის არსებულ დიდ განსხვავებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ლიაოჭაის თარგმნა ბევრ სხვა სირთულესაც უკავშირდება. მისი პროზა უაღრესად პოეტურია, სტილი — დახვეწილი, ლექსიკა — მდიდარი, ლაკონიური, ქარაგმებით დატვირთული, მინიმუმებიტა თუ პოეტურ-პროზაული რემინისცენციებით გაჯერებული. ამ ყველაფრის მიღწევა სხვა ენაზე გადატანისას ძალიან რთულია, მაგრამ მთარგმნელებმა ეს მოახერხეს და მწერლის სიტყვიერი მარაგის ფერადოვნება ქართული სინონიმების სიუხვით ანაზღაურეს.

შეკრებაზე სწორედ ენობრივ ქსოვილზე გაამახვილა ყურადღება **მარიამ ნიკლაურმა**, ვინც წიგნზე მუშაობისას პოეტური პნკარედების რედაქტირებაში დაეხმარა მთარგმნელებს, და თქვა, რომ ეს კრებული არა მხოლოდ ჩინური სამყაროს, ჩინური ლიტერატურის სიღრმეებში ჩავახვედებს, არამედ ქართული ენის საგანძურსაც გვიხსნის, რადგან მთარგმნელები მუშაობისას ყველანაირად ცდილობდნენ, შევინათსანლოვანი ისტორიის მქონე ჩინური ლექსიკისათვის არანაკლებ მდიდარ ქართული ენის ნიაღში მოეძებნათ შესაბამისი სიტყვა. და თუ ისიც იცი, რომ ამ ადამიანების ბედისწერა ძალიან ახლოს არის ჩინეთთან — ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ის დიდმა ბაბუამ, საგანგებოდ მოწვეულმა ჩინეთიდან, ჩაის პლანტაციები გააშენა საქართველოში; მერე ქართველი ქალი მოიყვანა ცოლად და ცხოვრებაც საბოლოოდ დაუკავშირა ჩვენს ქვეყანას — უკვე იმასაც აცნობიერებ, რომ მის შთამომავლებს დაბადებისთანავე დაჰყვავთ ხვედრად ორი კულტურის მსახურება და აღარც გიკვირს, ორივე სამყაროს ნიაღში ერთნაირი სიყვარულით რომ გამოგზაურებენ და ერთნაირი შემართებით გიხსნიან იმ საინტერესო შრეებს, ჩვეულებრივი თვალისთვის მიუხვდომელი რომ არის.

კოტე გოგოლაშვილი:

„პირველი, რაც თავში ჩნდება ამ ფაქტთან დაკავშირებით, „მოვლენაა“, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით: ეს არის მოვლენა ჩვენს ლიტერატურულ სფეროში, და საერთოდ, კულტურაში — არა მხოლოდ როგორც განსაკუთრებული იდეური და ესთეტიკური ღირებულების ნაწარმოების წარმოჩენა, არამედ როგორც მნიშვნელოვანი მოვლენა ქართველი მკითხველის კულტურული დიაპოზონის გაზრდის საქმეში, მისი ინფორმირების თვალსაზრისით იმ სახელთა და იმ განსხვავებული და ორიგინალური ხედვის და სამყაროს აღქმის თითქმის უსაზღვრო პანოში, სადაც ჩინური ხელოვნებისა და ხედვა-ესთეტიკის წვლილი და ადგილი აქამდე თითქმის შეუხსებელ თეთრ ლაქად რჩებოდა — იმის მიუხედავად, რომ ქართულად უკვე იყო თარგმნილი რამდენიმე ჩინური ლიტერატურული ძეგლი არასრული ანდა ფრაგმენტარული ვერსიის, ოღონდ არა ორიგინალის ენიდან.

ამიტომ ლიაოჭაის წიგნის თარგმანი ნანატრ მოვლენად იქცა, როგორც პირველი ღირსშესანიშნავი და დიდი ნაბიჯი მხატვრული ლიტერატურის თარგმნის სფეროში; სწორედ რომ მხატვრული ლიტერატურის, თორემ შარშან უკვე გამოიცა სუ-

ენ ზ'-ის შედეგის თარგმანი, „სამხედრო ხელოვნების შესახებ“, რომლის ხსენებისას ენა არ მოგებრუნდება, რომ არამხატვრული პროზის კატეგორიას მიაწერო, რომელსაც თავისი მნიშვნელობით ადარებენ კეისრის „გალიის ომის კომენტარებს“ — და რომელსაც იგი აღემატება თავისი სიღრმისეული ხედვით და ნააზრევის უნივერსალობით.

რაც შეეხება ლიაოჭაის ამ წიგნს, ის უკვე ხიდად აღიქმება ჩვენი ორი კულტურის ურთიერთგაცნობის საქმეში, და ამ ხიდის მნიშვნელობა მით უფრო მეტყვევლია, თუ გავითვალისწინებთ არსებულ დისპროპორციას ჩვენს რამდენიმე მილიონიან ერსა და ჩინეთს შორის.

და ბოლოს, მოვლენად უნდა ვაღიაროთ ესოდენ მაღალკვალიფიციური, ეფექტური და – წიგნის გამოცემაზე ამას არ ამბობენ, მაგრამ რასაც ჩვენ ვხედავთ, ეს მართლაც შეხმატკბილებული შრომის შედეგია, სადაც მთარგმნელებმა, სარედაქციო კოლეგიამ, მხატვრებმა, გამომცემლებმა და, საერთოდ, ყველა იმ პირმა, ვისაც კი მოუნია თავისი წვლილი გაეღო ამ საქმის კეთილად დასრულებაში – ყველა მათგანმა არ დაიშურა თავის ცოდნა, გემოვნება და ენერჯია.

რაც შეეხება თვით თარგმანს, მარგარიტა ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ისა და რუსუდან ქუთათელაძის ერთობლივი ნამოღვაწარი გამოდგება მხატვრული თარგმანის ეტალონად, როგორც შრომის, მაღალი ლიტერატურული გემოვნების, პროფესიული პასუხისმგებლობისა და კეთილსინდისიერების განსაკუთრებული და შთამბეჭდავი მაგალითი.

იმისათვის, რომ უკეთ წარმოვიდგინოთ ამ მთარგმნელობითი ტანდემის მუშაობის სპეციფიკა, უნდა გავიაზროთ თვითუელის წინაშე არსებული სირთულე: ქ-ნ მალის – ასე იცნობენ მარგარიტა ლიუ-ყანდარელ კუანგვენ-ს მისი ურიცხვი მეგობრები, აღზრდილები და სტუდენტები, რომელთა შორის არის ზურაბ მამნიაშვილი, ვინც თარგმნა ზემოხსენებული სუენ ძ'-ის ტრაქტატი, ქ-ნ მალის „ევალეობა“ მაქსიმალურად სრულად გადმოეცა ორიგინალის არა მხოლოდ აზრი, არამედ ცნებათა ის უცნაური და ხშირად მოულოდნელი ნიუანსირება, რასაც იტევს ბევრი იეროგლიფის განსხვავებული ტონალური ინტერპრეტაცია, ხოლო ქ-ნი რუსუდანი ცდილობდა, ღირსეულად წარმოეჩინა ქართული ლექსიკის სიმდიდრე და მოქნილობა, რისი ნყალობითაც ამ შემოქმედებითმა დუეტმა მოახერხა მოეტანა ჩვენამდე ავტორის მანერისა და სტილისტიკის მონაცვლეობა და თავისებურებები – და მიაღწია საამაყო გამარჯვებას.

ამის თქმას რამდენიმე სტრიქონი დასჭირდა, მათ შორის კი ხუთი წელი: 2005-2010.

რაც შეეხება ლიაოჭაის პროზას, თუნდაც ამ 36 თარგმნილ არაკსა თუ მოთხრობას (საერთო მემკვიდრეობა კი ოთხასს აღემატება), მასზე მსჯელობა ცალკეა საჭირო“.

* * *

— ფუ სუნგლინ-ი ჩინური ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. თავისი ცხოვრების მანძილზე მან 491 ნაწარმოები შექმნა. ამ წიგნში კი 36 თხზულება გა-



ერთიანდა. ამიტომ ვეთანხმები ბატონ როსტომს, ვინც აღნიშნა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია ლიაოჭაის შემოსვლისა ქართულ ლიტერატურულ სივრცეში. საერთოდ, ჩემთვის, ჩინელისთვის, ფუ სუნგლინ-ი ძალზე რთული ავტორია. მისი გაგება უჭირს განათლებულ ჩინელსაც კი — რამდენჯერმე უნდა ნაიკითხო, რათა ბოლომდე ჩანვდე ამ მწერლის შემოქმედების სიღრმეებს. ამიტომაც, ძალიან დიდია ის შრომა, რომელიც მთარგმნელებმა გასწიეს.

ფუ სუნგლინ-ის სიუჟეტების მიხედვით უამრავი ფილმიც გადაღებული. ქართული ენის სამყაროში კი ის პირველად შემოვიდა და თქვენს ქვეყანაში ჩემი ორწლიანი მისიაც, რომელიც დასასრულს მიუახლოვდა, თუნდაც ამ წიგნის გამოსვლად ღირდა. ჩვენ

ყველანაირად ვეცდებით, განვაფიქროთ ეს ურთიერთობები. ამის დასტურია ისიც, რომ საქართველოში, თავისუფალი უნივერსიტეტის ფარგლებში, კონფუციის უნივერსიტეტის გახსნას ვაპირებთ, რომელიც პირველი იქნება ამიერკავკასიაში, — თქვა შეკრებაზე ჩინეთის ელჩმა საქართველოში **კუნგ ნიენგი**-მ, პირველმა მდივანმა **ლო შისიუნგ**-მა კი ისაუბრა ამ წიგნის როლზე ქართულ-ჩინური კულტურული ურთიერთობების გაღრმავებაში. ამ მხრივ საინტერესოა ისიც, რომ ახლახან პეკინის უნივერსიტეტში უკვე გაიხსნა ქართული ენის განყოფილება და აქტიურად ამუშავდება სტუდენტური გაცვლითი პროგრამები. თუმცა ჩინური სიბრძნის სამყარო არც აქამდე იყო უცხო ქართველი მკითხველისთვის. ყველას თუ ვერ ჩამოვთვლით, მაგალითისთვის ის კრებულები კმარა, მარიამ ნიკლაურმა ლიაოჭაის მოთხრობასთან ერთად რომ წარუდგინა შეკრებილებს და აღნიშნა, რომ „ჩინეთი ჟამთა სივრცეში“, რომელშიც სხვადასხვა ავტორი გაერთიანდა, სამაგიდო წიგნია ამ კულტურით დაინტერესებულთათვის. ასეთთა შორის ბატონმა **გულბათ ღორაძემ** გაიხსენა ლევან ხაინდრავა — მწერალი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდა ჩინეთში და რამდენიმე ნაწარმოები მიუძღვნა ამ ქვეყანას. ლიაოჭაის მოთხრობები კი, ბატონი გულბათის თქმით, ჩვენი მთარგმნელობითი ლიტერატურის მონაპოვრად იქცევა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩინელი კლასიკოსი პირველად გახდება მისანვდომი ქართველი მკითხველისთვის, არამედ იმიტომაც, რომ ქალბატონმა რუსუდანმა ქართული ენის ნიალიდან სიტყვათა უმდიდრესი მადანი ამოიხიდა. მთარგმნელთა შრომაზე ისაუბრა **ნანა კიკნაძემ** და მადლიერებით აღნიშნა „აბრეშუმის გზის“ ასოციაციის ძალისხმევა საინტერესო ინიციატივების განხორციელებაში.

კონფუციის უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება. ჩინური ენის კათედრის გამგის, **მარინა ჯიბლაძის** თქმით, დაფინანსდება თარგმანები როგორც სამეცნიერო, ისე მხატვრული ლიტერატურის სფეროში. ფუ სუნგლინ-ის მოთხრობების კრებული კი კარგი მაგალითია ამ ურთიერთთანამშრომლობისა. აღსანიშნავია წიგნის გარეგნული მხარეც — საინტერესო ილუსტრაციები და მაღალი პოლიგრაფიული დონე, რაც კრებულის მხატვრისა და კალიგრაფის **ჭანგ ჩენგ**-ისა და გამომცემლობა „მერიდიანის“ (ხელმძღვანელი **კახა რუსიძე**) დამსახურებაა.

თამარ ოთხმეზური

მრავალფეროვნებითა და მასშტაბურობით

2007 წელს ცნობილი ქართველი მეცნიერის, ძველი ქართული მწერლობის ღვანღმოსილი მკვლევრის, აკადემიკოს ელენე მეტრეველის 90 წლისთავს არაერთი პუბლიკაცია მიეძღვნა. მათ შორის გამორჩეული ადგილი იმთავითვე დაიკავა ელენე მეტრეველის „ბიობიბლიოგრაფიამ“, რომელიც შეადგინა რომის პაპის აღმოსავლური ინსტიტუტისა და ვენეციის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კა' ფოსკარის“ პროფესორმა, ვატიკანის სამეცნიერო ბიბლიოთეკის მეცნიერ-კონსულტანტმა გაგა შურლაიამ.

იუბილეს დღეებში ითქვა, რომ ეს იყო გაგა შურლაიას მიერ უცხოეთში გამოსაცემად მომზადებული წიგნის ქართული ვერსია და ეს ნაშრომი ქართულ-იტალიურ ენებზე უცხოეთშიც გამოიცემოდა. მართლაც, 2009 წელს იტალიაში გამოიცა წიგნი: *Biobibliografia di Elene Met'reveli (1917-2003), a cura di Gaga Shurgaia, Roma: Edizioni Studium, 2009 (Eurasistica, 80) (338 გვ.)*. ნაშრომი ძირითადად ორ ენაზე, ქართულსა და იტალიურზეა შესრულებული, ხოლო წინათქმა და პირველი ორი თავი, რომელიც მეცნიერის ბიოგრაფიას, მის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას მოიცავს, ქართულსა და იტალიურთან ერთად, ინგლისურადაც არის წარმოდგენილი.

ნაშრომში მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და მასშტაბურობით არის წარმოდგენილი ელენე მეტრეველის სამეცნიერო მოღვაწეობა — ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა დალაგებული 2008 წლამდე გამოცემული შრომები — მონოგრაფიები და სტატიები, მეცნიერის რედაქციითა და რედაქტორობით გამოცემული წიგნები (ხელნაწერთა აღწერილობანი, ტექსტების პუბლიკაციები და მისთ.); მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე გამოხმაურებებსა და რეცენზიებს მის სამეცნიერო ნაშრომებზე, გამოუქვეყნებელ ნაშრომთა სიას, ელენე მეტრეველის ხელმძღვანელობით დაცულ საკვალიფიკაციო ნაშრომთა ჩამონათვალს.

ყველაზე ღირსშესანიშნავი ამ ნაშრომში არის ის, რომ მეცნიერის ყველა ნაშრომი ანოტირებულია ქართულ და იტალიურ ენებზე. ელენე მეტრეველის ლოგიკურობითა და სიმწყობრით გამორჩეულ ნაშრომთა ანოტირება, ერთი შეხედვით, სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს, თუმცა ელენე მეტრეველის მასშტაბის მეცნიერის შრომების გააზრება, რომლებიც ქართული მწერლობისა და კულტურის სრულიად სხვადასხვა სფეროს (სხვადასხვა სამწერლობო კერებს, ძველი ქართული მწერლობის სხვადასხვა დარგებს და ა. შ.) მოიცავს, დიდ ერუდიციას მოითხოვს. ეს პრობლემა, გაგა შურლაიას ღრმა მეცნიერული ცოდნისა და კომპეტენციის წყალობით, წარმატებით არის გადაჭრილი.

ბიბლიოგრაფიას ერთვის ელენე მეტრეველის შრომების ანბანური საძიებელი, ასევე საკუთარ სახელთა საძიებელი, რაც აადვილებს ინფორმაციით საკმაოდ დატვირთული წიგნით სარგებლობას. ამგვარი მაღალი სტანდარ-

ტებით შესრულებული ბიბლიოგრაფიული ნაშრომი, თავისი გამორჩეული სტრუქტურით, რომელიც განსაკუთრებული სიცხადით გამოჰკვეთს მეცნიერის მოღვაწეობის სფეროთა მრავალფეროვნებას, ნამდვილად სიახლეა ქართულ სამეცნიერო სივრცეში.

ელენე მეტრეველის შრომათა ჩამონათვალს უძღვის ღვანღმოსილი მეცნიერის ცხოვრებისა და საქმიანობის ძირითადი მომენტების მიმოხილვა, წარმოდგენილია მისი მოღვაწეობის საზოგადოებრივი და ეროვნული მნიშვნელობა; გამოკვეთილია ელენე მეტრეველის პიროვნული თვისებები — პრინციპულობა, გამორჩეული აკადემიზმი, მაღალი პროფესიონალიზმი, მოქალაქეობრივი თვითშეგნება, სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ პრობლემათა ფართო ხედვის უნარი.

ელენე მეტრეველზე საუბრისას გაგა შურლაიას არაერთხელ აღუნიშნავს: „ქალბატონ ელენესთან სულ რამდენიმე შეხვედრა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ იგი დიდ მეცნიერად და ღირსშესანიშნავ ადამიანად დამრჩენოდა ხსოვნაში“. სწორედ ასეა წარმოდგენილი ამ ნაშრომში ელენე მეტრეველი.

ელენე მეტრეველი ყოველთვის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა უცხოეთის აკადემიურ წრეებში; მისი საქმიანობა უცხოელ კოლეგათა მიერ აღიარებული იყო საუკეთესო ნიმუშად იმისა, თუ როგორ შეიძლება წარმოვაჩინოთ ეროვნული კულტურა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად, როგორ უნდა ვიკვლიოთ ეროვნული მწერლობა ისე, რომ ის საგულისხმო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს სხვა კულტურებში მიმდინარე პროცესების გასააზრებლად.

ვიმედოვნებთ, რომ უცხოეთის სამეცნიერო წრეებში ამ წიგნის გამოჩენა კიდევ ერთხელ შეახსენებს თანამედროვე ევროპელ მკვლევრებს მათი უფროსი კოლეგების, ძველი თაობის ბიზანტინისტთა და ორიენტალისტების მიერ არაერთხელ გამოთქმულ თვალსაზრისს, რომ ბიზანტიისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევა შეუძლებელია ქართული მასალის გათვალისწინების გარეშე.

გაგა შურლაიას წიგნი არამარტო ინახავს ღვანღმოსილი მეცნიერის, ელენე მეტრეველის ხსოვნას, არამედ ახალგაზრდა ქართველ თუ უცხოელ მეცნიერებს გეზს უსახავს ძველი ქართული მწერლობისა და კულტურის სამთავლო კვლევებში.

ნაშრომის მაღალი აკადემიური დონის გარანტიაა ისიც, რომ მისი რედაქტორები არიან ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი რუსუდან გვარამია და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვალერი სილოგავა, პიროვნებანი, რომლებიც წლების მანძილზე ელენე მეტრეველის გვერდიგვერდ მუშაობდნენ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში და, შესაბამისად, საფუძვლიანად იცნობენ მის სამეცნიერო მოღვაწეობას.

როსტომ ჩხეიძე

აღსარება გურამ დოჩანაშვილისა

X.

განდობა: ლოცვის საიდუმლო

პოპულარობა არასოდეს მოკლებია და ამგვარ განწყობილებას მის გარშემო, არანომენკლატურული მწერლისათვის მართლაც უჩვეულო აჟიოტაჟს ხსნიდნენ მისი მიდრეკილებით ლიტერატურული შეხვედრებისაკენ, აგრეთვე სატელევიზიო თეატრში ხორცშესხმული სპექტაკლებით, რომელთაგან „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ და „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“ განსაკუთრებით გახმაურდებოდა ეროსი მანჯგალაძის მონაწილეობის წყალობითაც. ტოლი არ დაუდო საკუთარ თავს და ვასიკო კუჭერაძის განსახიერების შემდეგ არანაკლები ხელოვნებით შეასრულა სოფელ-სოფელ მოხეტიალე შალვას ოდისეაც, თანაც, გიორგი გეგეჭკორის (გერასიმე) პარტნიორობით, მანამდე კი ჟანრი ლოლაშვილის სამსახიობო ბიოგრაფიაშიც უდავო წარმატებად ჩაინერგებოდა თამაზის როლის შესრულება: აურელიანო სქელისა — გასქელებამდე.

ეს ყოველივე, ცხადია, საკმაოდ ნაადგამი მისი სახელის აღზევებას, მაგრამ უმთავრესი ის დაუშრეტელი იუმორი (თავისი ყველა ნაირსახეობით) და მხატვრული ფანტაზია გახლდათ, ყოველგვარ მოულოდნელობას რომ გაზიარებდა თავბრუდამხვევი სტილური არტისტიზმით; და ყოველი ფეხის ნაბიჯზე ახალ-ახალ დაუწინაურ სანახაობას გთავაზობდა შენს უახლოეს ადამიანებად, სულაც მეგობრებად გადაქცეული პერსონაჟებით.

პოპულარობა, მოგეხსენებათ, სულაც არ გულისხმობს ნამდვილსა თუ დიდ ლიტერატურას. არამცთუ გულისხმობს, ხშირად კიდევ უპირისპირდება თავისი არსით და ორ პოლუსად წარმოგიდგება ბესტსელერი და ჭეშმარიტი მხატვრული ნიმუში. მაგრამ გამონაკლისებიც არსებობს და როდესაც ლორდ ბაირონის, ჩარლზ დიკენსის ან ფიოდორ დოსტოევსკის პოპულარობას ახსენებენ, არავინ ეჭვდება მათ დიდ მწერლობაში. რა ალტაცებაც მათ თანამედროვეებს გასჩენოდათ, იგივე მეორედებოდა შთამომავლობაში — დრო ოდნავადაც ვერ გააფერმკრთალებდა მათ ბრწყინვალეობას.

ქართულ მწერლობაში ამ მხრივ ძალიან გაუმართლათ აკაკი წერეთელს, ალექსანდრე ყაზბეგს, მიხეილ ჯავახიშვილსა თუ კონსტანტინე გამსახურდიას... და გურამ დოჩანაშვილიც თურმე მათი გზის გამგრძელებელი უნდა ყოფილიყო იმ დიდებული მხატვრული მიღწევებით, რასაც გაუნელებლად მოსდევდა აჟიოტაჟი.

ტომას სტერნზ ელიოტის იმ უაღრესად ფასეულ დაკვირვებას — „თუ პოეტმა ძალიან ადრე დაიპყრო უდიდესი აუდიტორია, ამ გარემოებამ შეუძლებელი არ დაბადოს ეჭვი: იძულებული ხარ ივარაუდო, რომ ასეთ პოეტს არსებობდა არაფერი მოუტანია ახალი, მან თავის მკითხველს მისცა მხოლოდ ის, რაც მათ უკვე გაგებული ჰქონდათ უფრო ადრინდელ პოეტთა წყალობით“ — მოექმნებოდა ნაჩერეტი,

რომელსაც ტარიელ ჭანტურია აკაკის სახელის მოშველიებითა და კიდევ იმ რეალობაზე დაყრდნობით მიაგნებდა, რომ ეჭვი იმის ეჭვია, ყოველთვის რომ არ მართლდება. და თუ „განთიადის“ შემოქმედმა ძალიან ადრე დაიპყრო დიდი აუდიტორია, ეს სულაც არ ნიშნავდა, თითქოს მას მკითხველისათვის უამრავი სიახლე არ მოეტანოს, ამასთან, გამძლე სიახლე, რაკილა არ დაებინდა ფსევდონოვატორთათვის ნიშანდობლივი ვერსიფიკაციული ოინბაზობებით.

გურამ დოჩანაშვილის მიერ დაპყრობილი ვეებერთელა აუდიტორიაც იმ გამძლე სიახლეებითა და მხატვრული ფორიერეკით მოხიბლულიყო, ადვილად რომ ვერ მისცემდნენ დაეინყვებას და ახალი თაობებიც პირველად ნაკითხვის ბედნიერებით მიიწვედნენ წინ ამ არტისტულ სამყაროში.

მოდის გილიოტინისათვის ვერ გაიმეტებდნენ. ეს დრამატიზმიცაა ნიშანდობლივი პოპულარულ მწერალთა ბიოგრაფიაში — საყოველთაო ალტკინება უეცრად რომ ჩაცხრება და ისიც საზოგადოების თვალთახედვის მიღმა აღმოჩნდება განაპირებული და შეცბუნებული — გრიგოლ რობაქიძე, ვთქვათ, ანდა აკაკი ბაქრაძე...

მიზეზი ყოველთვის სხვადასხვაა, თუმცა ეს რას შეეღის მწერალს, ვისთვისაც ამგვარი მოულოდნელი გარიყვა ყოველთვის დამორგუნველია და დიდი ნებისყოფა სჭირდება, რათა სასონარკვეთასა თუ ნიჰილიზმს არ დაემორჩილოს და თავისი მოღვაწეობა ერთგულად განაგრძოს.

გურამ დოჩანაშვილს ამ მხრივაც გადაეფარებოდა უფლის კალთა, მოდის გილიოტინა რომ ვერ დაემუქრებოდა.

მკვეთრი საზოგადოებრივ-პოლიტიკური რყევებისა და ცვლილებათა მიუხედავად კვლავაც დარჩებოდა მოდურ მწერლად და სნობების წრეშიც ისევე ექნებოდა გასავალი, როგორც ჭეშმარიტ მკითხველებში.

ამ გარემოებას, მის ბიოგრაფიაში უზომო პოპულარობა და დიდი ხელოვანის ტალანტი ჰარმონიულად რომ შერწყმოდა ერთიმეორეს, რამდენჯერმე აღვნიშნავდი — პირველი არხის დილის გადაცემაშიც („ალიონი“), საპატრიარქოს არხის დილის გადაცემაშიც („განთიადი“) და ხაშურის გიმნაზიაშიც, სადაც მოსწავლეები ლიტერატურულ კომპოზიციას დაახვედრებდნენ 2005 წლის 11 დეკემბრის იმ უჩვეულოდ მზიან დღეს, ფატი კურტანიძე კი იმ პროფესიული ოსტატობით წარუძღვებოდა სალამოს, ლიტერატურაში ღრმად გათვითცნობიერებულ და გამოცდილ პედაგოგს როგორც შემვენის, და შეხვედრის ქარგა ამიტომაც დაგვიდასტურებდა კიდევ ერთხელ, რომ გეოგრაფიული პროვინცია სულაც არ უთანაბრდება ლიტერატურულ პროვინციას და ადვილი შესაძლებელია ამა თუ იმ კუთხეში ისეთი დახვეწილი გემოვნებისა და განათლების შემსწრე შექმნე, ის გარემო სამწერლო დედაქალაქის უმუალო ნაწილად შეიცნო.

გურამმა ნაყოლა რომ მთხოვა მისებური მორიდებით: თუ მოიცლიო, — მოვიცლიდი რა, ყველა საქმეს არ გადავებდი?! აგერ უკვე თბილისისაკენ ვბრუნდებით.

გურამი ძალიან კმაყოფილია, სწორედ ის უხარია, რომ ხაშურში ნამდვილი ლიტერატურული გატაცება იხილა, პროვინ-

* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №19, 20, 21, 22.

ციამ თავის გულითადობასთან და მომხიბვლელ მიაშიტობასთან ერთად სულიერი დახვეწილობაც და გონიერებაც დაანახვა, ის ანდამატი შეაგრძნობინა, რაც თვითმარი მოვლენაც გახლდათ და ზოგადქართულ თვისებათა გამჟღავნებაც, სხვა პროვინციებშიც ასეთივე სიღრმის ამოსაჩენად რომ გაგულიანებდა, და კიდევ აღმოაჩენდი, თუკი შალვა კუყურაძესავით მოიმართებოდი საამისოდ — სოფელ-სოფელ სასიარულოდ.

ხან ერთ დეტალს ვიხსენებთ, ხან მეორეს, ლამის ერთმანეთს აღარც ვაცლით, და გურამი: შენმა დღევანდელმა სიტყვამ რაღაც განსაკუთრებით შემძრა, მაღამოსავით დამეფინა გულზე. თუნდაც ის ფრაზა, და კიდევ ის...

რუისს გამოვცდებით, გორაკზეც გადმოვდებით და შორს გორის ციხეც მკაფიოდ ილანდება მთვარის ნათელში.

— დღე არ გავა სანთელი არ დავანთო და არ ვილოცო, და არ ყოფილა შემთხვევა, ჩემს ირაკლისთან ერთად ისიც რომ არ მოვიხსენიო ჩემს ლოცვებში...

ჩუმდება, სადღაც იძირება, სახელს არ ახსენებს, მაგრამ ხომ ვიცი, ვისაც გულისხმობს. მაინც ვაზუსტებ:

— ზვიადი.

— ზვიადი, — მეთანხმება.

— იმ ერთი დარეკვის გარდა, შინ რომ არც დაგხვდა, სხვა დროს აღარ შეხმანებიხარ ან თუნდაც შემთხვევით არ შეხვედრიხარ?

— არა... ისე, რომ იცოდე, ირაკლი რომ დამელუბა, — თვალები მოუწყლიანდება, — სამძიმარიც შემომითვალა და ისიც, მოსვლა მინდა პანაშვიდზე და ხომ არ დამიშლიო.

— და... მერე?

— არა, მე როგორ დაეუშლიდი, მოსულიყო, დარწმუნებული ვარ, მართლა დაენვებოდა გული, შენც იცი, ვინ აღარ იცის, ერთ დროს რა ძმობაც გვექონდა, მაგრამ... მაგრამ... უამრავი ადამიანი ტრიალებდა ჩემს გარშემო და ვეღარ მოვიტოვებდი და ყველას გავაგებინე, ასეა და ასე-მეთქი. ნეტა ხმა სულ არ ამომელო. დიდი სჯა-ბაასი შეიქნა და უმეტესობამ მიჩნია, სჯობს თუ არ გამოჩნდება, ვინ იცის, რა კუდებს გამოაბამენო... ნეტა რა კუდები შეიძლება გამოეხატა?! ჩემს გონებაზეც აღარ ვიყავი, ნებისყოფაც ერთიანად გამოცლილი მქონდა და... და აღარ ვინდომე ზვიადის გამოჩენა... იმ წამსვე ვიგრძენი, რომ არასწორად ვიქცეოდი, მაგრამ ჩემს თავს ვეღარ განვაგებდი... რა ვუყოთ, ასე მოხდა... და სულ ვამტყუნებ საკუთარ თავს... მეც რომ აპატიამი არ ვყოფილიყავი, ვინ დამიყოლიებდა... ეჰ, რა ვიცი, ასე მოხდა კი...

— და იმას ალბათ აღარც უცდია ნაბიჯის გადმოდგმა.

— როგორ არა... კულტურის მინისტრობა შემომთავაზა, საქართველოს პრეზიდენტი როდესაც გახდა, და უარი შევუთვალე, ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაცი, აბა, მითხარი, მინისტრობას გასწევდა? სიხარბით არ დავხარბებულვარ, არადა, იქ ტყუილად ყოფნაც არ შემეძლო. მამტყუნებ, უარი რომ ვუთხარი?

— პირადადაც ხომ არ გილაპარაკიათ? თუნდაც ტელეფონით.

— არა, პირადად არა... მამტყუნებ?..

— პირიქით, ასე სხვა იქნებ ვერც ვერავინ მოქცეულიყო ერთი-ორი კაცის გარდა, მაგრამ მე როგორ ვერ გავიგე, კულტურის მინისტრად თუ გინვევდა... შენ არ მითხარი, არ მითხარი, მაგრამ ვინმესგან როგორ ვერ შევიტყე, განა ამ ქალაქში არ ვცხოვრობ?

— რა არის, იცი, არც არავისთვის მითქვამს.

— რატომ მერე?

— ტრაბახი არ გამომსვლოდა.

— ყველა გიცნობს, ტრაბახს არავინ დაგაბრალებდა, ზვიადის სახელს კი ამ შემოთავაზების გახმაურება ძალიან ნაადგებოდა. ისეთი რიხით ვეღარ ილაპარაკებდნენ, სახელოვან ადამიანებს გვერდიდან იცილებს, პირად წყენას არავის პატიობსო. ამ ამბის შეტყობის შემდეგ ბევრი ცოტა სხვა თვალთ შეხედავდა... გარდა ამისა, აგერ მეც უკვე დავეჭვიდი, იქნებ სხვებსაც სთავაზობდა ადგილებს მთავრობაში და იმათაც, სხვადასხვა მიზეზით, უარი განუცხადეს... აგერ თუნდაც აკაკი ბაქრაძე სიაში პირველ ადგილს სთავაზობდა, ოღონდაც მრგვალი მაგიდა და რუსთაველის საზოგადოება უზენაესი საბჭოს არჩევნებში ერთ ბლოკად გამოსულიყვნენ... ყველა ფაქტი უნდა იცოდე ადამიანმა, რათა სწორი ანალიზი და შეფასება შეგეძლოს, თორემ ისე, აბა, რა გამოვა...

— ჩემს ფიქრებს ახმოვანებ... ისე ხან რომელი ეპიზოდი ნამომტივტივდება ხოლმე ჩვენი ურთიერთობიდან და ხან რომელი, ხან სურათი, ხან ფრაზა, ხან ისეთი რამ, რაც სხვისათვის იქნებ არაფრისმთქმელი და წვრილმანიც იყოს, მაგრამ ჩემთვის ძვირფასია, ძალიან ძვირფასია... ბავშვობიდანვე ჩვენი მეთაური იყო, გამოჩენილი მწერლის შვილობაც ჰმატებდა საამისო სითამამეს, მაგრამ უფრო მაინც პირადი თვისებების გამო. ჩვენ რომ ჯერ კიდევ ლამის მოკლე შარვლებით დავრბოდით, ის უკვე წვერს იპარსავდა. აბა, ვინმეს გაეხებდა ჩვენი დაჩაგვრა — თავზეხელაღებული ხდებოდა ხოლმე და ყოფილა შემთხვევა, იარაღითაც მისჭრია საკმაოდ ცნობილ ჩხუბისთავეს... არ დაგიმაღავ — ცრემლი მეღვრება გულში მისი ყოველი გახსენებისას და, სხვა რაღა დამრჩენია, გარდა იმისა, რომ სანთელი დავანთო ხოლმე და ვილოცო მისი სულისათვის.

— ზვიად იხსენიებ ლოცვებში?

— ჩემი ირაკლის ხსოვნას ვფიცავ — როგორც მას, ისე ზვიადს... გამოუკლებლივ... და სანთელსაც ორივეს სახელზე ვანთებ...

— ფიცი რად მინდა, ისე არ დაგიჯერებ? — უხერხულადაც კი ვგრძნობ თავს, ჩემი გაოცება ხომ ნათქვამის მოულოდნელობამ გამოიწვია და არა დაუჯერებლობამ.

— ვიცი, რომ დამიჯერებ, შენ თუ არა, აბა, სხვა ვინ... მაგრამ სწორედ ასე მინდოდა მეთქვა, ირაკლის ხსოვნა დამეფიცა, რომ ჩემს ლოცვებში ეს ორი სახელი განუყრელია, როგორც ის ორი სანთელი...

...ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი ლოცვები, მაგრამ ხანდახან არც ვიცი თუ ხოლმე.

XI.

ლაპორატორია —

სათავგადასავლო რომანის ქარგად

უილიამ ფოლკნერს მაინც ისეთი ღრმა და მახვილგონივრული დაკვირვებანი უჩნდებოდა, ერთ რამედ ღირდა.

ესეისტობაზე თავს არასოდეს სდებდა, რაკილა სისტემური განათლება არ გააჩნდა, მაგრამ ის თვალსაზრისები მისი ესეების გვირგვინი იქნებოდა, ამ ჟანრსაც ჩვეული გულმოდგინებით რომ მოჰკიდებოდა.

ასეა თუ ისე, ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების გასაღებს გვაძლევდა ხელთ, და ჯეიმზ ჯოისის მხატვრული სამყაროს თავისებურებებში შეღწევას იმით გაგვიადვი-

ლებდა, რომ გვამცნობდა: მას ჰქონდა უფრო დიდი ნიჭიერება, ვიდრე ძალ-ღონე ამ ნიჭის მოვლისათვის.

უთუოდ ეს უნდა იყოს ერთი უმთავრეს მიზეზთაგანი, ჯოისის „ფინეგანის ქელეხამდე“ რომ მივიდა, უზარმაზარ რომან-ექსპერიმენტამდე, „ნაუკითხავ“ ნიგნთა შორის რომ დაიმკვიდრა ადგილი საიმედოდ და მკვლევართა სარბიელად უფრო რჩება, ვიდრე მკითხველის საუფლოდ.

ცნობიერების ნაკადის სულ უფრო მეტად გამკვეთრებამ და ენათა აღრევის თავისებურმა ცდამ — ბაბილონის გოდოლის ერთგვარმა გამოძახილმა — შექმნა ამ რომანის ის შემორკალური ზღუდე-გალავანი, რომლის იქით შეღწევაც ლამის სრულიად შეუძლებელი შექმნილა, „ულისე“ კი მასთან შედარებით კლასიკურ თხრობად წარმოგვიდგება. ველარ გაუძლო ნიჭიერების ამოფრქვევას XX საუკუნის მოდერნიზმის ერთ-ერთმა მამამ და ნებაყოფლობით შეეგუა თავისი რომანის ზღუდე-გალავანში გამოკეტვას, თითქოს ჰერმან ჰესეს სააგარაკო სახლის ჭიშკრის წარწერა გადმოეტანოს ნიგნის თავფურცელზე: გთხოვთ, ნუ მესტუმრებთ.

ჰესე გაბეზრებულიყო თავისი მცემელთაგან.

ვითომ ჯოისიც გაბეზრებულიყო?

მას რას ნიშნავს მკითხველის ეს დაფრთხობა?

თვითონ, რასაკვირველია, ასე სულაც არ მიაჩნდა და „ფინეგანის ქელეხი“ კიდევ ერთ ნინგადადგმულ ნაბიჯად ესახებოდა პროზის მწვერვალისაკენ, და ველარ გრძნობდა, რომ „ულისესთვის“ ნიშანდობლივი რიტმიც, გარეგნულიც და შინაგანიც, გაუფერმკრთალდა თუ მოუღუნდა და მუსიკალური სმენაც — რითაც განთქმულიყო — დაუყრუვდა.

თავის დროზე „ულისეს“ რიტმმა გაიტანა და შინაგანმა მუსიკამ მისი თითქოსდა ქაოტური თხრობა, და ცნობიერების ნაკადის აღქმა და განცდა ძალიან გაუადვილა მკითხველს, თორემ უამისოდ თხრობა ძალიან ჩაიხერგებოდა და ველარავინ დაუდებდა გულს, ბოლომდე მიჰყოლოდა ეროვნული და საკაცობრიო ტრაგედიის ამ თავისთავად გულის-შემძვრელ სურათს.

ტომას სტერნზ ელიოტი ესეიში „კრიტიკის საზღვრები“ ჯეიმზ ჯოისის ამ რომანს ჯონ ლივინგსტონ ლოუესის ნიგნს — „გზა ქსანადუსკენ“ — ამოუყენებდა გვერდით და განაცხადებდა: ეს იმ კატეგორიის თხზულებანია, მონუმენტურს რომ ვუნოდებთ, თუმცა მათი ერთადერთი, ცხადი და მარტივი დახასიათება ისაა, რომ ორივეზე შეიძლება ითქვას — ერთი ამისთანა ნიგნის არსებობა სავსებით საკმარისიაო.

საგულისხმო დაკვირვებათაგან ამჯერად დაე ის გამოირჩეს, ტომას ელიოტი ერთგვარ გულისტყვივლს რომ გამოთქვამს ჯოისის მიმართ: დაწერა ნიგნი, რომლის ვრცე-

ლი მონაკვეთებიც, თავი ძალიან რომ არ ვიმტვრიო, ლამაზი აბდაუბდაა. მართლაც ძალიან ლამაზია ირლანდიური ხმით, ავტორის მიერ მშვენივრად ნაკითხული, უმეტესი ნილი ხომ მის მიერაა ფირზე ჩაწერილიო.

და კიდევ:

— იქნებ ჯოისიც ვერ ხვდებოდა, რარივ გაუგებარია მისი ნიგნი. როგორც უნდა იყოს საბოლოო განაჩენი... თუ რა ადგილი შეიძლება მიეკუთვნოს „ფინეგანის ქელეხს“, არა მგონია, ამ პოეზიის უმეტესი ნაწილი (ის ვრცელი პროზაული პოემის ერთ-ერთი სახეობაა) ისე იყოს დაწერილი, მისგან სიამოვნება მიიღო ან აუცილებელი გარჩევის შემდეგ სწორად გაიგო.

ასკარაა, ელიოტი საკმაოდ აფასებს ჯოისის უკანასკნელ რომანს, როგორც ლიტერატურულ მასალას, მაგრამ რომანები იმისთვის ხომ არ იწერება, ლექტორებს სალექციო მასალა მიაწოდოს, მკვლევარ-ინტერპრეტატორებს კი — ასპარეზი თავისუფალი მიმოხილვისათვის?!. არც იმისათვის, რომ მწერლის შემოქმედებითი ფსიქოლოგია გაიხსნას ანდა მისი მსოფლმხედველობის თანმიმდევრობა თუ ზიგზაგობრივი სვლა გადავიშალოს თვალწინ.

ეს ყოველივე მხოლოდ მას შემდეგ, რაც რომანი საკუთარ სახეს ღირსეულად წარმოგიჩინეს.

არადა, აქ მხატვრული მეთოდის უკიდურესობამდე მიყვანამ გამოიწვია ჯოისი მკითხველისაგან.

და ენის მსხვერვატ, მისი გროტესკული და ექსცენტრული სახესხვაობანი, გადაცდებოდა მხატვრული აუცილებლობის ჩარჩოებს და უნუგემოდ გაიწირებოდა რა-

ღაც ახალი ენის შექმნის შეგნებული თუ გაუცნობიერებელი ნაილი, სამყაროს უხილავ ხმებთან ზიარებისათვის გამიზნული. განზრახვა და შედეგი დაშორებოდა ერთიმეორეს.

ისე, რომ იცოდეთ, კიდევ უფრო მეტი თავყვანისმცემელი შესძინა სნობურ წრეებში — რაც უფრო უძნელდებოდათ კითხვაც კი, არამცთუ რაიმეს გაგება, მით მეტი შარავანდით იმოსებოდა ჯოისის სახელი მათ თვალში, და „ფინეგანის ქელეხი“ საკულტო დანიშნულებასაც ითავსებდა.

რალაც უხილავი მიჯნისათვის გადაებიჯებინა „დუბლინელების“ შემოქმედს.

ეს საცთური კი ბევრს ითრევს, ძიებისა და ექსპერიმენტატორობის უინის დაუოკებლობა ადვილად გადადის მწერლისა და მკითხველის დაშორიშორებაში და მკვლევარ-ინტერპრეტატორთა გამგებლობაში.

მკვლევარ-ინტერპრეტატორები არც გურამ დოჩანაშვილის რომანებსა და მოთხრობებს მოაკლდება, და არც ექსპერიმენტატორები დატოვებენ უყურადღებოდ ენობრივი ექსცენტრიკის ამ უზღვა მასალას — XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოკიდებული, სიტყვათა და წინადადებათა ისეთ



გურამ დოჩანაშვილი ხაშურში, 2005, 11 დეკემბერი

დახვავებას, გზის გაგნება რომ ჭირდა, და თუ ჯეიმზ ჯოისის ენათა აღრევით ახალი მხატვრული ენის დაბადებას ესწრაფოდა, გურამ დოჩანაშვილი ქართულ დიალექტთა აღრევით შეეცდებოდა იმავე შედეგის მიღწევას — სალიტერატურო ენისაგან გამიჯნვით იმ მხატვრული ენის შექმნას, რომელსაც თავისი ნიშანდობლივი ეფექტიც უნდა ჰქონოდა და, რაც მთავარია, ის დედოქარლვი შეენარჩუნებინა, ენის სიღრმეში რომ ჩაბუდებულია და გულუხვად ჰკვებავს დიალექტებსაც და სამწერლო ენასაც, თუკი შესაფერისად დაუგდებ ყურს და მისი მუსიკის შორეულ მელოდიას შეიგრძნობ.

მხატვრული ენა ზოგადქართული ენობრივი პრობლემატისაა ჩარჩოში უნდა დარჩენილიყო, ამ სივრცეში კი დაე როგორც ენება, ისე გაეშალა ფრთები — მწერლის ტალანტის შესატყვისად.

გურამ დოჩანაშვილის ჯერჯერობით ბოლო რომანში „ისედაც დასავლეთელები ომარა და გივია და პლანეტა პოლიუდი“ ძალუმად იგრძნობა ეს სწრაფვა, ენობრივი ექსცენტრიკის გასაშლელად მეტად ნოყიერი ნიადაგის შექმნის, დიალექტების ფარული სილამაზის, სიტყვიერი მიმოხრის ფერადოვნება, თავთავისებურ ნიუანსთა სრულყოფილად წარმოჩენის ნადილი... და თუმცა თვითონ ჩანაფიქრი საგულისხმოა და, გამართლების შემთხვევაში, თხრობის არტისტიზმის ერთ ჩინებულ ნაირსახეობადაც წარმოგვიდგებოდა, მთავარი და უმთავრესი ამ ენობრივი გარსის შესაქმნელად რიტმიკა უნდა იყოს და მელოდიურობა, მთელ თხრობას რომ გაიყოლიებს ძალდაუტანებლად და შეცნობაზე მეტად იდუმალად გაგრძნობინებს ამ მხატვრული ქმნილების თავისთავად სამყაროს.

ის, რაც „ვატერ(პო)ლოოში“ გახდა შესაძლებელი, იმ უკიდურესობად უნდა მიეჩნია მწერალს, რომლის გადამეტებაც უკვე აღარ უნდა ყოფილიყო გამართლებული.

იქ თავისუფლად რომ დაცურავს ენობრივ სივრცეში, იუმორი, რიტმი და შინაგანი მუსიკა შთააგონებს და ალაფრთოვანებს ამ ლალ, ძალდაუტანებელ მიმოგზაურობას, ის საყრდენები, რომელთა გაფერმკრთალებამ, მოდუნებამ და დაყრუებაამაც თხრობის ამოფრთხილება უფრო გამოიწვია, ვიდრე დინამიკა და არტისტიზმი, და ბუნებრიობასა და ძალდაუტანებლობას ჩაენაცვლა ერთგვარი თვითმიზნურობა, რასაც ბოლოსდაბოლოს თვით ჯეიმზ ჯოისმაც ვერ დააღწია თავი.

ვთქვათ და:

„— თელისაქართველო, — და, თვალმდებარეულმა ჩაკიჩა ისი თავისებური... ეე, თუმცა არამედ არქონდათავი და ამიტომ ამ-არამედითაც კიდოცმეტი-არამედ მწვანეთ და მეტად ორიგინალური ქათამიგმირ-ჰერაკლისა დასამაჯურობლობისათვის კირო ჩაკიჩა შუაგულ მკერდშია, საგანგებო...-დ?...-თ?... მაგრამ ხოდავთქვით რომ ანიდაანი და ამიერიდანვე მოდით-მეთქი და მაგრამ ეაქ „დ“-ს და „თ“-ს შეხლა-შემოხლებს და მიწეპებებს განებოთ თავი-მეთქი და ყოველგვარი დთავი, ვახსენოთ-მეთქი ისე — მეტად-უბრალოთ ხანაც იერთი და ხანკი მიორე (შენც, მხმოვანო „ი“ — მი-თომაც „ე“-დ?, ხოლო ისე, კაცმა რომთქვას ეიმერლებს შენ რამეს ვასტავლი ზოგურულივით მე?), მაგრამ, მთლად, ჩვეულებად, რჯულზე უმტკიცესაო კიარა და, თითან ერთულკიკოდაც რო-შეცთვე, განებებაა მერე ამისი ძნელი, რაცა გინდა-რა და რაგინდნა-ირი ავტორ-ჯახნაბ თუ კომპოზიტორრეჟისორული მხატვარი ვიყვე, არადა, ერთპირ-ქართველები რომ რო ვაართა, მაინც?“

ან კიდევ:

„ხოლოესხერხი იმაშია, რომ, რაგინდ აბზაცებ-აბაზე-ბად დავეყო... თუმცა, სადღაა აბაზი და იმისი ჯანი და ხო-

ლოთე-ადრე ფულისი ესიერთეული ჩვე-დღეინდღურათ გაჭირვებულთა,თვის? ნამეტანი და ნამეტურათ თუკი არა, ხომ? — რაღაცა მცირეგანძი და პეტერესაუნჯე და კოკრო-ჭინა-შედლება და პანან-პანუა-თავგასატანი თურმელ, ჰყოფილა, არცვაფასებდით და, კიიყო, იყვო, და ამ მაშინდელ აუღვიარებელ აბზაცებით აქაც-ისევე შეურაცხველად და დუფასებლად როარ აღმოჩნდეს ესაბზაცები? — უკეთესს რასმე-ს, ჩემი თლათ უჭკუეო არა მარა პატარა-მაინც ჭკუა-გონებით, ასეთ-რამესაც შემოგთავაზებთ, ჰაზრსა ვიტყვი? — ცამ ქუხილი დაინყოს-არა, მარა, ეგება სადღაც-რაღაცაში მაინც წავგადგვს ვით გაი-რიჩის, გამორჩეულს, თუმცა სულვერიყო, სოციალისტი...“

ანდა თუნდ:

„ციყვი და ლიმნითნილაშეღებლისკამი“, „სპილო და ორყურიანი ტოლრა“, „თხილი და დისკრიმინაცია“, „ექსკავატორი და ოიდიპოსი“, „ალიგატორი და ჩანგალი“, „ბაიყუმი და ანტინერასთენიკი“, ნაცისკრევი და ოიდიპოსი (რას ჩავაჯინდით) და კლარა ცეტკინი (კარგია აქა ესაცეტკინი, არაძველია, ახალია), „ნუში და ისიცაგენტი“, „ტუტანჰამონი და ესკალატორი“, „გონიერება და ნემომპალა ძალიანთეთრი“, „კლიტემნესტრა და ჩან კიში“, „ჩაპაევი და პიანინო და ზედაცკრახმალი“, ისეკი ხოიცი, თქვენ ხომ სულაცდაარაფერი, მაგრამ, ცოტათი-ოდნავ ძნელიცაა დაუკავშირებელი ურთიერთთან სიტყვებისისი უცბათ მონახვა, მაგრამ ამისთანება მოკლებია?, მთავარი, მაინც, დაახლოვებისა, რომ — ხომდაგასვენეთ!, რადგან აბზაცებურობებებით და აბზაცებში მაინცკი კი-ილო რაღაცა ჰაზრი, ამა-შორიშორთა სიტყვებისი კი თქვენიცკი მეტათ დაუფიქრებლა ყოფნა ხომკი ჰყოფილა დიახაც-კია, ჩემი მიგნებით? — კმაყოფილი ხომ ვარ და ვაარა და, მეტიც-უმფრო — ამა უცხოურ და ჯერარანახან (პარლამენტისი ოლონდ გარდა) აღმაფრთოვანებით აღფრთოვანებულნი, ეს რაკარგი რამ, მოვიფიქრე!!, ჭირიმეჩემი!!!, ხოლო!!! ფაზისი და მტკვარი რა იყო, არამედ ომარამ?“

თავით ბოლომდე არცაა მოხმობილი წინადადებები — კითხვის ნიშნებმა არ შეგაცდინოთ და კითხვითი წინადადების დასასრული არ გეგონოთ. არამცთუ ფრაზის შიგნით, სიტყვისშიგნითაც შეიძლება აღმოჩნდეს ისიც, ძახილის ნიშანიც და მძიმეებს ხომ ვინ მოთვლის — ის, რაც „სამოსელ პირველსა“ თუ „ვატერ(პო)ლოოში“ ინტონაციურ დანიშნულებას იძენდა, ერთი შეხედვით თითქმის უადგილო ადგილას დასმული მძიმეები, არადა, თურმე ზუსტად შერჩეულნი, თანდათან გროტესკის გასაძლიერებელ ნიშნადაც გადაიქცეოდა, მაგრამ ველარ ზიდავდა ამ ტვირთს ცალკეულ შემთხვევათა გარდა და ცოტა არ იყოს მოსაბეზრებელიც შეიქნებოდა — რაც სჩვევია ყველა ხელოვნურ გადამეტებას.

თავით ბოლომდე არცაა მოხმობილი წინადადებები...

მაშ როდის იყო ნაკუნების მიხედვით სრულფასოვანი შთაბეჭდილება დარჩენოდა მკითხველს? მოგეხსენებათ კონტექსტს მონყვეტილი სიტყვაც, ფრაზაც, პასაჟიც თავისთავად ბუნდოვანდება და პირვანდელ შინაარსს არამცთუ კარგავს, შესაძლოა სულაც საპირისპირო აზრი შეიძინოს.

თუმცა ამჯერად გამართლებულია, რაკილა ნაკუნები არ არიან მონყვეტილი მთლიან კონტექსტს და ზუსტად მია-ნიშნებენ მკითხველს გურამ დოჩანაშვილის ბოლოდროინდელი სტილისტიკის ზოგად იერსაც და თავისებურებასაც.

იქნებ ვერც გურამ დოჩანაშვილი ხვდება, რარიგ გაუგებარია მისი ეს რომანი („ლოდი, ნასაყდრალს“ მასთან შედა-

რებით კიდევ რა უშავს, ლამის სისადავედაც მოგეჩვენოს მისი თხრობის ასერიგად გართულებული მანერა)? და რომ მისი ვრცელი მონაკვეთები, ჩვენც რომ ძალიან არ ვიმტვრიოთ თავი, ლამაზი აბდაუბაა?

ნეტა მის მიერ ნაკითხულს როგორ აღვიქვამდით, თანაც ფირზე რომ ჩაგვეწერა და დროდადრო მოსმენის საშუალება გვქონოდა?

იქნებ ჩვენც ელიოტივით დაგვცდენოდა: მართლაც ძალიან ლამაზია ავტორის მიერ მშვენიერად ნაკითხული.

სხვათა შორის, „ისედაც დასავლეთელები ომარა და გივია და პლანეტა ჰოლივუდიც“ ვრცელი პროზაული პოემის ერთ-ერთ ნაირსახეობად წარმოგვიდგება, და ვერც მისგან შეიგრძნობთ ესთეტიკურ სიამოვნებას და ვერც აუცილებელი შესწავლისა და განხილვის შემდეგ იქნები დარწმუნებული: სწორად გავიგეო.

თვითონაც იოლად წამოჰკრავს ხელს: მოთხრობაა თუ რალაცააო...

მაინც შემწყნარებლობის გამოჩენა გვიჯობს, შესაფერისი პატივის მიგება სტილურ-ენობრივი ძიებებისა და თუნდაც გადამეტებული ექსპერიმენტატორობისათვის, შეუვალი ზღუდე-გავლენით შემოსაზღვრულად რომ ვაღიარებთ, იქვე ისიც უნდა დავძინოთ: ერთი ამისთანა ნიგნის არსებობა სავსებით საკმარისიაო.

თუმც მოთხრობები აღარ უნდა ემატებოდეს... და ავტობიოგრაფიული რომანიც („რაც უფრო მახსოვს და მეტად მაგონდება“) თხრობის ამავე მანერას აღარ უნდა მიუყვებოდეს...

ისე საინტერესო კი არის — რაკილა შეჩერება აღარ სურს თუ ვეღარც მოუხერხებია — სადამდე შეიძლება მივიდეს ეს ყოველივე?

სტილური ძიებანიც უფსკერო ნიაღია.

მაგრამ...

მაინც...

გახსოვთ? მკითხველის აპოლოგიად ჩაეფიქრებინა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

და კიდევ მოუხდებოდა, ამდენი წლის შემდეგ, მკითხველისათვის ქება ეძღვნა.

იმავე მხატვრულ ხერხს ხომ აღარ გამოიყენებდა... ამიტომაც არამარტო მიძღვნაში მოაქცევდა თავის განცდას:

— უღრმესი მაღლობით ვუძღვნი ჩემდამი კეთილგანწყობილ ჩემს მკითხველებს, რომ არც იციან ისე — თანამდგომებს, განსაკუთრებით კი შენ, ბატონო და ჩემო, კახა, ჯამბურია, თანამდგომსა და როგორს მერე... მართლაც თანაავტორს.

არამედ რეფრენადაც მოიმარჯვებდა და დროდადრო შეეხმინებოდა: ჩემო კახა და ჩემო კახაო. ამ სახელში განაზოგადებდა წამდვილი მკითხველის გემოვნებას, მართლაც განმსაზღვრელს სამწერლო ცხოვრების რანგისა.

ღირიკულ გადახვევებსაც მის სახელს დაუკავშირებდა:

— არ გეგონოთ თუ, ჩემო მკითხველო და პირველ რიგში კი... ეე, არა, ეე, თუმცა პირველი რიგი და მეტვრამეტე კინოსთვის უფროა მაგრამ გადატანითი მნიშვნელობით პირველ რიგში-ო სწორედ და სწორადაც თქვენ უნდა მოგმართოთ, ჩემო ერთდროულად მართლაცდა რომ — ჩემო და ბატონო კახა — თქვენი შესანიშნავი ოჯახით, ოჯახიშ-

ვილობით, აღზრდით, ზრდილობით, თავდაჭერილობით როგორ თავაზიანს, ქცევით, განათლებით როგორ ძალიან მეამაყებით და ჩვენი ახლობლობით? — ჩემო კახა — მინდა გამოგიტყდე და შენი თანადგომის იმედი, როგორც ყოველთვის ახლაცა მაქვს...

ღირიკული გადახვევები კონსტანტინე გამსახურდიასაც სჩვეოდა, და საკუთარ თავს რომ მიმართავდა სულის მოსათქმელად თუ მხნეობის მოსაკრებად, ჩანართებსაც შინაგან დიალოგზე ააგებდა.

შინაგანი დიალოგის ხერხი აკი მხატვრულ მეთოდადაც გაეაზრებინა გურამ დოჩანაშვილს „ვატერ/პო/ლოო, ანუ ა/ლდგენით სამუშაოებშიც“ და „იყო ერთ კაცშიც“, და კვლავ რომ დაისაჭიროებდა, ლიტერატურულ პერსონაჟსა თუ გარდაცვლილ უცხოელ კინომსახიობ ქალს კი აღარ გამოიხმობდა, არამედ მის გვერდით მცხოვრებ პიროვნებას ამჯობინებდა... და განზოგადების არსი ის იქნებოდა, რომ წამდვილ მკითხველს არა მხოლოდ თავის თანადგომად, არამედ საერთოდაც ჭეშმარიტი მხატვრული ღირებულების თანაავტორად გამოაცხადებდა.

და ამ შეხედულებისათვის მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად მოისაზრებდა მის რეფრენულ განმეორებასაც და სახელის გასიმბოლოებასაც, რათა მწერლისა და მკითხველის დიდი სულიერი თანაზიარობის მაღლი ეღალადა!..

გურამ დოჩანაშვილის ბოლოდროინდელ ნაწერებთან დაკავშირებით სულ უფრო ხშირად რომ ახსენებენ ოთარ ჩხეიძის სახელს, იგი არამცთუ უკიდურესობამდე არ მისულა არასოდეს, ენობრივი ექსცენტრიკისთვისაც არ მიუმართავს და მისი სტილურ-ენობრივი ძიებანი ყოველთვის ქართული ენის ნორმათა ფარგლებში ტრიალებდა, ის „რო“-ც რიტმის გასაძლიერებლად სჭირდებოდა, რასაც მოგვიანებით თითქმის ყოველი სიტყვის, ის კი არა, „და“ კავშირის შემდეგაც, ნერტილის დასმაც შეაშველა, სინონიმურ სიტყვათა ბრუნვატრიალს კი საძირკვლად მკვეთრი რიტმიკა და მელოდიურობა ჩაუფინა, განსხვავებული გადასვლებიც მოუძებნა — მონაცვლეობისათვის, რათა მონოტონურობას სრულიად გამიჯვნოდა, ოდესღაც „ვეფხისტყაოსანში“ მაღალი და დაბალი შაირის მონაცვლეობისა არ იყოს, ბელეტრისტიკაში ამ მხატვრული ხერხით ვასილ ბარნოვს რომ ესარგებლა რუსთველის გავლენით და თავისებურ ანდერძადაც დაეტოვებინა რიტმიკის საფუძველზე აგებული პროზის ეს შინაგანი მოთხონილება — ყველასათვის გასათვალისწინებლად.

ვასილ ბარნოვის რომანებსა და მოთხრობებზე ღრმა დაკვირვება საცნაურს ხდიდა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცდილების ამ ოსტატურ გაზიარებას, და ოთარ ჩხეიძე ამ შეფარულ მხატვრულ ხერხს რომ მიაკვლევდა „მიმქრალი შარავანდედის“ შემოქმედის ქმნილებებში, თვითონაც მარჯვედ გამოიყენებდა და თავისი ტემბრის მრავალფეროვნებისათვის გამოიყენებდა, რიტმის სიციცხალისათვის... და ოცდამეოთხე რომანს ისე დაწერდა, არც რიტმი მოუდუნდებოდა და არც შინაგანი მუსიკა დაუყრუვებოდა — ამიტომაც არ გადაქცევია არცერთი რომანი ერთ მთლიან ექსპერიმენტად, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერიმენტატორად გამოჩნდა და დამკვიდრდა ჩვენს მწერლობაში და ძიების დაუმცხრალი ჟინი ღრმა სიბერისასაც შეინარჩუნა.

საერთო ამ ორ მწერალს შორის სხვა მხრივაც საძიებელი, თორემ „ისედაც დასავლეთელები ომარა და გივია“ არ გამოდგება ანალოგიების საჩხრეკ-დასადგენად „მატიანე ქართლისას“ რომანთა ციკლთან. ანალოგიები იმ პოეტურ ნაკადთან — ჩვენი კრიტიკის მიერ ირონიულ-პაროდულად მონათლულთან — უფროა მოსალოდნელი, ტარიელ ჭანტურია და ვახტანგ ჯავახიძე რომ განასახიერებენ ყველაზე მკვეთრად და ენობრივი ექსცენტრიკის წარმატებული ნიმუშებიც დაუხვავებიათ.

სხვათა შორის, ვახტანგ ჯავახიძე მონოგრაფიას რომ მოჰკიდებდა ხელს გალაკტიონ ტაბიძეზე, მის პირველ გამოცემაში თხრობა უმთავრესად აიგებოდა პოეტის არქივის იმ ნაწილზე, შემოქმედებით ლაბორატორიას რომ გვითვალსაზრისუბნებდა და ენობრივ-სტილური ექსცენტრიკისა თუ პოეტური ეკვილიბრისტიკის მრავალფეროვან სურათს გადაგვიშლიდა.

მათგან ცალკეული ნიმუშები კიდევ გამოეყენებინა გალაკტიონს ლექსებში — უცნაური სიტყვებიც და ფრაზებიც შექმნა, მაგრამ ლაბორატორია მის ძიებათა თანმიმდევრობას რომ გვამცნობდა, სიტყვათა ათავსვარად ათამაშების, მიმოტრიალების, დაშლა-ანყოფის, ერთიმეორეში გადასვლის მახვილოვანივრულ თავგადასავალს უკვე თავისთავადი მნიშვნელობა ენიჭებოდა და დამოუკიდებელ საკითხავადაც იქცეოდა ვახტანგ ჯავახიძის მიერ მოხდენილად მოქმენილი კომპოზიციური ქარგისა და თხრობის მოზაიკური მანერის წყალობით.

შემდგომ და შემდგომ, მონოგრაფიის სულ უფრო შევსების კვალბაზე, „უცნობი“ მხატვრულ-დოკუმენტურ რომანდაც წარმოდგებოდა და გალაკტიონის სტილურ-ენობრივი ექსცენტრიკის დამადასტურებელი სურათი შედარებით უფრო მიიფარებოდა, მაგრამ კვლავაც რჩებოდა თხრობის ერთ-ერთ მთავარ ძარღვად, მონოგრაფიის ავტორისათვის ობიექტური რეალობის აღდგენის სურვილთან ერთად საუბიექტური მნიშვნელობაც რომ ენიჭებოდა — გალაკტიონის ლანდი შემოქმედებებში თავისი სტილურ-ენობრივი ძიების იდუმალ მეკავშირედ, რასაც მკითხველი თავისით უნდა მიმხვდარიყო და კიდევ უფრო ერწმუნა ენობრივი ექსცენტრიკის მხატვრული დანიშნულება და ამ მიმართულებით კვლავ და კვლავ ძიებისა და გარჯის აუცილებლობაც.

გალაკტიონისათვის ეს უფრო ლაბორატორია კი ვახლდათ, მაგრამ გალაკტიონის ლაბორატორიაც დიდმნიშვნელოვანია და ბევრგვარად გასათვალისწინებელი.

ეს რომ თვითმყოფადი სამყაროც არ იყოს, გარდა საშენი მასალის თუ ხელის გავარჯიშებისა, ვახტანგ ჯავახიძე იმ პირვანდელ მონოგრაფიას იკმარებდა, შედარებით მომცროს, და გაუთავებლად არ გაზრდიდა და გაზრდიდა, გამოცემიდან გამოცემამდე საგრძნობლად რომ მოიმატებდა წონაში და საბოლოოდ ვეებ ტომად აღიმართებოდა.

რალა გალაკტიონის ლაბორატორიაში ტრიალი და რალა ერთი კარგი სათავგადასავლო რომანის გადაკითხვა.

და სურვილი გიჩნდება, ასეთი სათავგადასავლო რომანები თუ მოთხრობები სხვა მწერალთა ლაბორატორიებზეც შეიქმნას. ბევრი არ იქნება ამ წრის შემავსებელი, მაგრამ რაც იქნება!..

ერთი ასეთი მონოგრაფია გურამ დოჩანაშვილზეც რომ დანერილიყო!..

თავისი ვახტანგ ჯავახიძე მასაც გამოსჩენოდა და მისი ენობრივ-სტილური ძიებანი სათავგადასავლო რომანის ქარგად გამოეყენებინა.

ასეთი ექსპრესიით, ასეთი ხელოვნებით, „უცნობი“ რომ მოგვეგვლინა, და დოჩანაშვილისეული ნეოლოგიზმებიც, ფრაზათა უცნაური მიმოხრანიც და სასვენი ნიშანთა „არადანიშნულებისამებრ“ გამოყენებაც დიდად სახიერ, არტისტიზმით აღბეჭდილ, ლამის სათავგადასავლო თხრობის შუაგულში მოქცეული არაერთხელ დაგვაფიქრებდა ქართული ენის ბუნებასა და ლექსიკისა და სინტაქსის ამოუნურავ შესაძლებლობებზე, იუმორი და მახვილგონიერება რომ გავგიძღვებოდა მისი სიღრმეებისაკენ.

ავტორს მასალა მოაკლდება თუ რა!..

მაგრამ როდესაც სიუჟეტიც დაგიშლია, დაგიშლია ხასიათებიც და დაუსრულებელი თხრობა პირწმინდად ენობრივი ექსცენტრიკისათვის დაგიმორჩილებია, ნულა დავძრაზავთ მკითხველს, გზა-კვალი თუ დაებნევა უსიერ ტევრში და უკვე ველარც მარჯვე მიგნებებს, ბელეტრისტული ეკვილიბრისტიკის მომხიბლავ გამოვლინებებსაც ველარ დააფასებს შესაფერისად.

რასაც იტანს — ისიც მეტ-ნაკლებად — ლექსის მოკლე ჩარჩო, ისეთივე ეფექტურობით ველარ აიტანდა ასერიგად გაბმული, დაუსრულებელი თხრობა.

ერთი ამისთანა წიგნის არსებობა საესებით საკმარისიაო...

ასე ადვილი გასამეტებელიც არ არის „ფინგანის ქელეხი“, ამიტომაც გარკვეული ფუნქცია უნდა მინიჭებოდა ამ ვეება ექსპერიმენტს — და არა მხოლოდ ჯიმი ჯოისისა და ტომას ელიოტის პირადი მეგობრობის გამო.

„ისედაც დასავლეთელები ომარა და გივია და პლანეტა პოლივუდი“ კი — ამ თავისებური ფუნქციის, ვეება ექსპერიმენტობის, გარდა — სხვა მხრივაც უდავოდ გამორჩეულია და დაუფინყარიც დარჩება ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში.

რატომ და:

უკვე დასასრულისაკენ რომ გადაიხრებოდა თხრობა, მაშინ მოხდებოდა ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში „ომეგა ჯგუფის“ უკანონო დარბევა და მის მიერ შექმნილი ეკონომიკურ-კულტურული სივრცის შეჩერება. შეჩერებაც მერე დაერქმეოდა, თორემ იმხანად შესაძლოა ეს სივრცე სრულიად დანგრეულიყო კიდევ.

და მაშინ გურამ დოჩანაშვილიც აღიმალეზბდა ხმას უსამართლობის წინააღმდეგ და პროტესტის ნიშნად განაცხადებდა: ამ რომანსაც შევწყვეტ და საერთოდ სტრიქონსაც აღარ დავწერ, ვიდრე კანონი და სამართალი არ იხეიმებსო!..

2004 წლის 24 თებერვლის საპარლამენტო სხდომაზე ნატო ჩხეიძე, იმჟამად დეპუტატი, საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ გამწვავებულ ვითარებასა და განუკითხაობას რომ ამხელდა, ამ ფრაზასაც ჩაურთავდა:

— ქვეყანაში შექმნილი უკანონობისა და უსამართლობის გამო... დიდი მწერალი გურამ დოჩანაშვილი პროტესტის ნიშნად კალამს გვერდზე დებს.

სიტყვა სიტყვა იყო, რასაც დიდი მწერლები არასოდეს ღალატობენ.

და მხოლოდ მაშინ აღადგენდა განწყვეტილ თხრობას, როდესაც ის ეკონომიკურ-კულტურული სივრცე თითქმის წელიწადის შემდგომ კვლავ დაუბრუნდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულს.

და რა სადავოც უნდა ჰქონდეს სალიტერატურო კრიტიკას ამ რომანის მხატვრულ მხარესთან, მისი ზნეობრივი უზადობა ისეთი თვალნათლივია, ქრესტომათიულ ღირსე-

ბასაც რომ იძენს და კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს მწერლისა და მწერლობის მისიაზე.

XII.

სანთლის ჩუმი წვა — ამაღლება

კანუდოსი — გურამ დოჩანაშვილის ოცნების ქალაქი — ჩვენი ოცნების ქალაქიც გახლდათ, ხუთი რჩეული — ზე მორეირა, მანუელ კოსტა, ჟოაო აბადო, მოხუცი სანტოსი და დონ დიეგო — ვინც შემდგომ დიდი კანუდოსელები შეიქნებოდნენ, უახლოეს მეგობრებში არ გამოგვეჩვენოდა, და განსაკუთრებით კი გვხიზლავდა მენდეს მასიელი, მისი გარდასახვა ლაჩარი, უქნარა, ბედსპერიგებული კაციდან ხალხის წინამძღოლად. თვითონ მორიდებით შესთავაზებდათ: კონსელიერო დამიძახეთ, მრჩეველს ნიშნავსო, — მაგრამ მრჩეველზე ბევრად მეტი იყო და ხალხიც ცაში აზიდავდა მის სახელს, სახელს კაცისა, ვინც პირდებოდათ: თავისუფლებას გაჩვენებთ, თუ რა არის, ბრძოლაც მოგველის, ისიც იცოდეთ, რომ დავმარცხდებით, მაგრამ სილაღეს ხომ მაინც იგემებთო.

აღფრთოვანებულნი ვიყავით ამ აღთქმით, თავისუფლების სიღიადეს რომ განგვაცდევინებდა და გამჭვირვალედ მიგვანიშნებდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენაზე, სახელმწიფოსი, დასახლებული რომ იქნებოდა ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანებით, რომელნიც ჩამოიბერტყავდნენ „კამორას“ რკინის სალტეებსაც და მის მორალსაც და დიდ სულიერ ფერისცვალებას მოახდენდნენ იმ მინა-წყალზე, რომელსაც ორი საუკუნის მანძილზე სამად სამი წლით ეღირსა თავისუფლების სარკმელში გახედვა. და თუ მამათა თაობა ვერ შეძლებდა თავისუფლების ხანაში სახელმწიფოს მოქალაქის შესაფერისად ცხოვრებას, გზას ხომ მაინც გაუკაფავდნენ შვილების თაობას — ეგვიპტიდან მოსე წინასწარმეტყველის მოთავეობით ქანაანისაკენ დაძრული ებრაელებისა არ იყოს — და... ეღირსებოდა, უთუოდ ეღირსებოდა ლუხუმსაც ლაშარის გორზე შადგომა!..

ილიას ოცნების ახდენად შევყურებდით კანუდოსს — და არ დაგიდევდით, რომ კონსელიერო თანასწორობას ქადაგებდა, როგორც იმ ოცნების ქალაქის მორალის, საზოგადოებრივი ყოფისა და პოლიტიკური მოწყობის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს.

ზოგნი თანასწორობის იდეას — როგორც ჟან-ჟაკ რუსოს, იაკობინიზმის, კარლ მარქსის პოლიტიკური მრწამსის ერთ-ერთ საყრდენს — ეჭვით შევყურებდით, მაგრამ ისეც არა, ამ იდეას ჩვენს თვალში კანუდოსის ამაღლებული, გაბრწყინებული ხატება რითიმე დაეკინებინა, და კანუდოსელთა თავგანწირული ბრძოლის, მათი ჰეროიკული დღეების შთამბეჭდავი აღწერითაც ვითქვამდით სულს — უკეთესის იმედებით, უარესის გაძლებით (მურმან ლებანიძის სტრიქონისა არ იყოს).

კანუდოსელნი რომანის ფურცლებზე განიცდიდნენ თავისუფლების სულის მობერვას.

და ჩვენც... იმავე გარემოში — დიახ, იმავე ფურცლებზე, რაკილა მხატვრული სინამდვილე ყოფით რეალობაზე ბევრად აღმატებული გვეგონა, და მენდეს მასიელს იმ წინამძღოლად ვალიარებდით, რომელიც აქაც მოგვხედავდა, ამ ბედკრულ მინა-წყალზე, — მხატვრულ სინამდვილეში მოეხვეჭა იმხელა სახელი და გავლენა და ყოფით რეალობა-

ში „კანუდოსის“ დაფუძნება მისთვის სულ რაღა უნდა ყოფილიყო!..

და ხანი უნდა გამოხდეს, საკმაო ხანი, და პაატა ჩხეიძე-მაც ღრმად უნდა ჩაიხედოს პოლიტიკურ მოძღვრებათა არსში, განსაკუთრებით მაინც კონსერვატორული და ლიბერალური დოქტრინები და მათი განშტოებანი შეისწავლოს, რათა თავისდამოულოდნელად — და მკითხველის გამოგნებლად — აღმოაჩინოს, რომ კანუდოსი, როგორც ოცნების ქალაქი და დამოუკიდებელი საქართველოს ხატი, უტოპია უფროა, ვიდრე რეალური სინამდვილის ანარეკლი, პანტიოკრატიაა, სადაც ყველა თანასწორად და სიამტკილობით ცხოვრობს ქარიზმატული წინამძღოლის მენდეს მასიელის წყალობით, ვინც შთააგონა ხალხს, არ მოეთმინათ ექსპლოატაცია, ამბოხებულებიყვენ და ახალი გარემო ექებნათ დასამკვიდრებლად.

— ბრძოლა მოგველის... ისიც იცოდეთ, რომ დავმარცხდებით, მაგრამ სილაღეს იგემებთ, ძმებო — თავისუფლებას გაჩვენებთ, რაა...

სილაღეს ნამდვილად იგემებდნენ ვაკეიროები სერტანადან კანუდოსში გადასახლებისას, მაგრამ თავისუფლება?..

თუ სილაღესა და თავისუფლებას მაინცდამაინც არ ვაკვირებთ ანდა თავისუფლება სრულ ნებაზე მიშვება არ გვეგონება, კანუდოსი ერთბაშად დაშორებული აღმოჩნდება სახელმწიფოს იმ მოდელისაგან, რომელსაც მომავალი უწერია... და თუ არ დაიღუპება, მისი მოჩვენებითი დემოკრატიზმი დესპოტიზმში გადაიზრდება, თორემ პირწმინდად გამორიცხულია, ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობით ცხოვრებამ დიდხანს გასტანოს, კონსელიერო რასაც უქადაგებდათ და დასაწყისში ილუზიების მომხიზლავი ფერები მართლაც გაუხუნარი ჩანდა.

სილაღეს იგემებთო.

იგემეს.

თავისუფლებას გაჩვენებთ, რააო.

აი, ეს კი...

და თუ რატომ, პაატა ჯერ პირადი საუბრებისას ჩამოაყალიბებდა დიდი ხნის ნაფიქრს, მერე კი ესეის — „მწერალი და ზნეობრივი წარმოსახვა“ („ჩვენი მწერლობა“, 2010, №9) — ქარგადაც აქცევდა, სრულიად ახლებური თვლით რომ განსჯიდა, ერთი მხრივ, „დათა თუთაშხისა“, მეორე მხრივ კი — „სამოსელი პირველის“ იდეურ საყრდენებს. ახლებური თვლით, ანუ — ამ რომანებში განფენილ მსოფლმხედველობას რომ დაუკვირდებოდა, რაც მანამდე არასოდეს მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ ერთი წიგნიც და მეორეც არაერთხელ გამხდარა ლიტერატორთა საჩხრეკ-სამსჯელო.

და თუ რატომო:

— ქალაქს არ გააჩნია ფესვები, ისტორია, წარსული, კანონები, სასამართლო, რელიგია, ეკლესია... ყველაფერი კონსელიეროს არაჩვეულებრივ ნიჭსა, ცოდნასა და უნარზეა დამოკიდებული. ამრიგად, ქალაქში არ არის თავისუფლება, ანუ ცხოვრება ტრადიციისა და რელიგიის ჩარჩოში.

ესეც განსხვავება თავისუფლების წამდვილ რაობასა და მის მოჩვენებით საბურველს შორის:

ტრადიციისა და რელიგიის ჩარჩო ქმნის თავისუფლების იმ ჭეშმარიტ სახეს, რომელიც ირღვევა ამ ჩარჩოს გადაბიჯებით.

ჩარჩოს მიღმა ნულა ეძიებ თავისუფლების ნურარა სახეს — მოჩვენებითსაც მხოლოდ დროებით, ვიდრე ერთბა-

მად გაგიქრებოდეს და მკაცრი სინამდვილის წინაშე ამოგაყოფინებდეს თავს.

ესეის იმ პასაჟისა არ იყოს:

— ეს არის ის, რასაც წმინდა დემოკრატია უწოდებენ ფილოსოფოსები და რაც აუცილებლად გადაიზრდება დესპოტიზმსა და ტირანიაში.

ეს კი დაცლებულია ილია ქავჭავაძის მსოფლმხედველობას და მიახლოებული უტოპიურ სოციალიზმს, საიდანაც მარქსიზმამდე აღარაფერი რჩება.

პაატა ჩხეიძე პირნიმინდად გამოიციხავდა „სამოსელ პირველში“ საბჭოთა კონიუნქტურის არსებობას და საგანგებოდ აღნიშნავდა: გურამ დოჩანაშვილი სახეებით გულწრფელია, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს მოდელს მაინცდამაინც ასეთად წარმოიდგენს, ასე ხედავს, ასეთია მისი ზნეობრივი წარმოსახვაო.

ილიას სახელის განმადიდებელი, მის სახელზე მლოცველი თურმე იდუმალად იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალობით მოხიბლულა, რაც ილიას მსოფლმხედვის საპირისპიროა, ოღონდ... გვიანდელი ილიასი, მთლიანად კონსერვატორულ მრწამსზე რომ დააფუძნა თავისი ეროვნული მოძღვრება და ოცნების საქართველო წარმოსახვის ამ ემბაზში ამოხანა... და არა ადრინდელი ილიასი, ლიბერალური დოქტრინის მიმდევრის, სწორედ ისეთი სახელმწიფოებრივი მოდელით რომ აღტაცებულიყო, რაც შთამბეჭდავი მწერლური ძალით გამოიხატებოდა „სამოსელი პირველის“ იმ ნაწილში, კანუდოსის ქებათაქებად რომ წარმოგვიდგება.

გურამ დოჩანაშვილი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის პირობებში ისეთ სინამდვილეს ენუქვის, როგორსაც ლევ ტოლსტოი თუ ჯეკ ლონდონი მიელტვოდნენ სწორედაც სოციალისტური უტოპიით შთაგონებულნი, და ამ იდეალის მხოლოდ მხატვრულ-ფილოსოფიური ხორცშესხმა ძალიან უკმარი რომ მოეჩვენებოდათ, ყოფით რეალობაში ამიტომაც მოინდომებდნენ მისთვის თავის მოხმას.

ტოლსტოური ახალშენები ანდა ჯეკ ლონდონის ფერმა სხვა კი არაფერია, თუ არა კანუდოსის წინასწარსახე, მისი მინიატურული მოდელები, ეგაა, გურამ დოჩანაშვილივით პერსონაჟებს კი არ მიანდეს უტოპიური სინამდვილის შექმნა, არამედ თვითონვე იტვირთეს წინამძღოლობა და თანასწორობისა და კეთილდღეობის საფუძველზე შემოფარგლეს ის ახალშენები, რომელთაც არ გააჩნდათ არც ფესვები, არც ისტორია, არც წარსული, არც კანონები, არც სასამართლო, არც რელიგია, არც ეკლესია... და ყველაფერი ლევ ტოლსტოისა თუ ჯეკ ლონდონის არაჩვეულებრივ ნიჭსა, ცოდნასა და უნარზე იყო დამოკიდებული.

არადა, ვერ უშველიდა მათი სახელობის ახალშენების სიცოცხლისუნარიანობას ვერც ამ სახელგანთქმულ მწერალთა ეს თვისებანი და ვერც პიროვნული კეთილშობილება და უანგარობა.

თურმე ველარც თვითმწიფავა.

ლევ ტოლსტოი ღმერთთან შესახვედრად რომ გარბოდა და გზაში აღესრულა, ეს იმ იდეალის გამოტირებაა, მომხიბლავ ჭრელ-ჭრულაში შეფუთულის, რომლის მკაცრი სახის გაცნობიერებაც ვერ არჩიდ ჯორჯაძეს გამოაქცევდა ტოლსტოვური ახალშენიდან, მერე კი თვით „ანა კარენინას“ შემოქმედსაც აუყრიდა გულს თავის მოძღვრებაზე, მის უნიადაგობაში რომ დარწმუნდებოდა.

ჯეკ ლონდონი, სასწარმკეთილებისაგან სულიერად დავრდომილი, თვითმკვლელობაშიდა ეძიებდა შვებას.

როგორ გინდა გაუძლო, როდესაც შენს თვალწინ გადაგვარდებიან იმ ფერმის მკვიდრნი, რომელთაც თითქოს მინიერი სამოთხე განუმზადე წუთისოფლის დღეების გადასატანად, არადა, ამ ახალმოსახლეთა თანასწორობა და სიამტკბილობა მალევე უნდა გაჰყვეს ქარს და თავი იჩინოს იმ მდაბალმა ადამიანურმა ვნებებმა, რომელთა გარდაქმნა-ფერისცვლებაც ოცნებად გადაქცეოდა ჯეკ ლონდონსაც და თავის ამქვეყნიურ მისიას ახალი ადამიანის შექმნაში ხედავდა.

უტოპიური სოციალიზმის გარემომ საყრდენი გამოაცალა ადამიანებს, აღარაფერი დაუტოვა ხელმოსაჭიდი და... თავიანთ კეთილისმყოფელს დაუნდობლად ამიტომაც დაუპირისპირდნენ.

ჯეკ ლონდონს რაღა დარჩენოდა — ან დესპოტიასა და ტირანიაში უნდა გადაეზარდა თავისი წინამძღოლობა, ან მარცხს შეგუებოდა ანდა წუთისოფელს გამოთხოვებოდა.

მისი ბუნების კაცი, გასაოცებელიც არ არის, მესამე გზას ამჯობინებდა.

არადა, ლევ ტოლსტოიც და ჯეკ ლონდონიც თავიანთ წარმოსახვაში ისეთ იდეალს ქმნიდნენ, ცხოვრების მოწყობის ისეთ სურათს, ერები ძალდაუტანებლად რომ შეერწყმოდნენ ერთმანეთს და ახალი სინამდვილე, ახალი სამყარო ბაბილონის გოდოლამდელი კაცობრიობის განმეორებად წარმოგვიდგებოდა, და თუ გაამართლებდა ეს ახალშენები, წინ რაღა დაუდგებოდა მათ შეერთებასა და მართლაც კაცობრიობის გარიჟრაჟისდროინდელი სინამდვილის აღდგენას.

ბოლშევიზმი — მარქსისტული კლასობრივი თეორიით ზურგმომავრებული — იმთავითვე უარყოფდა სოციალისტური უტოპიის ხორცშესხმის ჰუმანურ გზას და ცეცხლითა და მახვილით შეეცდებოდა ადამიანთა გაბედნიერებასა და მინიერი სამოთხის დამკვიდრებას.

ამ ტრაგიკომიკურ მცდელობას დიდი ხელოვნებით ამხელდა გურამ დოჩანაშვილიც და კამორა იმიტომაცაა ასეთი შთამბეჭდაობით წარმოსახული, სიჭაბუკიდანვე უმძაფრესად რომ შეიგრძნობდა და განიცდიდა სიცრუისა და სიყალბის ფესვზე ამოზრდილ ამ ძალმომრეობას, სხვა ბოროტგანზრახვებთან ერთად — ეროვნულ სახელმწიფოთა გაქრობის მონადინესაც, და ახალ იდეალს რომ უპირისპირებდა კანუდოსის სახით, გარეგნულად მართლაც განსხვავებულ მოდელს ქმნიდა, არსებითად კი იმ ჩარჩოს ვერ სცილდებოდა, რასაც ასეთი შეურიგებლობით შეწინააღმდეგებოდა.

თავისი მხატვრული სამყარო ამ ორ ნაკადზე დაყრდნობით გაეშალა — ეროვნულ ტრადიციასა და რელიგიურ სულისკვეთებაზე (ეს მეორე ნაკადი სულ უფრო და უფრო გათვალსაწინოვდებოდა და საუკუნის მიწურულიდან საბოლოოდ და მძლავრად დამკვიდრდებოდა მის მხატვრულ ძიებებში), მაგრამ კანუდოსის — ანუ დამოუკიდებელი საქართველოს — მოდელი როგორღაც ცალკე რჩებოდა ამ ნაკადთაგან გარიდებული, რადგან ამ ნაკადთა საყრდენებზე რომ ამოეზარდა, მენდეს მასიელიც სულ სხვაგვარ ხასიათად უნდა გამოკვეთილიყო და სიუჟეტიც სხვაგვარად წარმართულიყო, ისე — როგორც უკვე აღარ ხიბლავდა მწერალს.

მაგრამ სილალეს იგემებთ, ძმებო — თავისუფლება გაჩვენებთ რააო...

თუ გურამ დოჩანაშვილი თავისი ოცნების სახელმწიფოს წარმოსახვისას ადრეულ — ლიბერალ — ილიას ეყრდნობოდა, ზვიად გამსახურდია დამოუკიდებელი საქართველოს დამკვიდრებისას გვიანდელი — კონსერვატორი — ილიას მოძღვრებას გაიხდიდა გზის გამკვლევადა და მანათობლად.

აქ დაცვილებულა მათი მსოფლმხედველობა, აქ შეჯახებია ერთიმეორეს, როგორც გვიანდელი ილია შეეჯახა ადრინდელ ილიას და ირონიით გაჰყურებდა თავის ლიბერალურ წარსულს, საიდანაც აღარაფერს დაიტოვებდა ტაქტიკური, დიპლომატიური მოსაზრებითაც კი. სიჭაბუკიდან მარტოდენ იმ სწრაფვას შეინარჩუნებდა, ქართლის ბედს რომ აყოლილიყო და არც არასოდეს განელებოდა ეს განცდა, ეგაა, თანასწორობის იდეითა და საფრანგეთის რევოლუციის ნამემკვიდრევი სხვა შეხედულებებითაც ანთებული ჯერ სოციალურ სატიკვართა განკურნებას დაისახავდა უმთავრეს მიზნად, თანაც აუცილებლად რევოლუციური გზით, და სასაცილოდ არა ჰყოფნიდა იმათი შიში, ამ სიტყვის — რევოლუციის — გაგონება ასე რომ ზაფრავდა.

მერე აქი თვითონაც დაზაფრავდა ეს სიტყვა და ყველაზე დიდ დაბრკოლებად, საბედისწერო მოვლენად მიიჩნევადა ყოველგვარ რევოლუციას — პიროვნებისთვისაც, ერისთვისაც, სახელმწიფოსთვისაც.

მომხიბლავ, ამაღლებულ, გულთმაამ იდეათა ნაკლებობას არც არასოდეს განიცდიდა კაცობრიობა, მაგრამ, აი, მათი ხორცშესხმა-დამკვიდრება კი... ფურცლებს რომ გამოშორდებოდი, მერე რალას აპირებდი... ანდა ძალმომრეობით როდემდე გააძლებინებდი?! კაცობრიობის ისტორია სულ სხვას გამცნობდა და გიდასტურებდა, და თუ მაინც-დამაინც კაცობრიობისათვის ყველაზე სწორი გზის დასახვაში ჰპოვებდი შენი ამქვეყნიური მოვლინების გამართლებას, ყურიც დაგეგდო მისი გულისთქმისათვის, იმ სწრაფვისათვის, კაცთა მოდგმა თავისი არსებობის საძირკვლად ერების სიმრავლეს რომ მიიჩნევადა და ამ ჰარმონიის დამკვიდრებისათვის იღვწოდა.

ერთმანეთს გადანვნიდა ზვიად გამსახურდიას მსოფლგანცდაც და სახელმწიფოებრივი იდეალიც, და თუ „ულისხლო რევოლუციაც“ დაცდებოდა და საამისოდაც შემართულიყო, როდესაც დამაჩქარებლად მოევიდნებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს, ესეც იმიტომ, რომ ადამიანი პირნიინდად ვერ დააღწევს თავს იმ გარემოს, რომლის შვილიცაა, გნებავთ წინასწარმეტყველიც იყოს და ყოფით სინამდვილეზე ბევრნილად ამაღლებულიც...

ასეა თუ ისე, რეალურად დაფუძნდებოდა საქართველოს სახელმწიფოს ის მოდელი, ილიასაგან რომ გადმოგვცემოდა, და არა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ეფემერული წლებისა, უკვე რომ მოისინჯა სოციალ-დემოკრატიცა ერთი ფრთის მიერ — და საკმაოდ მკვეთრადაც — იმ უტოპიური სოციალიზმის გადმოტანა ყოფითობაში, ლევ ტოლსტოი რომ გააქცია სიკვდილთან შესახვედრად და ჯეკ ლონდონს სანამლაგი შეაჩქრა ხელში... და თურმე წინ რა განსაცდელი ჩასაფრებულყო სოციალ-დემოკრატთა მეორე ფრთის სახით — თავისი მოჩვენებითი თანასწორობით, თავისუფლებით, კეთილდღეობით.

ცხოვრება თავისას მიუყვებოდა, თავისას ბლანდავდა,

თავისას ჩხლართავდა, ახალ ცოდვა-ბრალს აიკრავდა, ახალ იმედებს ამოაშუქებდა, ახალი ილუზიებით გაგთანგავდა, არც რწმენის ნამცეცებს მოგაკლებდა, პირნიინდად არც თავშესაფარს გამოგაცილიდა... და თუ ამასაც ვერ გაიმეტებდა, ღმერთი ხომ მაინც არ გაგწირავდა მის ანაბარა დარჩენილს და მალამოს წაცხებდა სულზე, რათა შენი ჯვარი მორჩილად გეზიდა და სამყაროს საიდუმლოს ანარეკლისა მაინც შეგეტყუო რაიმე — მკრთალად, ბუნდოვნად, მაგრამ ესეც შეგცობად ითქმის.

არც გურამ დოჩანაშვილს გამოეცლებოდა ეს თავშესაფარი.

ეკლესიას შეეკედლებოდა, ახალ აღთქმაში ჩაიძირებოდა, უფლისაკენ შეეცდებოდა გზის გაკვალვას ლოცვით, მარხვით, ზიარებით, აღსარებით. და მორჩილის ყოფას რომ გამოცდიდა, უღირსსაც ამიტომ შეირქმევდა და ამ სახელით გამოგვეცხადებოდა მოთხრობაშიც, რომანშიც...

სანთლის დანთებაც მისი ცხოვრების სტილში თავის განუზომელ ადგილს დაიკავებდა.

კახა ჯამბურისათან დარეკავდა უცნაურად შეჩქვიფებული.

ყურმილს იმისი მეუღლე აიღებდა, ეკა ჩხეიძე, და გურამ დოჩანაშვილი ვერ მოითმენდა, ჯერ მისთვის რომ არ ეხარებინა:

— სიზმარში ვნახე... მაპატია, ყველაფერი მაპატია, ხელი ისე მომხვია, მერე კი გზას ერთად გავუყვით. რალა სიზმარი, ისე ხელშესახებდა განეცადა!.. ეს ისედაც მიხვდებოდა, თუ ვის გულისხმობდა.

— გვერდით უნდა დავდგომოდი... უნდა დავდგომოდი გვერდით და რამდენ რამეს ავარიდებდი — მეგობრები ვიყავით, ძმები ვიყავით, ძმები, მე ყოველთვის მიჯერებდა და ახლაც დამიჯერებდა...

ერთხანს დუმს.

ეკაც გაყურებულა მოულოდნელობისაგან.

ისეც გურამი განაგრძობს როდის-როდის:

— ხელი მომხვია, ხელი... მაპატია, მაგას არ ნიშნავს? ჩემდამი წყენა აღარ აქვს... დამიჯერებდა, მე დამიჯერებდა... მაგრამ ჯერ ხომ გვერდით უნდა დავდგომოდი!..

ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი სიზმრები, მაგრამ ხანდახან არც ვიცით ხოლმე.

სანთლის შუქი დასთამაშებდა მის იმ მოთხრობას, გიორგა პაპას მთელი ცხოვრება, და არა მარტოდენ ცალკეული წელიწადები, სიტყვათა მაგიის ძალით ერთ თვედ — მკათათვედ — რომ განელილიყო. სანთლის სიმბოლიკა კი იმ ბალადიდან გადმოეტანა, სათაურსაც რომ დასესხებოდა, ეგაა, თავფარავნელი ჭაბუკი მის მოთხრობაში გიორგა პაპას შევირდად ანუ მწერლად გარდაისახებოდა და მის ტრავიკულ თავგადასავალს კი — გარდა ბალადის სტრიქონებისა — სხვა არაერთი ხალხური ლექსიც ჩაეფინებოდა.

ერთი ავსული დედაბრისგან სანთლის ჩაქრობა განირავდა ბალადის გმირს.

გურამ დოჩანაშვილის მოთხრობის პერსონაჟიც სანთლის ჩაბნელებას უნდა შეწირვოდა.

ზღვასაც გადაცურავდა ერთიც, მეორეც, სანთელი რომ დარჩენილიყო გზის მანათობლად.

მეტი არ სურდათ — აბობოქრებულ ტალღებს მისით, ობლად მოკიაფე სანთლის შუქით, გულმოცემულნიც და-აღწევდნენ თავს.

მაგრამ ვინ შეარჩენდათ სანთლის ციმციმსა და კროთმას. ვინ გადააღაზვინებდათ ზღვას.

მაგრამ გიორგა პაპამ იცოდა, ჯერ მარტო მან და მერე ყველასთვისაც გაცხადებოდა ეს სიმართლე, რომ — არ იყო დამარცხებული ეს მკერდგამოჯიჯგნილი, უსულო ბიჭი.

უსულო ვითომ?!

საცა სოფელში მიხვიდე, სუყველგან ორი გზა არიო, — მოსდევდა დრო-ჟამს უცნობი მელექსის სიტყვები, გურამ დორჩანაშვილის გიორგა პაპასათვის რომ გადაელოცა და ახლა, მისი ამ რწმენით თვითონაც გამხნეებული და დაიმედებული, ამ აკორდით დააბოლოვებდა თავფარავნელი ჭაბუკის მღელვარე თავგადასავალს, ბალადაში რომ გამოძერწილიყო, თუმც ანტიკური ტრაგედიის პერსონაჟობაც დაშვენდებოდა.

ამ აკორდითო:

„...მაინც ანთია სანთელი თეთრი.

მუდამ ანთია სანთელი თეთრი, მისი ჩუმი წვა — ამალ-ლებაა...“

იქ არ რჩებოდა მისი კროთმა და ციმციმი, მისი ჩუმი წვა, ამალლებას შეტოლებული, იქ არ რჩებოდა — მოთხრობის ფურცლებზე.

სანთლის დანთებაც მისი ცხოვრების სტილში თავის გა-ნუზომელ ადგილს დაიკავებდაო...

შვილის სახელზე — აუცილებლად, გამოუტოვებლად.

და ასევე აუცილებლად და გამოუტოვებლად იმ კაცის სა-ხელზე, მისი სიყრმის მეგობარი რომ ერქვა და ოდესღაც მაჰ-მუდ აალიდ განსახიერებელიყო — რაღაც წინასწარმეტყვე-ლური შთავგონებით, მხატვრული სინამდვილე ასე ზუსტად და ტრაგიკულად რომ ახდებოდა ყოფით რეალობაში — მხი-არული ბორცვის მისტერიის ხელშესახებ განმეორებდა.

ტრაგიკულად თუ...

თუმც უფალს თვითონ მოეხსენება გზანი თვისნი, ჩვენ კი მხოლოდ გარს უნდა ვუტრიალოთ დახშულ კარს და ვე-ცადოთ... ცდით მაინც უნდა ვეცადოთ იქით გაღწევას, ბო-ლოსდაბოლოს, რაღაც ხმებმა ეგებ მოატანოს ჩვენამდე და გვაგერძობინოს რაღაც უსაზომოდ დამაფიქრელი.

ბედნიერი, ბედნიერი მაინც ვინლაა?

ვინც რჩება.

სიოს მოაქვს ეს ხმა, ხეთა შრიალს, ბალახის ფოთლებს, მზის სხივსა თუ მთვარის გამონაშუქს.

და ვინლა რჩება?

და სიოს ბუტბუტიც, ხეთა შრიალიც, ბალახის ფოთლე-ბიც, მზის სხივიცა და მთვარის გამონაშუქიც ამას გამც-ნობს, დაგიდასტურებს, დაგიბეჯითებს:

ვინც უყვარდათ.

და ვინ უყვარდათ?

მაჰმუდ აალი, მხიარულ ბორცვზე.

ვაილოგი

— ნუთუ ყოველივე, — გავიფიქრებ, მარადახალი მდი-ნარის პირას მჯდარი, — ნუთუ ყოველივე ეს?..

თეკლე ჯანელიძე

ის —

უმტკიცესი რვალისა

□

კოტე ხიმშიაშვილის
მემორიალური ნიგონი

კოტე ხიმშიაშვილის სახელის ხსენება ერთდროუ-ლად ინვევს სინანულისა და სიამაყის განცდას. სინანუ-ლის იმიტომ, რომ „მარად ჭაბუკებად დარჩენილი“ ბიჭები ამ ქვეყნიდან ისე წავიდნენ, რომ არ მიეცათ საკუთარი შე-საძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალება. სია-მაყით კი იმიტომ გვევსება გული, რომ კოტე ხიმშიაშვილ-მა გამოიყენა ღვთისგან ბოძებული უფლება — ეცხოვრა ღირსეულად და მომკვდარიყო ღირსეულად.

თუმცა სიკვდილი რა სახსენებელია, შემოქმედი ხომ უკვდავია და არა მარტო მეტაფორულად. კოტე ხიმშიაშვი-ლის უკვდავების ხელშესახები დასტური იყო 2010 წლის 16 ოქტომბერს ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზე-უმში გამართული შეხვედრა, რომელზეც კოტე ხიმშიაშვი-ლის ნიგონის წარდგინება შედგა. „პეგასის“ მიერ დასტამბუ-ლი ნიგონის გამომცემელია მარინე ცხადაია, რედაქტორი — როსტომ ჩხეიძე, მხატვარი — ნუგზარ მექმარიაშვილი.

დარბაზში შეკრებილი აუდიტორიის დიდი ინტერესი გა-მოიწვია ვიდეოჩანანერმა, რომლის ჩვენებითაც დაიწყო სა-ლაშო. ეკრანზე ნაჩვენები იყო ინტერვიუ გრიგოლ აბაშიძეს-თან, ის იყო კოტე ხიმშიაშვილის მეგობარი, დამფასებელი, მისი სახელის პოპულარიზატორი. თურმე ეს ბოლო ვიდეო-ფირია, რომელზეც დიდი პოეტიკა აღბეჭდილი. დოლო ხიმში-აშვილ-ვადაჭკორიას ბატონი გრიგოლი კოტესა და მისი მე-გობრების თავგანწირვის შესახებ უამბობს, დიდ მწერლად მიიჩნევს თავის ტრაგიკულად დაღუპულ მეგობარს და ენა-ნება, რომ მას არ დასცალდა სათქმელის ბოლომდე თქმა.

შემდეგ ქალბატონმა მარინე ცხადაიამ ისაუბრა, როგორ გაჩნდა ნიგონის გამოცემის იდეა. ქალბატონ დოდოსთან ის პოეტ მარიამ ნიკლაურს დაუკავშირებია. კოტე ხიმშიაშვი-ლი — თავისი უბედური ბედისწერის მიუხედავად — ქალბა-ტონმა მარინემ მაინც ბედნიერად აღამიანად მიიჩნია, იმიტომ, რომ ის დარჩა, ის ცოცხალია, მისი დახვრეტის შემდეგ 68 წე-ლი გავიდა და იმართება მისი უკვე მერამდენე სლოვის სა-ლაშო, რომელსაც ძალიან ბევრი ხალხი ესწრება.

1942 წლის 17 ოქტომბერი ერთ-ერთი შავბნელი თარი-ღია საქართველოს ისტორიაში: მაშინ დახვრიტეს 17 ახალ-გაზრდა, რომელთა დანაშაული საქართველოს სიყვარული და სამშობლოს მომავალზე ფიქრი იყო — თქვა როსტომ ჩხეიძემ. მისი მოწოდებით საზოგადოებამ წუთიერი დუმი-ლით პატივი მიაგო დაღუპულთა ხსოვნას. ბატონმა როს-

ტომმა კი განაგრძო: ამ წიგნზე ასეთი სიტყვებია წარწერილი „ვარ უმტიციცის რვალისა“, რომელიც იყო 1942 წლის შეთქმულების დევიზი, შეთქმულთა მართლაც უმტიციცისნი აღმოჩნდნენ და შეენივნენ სამშობლოს. საუკუნის წინანდელი შეთქმულების, 1832 წლის გამყლავნების მერე გადაწყვეტილი იყო მეთაურთა სიკვდილით დასჯა, თუმცა განაჩენი გადასახლებით. გადის საუკუნე და სამშობლოზე ფიქრს ეწირება 17 ახალგაზრდა. ესეც მონაბობს, თუ რა რეჟიმი დამყარდა მე-20 საუკუნეში. ასეთ დროს უმძიმესი იყო სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა, კოტე ხიმშიაშვილი არის არა მარტო ეროვნული გმირი, იგი ერთ-ერთი საუკეთესო მწერალიცაა, რომელმაც ახალგაზრდობაში, 24 წლამდე შეძლო არა მარტო ნოველების შექმნა, არამედ რომანის დაწერაც, რაც ძალიან დიდი იშვიათობაა, მაგრამ ალბათ გული უგრძობდა განწირულებას და შეძლო აღენერა თავისი დროის ახალგაზრდობა და ეს მოახერხა იმ დროს, როცა დახვეტილი იყო მიხეილ ჯავახიშვილი, ტიცინ ტაბიძე, თავი მოიკლა პაოლო იაშვილმა, გრიგოლ რობაქიძე ემიგრაციაშია გახიზნული, კონსტანტინე გამსახურდია წერს „ბელადს“, ადამიანური გრძნობების გამომჟღავნება ითვლებოდა და ნაშაულად... ასეთ დროს კოტე ხიმშიაშვილი ბედავს დახატოს მის გარშემო არსებული რეალობა, ადამიანური განცდებით სავსე. ნოველაში „გლობუსი“ იყო ძალიან გამჭირვალედ მიწიშვებული თავისი დროება, — უბირი, უსწავლელი ადამიანი არხეინად ატრიალებს გლობუსს, ანუ მთელ დედამიწას. კოტე ხიმშიაშვილის გამოსვლას სამწერლო ასპარეზზე სიხარულით მიეგებნენ მიხეილ ჯავახიშვილი, ლეო ქიაჩელი, ერეკლე ტატიშვილი. ბატონმა როსტომმა აქვე გაიხსენა მწერლის მეგობრები გიორგი ძიგვაშვილი, ადამ ბობლიაშვილი, ლადო ბალიაური — ერთი სიტყვით, როცა კოტე ხიმშიაშვილს ვახსენებთ, თვალწინ წარმოგვიდგება მთელი პლანადა მამინდელი დაწყვეტილი თაობისა, ტრაგიკული თაობისა, — თქვა მან.

გრიგოლ აბაშიძის ღვაწლია, რომ მოხდა კოტე ხიმშიაშვილის ოფიციალური რეაბილიტაცია, რის შემდეგაც გამოიცა კოტე ხიმშიაშვილის წიგნი, მას შემდეგ კიდევ აღმოჩნდა ნოველები, პირადი წერილები, გამოქვეყნდა არაერთი მოგონება, რეცენზია — ეს ყველაფერი გაერთიანდა და გამოიცა მემორიალური წიგნი. ჩვენ აქ ვახსენებთ არა მარტო უდროოდ ტრაგიკულად დაღუპულ ადამიანს, არამედ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მწერალს მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში. დღევანდელი დღე ხსოვნის საღამოცაა და წიგნის წარდგინებაც — ბატონმა როსტომმა მადლობა გადაუხადა გამომცემელს მარინე ცხადაიას, რომ ეს წიგნი აქცია რეალობად და სიტყვა მწერლის დას, **დოდო ხიმშიაშვილ-ვადაჭკორიას** გადასცა.

ქალბატონი დოდო მადლიერებით იხსენიებს ყველას, ვინც ამ ძნელ, რთულ გზაზე გვერდით ამოუდგა, ხელი შეაშველა, სიტყვა შეანია. განსაკუთრებული აღტაცებით ისაუბრა მხატვარ ნუგზარ მექმარიაშვილის ჩინებულ ნამუშევარზე. კოტეს პირველი წიგნის გამოსვლა მისთვის



განსაკუთრებით სასიხარულო იყო, იმ გრძნობას თურმე არც დღევანდელი ჩამოუვარდება... მან „გრძალის მცველნი“ უწოდა თავის ძმასა და მის მეგობრებს, 17 თავგანწირულ ჭაბუკს.

მარიკა ლორთქიფანიძემ მოიგონა სტუდენტობის დრო, როცა ის და მისი თანაკურსელები შორიდან ადევნებდნენ თვალყურს მოხდენილ და წარმოსადგე ვაჟებს — კოტესა და მის მეგობრებს. ხოლო როცა ისინი დააპატიმრეს და დახვეტიეს, განუზომლად დიდი ყოფილა ტკივილი და გლოვა უნივერსიტეტში. ქალბატონი მარიკას თქმით, სასურველია სატელევიზიო გადაცემა მომზადდეს, რომელშიც მართლად, სისწორით, მიუკერძოებლად წარმოჩნდება

ის დრო და კერძოდ, 1942 წლის შეთქმულება. იქვე როსტომ ჩხეიძემ ისურვა, სასკოლო სახელმძღვანელოებში შეიტანონ კოტე ხიმშიაშვილის რომელიმე ნოველა ან ნაწყვეტი რომანიდან „ჯონქა ხორნაული“, თუნდაც ის თავი, გამზირელთა ცხოვრებაზე: იქ ისე ნათლად, ცოცხლად, იუმორითაა აღწერილი რუსთაველის გამზირი, რომ ახალგაზრდებს მოეწონებათ და სიამოვნებით შეისწავლიან მას.

რევაზ კვერენჩილაძეს თავად აქვს დოკუმენტურად შესწავლილი 17 დახვეტილი ახალგაზრდისა და სხვა რეპრესირებულითა საქმეები. მას სურს, რომ დღევანდელმა ახალგაზრდობამ გაიგოს, რა გულანთებული წინაპრები ჰყავდა.

ჯანსუღ ჩარკვიანს არ სურს თანამედროვე ყოფას მიუსადაგოს, მაგრამ უნებურად აგონდება ქართველი ერის ილიასული დახასიათება: „ყველა ყრუი, ყველა ცრუი...“ წარსულის ფასი უნდა ვიცოდეთ, სამ დროში ერთდროულად უნდა ვიცხოვროთ, თუ გვინდა გვეკონდეს „ენა, მამული სარწმუნოება“ — ასეთი იყო პოეტის შეგონება.

მწერალი **იკა ქადაგიძე** მოხარულია, რომ იმ დასჯილი ბიჭების სიცოცხლე იქ არ შეწყვეტილა, მათი კვალი დარჩა, კვალი — ძლიერი და ნათელი, რომელიც მომავალი თაობის სულიერ განვითარებასაც მისცემს გეზს.

რევაზ მიშველაძე წიგნსაც და ხსოვნის საღამოსაც საქართველოს გასალვქებლად, გამოსაფხიზლებლად გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს. ამიტომ საკუთარ თავსაც და დამსწრე საზოგადოებასაც 1942 წლის შეთქმულების ნეკრებად მოიაზრებს.

კოტე ხიმშიაშვილის რომანის მთავარი პერსონაჟის ერთ-ერთი პროტოტიპი **გიგი ხორნაულის** მამა, ივანე ხორნაული, ყოფილა. ბატონმა გიგიმ მოიგონა ბავშვობა და გაიხსენა ის დრო, როცა შეთქმულების მონაწილეები დააპატიმრეს.

როზი უჩანეიშვილმა წაიკითხა ამონარიდები კოტე ხიმშიაშვილის ნაწარმოებებიდან.

მარიამ ნიკოლაურმა გაგვაცნო ქალბატონი დოდოს სურვილი — თბილისში არსებობდეს კოტე ხიმშიაშვილის ქუჩა. ის უკვე უკვდავების ბინადარია, ხოლო ქუჩა ქვეყნის წარსულს კი არა, მომავალს სჭირდება და გამოადგება.

კიდევ დიდხანს აგვალეღვებს „დაწყვეტილი თაობის“ ბედისწერა. უღმერთოდ განწირულ ჭაბუკთა მარადიული სიცოცხლისთვის, ალბათ, კიდევ ბევრი რამე უნდა გაკეთდეს.

რიტა ბაინდურაშვილი

„მერე წვიმად რომ წამოვიდე“

თანამედროვე პოეზია უნინარესად სახეებით აზროვნებაა.

ებრაული — განსაკუთრებით.

აქ ვერ შეხვდებით რითმებითა და სასვე-ნი ნიშნებით დამყარებულ წესრიგს, ლექსში მთავარი პოეტური ხატებია, ამ ხატებით გადმოცემული სათქმელი და მუსიკალური მდინარება, მელოდიურობა მისი.

ორციონ ბართანას შემოქმედებაც ებრაული პოეზიის თვალსაჩინო ნიმუშია.

„ღრუბლებს მისატულს ფერთა რიალში ვერავინ მამჩნევს მე ვარ პეპელა თელავიში სტუმრად მოსული“ — ამგვარად აცნობს იგი თავს მკითხველს და მერე აზუსტებს: **„სარკეში ვჩანვარ ისე როგორც ბებერი ცხენი გადაღლილი ნაჯირითები ბევრი ვიარე ოთხითაც და თხარაკითაც გედიც კი ვცადე რომ ვყოფილიყავ ცხელი ჰაერის ლივლივა ზღვაში...“** („ბერდება ცხენი“)

მისი ბიოგრაფიის ექვსი ათეული წელი ძალზე ბევრსა და საინტერესოს იტევს: პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი და ლიტერატურის მკვლევარი წლების მანძილზე ისრაელის მწერალთა კავშირსა და მის ლიტერატურულ ჟურნალს „მონაიმს“ ხელმძღვანელობდა, გახლდათ ისრაელის „პენკლუბის“ პრეზიდენტი, რედაქტორობდა არაერთ ლიტერატურულ და სამეცნიერო გამოცემას. 70-იანი წლებიდან მოყოლებული ორციონ ბართანა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თელ-ავივის, ბარილანის, ბეერ-შევის, ხაიფის უნივერსიტეტებში, დღეს კი არიელის საუნივერსიტეტო ცენტრის ებრაული მემკვიდრეობის განყოფილების პროფესორია. გამოქვეყნებული აქვს ლექსების რვა კრებული, ნოველების ორი ნიგნი, ორი ვრცელი მოთხრობა და ხუთი მონოგრაფია ლიტერატურის საკითხებზე. მისი ლექსების ბოლო კრებული „ნოეს კიდობანი. იქნებ“ დანი კრამერმა დაასურათა, ხოლო ახალ რომანს — „ადგილი, სადაც იწყება ყოველი“ — მალე იხილავს მკითხველი. მისი შემოქმედება ოცდაათამდე ენაზეა თარგმნილი, მათ შორის ქართულად.

ორციონ ბართანა საქართველოს რომ სტუმრობდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი ლექსების მეოთხე ქართულენოვანი კრებულის პრეზენტაცია შედგა. „საიდუმლო ნიშნები“, რომელიც ქართულ-ებრაულადან ნარმოდგენილი, ქუთაისში მოღვაწე პოეტმა **ომარ გვეტაძემ** თარგმნა. თუმცა ბართანას ქარველ მკითხველსა და ქართულ პოეზიასთან ზიარება უპირველესად პროფესორ რუბენ ენუქაშვილის დამსახურებაა. მათი შემოქმედებითი ტანდემი წლების წინათ შედგა და ბართანას პოეზიის დიდი ნაწილიც ქართულად სწორედ ენუქაშვილს ეკუთვნის. თსუ-ში გამართულ შეხვედრას მათთან ერთად საქართვე-

ლოში სტუმრად მყოფი ისრაელის ელჩი იცხაკ გერბერგი და იერუსალიმის ებრაულ დიასპორათა ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი იომ ტოვ ასისიც ესწრებოდნენ. ამიტომაც იყო, რომ ბევრი თბილი და მეგობრული სიტყვა არა მხოლოდ პოეტის შემოქმედებასა და პოეზიაზე ითქვა, არამედ ზოგადად ქართულ-ებრაულ ურთიერთობებზეც, რომელის საუკუნოვანი და მართლაც სამაგალითო ტრადი-

ცია გვაქვს. როგორც გაირკვა, ისრაელის ელჩის საქართველოში სტუმრობის მიზანი თბილისის მერიასთან ერთობლივი პროექტია, რომელიც ქართული პოეზიის დღეების იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, რუსთაველის საფლავთან აღნიშვნას ითვალისწინებს.

— მართალია დიპლომატები ჩვენი პოლიტიკური ხერხებით მუდმივად ვცდილობთ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების მოგვარებასა და განმტკიცებას, მაგრამ ხალხთა დამეგობრება ყველაზე უკეთ მაინც კულტურასა და ხელოვნებას შეუძლია — აღნიშნა თავის გამოსვლაში **იცხაკ გერბერგმა**. პოეზიის ენა საუკეთესო საშუალებაა ისედაც ტრადიციული ჩვენი ურთიერთობისათვის და ამ ენაზე მოსაუბრე ადამიანები ხიდად იქცევიან ხოლმე ჩვენს ქვეყნებს შორის.


ორციონ ბართანა საქართველოზე შეყვარებული პოეტია, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა აიტაცა რუსთაველის საფლავზე ქართული პოეზიის დღეების აღნიშვნის იდეა. არანაკლები ინტერესი გამოიჩინა ქართულმა მხარემაც რისთვისაც მათ განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით. მინდა გაუწყოთ, რომ ჩვენს ერთობლივ სამომავლო გეგმებში კვლავაც ბევრი საინტერესო ღონისძიება მოიაზრება.

ერთობლივ პროექტთა თემა შეხვედრაზე იერუსალიმის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა **იომ ტოვ ასისიც** განავრცო:

— ჩამოვედით იმისათვის, რომ ებრაელთა და ქართველთა შორის საუკუნოვანი მეგობრობისა და კულტურულ ურთიერთობათა საუკეთესო ნიმუში მოვიძიოთ და წინადად გამოვცეთ. მთელ მსოფლიოში და ვეძებთ ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებს და სერიებად გამოვცემთ თვითოეული ქვეყნის შესახებ. ამჯერად საქართველოზე, ქართულ-ებრაულ ურთიერთობებზე ვმუშაობთ, რადგანაც მიგვაჩნია, რომ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ისრაელს ბევრზე ბევრი მეგობარი ჰყავს. აი, თუნდაც ჩვენი დღევანდელი შეხვედრის გმირები, რომელთა მეგობრობა პიროვნული და კულტურული თანამშრომლობის საუკეთესო გამოსატულეა. ამ თემაზე დაგეგმილი გვაქვს ლექციათა კურსიც, რომელიც ქართველ და ებრაელ ახალგაზრდობას სრულ ნარმოდგენას შეუქმნის ჩვენს ისტორიულ და კულტურულ ურთიერთობებზე.

პრეზენტაციაზე საინტერესო ინფორმაცია გაახიანა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ პოეტმა მაყვალა გონაშვილმა:

— ახლახან დაიბადა მწერალთა კავშირის ლიტერატურული ჟურნალი „გრაალი“, რომლის ფურცლებზეც 17-30 წლამდე პოეტებისათვის გამოცხადდა კონკურსი. კონკურსის გა-



მარჯვებული რუსთაველის პრემიის ლაურეატებთან ერთად ისრაელში გაემგზავრება რუსთაველის საფლავზე ქართული პოეზიის დღეებში მონაწილეობისათვის. გარდა ამისა საქართველოს მწერალთა კავშირი აპირებს ახალი ჟურნალის ერთი ნომერი მთლიანად ებრაულ-ქართულ ურთიერთობებს მიუძღვნას და ამ თემაზე საინტერესო მასალებს ელის.

მან მაღლობა გადაუხადა ებრაულ სტუმრებს თანამშრომლობისათვის და იმედი გამოთქვა, რომ ბატონი ბართანა თანამედროვე ქართველ პოეტთა შემოქმედებასაც აზიარებს ებრაულ მკითხველს.

გამოსვლათა შორის შეხვედრაზე დარბაზი ორციონ ბართანას პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს ისმენდა, ბატონი რუბენ ენუქაშვილი კი მათ ქართულ თარგმანებს კითხულობდა:

**და საშუალო ნიჭის პოეტი
რა თქმა უნდა თხზავს
საშუალო ლექსების დასტებს
მოგონებათა წვითა და დაგვით
თუმც არა ცხოვრობს
საშუალო ცხოვრების წესით
რაც გააჩნია
ან რაც სულში ჩაესახება
ისიც კი ალბათ საშუალოდ ხორციელდება
წყენის ცრემლები ეკიდება პოეტს თვალებზე
რადგან არა აქვს
საშუალოდ ყოფნის უფლება.**
(„საშუალო ლექსი“)

ქართულადაც და ებრაულადაც განსაკუთრებით მელოდიურობა გამოარჩევდა ლექსებს. არსად სასვენი ნიშანი, არსად რითმა, მხოლოდ მუსიკა, რომელსაც არც სჭირდება თარგმნა, პოეტური სახეები და ხატები კი ზედმიწევნით ემთხვეოდა დედანს.

**გორგლის ძაფივით
ვარ განყვეტამდე განელილი და დაძაბული
ბოლოს და ბოლოს მეც მაღირსეს
მყუდრო ცხოვრება
თითქოს ბალდახინს მიმზადებენ
მჩხიბავები ავი სიზმრების...**
(“მე ვრცელდები“)

**არ დამართო ნება
გადავიქცე ჩიტად
ღრუბლებად
ანდა ავვოროქლდე
მერე წვიმად რომ წამოვიდე...**
(“ხეების წინააღმდეგ“)

**შავ ჯარისკაცებს ჰვანან ყვავები
თავს რომ უხრიან
გარდაუვალ უკმარისობას...**
(“მზის ჩასვლა“)

**სიკეთის თესვა
ეს ნიჭია გამორჩეული
რომლისთვის უნდა დაიხარჯო**

**ბოლო წვეთამდე
ეს ის ღვანლია
სადაც სრულად წარმოჩინდები
ბავშვობიდანვე...**
(“სიკეთე ჩემი საოცარი იარაღია“)

ორციონ ბართანას შემოქმედებაზე საუბრისას მწერალმა **გურამ ბათიაშვილმა** პრეზენტაციაზე ბრძანა:

— ისრაელი, ისევე როგორც საქართველო, ყველგან დაეძებს თავის მეგობრებს. ჩვენ ყველა ვცდილობთ გვყავდეს მეგობრები და ამის ერთადერთი საშუალება, შეიძლება ითქვას, სწორედ კულტურა და ლიტერატურა გახლავთ. საბედნიეროდ, საქართველოში ისრაელს ძალიან ბევრი მეგობარი და დამფასებელი ჰყავს და პირიქით, ისრაელში — საქართველოს. მათ შორის კი ორციონ ბართანა გამორჩეული პიროვნებაა. მისი ლექსების მეოხებით შევიცნობთ თანამედროვე ისრაელს, ხოლო ებრაელი ხალხი მისი არაჩვეულებრივი თარგმანებით ქართულ პოეზიას ეზიარა. მან ხომ გალაკტიონი თარგმნა... მინდა გითხრათ, რომ მეც აქტიური მონაწილე ვარ მერიაში გამართული შეხვედრებისა და ძალიან გამახარა ჩვენი სტუმრების მზადყოფნამ, მუდამ გვერდში ედგნენ საქართველოს. ბატონი ორციონი, რომლის სახელიც ქართულად “სიონის სხივს” ნიშნავს, მართლაც ასეთი ნათელი სხივივით იღვრება ქართველ და ებრაელ ხალხთა საუკუნოვან ურთიერთობაში, რისთვისაც განსაკუთრებულ მაღლობას იმსახურებს.

სტუმრებს მიესალმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტი **ინესა მერაბიშვილი**, რომელმაც ყურადღება გალაკტიონის პოეზიისათვის დამახასიათებელ პოეტურ სახეებსა და თარგმანში მათი შენარჩუნების მნიშვნელობაზე ისაუბრა. აღნიშნა, რომ ბართანას თარგმანებში ეს სახეები შენარჩუნებულია და ასევე ხატოვნად გადმოტანილი ებრაულ ვარიანტში, რაც პოეტის უდავო მთარგმნელობით უნარზე მეტყველებს. ასეთი თარგმანები ხელს უწყობს გალაკტიონის შემოქმედების პოპულარიზაციას მსოფლიოში, ეს კი ნამდვილად აკლია გალაკტიონს და განსაკუთრებით მისასალმებელია.

რუბენ ენუქაშვილის შეფასებით, გალაკტიონის ლექსების ბართანასეულ თარგმანებში განსაკუთრებით შენარჩუნებულია პოეტთა მეფისათვის ჩვეული მელოდიურობა, მუსიკალობა, რიტმი და რითმაც კი, რაც საზოგადოდ ნაკლებ ახასიათებს თანამედროვე ებრაულ პოეზიას. მეტიც, მისი თქმით, ივრითულ თარგმანში გადატანილია თვით შიდა რითმები ლექსებისა, რაც კიდევ უფრო აახლოებს თარგმანს დედანთან. ამ თარგმანებით თანამედროვე ებრაელი მკითხველი გალაკტიონის პოეზიას ეცნობა და მომავალში ეს კიდევ უფრო საინტერესოდ გაგრძელდება, რადგან გალაკტიონით შთაგონება ძლიერი აღმოჩნდა.

თანამედროვე ებრაელი პოეტის შესახებ საკუთარი დამოკიდებულება გამოხატა თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორმა **მამუკა ბუცხრიკიძემაც**.

...შეხვედრის აკორდად გალაკტიონის ლექსების თარგმანები იქცა. ბატონმა ბართანამ რამდენიმე ლექსის ივრითული ვარიანტი წაუკითხა დარბაზს. და ერთი სიტყვაც რომ არ გცოდნოდათ ებრაული, მაინც მიხვდებოდით, რომ ამ უძველეს ენაზე სწორედ გალაკტიონი ჟღერდა...


სალომე კაპანაძე

იმ ნდობის პასუხად

გარსია მარკესი ამბობდა, მინდა ვემსახურო ჩემს ქვეყანას და არა ჩემი ქვეყნის მთავრობას. ასე ცხოვრებისა და აზროვნების უნარი ერთულებს ხვედრია. ამ განცდით უნდა შედიოდნენ არა მარტო მწერლობის საუფლოში, არამედ იქ, სადაც სულელებს ჩვეულებრივ პრაგმატული გათვლები და ცივი გონება სჭარბობს. ასე მგონია, აქილეუსის ქუსლიც სწორედ ამ სტერეოტიპში იმალება. ვაცლავ ჰაველიც ამას ამბობს: ყველაზე ცუდი ის არის, რომ ვცხოვრობთ დაბინძურებულ მორალურ გარემოში. იქნებ ჩვენი პოლიტიკური ყოფის შფოთიანობა და პარადოქსები ამითაც არის განსაზღვრული, იქნებ ძალზე ცოტა შემორჩნენ ქართულ პოლიტიკას მარკესის შეგონებითა და „ოთხი წელიწადის“ სიმბოლიკით მოაზროვნე პოლიტიკოსები.. ისინი, ვინც თამამად, სწორედ იმგვარად მოიხედავენ უკან, როგორც ეს ნატო ჩხეიძემ გააკეთა. სამსჯავროზე გამოიტანენ და კიდევ ერთხელ მისცემენ თავის ოთხ წელიწადს განსასჯელად მათ, ვინც ნდობით აღჭურვა.

ნატო ჩხეიძე წიგნს „ის ოთხი წელიწადი“ მამას — ოთარ ჩხეიძეს — უძღვნის, გამოჩენილ მწერალს, ეპოქის სინდისიერ მემკვიდრეს. დარწმუნებით ვამბობ, წიგნში აღწერილ ყველა ფაქტსა თუ მოვლენას, რომელშიც ნატო ჩხეიძე მთავარი პერსონაჟია, მისი აჩრდილი დაჰყურებს, ქვეცნობიერი განცდა ახლავს, მამაც ხომ ასე მოიქცეოდა. ეს ფრაზა ამგვარად წიგნში არსად გაუღერებულა, თუმცა მამისთვის ნატო ჩხეიძეს ეს საბედისწერო კითხვა ადრევე დაუსვამს: რომ არ გენერა ისე, როგორც წერდი და რასაც წერდი, რა იქნებოდაო. „არც არაფერი. ასე კი სამაგიერო გადავუხადე მამა-ბიძებისთვისა“ — უპასუხნია მწერალს.

მე კი ჩემი მხრიდან დავძენდი, მაშინ ქართულ მწერლობას არ ეყოლებოდა დიდი მწერალი და შესაძლოა არც მას გასჩენოდა ამ წიგნის დაწერის სურვილი და ვალდებულება. ახლა კი, ქართული პოლიტიკური ცხოვრების ძალზე საინტერესო მათიან გვიდევს წინ, რომელშიც იმ დროის საპარლამენტო ცხოვრების ისეთი ფორმალური სტატისტიკის მიღმა, როგორც ხმის მიცემის პროცედურა გახლავთ, ფრიად მნიშვნელოვანი ნიუანსები იკვეთება. თუნდაც ამის გამო ბევრი ექსპარლამენტარი მოერიდებოდა თავისი ნაღვანის ისე გამოშვებულებას, როგორც ეს ნატო ჩხეიძემ გააკეთა. წერის ნიჭთან წილნაყარობა აქ არაფერ შუაშია, უბრალოდ კონსტანტინე გამსახურდიასი არ იყოს, „ზოგიერთი მწერლის ბიოგრაფია დაწერადაც არ ღირს.“ თუ ოთხი



წელი ქიცმაცურობასა და უნიჭო პოლიტიკურ თამაშებს შეალიე, არც ქვეყნისა და არც ადამიანების მიმართ ანგარიშგების სურვილი შეგანუხებს არასდროს.

რატომღაც მეგონა, ზედაპირულად მაინც ვერკვეოდი ქართული პოლიტიკური ცხოვრების ანატომიაში. ის წლებიც არაერთხელ შემიფასებია თავისი პერსონალიებითა და ფაქტებით. ამ წიგნმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რამდენი რამ არის გადასაფასებელი ჭეშმარიტებასთან მისაახლებლად. რამდენი ლაბირინთი უნდა გაკვალო, რამდენ პირმართალ ადამიანს უნდა იცნობდე, რათა მოვლენები სწორად აღიქვა. ამ წიგნში ხომ თითოეული დოკუმენტის, პასაჟისა თუ პოლემიკის მიღმა ხელისგულივით მოჩანს ის, რამაც პოზიტიური შედეგები ვერ მოუტანა ქართულ სინამდვილეს.

„ვიყოთ ფრთხილად, ბატონებო, რადგან ეს შეცდომა ძალიან ძვირად დაუჯდება ჩვენს ქვეყანას“ — აფრთხილებს ნატო ჩხეიძე კოლეგებს, ქვეყანას, რადგან ათი მცნების ამოტრიალების მცდელობებს გრძნობს და რა უნდა იყოს ამაზე საგანგაშო?

საკანონმდებლო ორგანოში კი ამ დროს მხოლოდ მცირე ნაწილი განიცდის, უმრავლესობა თამაშობს თამაშს, რომელსაც „პოლიტიკა“ ჰქვია. თამაშობს ცივი ხოლო გონებით, გულს მიღმა დარჩენილი მომავლის განცდითა და პერსპექტივებით. გაერთიანება-გაყრის დამკვიდრებული პროცედურებით, რომელსაც პოლიტიკური ავანსცენიდან გაქრობის შიში უფრო მართავს, ვიდრე საქვეყნო საქმის კეთების. მაგრამ რა ქნას ნატო ჩხეიძემ, რომელიც თითქმის მარტოკა ომობს იმის დასამტკიცებლად, რომ „თამარობა“ სჯობს კლარობას, რომ ჰუმანურობის ელფერით ნარკომანების მეთადონით მკურნალობა შედეგს ვერ გამოიტანს. გაითვალისწინოს, რომ უმცირესობაშია, ხელსაყრელი პოზიცია დაიკავოს და პრაგმატულად გათვას თავისი პოლიტიკური პერსპექტივები? მაგრამ მას სხვაგვარად სწამს, სხვა ვალდებულებები გამოყოლია მემკვიდრეობით. ამიტომაც პასუხობს გარიგების შეფარულ მცდელობას „თუ ბატონ ზაზას ძალიან სჭირდება, რომ მ მარტი უქმე დღე იყოს“ ასე არაორაზროვნად — „არა, ზაზასთვის სულერთია, მაინც მუშაობს“. და მათ, ვინც საინტერესო შიდა ინტრიგებისა და გარიგებების ოსტატობაზე ჰგონია დამოკიდებული, პრინციპულობის მასტერკლასს ანახებს. ასე ასწავლეს, მე და როსტომი მამას ვგავართ ქვეყნის სიყვარულშიო, წერს და კიდევ ერთ ადამიანს არ ივიწყებს, თავის მოძღვარს, მეცნიერს, მოღვაწეს — თამარ დეკანოსიძეს: მასთან რომ გემუშავა, უნდა გკოდონდა სიმღერა, ხატვა, ცეკვა, თეატრი, ლიტერატურაო. თითქოს საგანგებოდ აღნიშნავს იმათ გასაგონად, ვინც ქვეყნის მაღალ ტრიბუნაზე ამ ფასეულობათა გარეშეც კარგად გრძნობს თავს.

ნარმატებული ბიზნესმენის მეუღლე ხშირად ექცევა პრესის ცნობისმოყვარეობის ეპიცენტრში, მუდამ ტრადიციებსა და ეროვნულობას ქომავობს და ამას, ცხადია,

ტრადიციონალისტებს ვერ მიუთვლით პარტიულ ღირსებად. თუნდაც იმიტომ, რომ ნატო ჩხეიძე ადამიანის შეფასების კრიტერიუმად ზნეობის პრიორიტეტს ასახელებს. თუნდაც იმიტომ, რომ მშვენიერებას ისე აღიქვამს, როგორც ერთი ძველი იაპონური თქმულების პერსონაჟი და „მონა ლიზას“ მსოფლიო ღიმილს „ფრესკის ღიმილი“ ურჩევნია. ამ ტრადიციას უფრო შორეული ფესვები აქვს...

უდავოა, რომ ნატო ჩხეიძის ეს წიგნი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მათიანესათვის კარგი შენაძენია, თუმცა მის ფასეულობას არა მხოლოდ დოკუმენტური მასალა განსაზღვრავს. კიდევ ერთხელ მინდა დავარწმუნო შელავათად დამკვიდრებული „ქალია მაინც...“ ფორმულირების ავტორები, ნატო ჩხეიძის სახით ქალმა კიდევ ერთხელ დადასტურა თავისი პრინციპულობა, პროფეტულობის

უნარი და ნატიფი ინტუიცია. თუნდაც ის, რომ მაშინ ბევრმა ვერ გაბედა განჭვრეტა იმის, რასაც მოგვიანებით პრეზიდენტმა „საკადრო შეცდომა“ უწოდა. ნატო ჩხეიძემ ბევრად ადრე შეახსენა საზოგადოებას, კანონიერებისა და სამართლიანობის გზით რომ ვერ ვიდოდა იგი. აქ კი რედიარდ კიპლინგის ერთი ფრაზა გამახსენდა: „ქალური ალლო ბევრად უფრო ზუსტია, ვიდრე მამაკაცის მტკიცე რწმენა“. როცა ამ ალლოს პრინციპულობა, ინტელექტი და ქვეყნისადმი სიყვარული ახლავს თან, იმის თხრობაც არ შეგრცხვება, თუ რას იქმოდ იმ ოთხ წელიწადს. ამ შეგნებისა და მრწამსის გარეშე ვერაფერი გაკეთდება ძარღვიანი, არაფერი აიგება მტკიცე და შეუვალი, და როცა ქვეყნის შენებას სხვაგვარად დააპირებენ, არ უნდა დადუმდე, არ უნდა ნაუყრუო. ეს წიგნიც სწორედ ამის დასტურია.

ივანე ამირხანაშვილი

ხასიათის მთლიანობა

სიტყვა აყალიბებს, სიტყვა ქმნის პიროვნების სახელს საზოგადოებაში და, რაღა თქმა უნდა, სიტყვავე ქმნის სწავლულის ავტორიტეტს მეცნიერებაში. არ ვიცი, რამდენად საჭიროა ან რამდენად დამაჯერებელია ამ თემაზე საუბარი დილექტანტის რეცენზიაში, მაგრამ რატომღაც მგონია, ვამბობ იმას, რაც ამ წიგნის ბოლოსიტყვაობაში შეეძლო ეთქვა რედაქტორს.

ელდარ ნადირაძის „გრძნობა შენი მოვლისა“, 2009 წელს გამოცემული გამოცემლობა „მერიდიანის“ მიერ. რედაქტორი თამაზ ტყემალაძე, რეცენზენტი თამარ გელაძე. ხუთასგვერდიანი მრავალთემატური კრებული, რომელშიც მთავარი ადგილი სამეცნიერო საკითხებს უკავია, თუმცა საკმაოდ არის წარმოდგენილი ავტორის საზოგადოებრივ-ლიტერატურული პროფილი — წერილები, სიტყვები, მიმართვები, ინტერვიუები აქტუალურ თემებზე.

მეცნიერი, ეთნოგრაფი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. თვითკმარი ენერგიით შექმნილი ავტორიტეტი, რომლის მთავარი მახასიათებელია სიტყვა როგორც პრაქტიკული და თეორიული მოღვაწეობის გამომხატველი ფორმა. იგი განეკუთვნება სწავლულის იმ ტიპს, რომელსაც ლინგვისტური ალლო ბუნებისგან უშურველად აქვს ნაბოძები. როგორც იტყვიან, სიტყვა მოსდევს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კარგად წერს, სტილს ფლობს და თუ მართალია გამოთქმა, სტილი ეს ადამიანიაო, მაშინ შეიძლება ისიც ითქვას, რომ ჩვენ აქ ელდარ

ნადირაძეს ვხედავთ ისეთს, როგორსაც ვიცნობთ — ალალს, უშუალოს, გამჭრიახს, ჭკუით ფხიზელს, კომპეტენტურს, პროფესიონალს.

თუ ხასიათის მთლიანობაზე ლაპარაკი, ეს ჩანს პირველივე ეთნოგრაფიულ ნარკვევში „ვაზი და ღვინო საქართველოში“. აქ არის მეცნიერულ ობიექტურობასთან და მკაცრ აკადემიზმთან შეერთებული ოდნავ შესამჩნევი სუბიექტურობა, რაც ალბათ აუცილებელი ელემენტია იმისათვის, რათა ქართველმა მეცნიერმა სრულად გამოთქვას თავისი აზრი შესახებ იმისა, თუ რომელი ქვეყანა უნდა მივიჩნიოთ ვაზის სამშობლოდ.

ვაზის მეურნეობას საქართველოში რვა ათასი წლის ისტორია აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ სანამ სახელმწიფოს შეექმნო, მანამ ვაზის ათასი ხუთასი წელი ღვინოს ვსვამდით. ხუმრობა იქით იყოს და ეს არ არის მცირე დრო. ბიბლიური ისტორიის ქრონოლოგია დაახლოებით ოთხი ათასი წლის წინათ იწყება. „ვაზის პერიოდი“ ასურეთისა და შუმერის პერიოდსაც უსწრებს ორი ათასწლეულით.

ვაზის ავტოხთონურობის იდეას ელდარ ნადირაძე ამტკიცებს ისტორიულ-მითოლოგიური და ლინგვისტური მონაცემების

მეშვეობით. ამავე დროს, აბათილებს ლეგენდარულ ცნობებს, რომლებიც ამ თემის ირგვლივ არსებობს. ვფიქრობ, საფუძვლიანად არის უარყოფილი ომარ ხაიამის პოეტიზირებული ლეგენდა იმის თაობაზე, რომ ვაზის მოშენება პირველად ირანში დაიწყო; გაბათილებულია ძველ ბერძნულ მითოლოგიაში დაცული, ესთეტიკურად არცთუ მიმზიდველი თქმულება ძალის, სახელად „ოინოსის“, მიერ ვაზის ღერწის შობისა და, აქედან გამომდინარე, ღვინის სამშობლოდ ელადის გამოცხადების შესახებ; უარყოფილია აგრეთვე შუამდინარული, ეგვიპტური და სომხური ვარიანტები.

ივანე ჯავახიშვილისა და სხვა მეცნიერების თვალსაზრისთა შეჯერება, ერთი მხრივ, და საკუთარი მონაცემების ანალიზი, მეორე მხრივ, ავტორს საშუალებას აძლევს ჩამოაყალიბოს ანგარიშგასაწევი ისტორიულ-ეთნოგრაფიული კონცეფცია.



არანაკლებ საინტერესოა მეორე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი „ქართული ლუდი“, რომელიც იწყება გასული საუკუნის 30-იან წლებში თრიალეთის გათხრების დროს სოფელ სანომერთან მდებარე ყორღანზე აღმოჩენილი ჭედური ვერცხლის თასის განხილვით. ამ მართლაც უნიკალური ნივთის, მასზე გამოსახული ფიგურების შესწავლა და სხვა ისტორიული მასალები იძლევა იმის საშუალებას, რომ ლუდის მეურნეობის ქართული ტრადიციები უძველეს პერიოდს, კერძოდ, პირველყოფილ თემურ წყობილებას დაეფუძვებოდნენ.

ბოლო დროს დიდი ყურადღება ექცევა საქართველოს მემორიალური კულტურის შესწავლას. განხორციელდა საგულისხმო კვლევები და პროექტები, რაც იმის ნიშანია, რომ ცერემონიული ტრადიცია კულტურის ისტორიის მნიშვნელოვან ნაწილად მოიაზრება.

ელდარ ნადირაძე განიხილავს მემორიალური კულტურის ძირითად ტიპებს — სტელებს, ლოდებს, ქვაჯვარებს, „მატურებს“ (ფეხზემდგომ ძეგლებს ანუ ობელისკებს), ქანდაკებებს, ეკლესიის ტიპის მოდელებს და დასაკვნის, რომ მემორიალურ ძეგლთა შესწავლა კიდევ უფრო ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას ქრისტიანული და ხალხური კულტურების შერწყმის შესახებ. მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ბიბლიური ნიგნები, საერთოდ, სასულიერო მწერლობა და ლიტურგია ხალხის ცხოვრებაში დომინანტად კი არა, ადამიანის პრაქტიკულ ყოფასთან დაახლოებულ ცოცხალ შემოქმედებად წარმოგვიდგება.

ეთნოგრაფიული ნარკვევებიდან აღსანიშნავია აგრეთვე შრომები „აკაკის ეთნოგრაფია“, „ოქრომჭედლობის ისტორიისათვის“, „ქართული სამონასტრო ცხოვრება და მისი როლი“, „სერგი მაკალათია — საქართველოს ეთნოლოგიის მკვლევარი“, „მაქს ტილკეს კავკასიური შედეგები“, „დავით აღმაშენებლის ანდერძში ნახსენები „მატურის რაობისათვის“.

რეცენზიების განყოფილებაში წარმოდგენილი სტატიები კიდევ ერთხელ ადასტურებს ავტორის ფართო ერუდიციასა და განათლებას ეთნოგრაფიის დარგში, წერილები და სიტყვები კი, რომლებიც კრებულში უხვად არის წარმოდგენილი, მოწმობს იმას, რაც ზემოთაც ითქვა — ელდარ ნადირაძე წარმატებით უხამებს ერთმანეთს თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობას. ეროვნულ-მოქალაქეობრივი ღირსების ნიმუშებად მიმაჩნია მისი სიტყვები, წარმოთქმული საპარლამენტაშორისო კონფერენციებზე კუნძულ პატმოსზე, რიგამი, ბუქარესტსა და ტალინში.

ეს საკმაოდ მოცულობითი და პოლიფონიური ნიგნი მთავრდება სხვადასხვა შინაარსის ტექსტებით. მათ შორის უთუოდ გამოირჩევა პროზაული ეტიუდი „ჯურხა“, რომელიც უდროოდ გარდაცვლილი ძმის ხსოვნას ეძღვნება. აქაც ჩანს ელდარ ნადირაძე, მისი პიროვნული ხასიათი, სულიერი ძალა, ნიჭი და იღუმბოლ არსთა ჭვრეტის უნარი, ხოლო რაც შეეხება ნიგნს, რა თქმა უნდა, მარტო მოცულობითა და მრავალთემატურობით არ განისაზღვრება მისი ღირსება, ეს არის ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა საუბრობდეს ავტორი მკითხველთან და საერთოდ საზოგადოებასთან მაშინ, როცა მას შეგნებული აქვს პასუხისმგებლობა ერის, ქვეყნისა და დროის წინაშე.

საბა სულხანიშვილი

დარდისა და თამაშის სიმფონიები

ნიკა აგიაშვილს ერთი ასეთი ორიგინალური წერილიც აქვს: „სასუმელი ესე... და გამწყრალი მუზა“, რომელშიც იმ ადამიანთა ფარული გულისტყვილია წარმოსახული, მნიშვნელოვან, ზოგჯერ სულაც დიდ და განსაკუთრებულ წარმატებებს რომ მიაღწიეს თავთავიანთ სარბიელზე, მაგრამ მთელი ცხოვრება აწვალბდათ ლექსის ჭია, ეს „ტკბილი ნაწყმედა“ თუ „ლიტერატურული შხამი“.

თავისთავადი ღირებულების გარდა, ამ წერილმა ეგებ ვინმეს მონოგრაფიის დასაწერადაც უზიძგოს, რათა ბევრი რამ, აქ ვაკვრით თუ მინიშნებით აღნიშნული, გაიშალოს, ფონიც უფრო გამკვეთრდეს და სახალისოდ საკითხავ ვრცელ თხზულებადაც გადაიქცეს.

ნიკა აგიაშვილი არაერთ მეცნიერსაც გამოარჩევს „გამწყრალი მუზის“ პერსონაჟთან — ნიკო მარსა თუ აკაკი შანიძეს, შალვა ნუცუბიძესა თუ ქუჯი ძიძიშვილს, ნიკო კეცხოველსა თუ იოსებ მეგრელიძეს, სიმონ ყაუხჩიშვილსა თუ პავლე ინგოროყვას, ალექსანდრე ბარამიძესა თუ აკაკი განერელიას, სერგო დურმიშიძესა თუ შოთა ძიძიგურს, გიორგი ჯიბლაძესა თუ ზურაბ ჭუმბურიძეს, ქსენია სიხარულიძესა თუ დავით კობიძეს... — და ეს ყოველივე მისთვის არა გარდასული ჟამის ანარეკლებია, არამედ მარადიული საფიქრალ-სატკივარის ფრაგმენტები, ამ ჩამონათვალს დროის კვალობაზე ახალ-ახალი პერსონაჟებიც რომ შეემატება, და იმ ნაგულისხმევ მონოგრაფიასაც აუცილებლად გამოუჩნდება თავისი გამგრძელებლები, რათა საერთო სურათი იმ წუთისათვის სრულად წარმოისახოს ხოლმე.

ისე ნიკა აგიაშვილის ეს სტატია კიდევ თუ გამოქვეყნდება მის კრებულში ანდა რაიმე სახის ანთოლოგიაში, სასურველია დაერთოს სარედაქციო მინანერი, რომ ამ სიას უკვე თავისთავად ემატება რევაზ თვარაძის, ზურაბ კაკაბაძის, აგრეთვე სარგის ცაიშვილისა და რევაზ სირაძის სახელებიც, და კიდევ — მიხეილ ქურდიანის, გია კობახიძის, გია მურღულიას, კოტე კაკიტაძისა...

კოტეს ისეთ პიროვნებად ვიცნობდით, რომელზეც — თავისი არტისტული ბუნების გამო — ზედგამოჭრილი გახლდათ გიორგი ლეონიძის სიტყვები: პოეტები მარტო ქალაქებზე რითმებით მოლაპარაკენი როდეს არიან. პოეტური თვალთ, პოეტური გულითა და დიდი ოცნებით გასხვივოსნებული სხვაც ბევრი დადის დედამიწაზე.

კოტე კაკიტაძეც სწორედ ასეთი თვალთ, გულითა და ოცნებით გასხვივოსნებული დაიარებოდა და პოეტს მოგვაგონებდა ლინგვისტური ჩხრეკა-ძიების დროსაც, ლექ-

ციებზეც, სუფრაზეც, სადაც მისი თანდასწრებით თამაშობას ვერც ვერავინ გაბედავდა... ადამიანებთან ურთიერთობისას იმ გულგაშლილობას იჩენდა, ერთნაირად მისანდო და ძვირფასი რომ ხდებოდა ყველა თაობისათვის და ძნელი გახლდათ დავინყება მასთან თუნდაც ერთი-ორი შეხვედრისა.

რჩებოდა პოეტად, რომელიც არ წერდა ლექსებს.

არადა... თურმე გულსა და გონებაში სახეებად და სტრიქონებად ალაგებდა განწყობილებებსა და შთაბეჭდილებებს და თავისთვის ქმნიდა იმ იდუმალ სამყაროს, რომლის გამჟღავნებაც ძალიან უძნელდებოდა.

მაგრამ ლიტერატურული შხამი ყველა სხვა შხამზე უმძაფრესი და შემანუხებელია და არც პოეტური მუზა გაგიშვებს ასე ადვილად ხელიდან.

და როდესაც გადაწყვიტა პოეტურ ფიქრთა გადატანა ქალღმერთს და მერე სულაც მათი გამომზეურება, ეს ჩინებული გემოვნების კაცი ცოტა არ იყოს შეცბა — ეგებ თავის ნაწერებს მთლად მიუკერძოებლად ვერ განსჯიდა და რაც თვითონ დასაბეჭდი ერგებოდა, მხოლოდ კალმის ვარჯიში იყო, რაც მიეტევა ყმანვილკაცს, მაგრამ არ ეპატიება საზოგადოებაში ცნობილ პიროვნებას — მკვლევარსა და ლექტორს?

ამიტომაც თვითონ კი არ მოუტანია ლექსები „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში, ინტერნეტით გამოგვიგზავნა: თუ არ მოგეწონოთ, დახიეთ და გადაყარეთ და მეც მოვისვენებ და კვლავაც თქვენს მეგობრად და ერთგულ მკითხველად მიგულეთო.

ჩვენ კი სრული შეგნებით, რომ ნამდვილ ლირიკას ვაქვეყნებდით და არა ხათრით ვუბეჭდავდით ჩვენთვის საპატივსაცემო პიროვნებას, წარუდგინეთ მკითხველს კოტე კაკიტაძის ლექსების ერთი რკალი ჟურნალის საახალწლო ნომერში.

და კიდევ მოჰყვა ერთ-ერთი მკითხველის აღტაცებულ შემოხმინება ჭიათურიდან, ნუგზარ ცარციძის, ვინც თურმე რამდენჯერმე შეხვედრია კოტეს, თავისი მეგობრის წყალობით რომ გაუცვინა ახალციხის ახალგაზრდა უნივერსიტეტში, და იმხანად ახალგაზრდა ლექტორსა და კათედრის გამგეს იშვიათი შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე სიცოცხლის ხალისით, გულისხმიერებითა და სამოგზაუროდ შეგულიანებით, მესხეთის ღირსშესანიშნაობანი რომ მოატარა ახალგაზრდებს.

იქვე გამოთქვამდა რამდენიმე დაკვირვებასაც ნაგვიანებ, ოღონდ ასერიგად წარმატებულ დებიუტზე („ნამდვილი შემოქმედი ყოფილა, გამოცდილი, დაღვინებული ოსტატი. ლექსებიდან ჩანს, როგორ ფლობს სიტყვას, რა-

ოდენ ღრმად წვდება შინაარსობრივ სიღრმეებს, როგორ გრძნობს ბგერას, რა ზუსტად მართავს ფრაზას. მე ისიც მომწონს, როგორ მორიდებით გამოთქვამს ტკივილს, თითქოს არ უნდა, რომ სხვა შეანუხოს, სხვას გადასდოს თავისი ნუხილი. ფაქიზად, შეფარვით, თითქოს თამაშ-თამაშ გვიმხელს დარდს და ასე აშენებს სალექსო ნაგებობებს“).


ეს ჩინებულად დანერგილი ბარათი სასწრაფოდ გამოვაქვეყნეთ სათაურით „შეხვედრა ოცი წლის შემდეგ“ და კოტე კაკიტაძეს მისმა ნაკითხვამ უკვე საბოლოოდ გაუფანტა ყოველგვარი ეჭვი — ღირდა თუ არა მისი ლექსების ბეჭდვა.

და სიხარულით დათანხმდა ლალი ეზუგბაიას შეთავაზებას — ცალკე კრებულად შეკრულიყო მისი ლირიკული თხზულებანი.

ასე იქცა რეალობად „წვიმის შემოქმედება“, ეს თავისებური სიმფონია, რომლის წარდგინებაც ლალი ეზუგბაიამე ითავა მისადმი რწმუნებულ ენათმეცნიერების ინსტიტუტის დარბაზში და მანაც და სხვა მეცნიერებმაც (მარინე ბერიძე, ციციონო კვანტალიანი, მარინა კიკონიშვილი, გიორგი გოგოლაშვილი, ავთანდილ არაბული, მიხეილ ქურდიანი, ნოდარ არდოტელი, მარინე ტურავა, ნინო ვახანია, თქვენი მონა-მორჩილიც მონანილობდა) ისეთი არტისტიზმით წარმართეს ის თავყრილობა, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ პოეტური თვალთ, პოეტური გულითა და იმედი ოცნებით გასხივოსნებული ბევრი დადის ჩვენს ქალაქშიც.

ამ ჩამონათვალს, ცხადია, ემატება თვითონ ახალბედა პოეტის გამოსვლაც, ვინც კიდევ ერთხელ გაიბრწყინა საჯაროდ და... კიდევ გადაეშვა პოეზიის მორევი — ახალ კრებულზეც დაიწყო ფიქრი, ახალ საჟურნალო პუბლიკაციასაც დიდი სიფრთხილითა და გულმოდგინებით ამზადებდა, უხვად გაიჩინა ინტერნეტ-მეგობრებიც და ყურადღებით უსმენდა მათ მოსაზრებებსა თუ შენიშვნებს... და ბათუმში, სამეცნიერო კონფერენციაზე წასული ზღვის ნაპირზე რომ გადიოდა, იქაც ლექტოპი ეჭირა და იყო ერთ ფაციფუსსა და გაგზავნა-გამოგზავნაში... ლიტერატურულ კონკურსშიც აპირებდა თავის მოსინჯვას...

ჩქეფდა და მღელვარებდა, როგორც სწვეოდა... და აღსასრული შორს, ძალიან შორს ეგულებოდა... ამ ყოველივეს, პოეტური სულით გაბრწყინებულს, ამიერიდან მოგონებები თუ შეინახავს, „წვიმის შემოქმედება“ და ის მეორე პოეტური კრებული, კვლავაც გაუნელებელ დარდს რომ გვიზიარებდა ფაქიზად, შეფარვით, თამაშ-თამაშით...



კოტე კაკიტაძე

ნინო ვახანია

მაინც რა ზერავს საზერავს?

კოტე კაკიტაძის ლექსები პირველად ჟურნალმა „ჩვენი მწერლობა“ გააცნო მკითხველს. მას მაშინვე მოჰყვა გულთბილი გამოხმაურება. ახლა კი ხელთ გვაქვს პოეტური კრებული — „ნახევარსაუკუნოვანი სევდის პატარა ჩამონალღვენი“, როგორც წინასწარ რედაქტორმა მარინე ბერიძემ უწოდა მას.

საკუთარი თავის ძიება, მარად ახალი და ძველთუძველესი კითხვები: ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, რისთვის მოვდივართ ან მივდივართ? ძალიან უბრალოდ და სადად დასმული შეკითხვა:

ამ საფერავს რა ფერავს?

და პასუხი კი არა — ფიქრის გაგრძელება:

შავ საფერავს თლილი ჭიქა ფიქრებს — ბნელი ღამე ნთქავს.

სევდითა და სინაზითაა სავსე პირობითად სატრფიალო ლექსები. პირობითად იმიტომ, რომ არსად პირდაპირ ქალის ხსენება, მხოლოდ ასოციაციები, წარმოსახვა, უჩინარი კავშირები. ლექსის მუსიკა სულს ათრთოლებს, გულს აძგერებს და გვირგვინად ადგას ცინიკხალი განცდის გამომხატველი სტრიქონები:

**სხვას უხმობდა ზარი!
და ცოფშეყრილს,
შენს ყვრიმალთან
ძარღვის ნელი ფეთქვა
ხაზარით
ყივჩალივით
მაფეთქებდა
დედფალ.**

ამ ლექსების ავტორი განსწავლული კაცია, ქართული ენის, ქართული ლიტერატურის, ქართული ძირების, ფესვების მცოდნე და მუდმივად მაძიებელი. მის ლექსებში გიორგი ლეონიძის, ვალაკტიონის, ანა კალანდაძის და სხვათა ხმა ყურისმომჭრელად კი არ ისმის, შიგადაშიგ, შორეულად შეგახსენებს თავს, გამშვიდებს და გაღელვებს ერთდროულად.

რა სევდიანი და საამოა „მონყენილი, უმძივებო კისერი“, „გამტყდარი დოქი“, „გამშრალი ყანწი“ და „ბრონლიანში ნახვა შეთქმულთა“ — უკანასკნელი სიყვარულივით ჩუმი, წყნარი, მწუხარე...

ეს ლექსები მოხდენილი ალიტერაციებითაც გვამახსოვრებს თავს. მითუმეტეს, რომ ფორმა და შინაარსი ცალკე კი არ არის, არამედ ერთ მთლიანობას ქმნის და გრძნობათა გამოხატვას ემსახურება. მხოლოდ ორიოდ ნიმუშს მოვიხმობ: „ჩამიჩუმობს ჩრჩილი ჩრჩილად რჩენილი“ ან „მეხი მუხას თუ არ მოხვდა, რა მეხია, მახარია! (შესიტყვება — მუხა-მეხი, ახალია?)“

ვაჟკაცური დარდი სერავს პოეტის გულს იმის გამო, უმაღლესს რომ ვერ მიწვდა, მწვერვალზე რომ ვერ ავიდა, მომავალს მოვლილ-ნაპატრონები ქვეყანა რომ ვერ დაუტოვა, „თამარ დედოფლის ციხე-დარბაზივით გაშლილი და მოხატული“, სული რომ ვერ განინმინდა და უზენაესს უშფოთველად ვერ მიეახლა... ვინ, ვინ უნდა მოუფონოს სულს, ვინ ჩამორეცხოს სირცხვილი? „ამ მთაზე ასვლას ახლა ღამობს ნაგრამი ჩემი. მთას ვერ ავცდებით!“ — იმედი, სიამაყე, მობოდიშება, მაღლიერება, შეუძლებლის შესაძლებლობა — მე მივანერე თუ მართლა გამოთქვა პოეტმა?

„ცოდვის უძირობაში“ ჩაძირულთ ეს ზამთარი სხვა ზამთრებზე სუსხიანი გვეგონია. ღვთის სასჯელად განა ის არ ეყოფოდა ადამიანს, რომ მზე არ ჩანს, ღმერთი არ ჩანს, სულის სიმშვიდე არსად არის, ახლა კიდევ ეს „ურითმო ლექსიც“ დაერთო და ღამის გასკდეს გული დარდისგან. არის საშველი? იქნებ უშველოს დარდის სხვა ქუჩაზე გადატანამ. გაგიგონია? „დღეს ორ ქუჩაზე გაჭიმულა ტკივილი გულქვა“. მართლაც და რა ქნან „სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის ვერსით მპოვნელთა“?

სამშობლოს, მისი წარსულის, მისი მომავლის, ენის, კულტურის ინტიმურ სიყვარულს ინახავს ოშკის ტაძარი. მხოლოდ ძალზე ახლობელს, უძვირფასესს თუ მიმართავს კაცი პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობით გაჯერებული ასეთი სტრიქონებით:

**შენს ბებერ კედელს,
შენს ჩუქურთმას,
ჩემგან უნახავს,
რამე სათქმელი ჩემთვის
ხომ არ გადაუნახავს?**

ძველს, ქართულს, ტრადიციულს, უკვე გარდასულს თუ უნუგემოდ მიმავალს ცრემლით და ტკივილით მისტირის გული. ბატონები რაა, ქართული ისიც სანატრელი გამხდარა. ნითელა და ქუთნთრუშა აღარ, ამ გამალებული გლობალიზაციის დროს მხოლოდ ყვავილი შეიძლება შეეყაროს ადამიანს. „ერდოზე მათრახით შემომჯდარი დრო“ გვაძიულებს დავივინყოთ ძველი, შევეგნოთ ერთგუროვნებას.

სამყაროს იდუმალეების ახსნას ცდილობს მარტოსული პოეტი: წვიმის ნათქვამის გაგონებას, ღრუბელთა ნაფიქრის მიხვედრას, ეს არც წვიმად ყოფნის სურვილია („რამ შემქმნა ადამიანად?“), არც „ნისლი ფიქრია მთებისას“ — ვარია-ცია, მაგრამ რა ქნას პოეტმა, როცა ესმის წვიმის მოყოლილი ჭორები და „ამბები უსირცხვილო ღრუბელთა“. სწორედ ასეთ დროს „ფიქრებს ღრუბელთ ნაფიქრალიც ედება“ და წერს, დარდობს, ამოთქვამს კაცი კი არა, ცით მოვლენილი წვიმა. „მე არ ვწერ ლექსებს“, ამ სიტყვების გამეორება შეუძლია „წვიმის შემოქმედების“ ავტორსაც.

კოტე კაკიტაძემ იცის სიტყვის გემო. მისი ცალკეული სიტყვები უკვე პოეზიაა — ბრონლიანი, აყელყელეა, ხორგო და საწბერავი, ფლასი და შიშით გაჩხიბვა, ლალდა და ლეხიდარი და მრავალი კიდევ სხვა.

იგი სრულიად არაპოეტური სიტყვებით და ამბებითაც კი ქმნის პოეზიას (მაგ: „ოხრავს ყურმილი. ყურმოკრული ამბებით მთვრალი“).

სულ პანია შესავალში ავტორმა გაგვიმხილა — მისი ლექსების გამოქვეყნება როსტომ ჩხეიძის ბრალი ყოფილა. ბრალი კი არა, ბატონი როსტომის კიდევ ერთი დამსახურება სხვა დამსახურებათა შორის — ახალი პოეტის აღმოჩენა.


ციალა გორდუზიანი

მზეში ჩატეული გული

კონსტანტინე კაკიტაძე! — ამ ახალ გვარ-სახელს ქართულ პოეზიაში სულ ახლახან გაეცნო მკითხველი და უმალ იგრძნო მისი ლექსების განსხვავებული სტილი და ჰაეროვანი ევფონიზმით შეჯერებული ბგერითწერილობის სინარჩნარე. პოეტის დიდი ხნის წინათ ნაფიქრს „ღრუბელთ ფიქრთა გამრიგემ“ გზა გაუხსნა და ბატონ კოტეს თავმდაბლად ათქმევინა: „კარგა ხანს ვიკავებდი თავს, არ მჯეროდა, რომ ამ ლექსებს ვინმე სერიოზულად აღიქვამდა, არც ახლა მჯერა მაინც და მაინც“...

„წვიმის შემოქმედების“ გემოვნებიანმა ავტორმა იქნებ არც კი იცის მისმა „გაუბე-დავმა“ სიტყვამ როგორი სუფთა სადინარი ჰპოვა და ჩვენთან ყოფნის საფუძველი როგორ გააათმავა... პოეტს ნაპოვნი აქვს საკუთარი გზა-ნამდვილი, ჭეშმარიტი, ხან წვიმის შემოქმედებით დანამული და ხანაც „ცეცხლური“ მზით გამთბარი. მისი ფიქრის საგანი ადამიანია და მის კალამს შეუძლია დრო გაზაფხულზე გამოაბას და ქვრივი ქალივით აატიროს, მდინარის სუნთქვა აჩურჩულოს, დარდები ჩაალაგოს და არ დაეკარგოს, მოლანდებდა იქცეს და საფლავიდან ამოიზარდოს, მიკროსკოპს ხელი ნაატანოს და მზის გულს ჩახედოს, იცხოვროს ქუჩაში და შეიფეროს ბორდიუმზე ჯდომა, ოფლი მოსწმინდოს დასიცხულ ქალაქს, გაატიალოს დავინწყების ღირსი წარსული დღეები, ბროლზე აანკარუნოს დაშლილი ბრონეული, მადლობა უთხრას ქვეყნის სიმყრალეს, ბოდიში მოუხადოს მოემს, ორ ქუჩაზე გადააჭიმოს გულქვა ტკივილი, გააჭირვეულოს წვიმის შემოქმედება, ვარსკვლავდასაფერთხ ცას თვალები მშვიდად მოაფშვინტოს, შავ კუნელს თვალი ჩააკერევიოს, ბუხრიდან ამომსკდარი ბლავილი გაროზგოს, დაგვიანებულ სტუმარს ყელმოღერებული ყანწი გამოაცლევინოს, ქვევრს ძირი გააგდებინოს.

მწერლის მიზნის სიცხადე პირველსავე ლექსში იგრძნობა, „სარკეში“ საკუთარ „მეს“ განაზოგადებს და ადამიანთა ზნეობისა თუ უზნეობის მძივებს თლილ ჭიქაში ჩასხმული შავი საფერავით აფერადებს, ზიარების საიდუმლოს ნაზიარევე მკითხველს თვითვე აპოვინებს პასუხს კითხვაზე: „ამ საფერავს რა ფერავს?“ ამქვეყნიური ცხოვრების სარკიდან თითქოს მორალური სინმინდე იმზირება, მაგრამ ავტორი რატომღაც ამჯობინებს, მარტო აუყვეს ცოდვებისაგან დამძიმებული ნუთისოფლის აღმართს და გულში ჩაიხვიოს მწარე ნაფიქრი: „არ ჩანს ვინმე ქრისტიანი, რომ წალმართი რამე თქვას“. გულნატკენი პოეტი წვიმის შემოქმედებისაგან ნასაზრდოებ სიცოცხლეს გაჩუმათებული მონოლოგით შეათრობს და თანამეინახე მკითხველსაც ხან იმ ბრონლიანში შეახედებს, სადაც „შეთქმულნი“ ელოდებიან და, ხანაც იმ დასიცხულ ალაზანთან მიიყვანს, ათროლოე-



ბული თლილი თითებით ხეს რომ შეაბამენ ნაჭერს ანაზ-დად. ნატერისა და ოცნების საუფლოში იტყვიან სიტყვას „სათქმელზე გრძელს“. სწორედ მაშინ დასცხებათ ქართული სიტყვამზეობით გათანგულებს და სწორედ მაშინ „გატყდება დოქი“ და „გაშრება ყელი...“

კოტე კაკიტაძის სულიერი მღელვარების მიზეზი იმ ცხოვრების დუღილშია საძიებელი, საიდანაც გაბრაზებული კაციც იმზირება და დამშვიდებულიც, მშეირიცა და მაძლარიც, ბოროტიცა და კეთილიც. მისი გამჭოლი მზერა მათი ცხოვრების რეალურ სურათს წარმოსახავს და წამითაც არ ცდილობს პოეტური ენერჯის შენელებას, „მით ნაჭირებზე“ სულს ათროლოებს, ჟამადმყოფობის ყოფნა-არ ყოფნის პრობლემებს იკვლევს და უშრება „ძარღვი დაძაბული გონების, წუხს ღიმილი შეღებული ფანჯრიდან“... „ხანდახან ავტორის „ოცნებების გუბეს“ და „უაზრო ყოფას, უფერო დღეებს“ ურითმო ლექსიც ერთვის. მაინც დულს ცხოვრება, „დაჩუტული გუდიდან“ სიცოცხლე ფეთქავს და „ლოდინია ლოდთან გადაგორების“. აღულებულ დარბაზში, სამწუხაროდ, ეშმა ისადგურებს და „მიდის გაყოფა ვერგასაყოფის“, სატანა ხარხარებს—„დიდება მსუქნებს! სიკვდილი მჭლეთა!“ „ჩხუბი ჯიბეთა“ და ეს ხარხარი

არ წყდება დღემდე. „თუ სამართალმა ისევე იმეფა!“ გავცემთ ავტორს პასუხს კითხვაზე: „თუ ღმერთი გნამს, ეს დრო ასე, მითხარ, რამ გაამხეცა?“ იქნებ მნათემ აანთოს გულით სანთელი და ზენაარმა დააყუროს ხეთა ჭრიალი. ზეკაცურია პოეტის სიტყვები: „შენ რომ გიხარია, სხვას რომ უხარია, მეც ის მიხარია“... მწერალმა „ძირსდამნარცხ შიშს“ უწინ „ვერ დაადგა მხრებზე ფეხი“. წუხს ძველი მარცხის გამო და საკუთარ თავს ეკითხება: „რად ზიდოს ჯიშმა“ უიმედობის მძიმე ჯვარი? ან რატომ ვერ უნდა შეძლოს მისმა „ნაგრამმა“ ძველი ფეხის დაცდენის გამოსწორება? ავტორის გულს უთავბოლოდ ახირებია ყოფიერების შიშის განმსაზღვრელი ნაწილაკები: „ოჰ-ოჰ, ან-ან, კი-კი, თუ-თუ“, რომლებიც „მუგუზლებითა და ჩხირებით“ სერავენ რუხ სივრცეს, სუნთქვის გახშირებით უჩხაპნიან გულს უხემ კონტურებს და პოეტი ისე იჩხირებს ოცნებებში, როგორც „ფეხზე გუბენამოცმული ღალდა“.

მიუხედავად იმისა, რომ კოტე კაკიტაძის პოეტური ბუნება საკმაო ხანს მდუმარებდა, დიდი ხელი და ლურჯი თვალი მთელი სინმინდითა და სათნოებით იცავდა, მის რომანტიკულ სულს გამბედაობას მატებდა და სამყაროს ცალულელა ქვეყნის დიდების აღმდგენ ტაძრებთან აჩოქებდა. ბებური ტაოს მიწაზე, ოშკთან გადანახული სათქმელის მოსასმენად ამზადებდა:

**შენს ბებერ კედელს,
შენს ჩუქურთმას,
ჩემგან უნახავს,
რამე სათქმელი ჩემთვის
ხომ არ გადაუნახავს?**

აღმსარებლური განცდით მონვდენილი პწკარები ლოცვასავით ისმინება. წყალი დუმილს ეგრძვის, პოეტის სიტყვა ღვთისმდუმარებითაა ნაბრძოლი — სუფთა, კამკამა, მაღლიანი ქართულით მოჩუქურთმებული.

პოეტის არცერთი ფრაზიდან ბნელი კუთხე-კუნჭული არ იმზირება: „ის ხე, ის ღობე, მერხი, ქუჩის ის ბნელი კუთხეც“ კი ანც ვარსკვლავებშია გაჩრილი. მისი ცრემლიანი თვალი ვერც მამის სურათს სწყდება. მოკლე წუთისოფლის ვინრო შუკიდან მზერას ცისიერისკენ მიაპყრობს და მამალმერთის უზენაესობას მკითხველსაც აღიარებინებს: „პასუხს არ აბრუნებს“....

მრავალმხრივ საყურადღებოა საკრალური ლირიკული ნაწარმოებები, საიდანაც „ფითრზე უფერო“ კაცის აღსა-რება ისმის:

**რაც აქ მელოდება, რაც აქ მემუქრება,
არის შეფერება. ოდნავ შემუქება...
იქნებ შემიფარონ სხვათა საფლავებმა.**

ლექსი „ქვევიდან ზევით“ ამქვეყნიურობის „შავ ნაჭერზე“ გადაწერს ავტორის ნაფიქრს:

**რა ჰქნან ჭინკებმა, ნაბიჭვრებმა პატარა გულით,
როდემდე უნდა ილღიცინონ კულების რხევით?!**

როგორც ავტორი აღნიშნავს, ფარისევლობით, სიბილ-ნით, სიცრუითა და გაუტანლობით დამძიმებულ ცოდვის სადგურს „ელამი მზერა“ მიუპყრია ზესთასოფლისკენ და თვალდადგმულებს „ძველი ფლასი შეუბამთ მკლავზე“...

განაჩენი გამოტანილია— „გული საგულეს ვერ ჩადგება ქვემორე მყოფთა“! პოეტი ადგოკატის როლშია. გულში ურდულგაყრილი ჭიშკარი, რომელიც ჭინკების ძველისძველ ქადილს ველარ ურიგდება, ფართოდ ალებს კარს მეორე ჭიშკრისაკენ, სადაც ზოგიერთ ვერნათქვამ სიტყვას „ითვლის ვილაც უცნაურს...“

ორმაგ დატვირთვას იძენს ფრაზა: „დღეს ორ ქუჩაზე გა-ჭიმულა ტკივილი გულქვა“ და „ბედის გამრიგემ ჩაიცინა უკ-ვე ურიგოდ“. ლექსში „ახალ ქუჩაზე“ „გულქვა ტკივილს“ ამ-ქვეყნიური ყოფა იტევს და უფამობიდან თვალს ადევნებს არსთა გამრიგე „გოჯა-გოჯა“ გადაზომილ საუფლოს. ბრძა-ნებს ზემოდან: „დაეხსენითო, ტკეპნოს ახლა ტალახი ქუჩის, ყოფნის თავისი“... „ყოფის ხალისი“ უჭირს ცოდვილთა მიწას და ამიტომაც პოეტმა გადაიტანა დარდი ჩვენი ახალ ქუჩა-ზე...

კოტე კაკიტაძის ლექსები „ვარსკვლავდასაფერთხი“ ცასავითაა სავსე სიკეთით, მაღლითა და სათნოებებით. ამიტომ მორალს აღარ საჭიროებს. მთავარია, მკითხველმა კარგად გაითავისოს.

გარემო, რომელშიც პოეტი ცხოვრობს, პირდაპირია, ნაღდი, უტყუარი, ალალ-მართალი, თუმცა მის ნაწერებში ურთიერთდაპირისპირებულობაც შეინიშნება. გინდ გაბ-რაზდეს, გინდ არა, მტერსაც და მოყვარესაც პირში ეტყვის სათქმელს. ხანდახან „გაგლეჯა უნდა ყრმობიდან ადევნე-ბული ძაფის“ და „აბრმავებს ახლა ზმანება დღეთა, ამი-ნებს ახლა ჩამუხლვა მწუხრის...“ დაუფარავი გულისწყრო-მა ტრფობის ობიექტისკენაცაა მიმართული: „ადევსო ისევე შენს გულისკარს ყინვის რაზეები“...

ბუნებრივია მწერლის ფერწერული სურათები, თუმცა მჭრელი და ალესილი. ჩანს, როცა კარი მიხურულია და ამ კარ-ზე მკრთალი წარწერაა, „ამ წელს ზამთარი უფრო ცივია, ვიდ-რე ზამთარი არის საერთოდ“... იმედგაცრუებულ კაცსაც „იმ

ძველ ზამთრებთან“, ალბათ, „აღარაფერი დარჩა საერთო“...

დაღლილ დღეთაგან განანამები მწერალი „ფორასა“ და ღიმილს ერთად მოითხოვს, წუთის შეშლილ წამს აადამიანუ-რებს და აფრთხილებს, „იცოდე შენი ფასიო“. სიკვდილის დამთრგუნველ წვიმას უხმობს საშველად და წუნუნა წვე-თებს პირდება გაუთქმელობას, ჩურჩულით ადევნებს სიტყ-ვებს: „სხვას მოუყევი ახლა ღრუბელმა ჩემზე რაც თქვა“...

პოეტმა თავისი მშვენიერი ლექსებით ძვირფასი წუთები შემატა იმ ცხოვრებას, რომელიც იყო და აღარ არის. ყმან-ვილკაცობის განცდებს ველარ იტევს დრო, რომელიც „გულზე სკდება“, ვერ იტევს სოფელი, რომელიც ახლა მის-თვის უკვე პიროვნებაა და მასთან ერთად სუნთქავს, თანა-ზიარობს, ესაუბრება გარდასულ დღეთა უძილო ღამეებზე. სიყვარულით აღმოდებული ბიჭის „მთვარეს ეჩრდილება“ ახლა „დაჯვარული ხაზეები“. ბრაზიან დღესაც მის სანიწა-აღმდეგოდ მოუმართავს საათები და წუთები, წლები კი „შექუჩულან და წელკავით ჰბასრობენ“, თითქოს გარდა-სულ დღეებს გაუშეშებია „ნულ ნიშნულზე დასაძლვეი თა-მასა“... „ისევე ესმის წვიმის წვეთთა ჭორები ... და ედავება საწვეთელთან წვეთი წვეთს“...

მკითხველის თვალს არ ეპარება „მეზობლის ღობეს მორცხვად აკრული ჩითისკაბიანი“, „ღრუბელდაკრული“ გოგო და დანისლული სოფელი. საგულისხმოა, რომ ეს ორი სოფელი ტკბილი ჰანგებითა და საგალობლებით ენაცვლე-ბა ერთიმეორეს, ჟამადმყოფობის—ჩვენს ცხოვრებაში ჩა-ტეულ-ჩაფერფლილი და უფამობის—მარადიულ სიყვა-რულსა და უკვდავებას ნაზიარები.

პოეტის მოჭარბებული განცდა კალაპოტში ველარ ეტე-ვა, „ელოდება როდის გაიხსენებს ნაპირებს მონატრებული ტალღა“... დროულია რიტორიკული კითხვა: „განა ბუხარს უჭვარტლობა უხარია“? ავტორმაც და მკითხველმაც კარ-გად იციან, რომ ურეჩხო შარავ ზაც არ არსებობს, რომ უტ-კივილობა დამანგრეველია და წარმოუდგენელია იცხოვროს ისე, „გულმა რეჩხი თუ არ გიყო“...

პოეტი ლექსში „სხვა ზარი“ გულწრფელად აღიარებს, რომ ერთმა სიტყვამ — „ჩემო“ — ყველაფერი უნდა დაიტი-ოს. მნიშვნელოვანი დეტალია — „ეს ზარი, მართლაც, სხვა ზარია“ — სიხარულისა და სიყვარულის დამტევი, სიცოცხ-ლისა და უკვდავების მომნიჭებელი და ამის „ფასი და გემო“ ვინაც იცის, „ყველაზე მალი მალემსრობლიც ვერ დაი-ჭერს“... „ზარკრული ჩემო“ ისეთი თანაგრძობით, მზრუნ-ველობითა და სიყვარულითაა დამთბარი, რომ ქალს მიღე-ბულ გადანყვეტილებაზე უარს ვერ ათქმევინებს. ყველა სიტყვის „ყველა სარჩულს გამოჰყვრია სილურჯე მუქი“ პირველქმნილი ფერისა...

გასაოცარი პოეტური ოსტატობით იხსნება ლექსი „მძივი“ — „ძუა—თვალი; ძუა—ქვა“, რომელიც ყველაზე მთავარ მნიშვნელობას იძენს სიტყვაში — „შეკრა“, მაგრამ მოულოდნელობისგან დაბნეული მკითხველი, რომელიც ჯერ კიდევ ესთეტიკური ტკბობის ექსტაზშია, „აყორეული და აყელყელავებული“ მძივის განყვეტასა და „ძარღვიან პეშვზე ჩამოყრისას“ მზერას „უმძივებო კისრისკენ“ უფრო მიაპყრობს, ვიდრე განყვეტილი მძივისაკენ. ავტორს, მარ-თლაც, ცეცხლი მიაქვს ნაუკითხავ დავთრებთან.

ემოციის ნიადაგზეა შექმნილი ლექსი „იმ პატარა კორ-ტონზე“, საიდანაც უცნობი ბიჭის სახე იმზირება. „ტალახი-ან გუბები დარბის ვილაც ქოჩორა ტიტლიკანა ბადიში“. ავ-

პრიტიკა

ტორის ინტერესი ბიჭისადმი ძლიერდება: — „რომლისა ხარ ბიჭია“? — ეკითხება და მისი სურვილები „ჩამალულ ჭადრებთან“ სიკეთით საცხე ხურჯინში უხვად იყრება თავისი თუ „სხვისი არჩივისთვის“...

ხალასი ფერი დაჰკრავს იმ პატარა კორტოხზე „იმ გზა-ფენილ გზანვრილს“, ასე რომ „ელის, როდის ჩაიხუტებს ძველს ახალი ჩარჩო“, როდის „შეაჯამებს დღევანდელ დღეს ანჯამების ყუა“.

კოტე კაკიტაძის ქვევიდან ზევით მზირალ სათვალთვა-

ლოს არაფერი გამორჩება. მან კარგად იცის, რომ ჩასავარდნ ხეცს და ფლატეს „სადღაც ელის მღვიმე“. ამიტომაც ითხოვს ჩვენგან „ფლატის ძგიდეს მდგარი“ „ვარსკვლავდასაფერთხ“ ღიმილს... იცის, „დარდიმანდობს დამლიანი ცხოვრება“.

პოეტის სიტყვას „სავსემთვარობის ნიშანი ადევს“ და „სიპზე ჩამომჯდარი დოქიდან“ სწყურია ადამიანთა სიყვარული. „გაზის ქურასთან მოფუსფუსე მეუღლის“ გვერდით ფასობს სიტყვა „ჩემი“ და „დღე... ჩვეულებრივი“. მას სჯერა ხვალინდელი დღის და ყველა ამ ნიშანს თავის ლირიკულ

ახალგაზრდებო, ან კი თქვენი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების I კურსის სტუდენტები გადაიან ქართული ენის კურსს (ძირითადი საგანი) 2-3 სემესტრის განმავლობაში (ლექტორი ასოცირებული პროფესორი მანია კვიციანი-კომპანი). ამ კურსის სწავლების მთავარ მიზანს წარმოადგენს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით მართლმეტყველებისა და მართლწერის წესების დაუფლება, მასმედის ენის ანალიზი, იმ ფართოდ გავრცელებული ბარბარიზმების, ჟარგონების, კალკების აღმოფხვრა წერიდან და მეტყველებიდან, ქართველი ახალგაზრდები, განსაკუთრებით ჟურნალისტები, ასე ხშირად და ყოველად გაუმართლებლად რომ იყენებენ. ამიტომ სწავლების პროცესის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენს შემოქმედებითი წერა. დავინტერესდით, როგორ აფასებდნენ ქართული ტელეარხების საქმიანობას, მათ პროგრამებს პირველკურსელი ჟურნალისტები. გთავაზობთ მათ ჩანაწერებს ციკლიდან „ჩვენი ტელეეთერი“. ავტორები ხშირად ძალზე კატეგორიულები არიან შეფასებისას (ახალგაზრდებისგან ეს არც არის გასაკვირი). უფროსი თაობა ამავე მოვლენების მიმართ შედარებით ლოიალურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. დაე, მკითხველმა განსაჯოს, ვინ მართალია და ვინ — არა, ოღონდ ახალგაზრდების სინაფელე, დაკვირვებულობის უნარი და აზრის სიციცხალეც ნუ გამორჩება, მათი მზადყოფნა — ყველაფერი იღონონ, რათა გახდნენ თავიანთი საქმის პროფესიონალები.

მისწავლოთ კვლევის შედეგებზე

„ტელევიზია თვალების თეატრიაო“, — უთქვამს ერთ მოაზროვნეს და, მართლაც, ის ყველაზე დიდი თეატრია, რომელსაც ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავს. თანაც არც ბილეთის ფასს ვიხდით და არც სახლიდან გასვლა გვჭირდება. მოკლედ, ჩვენს სტიქიაში ვართ: ძალისხმევის გარეშე ვიღებთ სასურველს. მედიას რომ უზარმაზარი როლი და გავლენა აქვს საზოგადოების ცხოვრებაზე, უკვე ალარავინ დავობს. მსჯელობენ იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება ესა თუ ის მედიასაშუალება საერთაშორისო სტანდარტებს; იცავენ თუ არა მისი წარმომადგენლები ჟურნალისტისტა ქცევის კოდებს და ა.შ. ძირითადად, კრიტიკოსები მედიისაგან მოითხოვენ საინფორმაციო, საგანმანათლებლო, გასართობ გადაცემებს, სიღრმისეულ ინფორმაციას, რომელიც მაყურებელს საღ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიაღებინებს, ესთეტიკურ ტკობას მიანიჭებს და ზნეობრივად აამაღლებს.

საინტერესოა, რამდენად პასუხობს ამ მოთხოვნებს ქართული ტელეეთერი.

მთავარი და ყველასთვის მნიშვნელოვანი — ახალი ამბებია. საინფორმაციო გამოშვებებიც, სამწუხაროდ, ისევე, როგორც მთელი ქართული საზოგადოება, უაღრესად პოლიტიზებულია. გადაცემების თითქმის 3/4 ადგილობრივ თუ გლობალურ პოლიტიკას აქვს დათმობილი. როცა ის შეიძლება პირველი, მაგრამ მინც ერთი ჩვეულებრივი ნაწილი იყოს მთლიანი გამოშვებისა, სოციალური, კულტურული ან სპორტული ამბების გვერდით. ამგვარი უჩვეულო თანაფარდობა, ვფიქრობ, გასაკვირი არცაა ქვეყანაში, სადაც წელი ისე არ გაივლის, მრავალათასიანი აქცია არ გაიმართოს; სადაც უცხო ხდება საკუთარ ინტერესებზე წინ საერთო საქმის და-

ყენება; სადაც „ყველა ნაცარქექიას სარდლობა სწყურია“. გულდასაწყვეტი ისაა, რომ ამომწურავ ინფორმაციას, თანაზომიერად გაშუქებულ მედლის ორივე მხარეს თითქმის ვერსად მოვისმენთ. „ქრონიკის“, „მომამბისა“ და „კურიერის“ ყურებისას მრჩება შთაბეჭდილება, რომ ერთ ოთახში დამუშავებულ, ერთ თარგზე მოჭრილ ინფორმაციებს ვისმენ.

აქ გაკვირით ან სულაც არაა ნახსენები ის არცთუ უმნიშვნელო ამბები, რომლებსაც „მაესტრო“ და „კავკასია“ გვთავაზობს, თუმცა ცალმხრივობა მათაც ახასიათებთ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორ ტელევიზიას თითქმის ვერ უყურებენ რეგიონებში. მათ არც იმის სახსრები აქვთ, რომ სხვათა მსგავსად, მნიშვნელოვან საერთაშორისო შეხვედრებსა თუ სამიტებზე გადაამღები ჯგუფები მიავლინონ.

ცალკე თემაა „საზოგადოებრივი მათყაობელი“, რომლის საზოგადოებრიობაც, მგონი, მხოლოდ „ევროვიზიის“ ტრანსლაციით გამოიხატება. სიმართლე გითხრათ, სწრაფი გადათვალისწინებისას თუ ვხვდები ამ არხზე და იშვიათად, რამემ რომ დამაინტერესოს. არც სხვებისგან მსმენია სანინააღმდეგო. არადა, ანონსებს რომ გადახედოთ, ნამდვილად გაოცდებით და შეიძლება გეგონოთ, რომ ჩვენზე ბედნიერი არავინაა დედამიწის ზურგზე: „სამოთხის ვაშლები“, „ცხოვრება მშვენიერია“, კარგია, არა?!



დილის გადაცემაშიც ფრიად მნიშვნელოვანი ამბები განიხილება: „რა განიზიდავს მამაკაცს ქალში?“ „რას უმაღლავენ მეუღლეები ერთმანეთს?“

სხვადასხვა ცნობილი ადამიანის პირადმა ცხოვრებამ ამ ბოლო დროს იმდენად წამოინია წინ, რომ თითქმის ყველაფერი დაჩრდილა. „პროფილი“, „ნანუკას შოუ“ და „სიმართლის დრო“ ხომ ბევრთად ემსახურებიან ამ საქმეს. კვირის ბოლოს კი ყველა ვილაცის აღიარებაზე ლაპარაკობს. იციან, რამდენჯერ უყვარდა ლალი მოროშკინას, ფულის გამო შეირთო თუ არა ზურა ხაჩიძე ხათუნა ჟორდანიას და ა.შ. აღიარებას რა სჯობს, ოღონდ თუ ამას მონანიება მოჰყვება თან და არა დარბაზის ტაში. ამ გადაცემების შემდეგ ისეთი განცდა ჩნდება, თითქოს მიუღებელი და დაუშვებელი არაფერია. მერე რა, თუ ვილაც წლობით იყო წამალდამოკიდებული; მერე რა, თუ ვილაცის მესამე ქორწინებაც კრახით დამთავრდა და ახლა შემდეგ „სიყვარულს“ ეძებს. ცხადია, ქვა არავის უნდა ვესროლოთ, მაგრამ მე ის მაშფოთებს, რომ თითქოს ამ ყველაფრის პოპულარიზებას ცდილობენ. ყოველივე ისეა წარმოდგენილი, რომ მაყურებელი სრულიად გათავისუფლდეს მორალური ჩარჩოებისა და საზოგადოებრივი აზრის „ბოროტი მარწმუნებისგან“. საინტერესოა, გადაცემის ავტორები ამას მიზანმიმართულად აკეთებენ თუ მართლა ვერაფერს ხვდებიან. თუმცა, არც კი ვიცი, აქედან რომელი უკეთესია.

არ შემიძლია, არ შევეხო, ერთი შეხედვით, სრულიად უწყინარ გადაცემას „მხიარული ოჯახი“. მე პირადად, წამდვილად არ მეცინება, როცა წურწმუნის ძალღვივით აყვებენ ან ლიზა ბაგრატიონს ოთხზე დამდგარს დაარბენინებენ. არ მგონია, კარგ გავლენას ახდენდეს ბავშვებზე იმის ყურება, თუ როგორი სიცილ-ხარხარით თხუპნიან ან წუნავენ პატარები საკუთარ მშობლებს. და ამის შემდეგ უნდა მოვიტხოვოთ, რომ შეილებმა პატივი გვცენ?! შეიძლება ბევრი არ დამეთანხმოს, მაგრამ მე ეს გადაცემა საშინლად არ მომწონს.

ამერიკელი კრიტიკოსები წერენ, რომ მედიასაშუალებათა წარმომადგენლების უმეტესობა გულისხმობს დაბალი ინტელექტის მრავალრიცხოვან აუდიტორიას, რომლის ერთიანი მსყიდველუნარიანობაც უზარმაზარია. „კომუნიკატორები მიიჩნევენ, რომ აუდიტორიის დიდ ნაწილს განათლებას გართობა ურჩევნია და სწრაფად კარგავს ინტერესს იმის მიმართ, რაც სააზროვნოა“.

ჩვენი ტელევიზორცე ამის ნათელი მაგალითია. დილიდან გვიან საღამომდე ერთ სერიას მერე ცვლის. შიგადაშიგ გამოერევა რომელიმე მდარე, უგემოვნო იუმორისტული შოუ და, თუ საკაბელო ტელევიზია არ გაქვთ, რომ უცხოურ არხებზე გადართოთ, შეიძლება საერთოდ დაკარგოთ ტელევიზორის ყურების სურვილი. მესმის, მაგრამ ვერც ასეთ გულგრილობას გვაგმართლებ. იქნებ სწორედ ამგვარი დამოკიდებულების ბრალია ის, რაც დღეს ჩვენს თავს ხდება.

„ქრონიკის“ იმ გახმაურებული ინსცენირების მერე ხშირად ახსენებდნენ „კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას“. ნეტავ, მისი დაწერილი ერთი დასკვნა მაინც წამაკითხა ან რეალურად დაწესებული სანქცია მანახა და ვირწმუნებ, რომ საქართველოში ერთი კომისია მაინც აკეთებს თავის საქმეს.

უცნაურია, ყველაფერ უცხოს ისე ადვილად ვითვინებთ და რატომ არ შეიძლება, ამაშიც მივბადოთ სხვებს? ვეზიაროთ ევროპელ ტელეწამყვანთა პროფესიონალიზმს. მეტყველებისა და სტუმრებთან ურთიერთობის კულტურით დაწყებული, მათი ჩაცმულობით დამთავრებული, ყოველივე დახვეწილი და თითქმის უზადოა.

უნდა ვაღიაროთ, ოჯახებსა და სამეგობრო წრეებში ამაზე წუნუნი არაფერს ცვლის. ერთადერთი, რისი იმედი შეიძლება გვქონდეს, ისაა, რომ დამწყები ჟურნალისტები ძველების შეცდომებზე სწავლობენ და თავიანთ რიგს ელოდებიან, დროს, როცა ბურთი და მოედანი მათ ხელში იქნება, ქართულ ტელევიზიას კი ახალი, უკეთესი დილა გაუთენდება.

ეკატერინე მაღალაძე

ქართული ტელეეთერი
თვალის გადავლახით

ქართული ტელეეთერი განსაკუთრებული მრავალფეროვნებით არ გვანებივრებს, მაგრამ მრავალფეროვნებას ვინ ჩივის. როცა, რაც გვაქვს, ისიც ვერ გვახარებს.

ძალიან ბევრი პრობლემაა როგორც მაუწყებლობაში, ასევე ტელეწამყვანებში. ილიას „ბედნიერი ერი“ გამახსენდა, როდესაც ჩვენს ტელეეთერზე ვფიქრობდი. მართლაც რომ ასეა: „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი? ქედდრეკილი, მადლიერი, უშფოთველი, ქვემძრომელი, თვალაბმული, თავაკრული, ყველა ცრუი, ყველა ყრუი, მტვერწაყრილი, თავდახრილი, ყოვლად უქმი, უდიერი, მტრის არ მცნობი მოყვრის მგმობი, არრის მქონე, არრის მცოდნე...“ ილიას ყველა ეს განსაზღვრება სავსებით მიესადაგება ტელევიზიის მდგომარეობას და სწორედ ეს მდგომარეობა განაპირობებს შემდეგ ჩვენს „ბედნიერ ერობას“.

საქართველოში არსებული ტელევიზიები სიმართლის უკმარობას განიცდიან. ყველა საინფორმაციო არხზე არის ერთი და იგივე მდგომარეობა, რატომღაც წამების სიზუსტით გადის დამონტაჟებული სიუჟეტები და ყველა არხის ოპერატორს ანალოგიური ხედვა აღმოაჩნდება ხოლმე რაიმე კადრის გადაღების დროს. დილიდან საღამომდე ყველა საინფორმაციო გადაცემაში ერთი და იგივე კადრი ტრიალებს, განსხვავებული მხოლოდ წამყვანთა გარეგნობაა, თორემ ისინი შეცდომებსაც კი ერთნაირს უშვებენ.

ქართულ ტელეეთერს რომ გადავხედოთ, ვეჭვობ, ისეთი გადაცემის პოვნა შეეძლოთ, რომელსაც საჩვენებლად ავიღებთ და ვიტყვი, რომ ამ გადაცემას სიამოვნებით ვუყურებთ. სამაგიეროდ, სერიანების დიდი არჩევანია. ბრაზილიური გინდა, ესპანური თუ იტალიური, ახალგაზ-



რდული თუ საბავშვო, თუმცა მსგავს მდარე ხარისხის სერიალებში ბავშვი სასარგებლო ვერაფერს ნახავს.

სერიალის ნახვა არ გინდათ? მშვენიერი გასართობები: „კომედი შოუ“, „ქლაბ შოუ“, „ვანო ჯავახიშვილის შოუ“ და მსგავსი „მანათობელი ვარსკვლავები“, რომლებიც ძალიან თამამად ხუმრობენ და ყოველგვარი უზნეობის ხმამაღლა თქმა რატომღაც იუმორის უმაღლეს გამოხატულებად მიაჩნიათ. გავერთეთ კიდეც, გავმხიარულდით. მოდით, ახლა ყოველი დღის დასაწყისს გადავხედოთ. ძალიან გულღია, მხიარული და მეტისმეტად თავისუფალი წამყვანები. „იმედის დილა“ — ეს არის გადაცემა, რომელსაც მხოლოდ იმ შემთხვევაში ვუყურებ, თუ მძიმე სასჯელის გამოტანა მინდა საკუთარი თავისთვის. ამ გადაცემაში არ იცავენ არანაირ ჟურნალისტურ ეთიკას, ქცევის ნორმებს და საზოგადოებას საერთოდ არ სცემენ პატივს. „იმედის დილა“ არ გვინდა? არა უშავს, შეგვიძლია „სამოთხის ვაშლებს“ ვუყუროთ, ხომ ძალიან სასიამოვნო სახელია, თითქოს ყველაფერი კარგად არის ჩვენ ირგვლივ და სრული ბედნიერებისთვის მხოლოდ ეს გადაცემა გვაკლია. „სამოთხის ვაშლებიც ვიგემეთ“, ნურც „რუსთავი 2“-ს ვაწყენინებთ, დილით ფარული კამერის ტიპის სიუჟეტს „გამატელევიზორს“ თუ არ ვუყურეთ, ისე როგორ შეიძლება დღის დაწყება.

ძალიან კარგი, დილიდან არაჩვეულებრივი განწყობა გვაქვს, არც მერე გვცალია მოსაწყენად, „ცხოვრება მშვენიერია“. თუ ეს მშვენიერებაც არ გვყოფნის, ნანუკა დაგვეხმარება თავისი განსაკუთრებული უშუალოებით და ისეთ შინაურულ სიტუაციას შეგვიქმნის, თავი მეგობრებთან ერთად გვეგონება ქორაობის პროცესში. არა, ამდენი მხიარულებაც არ შეიძლება. ცოტა სენტიმენტიც საჭიროა. ამისთვის კი მაია ასათიანი გველოდება თავისი გადაცემითა და განუყრელი ფრაზით: „მე თქვენ შემეყვარდით!“

მგონი ყველა ადამიანური გრძნობა განვიცადეთ. ერთადერთი სიმართლე დაგვრჩა გასაგები. არც ამაზე დაგწყდებათ გული, ნანკა კალატოზიშვილი ყოველ სამშაბათს შეგატყობინებთ ამა თუ იმ ცნობილი ადამიანის ინტიმური ცხოვრების დეტალებს და სიმართლეს გაამიშვლებს გარკვეული თანხის ფასად.

პოლიტიკურ დებატებს და მსგავსი ფორმატის გადაცემებს მოკლებული ვართ, მაგრამ ამ დეფიციტის შევსებას მაინც ცდილობენ, „აქცენტები“ უნდა გავამახვილოთ ამა თუ იმ თემაზე, ყველას აქვს „არჩევანი“ ნებისმიერ საკითხზე და ყოველთვის შეიძლება „დილოგი“ ყველა ადამიანთან.

თითქმის ყველა გადაცემა შემოვიარეთ. რა ჩვენი ბრალია, თუ ვერც ერთზე ვერ შევაჩერეთ ყურადღება. ერთი-და-ერთი დაგვრჩენია, შეგვიძლია მთელი დღე საბავშვო გადაცემებს ვუყუროთ, „ბაბილინას“ დაველოდოთ და შემდეგ ტკბილი ძილი ვუსურვოთ ერთმანეთს. იქნებ სიზმარში მაინც ვნახოთ ისეთი ტელეთერი, როგორიც მხოლოდ იდეალში არსებობს. მეორე დღე კი ისევ მხიარული დილით დავიწყოთ და ასე დაუსრულებლად.

ყველაფერი ამის მერე მართლაცადა: „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?“

ტელეთერიდან საუკეთესო ქართული უნდა ისმოდეს

დღესდღეობით ქართულ ჟურნალისტიკაში უამრავი პრობლემაა. ჟურნალისტები ხშირად არღვევენ პროფესიული ეთიკის საერთაშორისო პრინციპებს. ხშირ შემთხვევაში ინფორმაცია არ შეესაბამება საზოგადოების ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. საათში ერთხელ იმეორებენ ერთსა და იმავეს. აგრეთვე, ჟურნალისტების არაკორექტული შეკითხვები და მათი საუბრის მანერა გამაღიზიანებელია და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მათ არაპროფესიონალიზმს. ჟურნალისტთა ერთი ნაწილი საერთოდ არ სცემს პატივს ადამიანის პირად ცხოვრებასა და ღირსებას. მოვლენების ობიექტურად გაშუქება ჟურნალისტის მოვალეობაა. არის კი ასე დღეს?.. ახლა მინდა ვისაუბრო ყველაზე მწვავე პრობლემაზე, რომელიც აქტუალურია და ენის სინშინდეს უქმნის საფრთხეს, ეს არის დაბინძურებული ტელეთერი. ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები თუ რიგითი ქართველები ხშირად გრამატიკულად გაუმართავ სიტყვებსა და ფრაზებს იყენებენ. ქართული ენას აბინძურებენ კალკებით, უმართებულოდ ხმარობენ უცხო სიტყვებს. ჩვენ ვლაპარაკობთ ენის სინშინდებზე და ჩვენვე ვანამებთ ენას, გვიხარია, რომ გვაქვს ზედმეტი სიტყვების მარაგი, რომელიც შეგვიძლია მოვიხმაროთ საზეიმო შემთხვევაში და გვეჩვენება, რომ ეს დიდებულია. თუმცა სწორედ ეს არის პრობლემა. ზოგჯერ მარტივ წინადადებას ისე ჩაგხლართავთ, ჩვენვე გვეჭირს აზრის გაგება. ილია ჭავჭავაძეს უთქვამს: „სამი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან: ენა, მამული და სარწმუნოება, თუ ამით არ ვუპატრონეთ, რა მამულიშვილები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას“. ქართველები ვმტრობთ მშობლიურ ენას, ხოლო როგორც გრიგოლ ორბელიანს უთქვამს: „მტრობა ენის, არს მტრობა ქვეყნის“. მშობლიური ენა ჩვენი საუნჯეა, რომელსაც დაცვა და გაფრთხილება სჭირდება.



დასასრულ, მინდა აღვნიშნო, რომ თანამედროვე ჟურნალისტიკის მეტყველებას დიდი — არსებითად განმსაზღვრელი — გავლენა აქვს საზოგადოების მეტყველებასა და აზროვნებაზე. ამდენად, სავსებით დაუშვებელია ჟურნალისტთა მიერ მშობლიური ენის ბუნებისა და წეს-კანონთა უგულვებლყოფა, გაუმართავი წერიტი და ზეპირი მეტყველება. ვერც ერთი ჟურნალისტი, როგორც ცოდნითა და ნიჭიერებით უნდა იყოს აღჭურვილი, იმის მეთათვისდაც კი ვერ შექმნის სასიკეთოს, რასაც ნახადენს მშობლიური ენის დამახინჯებით. თუმცა მაქვს იმედი, რომ ქართველი ჟურნალისტები და არა მარტო მასმედიის წარმომადგენლები, გონს მოეგებიან, დაფიქრდებიან ამაზე და ნელ-ნელა მოგვარდება დაბინძურებული ტელეთერის პრობლემა.

ენის დამახინჯება ტელევიზიის პრაქტიკა



როგორც ვხედავთ, ქართულ მედიისივრცეში ახალი ტელეარხები მომრავლდა, ჩემი აზრით, ისინი დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თითქმის ყველგან ერთი და იგივე პროგრამა, საინფორმაციო გამოშვება, შიდადამიგ გასართობი გადაცემები, მულტფილმები და გაუთავებელი სერიალები, რომლებთანაც ჩვენი თა-

ობის წარმომადგენლები მაინცდამაინც ახლოს არ არიან, რაც, ჩემი აზრით, კარგია.

ტელევიზია მთლიანად ვერ პასუხობს საზოგადოების შემეცნებით ინტერესებს, ამიტომ არის, რომ ბევრი კომპიუტერსაა მიჯაჭვული. ქართული ტელეეთერი დახვეწას, შედარებით უკეთესი პროგრამების შექმნას საჭიროებს, არსებული არხები რომ გავაერთიანოთ და მივიღოთ მხოლოდ ერთი, შეიძლება მივხვდეთ, რომ დანარჩენი არც ყოფილა საჭირო, რადგან ყველგან ერთი და იგივეა.

ზოგიერთი გადაცემა მაყურებლისთვის არაფრის მთქმელია, ზოგი კი აბინძურებს საზოგადოების აზროვნებას. მე უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს „სიმართლის დროსთან“. იქ მიმსვლელი ყველა მონაწილე, ფულის მიღების მიზნით, ყველაფერს კადრულობს. მათ შეუძლიათ ნებისმიერ კითხვას გასცენ პასუხი და ნებისმიერ თემაზე ისაუბრონ. ეს გადაცემა ზოგიერთს უბიძგებს იმისკენ, რომ მონაწილეებს მიბაძონ, რადგან მათი მიბაძვით შეიძლება რამეს „შიაღწიონ“. ეს მიღწევა კი იქნება არა პრომისი, არამედ, შესაძლოა, გარყვნილობის წყალობით.

ერთ-ერთი ცუდი მხარე, რომელიც ქართულ ტელევიზიურ ცემაში ხშირად ჩანს, დამლელი რეკლამებია, ისინი ისე ხშირად მეორდება და იმდენ ხანს გრძელდება, ზოგჯერ გვაკვირვებდა კიდევც, რას ვუყურებდით მანამდე.

კიდევ ერთი და ყველაზე ცუდი, რაც ჩვენს ტელეარხებს ახასიათებს, არის ჟურნალისტების მიერ წარმოქმნილი უხეში გამონათქვამები, ანუ ენის დამახინჯება. ხშირად გვესმის, თუ როგორ ამახინჯებენ ჟურნალისტები ჩვენს ქართულ ენას, არადა, როგორი დახვეწილი და ლამაზია იგი.

ოდითგანვე შემკული და კურთხეული ქართული ენა დღეს სავალალო დღეშია, მის თავანკარა წყაროს ძალუმიად შეერია უცხო ენათა მღვრიე ნაკადი და წალეკვას უპირებს, სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების უმეტეს ნაწილს სურვილიც კი არ გააჩნია სალიტერატურო ენის საფუძვლიანად შესწავლის, მოვლისა და დაცვისა.

თვალდათვალ ირღვევა მშობლიური ენის სტრუქტურა, ღარიბდება უმდიდრესი ლექსიკური ფონდი, ზოგიერთის თვალში წიგნიერება აღარ არის მისაბაძი და საამაყო.

საზოგადოება მისჩერება მხოლოდ ტელეეკრანს და არამარტო გონებას იჩლუნებს, არამედ სმენასაც იხშობს, რადგან

ტელეგადაცემებში არცთუ იშვიათად უგულვებლყოფილია მართლწერისა და მართლმეტყველების ტრადიციები. ენობრივი წუნის მომრავლება კი მომაკვდინებლად მოქმედებს მასაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებზე. მდგომარეობის გამოსწორება, უპირველეს ყოვლისა, შეუძლიათ ტელეჟურნალისტებს. ენის დამახინჯება ქუჩის ბრალი კი არა, ტელევიზიისაა, რომელსაც სიმახინჯე ქუჩასა და ოჯახში გადააქვს.

გვანცა ამირანაშვილი

ერთი-ორი საათით მაინც გვიღამაზებს

დაბინძურებულის რა მოგახსენოთ, მაგრამ ყოველთვის განსაკუთრებულ ემოციას აღმიძრავს დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული ტელეგადაცემა „პროფილი“. ძალიან საინტერესო და ლამაზი ამბების მოწმეები ვხდებით ყოველ ხუთშაბათს, საღამოს 22.00 საათზე, მაგრამ რაც მეტად ვაკვირდები ნამყვანს და მის სტილს, მით უფრო დიდი პროტესტი მიჩნდება. ეს პროტესტი არ არის მიმართული არც პროგრამის და არც ამ გადაცემის სტილისა თუ იდეის წინააღმდეგ. უბრალოდ, თითქოს მაია ასათიანი არცთუ ისე ბუნებრივად „განიცდის“ რესპონდენტთა მონაყოლს. ძალიან ბევრი რამ შევნიშნე, რაც ხანდახან მაღიზიანებს კიდევც. მართალია, არ მიმაჩნია, რომ მაქვს უფლება, ასეთი დიდი გამოცდილების ჟურნალისტი განვსაჯო, მაგრამ მაქვს შეხედულების თავისუფლება. ჩემი პროტესტის მიზეზებს კი დანვრილებით მოგახსენებთ...



პირველ რიგში, საუბრის სპეციფიკური და არცთუ ისე მოსაწონი მანერა აშკარად შესამჩნევია. უკვე გამარჯვებულია ის, რომ წინადადებები დასასრულისკენ დაბალ ტონალობაში გადადის და მაია ასათიანის ერთ მონოლოგში რამდენიმე დიდი პაუზა კეთდება. რა თქმა უნდა, კარგია, როდესაც მსმენელი აზრობრივად მიჰყვება მთხრობელის მონაყოლს, მაგრამ, ვფიქრობ, რამდენიმე წამიანი პაუზები მაინც დიდხანს გრძელდება. ყოველ შემთხვევაში, ეს სიჩუმე ყურში არცთუ ისე სასიამოვნოდ „ხმაურობს“...

აი, გამოვიდა სტუმარი და მთელი თავისი ემოციებით გვიყვება სევდიან ამბავს... ან მხიარულს... ბოლომდე არც კი აქვს დასრულებული აზრი, რომ უეცრად ნამყვანი „ლამაზად“ და „ზრდილობიანად“ უსვამს ფინალურ შეკითხვას და ზოგჯერ ისე, რომ პასუხსაც არ ელოდება, ახალ სტუმარს წარმოგვიდგენს. თითქოს, ნამყვანს რესპონდენტებზე მეტად მათი რაოდენობა ადარდებს!.. ხშირად ჩემთვის ძალიან ბევრი კითხვა რჩება უპასუხოდ და კიდევ უფრო ხშირად მიჩნდება სურვილი, რომ მთხრობელთა ამბები უფრო ემოციურად და მგრძობიარედ შეაფასონ. სწორედ „მაია ასათიანის ხელოვნურობა“ მაღიზიანებს ყველაზე მეტად. მრჩება შთაბეჭდილება,

რომ მისი თითოეული სიტყვა, ღიმილი, სერიოზული თუ მონყენილი გამოხედვა, თითოეული დაჯდომა და ადგომაც კი დაწვრილებით არის დაგეგმილი, ნამუშევარი და შესრულებული. ნამყვანი დროდადრო მიდის სტუმართან და მის გვერდით ჯდება, ალბათ, უფრო მეტი სიახლოვისა და უშუალობისათვის, მაგრამ ეს იმდენად ხელოვნურად გამოსდის, რომ სრულიად მიქრება სიახლოვისა თუ უშუალობის შეგრძნებები...

საბოლოოდ კი რეკლამაში ნანახი სტუმრები და ამბები, რომლებიც ზოგჯერ რეკლამაშივე მგვრის ცრემლს, სულ რამდენიმე წინადადებაში ეტევიან და, არცთუ ისე ხშირად, მაგრამ მაინც მიცრუებს ისედაც ტელევიზიაზე გულაცრუებულ იმედებს... თუმცა ვერ უარყოფ, რომ „პროფილი“ დღევანდლობის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და კარგი გადაცემის სახელი მაინც სამართლიანად ატარებს და ყოველ ხუთშაბათს, თუნდაც ერთი ან ორი საათით გვილამაზებს პრობლემებით საცხე ცხოვრებას... ანდა, საშუალებას გვაძლევს, სხვის სევდიან ამბებზე მაინც მივცეთ უფლება ჩვენს დამძიმებულ თვალებს, რომ იტირონ...

ელენე მარგალიტაშვილი

მეტ ინდივიდუალობას ვუსურვებ

ბილბორდებზე გამოჩენისთანავე ვიეჭვე, რომ „ნანუკას შოუ“ ერთ-ერთი იმ პროექტთაგანი იქნებოდა, რომელიც ათასჯერ განხილულ თემებს კვლავ მონდომებით „დატკეპნიდა“. ეჭვი გამართლდა, ოღონდ მცირე კორექტივებით. შოუ ზუსტი ანალოგია „ელენის შოუს“ „The Ellen Degeneres show“ — ამ სახელწოდების სატელევიზიო გადაცემა უკვე წლებია გადის ამერიკაში NBC-ზე, 1000-ზე მეტი ეპიზოდია გამოსული და სალიდერო პოზიციას იკავებს რეიტინგებში. ნამყვანი ცნობილი კომიკოსი და მსახიობი ელენე დიჯენერისია. შოუს სტუმრები ცნობილი — როგორც დღევანდელმა ქართულმა ტელევიზიამ აიტაცა ეს სიტყვა — „სელებრითები“ არიან. უნივერსიტეტში სტუმრობისას ნანუკამ თვითონაც აღნიშნა, რომ მას შეეძლო კორექტივები შეეტანა გადაცემაში, თუმცა სად „ლანგარზე მორთმეული“ და სად... ქართველებს გვიყვარს ყველაფერი მზა. მინდა აუცილებლად აღვნიშნო და შე-

ვებო იმ პროექტებს, რომლებიც ლიცენზია ნაციდ ფორმით ჩვენს ცისფერ ეკრანებზე გადის და რომლებმაც ნამდვილად გაამართლა, თუნდაც სერიალის „შუა ქალაქში“ მაგალითი რომ ავიღოთ, ასე ერთსულოვანი ქართველები იშვიათად ვართ, როცა თითქმის 90% ვამბობთ, რომ სერიალმა ნამდვილად გაამართლა. როცა საქმე გვაქვს ისეთი



ტიპის გადაცემასთან, როგორცაა ტოქ-შოუ, მე, პირადად, აუცილებლად მიჩნდება ამბიცია თუ სურვილი, რომ ქართველები ვაკეთებდეთ ამას ინდივიდუალურად, ჩვენი იდეებით, ფანტაზიებით, ვეძებდეთ რალაც ახალს... ჩაცმულობით მაინც ვეცადოთ არ მივბაძოთ... ჩემთვის სრულიად გაუგებარია DJ-ს ფუნქცია გადაცემაში, ვერც მაშინ გავარკვიე, როცა გადაცემის ჩანერას ვესწრებოდი. ნანუკას დევიზია — უშეცდომო არავინაა, ამის გამო თავიდან არ ჩანერს! ეს დევიზი საშუალებას თუ უფლებას აძლევს „დუხის“ ნაცვლად ვერ გამოიყენოს ან არ გამოიყენოს სიტყვა „სუნამო“.

მოკლედ, ელენე თამამად შეუძლია თქვას, რომ საქართველოში ტყუპისცალი ჰყავს, ერთი განსხვავებით — ნანუკა ტრადიციული ორიენტაციისაა. ბოლოს, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ცხვირსახოცი საყურებელ „პროფილს“, „ცხოვრება მშვენიერია“, რომელსაც ხშირად „ცხოვრება ტკივილია“ უნდა ერქვას, „ნანუკას შოუმ“ ნამდვილად აჯობა, თან ძალიან. „ელენის შოუში“ ახლახან ვუყურე სტუმრად მიწვეულ ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას და გადაცემის ნახვის შემდეგ ნამდვილად გამიჩნდა შეგრძნება — აი, როგორი უნდა იყოს კარგი გადაცემა!

P.S. „ნანუკას შოუს“ კი მეტ საინტერესო სტუმარს და მეტ ინდივიდუალობას ვუსურვებ.

თამარ ბენდელიანი

ქრონიკა

ლიტერატურულ კაფე „ქარავანიში“ **ოთარ ჭილაძის** ახალი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. „ცა მინიდან იწყება“ აქამდე გამოუქვეყნებელი ჩანაწერების კრებულია და პირველი ტომს წარმოადგენს „ინტელექტის“ ახალი სერიისა „ჩანაწერები“.

პრეზენტაცია მწერლის გარდაცვალების წლისთავს დაემთხვა. წიგნში შესულია ჩანაწერები, განცდები, შთაბეჭდილებები ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოვლენისა და კერძო პიროვნების შესახებ. ჩანაწერები ქრონოლოგიურადაა დალაგებული და მოიცავს მწერლის შემოქმედებით ცხოვრებას – 1955 წლიდან მის გარდაცვალებამდე. წიგნი გაფორმებულია ოთარ ჭილაძის ნახატებით.

რეჟისორ **მანანა ბერიკაშვილის** მხარდაჭერით ლონისძიებაში თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტები ჩაერთნენ. შეირჩა ჩანაწერების ნაწილი, რომელიც მაყურებლის წინაშე წარმოადგინეს **ანა გრიგოლიამ**, **თამილა ინაშვილიმა**, **ლიზა ტრაპაიძემ**, **მარიამ სუჯაშვილმა**, **გიორგი შარვაშიძემ**, **ოთო ჩიქოვაძემ**, **ლაშა ჯუხარაშვილმა** და **ლაშა გურგენიძემ**.

პერფორმანსის დასრულების შემდეგ სტუმრებს გამომცემლობა „ინტელექტის“ დირექტორი **კახაბე კუდავა** მიესალმა და რამდენიმე საინტერესო ფაქტი გაიხსენა მწერლის ცხოვრებიდან.

მწერალმა **როსტომ ჩხეიძემ** ისაუბრა წიგნისა და ზოგადად ჩანაწერების მნიშვნელობაზე, რომელიც ადრე მარგინალურ ფანრად ითვლებოდა, დღეს კი სულ უფრო პოპულარული ხდება ევროპაში. იმედი გამოთქვა, რომ ქართულ სალიტერატურო სივრცეს მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ასეთი თვალსაჩინო ნიმუშები კიდევ შეემატება.

აჭარის მთავრობის წარმომადგენელმა **მათე ტაკიძემ** გვაცნობა, რომ სულ მალე ბათუმის ერთ-ერთ ქუჩას ოთარ ჭილაძის სახელი მიენიჭება.

წიგნის შემდგენელმა და რედაქტორმა **თამაზ ჭილაძემ** აღნიშნა სირთულეები, რომელიც თან ახლდა კრებულის შედგენის პროცესს, გაიხსენა ოთარ ჭილაძის დამოკიდებულება მკითხველების და განსაკუთრებით მომავალი თაობის მიმართ და გამოთქვა სიხარული იმის გამო, რომ ლონისძიებას უმთავრესად ახალგაზრდები ესწრებოდნენ.

უილიამ ბატლერ იეიტსი

შელის პოეზიის ფილოსოფია

როცა შელიმ შეცურა დიდ მდინარეებში, რომელნიც მისი გონების მდინარეებთან იგივედებოდა, შესაძლოა გამოქვაბულებიც წარმოიდგინა. ალბათ გორაკების თავზე დაინახა ნახევრად დანგრეული კოშკები; კოშკი მის გონებაში განასახიერებდა გამოქვაბულის საპირისპირო მნიშვნელობას. „ციტნას შეყვარებული“ მაღალი კოშკის მღვრიე შადრევნის გამოქვაბულში შეიყვანა, რომელიც ადამიანის შორსმჭვრეტელ გონებას განასახიერებს, სამყარომ რომ გარიყა და აღმოჩნდა გვირგვინდადგმული ძალების ფიქრთა კოშკებში“. ისიც არ არის შეუძლებელი, რომ შელის დაინწყებოდა პირველი ტყვეობა, როცა ის ადამიანები შექმნა, რომელთაც ცილი დასწამეს და კოშკში გამოამწყვდიეს ლაიონელი¹. ამიტომაც ვიცი, რა ძნელია დაივინყო სიმბოლური მნიშვნელობა. მჯერა, შელის გონებაში უფრო რომანტიკული სცენა იხატებოდა, როცა შექმნა პრინცი ათანასე². უფრო მეტი რამ ისწავლა ზღვის ზემოთ განათებულ კოშკში, რომლის ფეხთქვეშ, უეჭველია, ციტნა — „უული გონი“ — ზღვას მბრწყინავ ქვიშასა და უიშვიათეს ნიჟარებს აფრქვევდა, როცა შექმნა ხანდაზმული განდეგილი, ნახევრად დანგრეულ კოშკში თვალყური რომ უნდა ედევნებინა სწული ლაიონელისათვის. მეტერლინკთან³ გამოქვაბულები, ზღვა, შადრევნები და კოშკი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც შელისთან. ისინი უძველეს სიმბოლოებს წარმოადგენენ და წლების გავლასთან ერთად ალბათ უფრო მნიშვნელოვანი გახდნენ პოეზიისათვის. კონტრასტი ლაიონისა და ციტნას გამოქვაბულს შორის გთავაზობს კონტრასტს იმ გონებისა, რომელიც ადამიანებსა და საგონებისკენ არის მიმართული იმ გონების წინააღმდეგ, რომელიც თავისთავშია ჩაკეტილი და შესაძლოა შელის გონებაშიც ყოფილიყო ეს კონტრასტი. ერთმა ან ორმა თუ იცის, რამდენად ეხმარება ლექსს ბუნდოვანი მნიშვნელობა, რათა უფრო მრავალმხრივი და იდუმალი გახდეს. ბუნდოვანება უძველესი სიმბოლოა. ეს ის სიმბოლოა, რომელიც დატვირთულია არაერთი მნიშვნელობით. ერთი ან ორი მწერალი თუ გამომცემელი იმას, რომ ნებისმიერ მაღალ, სუბიექტურ ხელოვნებას ძალუქს ბუნების სიღრმესა და სიუხვის გამო თავი დაიხსნას უნაყოფობისა, ზერეულ ან მეტისმეტად



პერსი ბიში შელი

გააზრებული ლექსთწყობისაგან. პოეტი, რომელსაც რაობის შეგრძნება და წმინდა იდეები მოეპოვება, უნდა ეძიებდეს შუქრდილებს, რომელიც თითქოს სიმბოლოდან სიმბოლომდე იციმციმებს, სანამ მინა გასრულდებოდეს, რომელშიც ყველა ეპიკური და დრამატული პოეტი პოულობს ცხოვრების შემთხვევითი მოვლენების იდუმალებასა და შუქრდილებს.

როგორც უძველეს დროში, ასე მგონია, ბლექსაც, ყველა იმ პროტესტის მიუხედავად, რაც მას გააჩნდა, სიცოცხლე უხაროდა და მუდამ თავის სიხალისეზე ლაპარაკობდა, აღვლენდა რა თავყვანისცემას მზის რომელიმე სამლოცველოში; შელის კი სიცოცხლე სძულდა, რადგან მასში იმაზე მეტს ეძიებდა, ვიდრე ვინმეს შეეძლო ამისი აღქმა. მუდმივ ფიქრებით შეპყრობილი, რომელიმე უსასრულო სურვილის ვარსკვლავის სამლოცველოში დაეხეტებოდა. იმასაც ვფიქრობ, რომ როცა საკურთხეველის წინ იჩოქებდა, ლამპარში მწვანე აქატივით მოკიფე ალი კვლავ და კვლავ რაღაც ხილვებს იწვევდა მასში, ხილვას ნავისა, რომელიც ტივტივით მიჰყვებოდა ფართო მდინარეს მაღალ გორაკებს შორის, სადაც მრავლად იყო გამოქვაბული. კოშკები აღმართულიყვნენ და ნავი უული ვარსკვლავის შუქს მისდევდა. სანახაობა ან რაღაც თავგადასავალი, რაღაც სურათი იყო მისი იდუმალი ცხოვრების ხატი, რადგანაც სიბრძნე სწორედ ხატებით მეტყველებს, და როცა ერთი ხატი, ერთი ფიქრი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვებოდა, მის სულს მიიყვანდა უაზრო არსობის და ამ სამყაროს მიმოქცევის ამოხსნამდე, მიიყვანდა იმ შორეულ საცხოვრისთან, სადაც ყველა მათგანს, რომელთა სულებიც ცეცხლის ალივით უბრალონი არიან, ან რომელთა სხეულებიც ისე დაცხრნენ, როგორც აქატის ლამპარი, უკვდავი ღმერთები ელოდებიან.

თუმც იგი იმ დღეს დაიბადა, როცა ძველი სიბრძნე გამქრალიყო და უბრალოდ ლექსების წერით და ხშირად კი ლექსებზე მეტად ფიქრებით თუ მოიკლავდა წყურვილს.

1. ელენეს შეყვარებული შელის „როზალიტა და ელენეადა“.

2. შელის პოემის „პრინცი ათანასე“ მთავარი გმირი, ახალგაზრდა მარტოსული იდეალისტი, რომელიც მგზნებარედ ეძიებს ბუნებისა და არსობის იდუმალების ახსნას.

3. მორის მეტერლინკი (1862-1949) ბელგიელი სიმბოლისტი დრამატურგი და პოეტი.

* ნანყვეტი

პერსი ბიში შელი

ოდა დასავლეთის ქარისადმი

I

ო, შემოდგომის მძაფრო სუნთქვავე, დასავლის ქარო!
უხილავ ქროლვით მიაქანებ მჭკნარ ფოთლებს ისე,
თითქოს ჯადოქარს გაქცეოდნენ ლანდები მქრალი.

როგორც ბრბო ჭირით შეპყრობილი, ედება სივრცეს
ფოთოლი ჭრელი, მენამული, ფერგაცრეცილი;
ზამთრის ბნელ სანოლს მიაბარებ ხმელ თესლებს ისევე

და მკვდართა მსგავსად უშფოთველი შეგიპყრობთ ძილი,
ვიდრე ჩაჰბერავს მძლავრად საყვირს დობილი შენი,
ლაჟვარდოვანი გაზაფხულის ნიავი თბილი.

გამოაღვიძებს მინა, რათა ნაზამთრალ ველზე
ჩვილი კვირტებით შემოსილი ბალი ახაროს
და კვლავ აღავსოს სურნელებით ცათა სივრცენი.

ველურო სულო, შენ ყველგან ხარ, ელტვი სამყაროს,
ყოვლის მგრეველო და აღმდგენო, მისმინე ქარო!

II

ბობოქარ ქროლვით ვრცელი ზეცა ირყევა ოდეს,
წვიმის და ჭექის ანგელოსებს – ღრუბლებს დაფლეთილს,
მოსწყვეტ ცისა და ოკეანის გადანულ ტოტებს

და ფოთლებივით თან წაიღებ უხილავ ფრთებით;
შენს ზედაპირზე, სადაც იძვრის მსუბუქი ნისლი,
ვით შმაგ მენადის ჩამოშლილი თმა შუქთამფენი

იხვევა ხშირი დალალები მძლავრი ქარიშხლის
და ჰორიზონტის მკრთალ საზღვრიდან ედება ზენიტს,
შენი გუგუნის მიმავალ წლის გლოვის ხმად ისმის,

მისთვის შავ თაღად გადიქცევა ეს ღამე ბნელი,
რომ ზეადმართულ ვრცელ აკლდამას გადაეფაროს,
სქელი ბურუსით აშენებულს მაგ მძლავრი ხელით

და მის სიღრმიდან ცეცხლის ღვარად ამოჭრას ლამობს
ელვა, სეტყვა და შავი წვიმა; მისმინე ქარო!

III

ხმელთაშუა ზღვას შენ დაუფრთხე ზაფხულის ძილი,
მთრთოლვარე ტალღა რომ უმღერდა უშფოთველ ნანას,
ბაიას ყურის სადაც მოსჩანს ქარაფი მცირე.

ესიზმრებოდა სასახლენი მთველემარეს წყნარად,
ძველი კოშკები როგორ კრთოდნენ მღელვარე წყალში,
ვით ირწეოდა მის სიღრმეში უცხო ქვეყანა

მოსილი ლურჯი, მობიბინე ფაფუკი ხავსით
და ყვავილები იშლებოდნენ მხიბლავნი თვალის!
როცა შენ იწყებ მძვინვარებას, ზღვას ძრწოლა ავსებს,

ყველა სულდგმული გარბის შენგან შიშით და კრძალვით
და უფსკრულების შავბნელ ფსკერზე დამაღვას ლამობს.
წყალმცენარეთა ხშირი ტყენიც აღვსილნი შლამით

სცნობენ შენს მძლავრ ხმას, ზღვას ეხლები, ბობოქრობ,
ჩქარობ
და ტანშეძარცულთ აცახცახებ; მისმინე, ქარო!

IV

ნეტავ ფოთოლი ვიყო ხმელი — გამიტაცებდი,
ვიყო ღრუბელი — შენთან ერთად ვიფრენდი ცათა,
ტალღა რომ ვიყო — ვილეღებდი ზვირთების ცემით.

მომეცი, ქარო, თუნდ ნაწილი შენს უდრეკ ძალთა,
დაუდგრომელო აღმავსებდე შენგვარი გზნებით;
ნეტავ გადვიქცე ისევე ბავშვად, ამ მინის კალთას

მე მოვწყდებოდი, რომ მომეველო ციური გზები
მარად და ყველგან ვიქნებოდი მე შენი მგზავრი,
არ შეგანყენდი თავს მუდართ, აღსავსე შვებით!

ახლა მე გვედრებ, მომაშველე ეგ ფრთები მძლავრი,
წამილე ისე ვით ფოთოლი, ღრუბელი, ტალღა!
სიცოცხლის ეკლით დაკანრული, ვივსები ჯავრით!

ბორკილი მადევს ჟამთა ტვირთით ქედმოხრილს, დაღლილს,
მე ვინც შენსავით ვარ ამაყი, სწრაფი და ლალი.

V

დაე გამძარცვო, დე გამხადო მეც შენი ქნარი,
დე დავემგვანო ამით ბნელ და ნაღვლიან ტყესა,
წაილოს შენმა მღელვარებამ ხმა სანუკვარი,

— ჩვენი მწუხარე ნეტარებით აღსავსე კვნესა;
ძლიერო სულო, თუ ჩემს სულად გარდაიქმნები,
მალე გარდიქმენ, დაე ჩემი მუდარა გესმას!

ხმელ ფოთლებივით გამომტაცე მკვდარი ფიქრები,
რომ დააჩქარო დაბადება სიცოცხლის ახლის!
ამ ლექსის ძალით, თუ მსტოვარი ჩემი იქნები,

უქრობ ნაპრკლად წაიღებდე ყველგან ჩემს ძახილს.
დე ჩემი ბავით, გააღვიძო ეს მინა, რათა
ქვეყნად წინასწარ მაუწყებელს ჩაჰბერდე საყვირს.

ძლიერო ქარო, დაუბერე ამ ზამთრის კართან,
შენ ხომ უწყი, რომ გაზაფხული მოჰყვება ზამთარს!

ინგლისურიდან თარგმნა
მედეა ზაალიშვილია

ფრიდემ კარინტი

კეისარი და აბუ კაირი

I

როდესაც მავანმა მოხეტიალე ფაკირმა უკვდავი თამაში ჭადრაკი გამოიგონა, ამ შესანიშნავმა ხელოვნებამ მთელი ინდოეთი შეარყია. ხელისუფლიდან მანანნალა კეთროვნამდე — ყველა ჭადრაკს თამაშობდა.

ოცდათორმეტი ფიგურის გარკვეულ წესებზე აგებული ბრძოლა და ამ ბრძოლის ათასობით შესაძლებლობა აღანთებდა და აფორიაქებდა ხალხის გონებას. წლობით აანალიზებდნენ ათეულობით დებიუტს ჭადრაკის მცოდნე ხელოვანნი და უკვე გამოჩნდნენ ისეთებიც, ერთდროულად ათობით დაფაზე რომ თამაშობდნენ ან სულაც უდაფოდ — მარტო სვლების დასახელებით.

ყველაზე კარგად თამაშობდა და ყველას სჯობნიდა აბუ კაირი, მსოფლიო ჩემპიონი, რომელმაც მთელი ცხოვრება ჭადრაკის თამაშის მულამებს მიუძღვნა. ოთხი წლისამ უკვე იცოდა მისი ძირითადი წესები, ათი წლისამ დაამარცხა ყველაზე ძლიერ მოჭადრაკედ ცნობილი ბებერი ჰასანი. აბუ კაირი მთელ დღეებს მაინც ჭადრაკის დაფასთან ატარებდა, არჩევდა ვარიანტებს და ეძებდა ყველა შესაძლო სანინაღმდეგო სვლებს. ოცდახუთი წლისა უკვე დაუმარცხებელი ჩემპიონი გახლდათ. არ უწყოდა ქალი, კარტი, სხვა ამქვეყნიური სიტკბოებანი, მისთვის ჭადრაკი იყო ყველაფერი. ფერმკრთალი სახით და ანთებული თვალებით იჯდა საჭადრაკო დაფასთან. ჩვენ მას ვუმაღლით ოთხ წიგნს ჭადრაკის ისტორიის შესახებ, აგრეთვე ცხრაასოცდაათ საჭადრაკო ამოცანას.

გარდაიცვალა ოცდათექვსმეტი წლისა, საკვირველ და სამწუხარო, თუმცა მისი ცხოვრებისათვის დამახასიათებელ გარემოებაში. იმხანად ბაღდადში იმართებოდა მსოფლიო საჭადრაკო ჩემპიონატი. აბუ კაირი ოთხი დღე-ღამე ერთდროულად თამაშობდა ორმოცდაათ დაფაზე. მეოთხე დღის ბოლოს შუბლზე ყინულის კომპრესი დაიდო და ოთახიდან გარეთ გავიდა სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად.

ივლისის რბილი საღამო იდგა და აბუ კაირი მდინარისკენ გაემართა. ქარი ამრიალებდა ხეთა ფოთლებს, მაგრამ აბუ კაირს ქარი არ უგრძენია. ნამწამებით სანახევროდ დაფარული მისი თვალები რაღაც უცნაური ბრწყინვალეობით ანათებდნენ. მალ-მალად, მოკლე მზერით იყურებოდა ირგვლივ, მარჯვენა ხელის ორ მოცახცახე თითს ფრთხილად ასობდა ცხვირნინ ჰაერში და რაღაცებს ბურტყუნებდა.

ქვემოთ, მდინარის ნაპირზე ახალგაზრდა გლეხკაცი იჯდა, მისგან ოდნავ მოშორებით ბორცვზე პირქვე წაწოლილიყო ლამაზი ქალიშვილი და ბალახის ღერებისგან გვირგვინს წნავდა. ჭაბუკი წარამარა უკან იცქირებოდა,

მერე უცებ წამოხტა და ტაატით გაეშურა ქალიშვილისკენ. თვალეში ცულლუტური ნაპერწკლები აუციმციმდა და ის-ის იყო პირი გააღო რაღაცის სათქმელად, რომ ანაზდად ვილაცამ ხმელი ხელი წაუჭირა ყელში და უკან დასწია. შეშინებულმა ჭაბუკმა დააჭყიტა თვალები და დაინახა აბუ კაირის ბრწყინვალედ აგზნებული სახე.

— უკან, — გაცხარებით დაიწურწურა აბუ კაირმა, — შენ რა, გაგიჟდი? პაიკი როდის დადის უკან?!

ჭაბუკმა დაიყიყინა.

— დარჩი იქ, სადაც იჯექი, — ხმადაბლა განაგრძო აბუ კაირმა, — ეგ შენთვის ყველაზე კარგი პოზიციაა. გვერდით მდინარე ჩაგიდის, ეგ ვერ მოგკლავს, რადგან პირდაპირ ურტყამს, ერთი მიმართულებით. უკან დედოფალი გიდეგას, ვერც ის მოგკლავს, რადგან დიაგონალზე მოკვლა არ შეუძლია. სამაგიეროდ, ის თუ მოგიახლოვდება აქ, ნაპირთან, შეგიძლია გარდე გამოუცხადო იმ ვარაუდით, რომ მე დაგიცავ. მიდი შენს ადგილზე, მე შემიძლია დედოფლად გაქციო.

ჯეველს ხმა არ ამოუღია, ჯადოსანთან მაქვს საქმეო, ეგონა. წარმოდგენა არ ჰქონდა ჭადრაკის წესებზე და არ იცოდა, რომ უკანასკნელ რიგში გასული პაიკი დედოფლად შეიძლება ქცეულიყო.

აბუ კაირი ანთებული თვალებითა და აკანკალებული ხელებით იდგა მის გვერდით და უცნაურად იყურებოდა გარშემო.

— აჰა, — თქვა და ხმაჩახლეჩით გაიცინა. — გაიხედე იმ ნაპირისკენ, ნუთუ ვერაფერს ამჩნევ?

ჭაბუკი ვერაფერს ხედავდა.

— იმიტომ, რომ ჯერ ახალბედა ხარ, — კეთილმოსურნედ უთხრა აბუ კაირმა. — მაგრამ მე არ შევცდები. აი, იქ, ბუჩქთან დგას ფიგურა, რომელიც ფიქრობს, რომ მე ვერ ვხედავ...

ყმანვილმა უფრო დაკვირვებით გაიხედა იქით და შეძრწუნებულმა წამოიყვირა. გაღმა ნაპირზე ბუჩქს უკან იმალებოდა ვეებერთელა ვეფხვი, რომელიც მათკენ იყურებოდა და მზად იყო ნახტომისათვის. შეშინებულმა ქალიშვილმა ჩაუქროლა აბუ კაირს, ახლა ბიჭიც აპირებდა გაქცევას.

— დარჩი აქ, დარჩი აქ, — ნაიწურწურა აბუ კაირმა და სწვდა ყელში, — რისა გეშინია? სწორია, რომ ის ფიგურა ცხენია ან ვეფხვი, სულერთია... სწორია, რომ შეუძლია გვაჯობოს, რამდენადაც ძალუძს ორი ნაბიჯის წინ და ერთის გვერდზე გადადგმა, მაგრამ მშვიდად იყავი — ვერ დაგამარცხებს, რადგან ხედავს, რომ მე, მეფე, გიცავ. თუ მოგკლავს, მე მას მოგკლავ. პაიკისათვის მხედარს არ სწირავენ. და თუ მაინც... უკიდურეს შემთხვევაში შენი შეწირვით მოვიგებ პარტიას, მთავარი პარტიაა და არა ფიგურა.

მაგრამ ჭაბუკს ეს ყველაფერი ყელში ამოუვიდა. უთხრა, დიდი მადლობა, თუმცა სულაც არ მინდა მსხვერპლად შევეწირო თუნდაც მნიშვნელოვანი პარტიის მოგებასო. მან ღონივრად ამოჰკრა ჭიტლაყი აბუ კაირს, ხელიდან დაუსხლტა და ქალაქის კომპეებისკენ მოკურცხლა კურდღელივით.

— წყეული ვირი! — მიაყვირა აბუ კაირმა, — რისა გეშინია? სხვა მხარეს გარბიხარ. ეგრე ხომ ადვილად შეგჭამს ტურა, თანაც მუქთად, სარგებლის გარეშე. იფრთხილე, ტურა კარგად დარბის.

მაგრამ ჭაბუკს ტურისა არ ეშინოდა. აი, აბუ კაირს კი ზურგიდან შემოუტია ვეფხვმა.

— ხა-ხა,—დამცინავად წარმოთქვა აბუ კაირმა, ორ ნაბიჯზე რომ დაინახა მხეცის მოგიზგიზე თვალები, — რა გულუბრყვილო სვლაა. ქიში?! მე?! ბავშვური სვლაა! სუსტი თამაშია!

ჩაიქნია ხელი და დინჯად, დაფიქრებულად გაინია ერთი ნაბიჯით გვერდზე.

— აბა, ახლა რას იზამ? — დამცინავად და ამაღლებული ხმით ჰკითხა ვეფხვს, თანაც ხელებს იფშენებდა. — საიდანღა მეტყვი ქიშს? ვერსაიდან, ველარსაიდან დამემუქრები, ეტლი მოკლავს. რა თქმა უნდა, შენ ვერ შენიშნე ეტლი ზურგსუკან. ჰო და ასე, ჩემო მეგობარო, თამაში უნდა იცოდე. დამნებდი. დაგიდგა აღსასრული.

ვეფხვმა ეს არ დაიჯერა, წააქცია აბუ კაირი და ყელი გამოლადრა.

II

თვრამეტ წლამდე კეისარი მხიარულად და უდარდელად ცხოვრობდა. უფრო სშირად ცნობილი პატრიციების წვეულებებზე ხედავდნენ ვიდრე ლექციებზე. ქალები და კარტი უფრო ანიაზებდა, ვიდრე დიდი ბერძნული სიბრძნენი. ეს კი იყო — ბრძოლა შეეძლო და კარგი მოსაუბრეც გახლდათ.

იმ წრეებში, სადაც თითქოსდა მომავალ სახელმწიფო მოღვაწედ უნდა ჩაეთვალიათ, სერიოზულად არავინ უყურებდა. და თუმცა ცნობილი გვარიშვილობა და ოჯახის ფართო კავშირ-ურთიერთობანი არავითარ ეჭვს არ იწვევდა, რომ მისგან პოლიტიკური ფიგურა ჩამოყალიბდებოდა, კეისარი არავის უნახავს ფორუმზე ხელში გასანთლული ფირფიტით, რაზეც აღბეჭდილი იქნებოდა სიტყვები გამორჩენილი ორატორებისა, რომელთაცაც ყოველ ბეჯითსა და მუყაით ახალგაზრდას შეეძლო აეთვისებინა საორატორო ხელოვნების მარად ცოცხალი მაგალითები. სამაგიეროდ, ისეთი ინტიმური და დამახასიათებელი წერილობანი იცოდა ცალკეულ ადამიანთა პირადი ცხოვრებიდან, რომელთა შესახებაც ფორუმზე არ ლაპარაკობდნენ. ყოველი ორატორის საყვარელი იცოდა და, თუ ვინმეზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, მისი მოულოდნელი ირონიული შენიშვნა საუბრის თემას ისე გაასხივოსნებდა, რომ ყველას ხმას აკმენდინებდა. მისი ეშინოდათ, მასზე ბრაზობდნენ.

თვრამეტი წლისამ საკმაო ფული დააგროვა და გართობის მიზნით დიდხანს იმოგზაურა ინდოეთში. სამშობლოში უკან დაბრუნება გემით გადანიყვიტა, საბერძნეთის გავ-

ლით. ზღვაზე გემს მეკობრეები დაეცნენ, ეკიპაჟი ნყალში ჩაყარეს, კეისარი კი დაატყვევეს და მეკობრეთა ხომალდის კაპიტანს ბენ იუსუფს მიჰგვარეს.

ბაღდადში ბრწყინვალე განათლებამიღებულმა კაპიტანმა რომ დაინახა, ვისთან ჰქონდა საქმე, კეისარი მისი საზოგადოებრივი მდგომარეობის შესაფერისად მიიღო, თუმცა აგრძნობინა, რომ კეისარი მისთვის ტყვეა, რომლის მოკვლაც, თუ საჭიროდ მიიჩნევს, არაფრად უღირს, მაგრამ, როგორც კეთილშობილ ადამიანს, პატივს სცემს და ნებას რთავს, თავისუფლად იაროს ხომალდის გემბანზე.

ბენ იუსუფს გულში უხაროდა, რომ მის ხომალდზე განათლებული კაცი გამოჩნდა. იგი ჭადრაკის გიჟი იყო და ექრობდა, კეისრის სახით კარგ პარტნიორს შევიძენო. ერთ საღამოს საუბარი ჩამოაგდო ჭადრაკზე და აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ინდოეთზე, ჭადრაკის გამოგონებითა და კულტით უკვდავი დიდება რომ მოიპოვა. მაგრამ კეისარმა, ძლივს რომ იცოდა ანდა ზერელედ ეს თამაში, უყურა ერთ-ორ პარტიას და უცებ დამცინავად და აგდებულად გაიღიმა. ბენ იუსუფის კითხვაზე, თუ რას ნიშნავდა ეს ღიმილი, — უპასუხა, ეს თამაში სისულელედ მიმაჩნია და ვისაც ეგ ეპიტანავება — ტუტუცადო. ისე კი თუმცა აქამდე თითქმის არასოდეს მითამაშვია ჭადრაკი, არა მგონია, რომ ინდოეთში ან სადმე მოიძებნებოდეს ვინმე, მე რომ დამამარცხებდეს ან, უკიდურეს შემთხვევაში, ყაიმს მაინც მიაღწევდესო.

ენ იუსუფი სამინლად განარისხა ამ თავხედურმა ბაქიბუქმა, კინალამ ეძგერა კეისარს, მაგრამ მაინც თავი შეიკავა და გარეგნული სიმშვიდით ერთი პარტიის თამაში შესთავაზა ნიძლაგზე — თუ კეისარი მოიგებს, გათავისუფლდება, წააგებს და ჩამოიკიდება ყველაზე მაღალ ლარტყაზე. კეისარმა მსუბუქი, დამცინავი ღიმილით დაუქნია თავი, მიიღო შეთავაზება და მოიკალათა საჭადრაკო დაფასთან — მიანიშნა რა ამით, მზად ვარ ორთაბრძოლისთვისო.



მხატვარი აივენგო ჭელიძე

ბენ იუსუფმა გვერდით მოიდო მაგიდაზე ხმალი და პირველივე სვლებიდანვე დაინახა, თუმცა ისედაც ხვდებოდა, რომ საქმე ჰქონდა სრულიად გამოუცდელ მოთამაშესთან, რომელიც ისე ურევდა თამაშის სავალდებულო წესებს ერთმანეთში, რომ სწორ სვლებს თვითონ კარნახობდა კეისარს. ის კი, ამის მიუხედავად, აუღელვებელი და მედიდური იერით აგრძელებდა თამაშს და სულაც არ ნაღვლობდა, ზედიზედ ერთიმეორეზე რომ ჰკარგავდა ფიგურებს, ოღონდ კი მეფე ჰყოლოდა კარგად დაცული.

იუსუფი დიდი გულმოდგინებით თამაშობდა, შეუპოვრად და ენერგიულად, მხოლოდ იმას ესწრაფოდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, მონინალმდევე კუთხეში მიემწყვდია, არც დაცვის საშუალება მიეცა და არც კონტრიერიშისა. მან ზუსტი სვლებით რამდენიმე ფიგურა შესანსლა და წამოიწყო ჩახლართული და მზაკვრული კომბინაცია, რომლის მიზანიც იყო მეტოქის მეფის ისეთი შებორკვა, ჭადრაკში „შამათი“ რომ ჰქვია და მონინალმდეგის დამარცხების მაზნეცბელია.

ნახევარი საათის შემდეგ კომბინაცია წარმატებით დაგვირგვინდა — კეისარის მეფე სრულ ალყაში მოექცა, ერთ ქიშს მოჰყვა მეორე და, აი, უცებ იუსუფი წამოხტა, გააკეთა სვლა და დაიძახა:

— ქიშ! შამათი! შენ ნააგე პარტია!

კეისარმა, ყოველმხრივ შემოძარცვული მეფითა რომ აკეთებდა სვლებს და თან უსტვენდა, მშვიდად ასნია თავი მალლა.

— რატომ? — იკითხა და მხრები აიჩჩა.

— როგორ თუ რატომ?! — განცვიფრდა ბენ იუსუფი, — დახედე დაფას. შენი მეფე ვერსად წავა. აქეთ თუ წავა, ცხენი ურტყამს, აქეთ — კუ. აქაც ვერ წამოვა, შენივე კუ უშლის ხელს, სხვა გზები კი არ არის დაფაზე.

— დაფაზე არ არის, — მშვიდად უთხრა კეისარმა, — მაგრამ აქ ხომ არის, — აილო თავისი მეფე და გადადო მაგიდაზე. — გააგრძელე, ბენ იუსუფ.

— შე უბედურო! — მოთმინება დაკარგა ბენ იუსუფმა, — მეფე ეგრე არ დადის!

— ხომ ხედავ, რომ დადის.

— ეს თამაშის წესი არ არის! — გაშმაგდა ბენ იუსუფი.

— ამის შემდეგ წესი იქნება, მე თუ ვბრძანებ! — ახლა კეისარმა დაიყვირა, წამოხტა, ხელი დაავლო ხმალს და აუუნა ბენ იუსუფი.

შეშინებული ეკიპაჟი კეისარს დაემორჩილა. მან, როგორც ახალმა კაპიტანმა, ხომალდი ნაპირს მიაყენა და მთელი ტვირთი ნორმანელ ვაჭრებს მიჰყიდა.

თარგმნა
ჯემალ ინჯია

მეცნიერის გახსენება

17 ოქტომბერს ემიგრაციის მუზეუმში გაიმართა გურამ შარაძის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სსოვნის საღამო.

ზოგიერთი შტრიხი მისი ბიოგრაფიიდან.

დაიბადა 1940 წელს ოზურგეთის რაიონის სოფელ გურიანთაში. იყო წარმატებული ფილოლოგი, ისტორიკოსი და პოლიტიკოსი. წლების მანძილზე იყო საქართველო-უნგრეთის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობების საზოგადოების პრეზიდენტი, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი, აგრეთვე სრულიად საქართველოს ივანე მაჩაბლის სახელობის საზოგადოების თავმჯდომარე. 1995 წელს აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად და მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე. 1999 წელს შექმნა ეროვნული მოძრაობა „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, ხოლო 2001 წელს მოძრაობა „ენა, მამული, სარწმუნოება“. მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემიის, ნიკო პერძენიშვილისა და მედ აბაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის წოდება. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის ორდენით და უნგრეთის რესპუბლიკის ოქროს მედლით „უნგრეთის ინტერესების დაცვისათვის მთელ მსოფლიოში“. 2007 წლის 20 მაისს მოკლულ იქნა თბილისის ცენტრში.

გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ათეული წიგნი და გამოკვლევა:

„თეიმურაზ ბაგრატიონი, ცხოვრება და მოღვაწეობა (სამ ტომად)“, „არქეოგრაფიული ძიებანი“, „ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება და მოღვაწეობა (ორ ტომად)“, „უცხოეთის ცის ქვეშ (ქართული ემიგრაციის ისტორია სამ ტომად)“, „ზვიად გამსახურდიას სიკვდილი და დასაფლავება“, „საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე“, „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია (რვა ტომად)“, „აკაკის სიკვდილი და დასაფლავება“, „ასე იწყებოდა წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი თაყაიშვილი“, ემიგრანტთა ნაშრომების კრებული „დაბრუნება“ (სამტომეული), „ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება“, „ამერიკელი ქართველები“, „ფრანგული დღიური“, „ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე“, „ისტორიული რელიკვიების დაბრუნება“ (გიორგი შარაძესთან ერთად).

საღამო გაიხსნა მისი აუდიო ჩანაწერებით, რომელიც ქართულ სატელევიზიო და პრობლემას ეხება.

სიტყვით გამოვიდა მისი ქალიშვილი რუსუდან შარაძე, რომელმაც განაცხადა, რომ „გურამ შარაძის საზოგადოება“ დღევანდელი დღისთვის აპირებდა წიგნის გამოცემას, მაგრამ დაბრკოლებათა გამო გადაიდო და ამიტომ საღამოს ორგანიზატორებმა მასალა განათავსეს ვებგვერდზე. ეს მასალა შედგება ორი ნაწილისაგან:

პირველი ნაწილი — „სიმართლისთვის დევნილი“ მოიცავს, როგორც თვით მის საგაზეთო ინტერვიუებს, ასევე სტატიებს მის შესახებ (ძირითადად 1996-2007 წ.წ.).

მეორე ნაწილი — „სიკვდილი და დასაფლავება“ შესულია 2007 წლის 20 მაისიდან დღემდე პრესაში გამოქვეყნებული მასალები გურამ შარაძის მკვლელობასთან დაკავშირებული ჟურნალისტური გამოძიება, სტატიები, მოგონებები, გამოსათხოვარი, მისადმი მიძღვნილი ლექსები

ნიგნისთვის გამოყენებულია 57 დასახელების ჟურნალ-გაზეთის, 16 სააგენტოსა და ინტერნეტ-გამოცემის მასალები, ხოლო ჟურნალისტთა რიცხვი 162-მდე აღწევს. საზოგადოებას ჩაფიქრებელი აქვს მასალების შეგროვება მესამე ნაწილისთვისაც „გურამ შარაძე ცხოვრებაში“.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა ია ბაგრატიონ-მუხრანელი, რომელმაც საჩუქრად გადასცა გურამ შარაძის ქალიშვილს წიგნი „საქართველოს თავადაზნაურობა“, რომლის შექმნაში ბატონ გურამს გარკვეული წვლილი მიუძღოდა. სიტყვით გამოვიდა ასევე ადა მარშანია, რომელმაც ილაპარაკა გურამ შარაძის წვლილზე და მისი სიკვდილის გარემოებებზე.

ქართულმა საზოგადოებამ პატივი მიაგო პატიროტისა და მეცნიერის გურამ შარაძის სსოვნას და მის ღვაწლს ქვეყნის წინაშე.

გვანცა შუბითიძე

* * *

ჩარგალში ვაჟაობის სუფრაა გაშლილი და გიორგი ციციშვილი თამადაობს. 80-იანი წლების დასაწყისია და სტუმართა შორის იმყოფება დუშეთის რაიონის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ჰამლეტ კერესელიძეც, მასპინძელთა შორის კი — ვაჟას შვილი ვახტანგ რაზიკაშვილიც.

თამადა ვახტანგს ადღეგრძელებს და ალავერდს რაიკომის მდივანთან გადავა.

ჰამლეტ კერესელიძეც შესვამდა მის სადღეგრძელოს, ოღონდ დასძენდა: საინტერესო ნიგინი დაწერე მამაშენზე, თურმე კარგი მწერალი ყოფილხარ, მაგრამ ვაჟა-ფშაველას მაინც ვერ აჯობე, ვერ გაამართლე ანდაზა: ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო.

ცოტა უხერხულად კი გამოუვიდა, მაგრამ ალაგ-ალაგ მაინც გაიცინებდნენ მისი ხათრით.

ვახტანგი იმ წუთას არაფერს მიუგებდა, მაგრამ სადღეგრძელოს ყველა რომ შესვამდა და სამადლობლის ჯერი დაუდგებოდა, თავისას იტყოდა:

— წელან პატივცემულმა რაიკომის მდივანმა დღეგრძელობისას მითხრა, მამაშენს ვერ აჯობეო. ჰამლეტ შალვოვიჩ,



— ახლა პირადად მას მიუბრუნდებოდა, — მე კარგად ვიცნობდი მამაშენს, მეტყვევებდე მუშაობდა ქაისხევის ხეობაში. შენ მას აჯობე და დღეს რაიკომის მდივანი ხარ, მაგრამ შალვა კერესელიძის ჯობნას რა უნდოდა, აბა, მამაშენიც ვაჟა-ფშაველა ყოფილიყო, იმას როგორ აჯობებდი, იმასაც ვნახავდი!..

სუფრა გატვრინდებოდა და მალულად გახედავდა რაიკომის მდივანს, რომელსაც სახეზე აღებეჭდებოდა: ნეტა რა მრჯიდა, საყვედურებს რომ მოგყევი, მედღეგრძელებინა და მომეთავებინაო.

...თენგიზ გოგოლაძეს აქვს ერთი საყმაწვილო მოთხრობა, რომლის სათაურიც სწორედ იმ ანდაზითაა შთავგონებული: „ერთი ვჯობივარ მამაჩემს“. და სახელწოდებაც და მოთხრობის სულისკვეთებაც იმითაა შესანიშნავი, რომ მამაშვილობის დიდი გრძობის საგალობელია, იმ მარადიული წრებრუნვისა,

რაც გრიგოლ რობაქიძეს სამყაროს რიტმად ესახებოდა, ამ რიტმის მარადიულობასა და უძლეველობას კი მამაშვილობის ურღვევობაში ხედავდა. მამა შვილი იყო, შვილი მამა ხდებოდა და... ყოველივე იდუმალებაში ინთქმეოდა.

* * *

ეს ის დროა, როდესაც ზვიად გამსახურდიას უკვე იმხელა გავლენა მოუპოვებია, რალა ქვეყნის მმართველი და რალა ის!.. თუმცა გარეგნულად კვლავაც ძველებურად ცხოვრობს და „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაშიც ისევე დაიარება, როგორც რიგითი ავტორი.

პუბლიცისტიურ სტატიას რომ მიიტანდა, ცოტა ხნის შემდეგ მიაკითხავდა და ჯუმბერ თითმერია, ვისაც რედაქტორისაგან დავალებოდა წერილის გამზადება დასაბეჭდად, არცთუ მთლად კმაყოფილი დახვდებოდა.

— დაბეჭდვით დაიბეჭდება, რა თქმა უნდა, მაგრამ ამ სახით — ვერა.

— რატომ, რაშია საქმე?

— სერიოზული შეცდომებია, თუ არ გასწორდა, არ გამოვა, რედაქციას რატომ უნდა დაბრალდეს დაუდევრობა თუ არაპროფესიონალიზმი?

ის გაოგნებულია:

— რა შეცდომებია მაინც ამისთანა?

— აგერ, ნახე, — რედაქტორის მოადგილე სტატიას ფურცლავს — თუნდაც, რომ გინერია: ვფიქრობო, — საქართველოზე რომ ფიქრობ, ვიცით ყველამ, მაგრამ ბოლოში მძიმე უნდა აუცილებლად, მისი გამოტოვება როგორ შეიძლება... ანდა: ჩემი აზრითო, — აგერ რომ წერ, შენი აზრები, ვიცით ყველამ, ქვეყანას დასტრიალებს თავზე, მაგრამ ორივე მხრიდან მძიმე უნდა, ზვიად... აი, ეს კიდევ... აი, ესეც...

ის ერთხანს მოთმინებით უგადავს ყურს, მერე გაფიცება:

— ამაზე ამბობ, სერიოზული შეცდომებიაო? შენ თვითონ ჩაგენერა ეგ მძიმეები, თუკი ვერ შელევინხარ.

— რას შეველევი და რას არა, ეგ მე ვიცი, თავაზიანად ცოტა... მე კი ჩავენერდი, მაგრამ თვითნებობა რატომ გამომეჩინა, არ სჯობს, ავტორთან შეთანხმებით რომ დაზუსტდეს და მოგვარდეს ყველაფერი? თანაც, სხვა დროსაც გეცოდინება.

ზვიადი გაღიზიანდება.

— არ ვიცი, რა სჯობს, მაგრამ აღარ მინდა დაბეჭდვა, წერილს უკან ნავილებ.

— ვერ ნავილებ!

— როგორ თუ ვერ ნავილებ, ჩემი წერილი არ არის?

— შენი მანამდე იყო, ვიდრე რედაქციაში მოიტანდი, ახლა უკვე ჩვენია და ვერსადაც ვერ ნავილებ, თუ გამოქვეყნება გადაიფიქრე, რედაქციის არქივში დარჩება.

ის რედაქტორთან შეიჭრება: რა ხდება, წერილი ველარც უნდა დავიბრუნო?!.

ელიზბარ ჯაველიძე დაამშვიდებდა, ალუთქამდა: ყველაფერი რიგზე იქნება და პირველივე ნომერში დაბეჭდილს იხილავ ყოველგვარი რედაქციული ჩარევის გარეშე, — კმაყოფილს გაისტუმრებდა და ჯუმბერ თითმერიას გამოიძახებდა.

— არ ფიქრობ, რას აკეთებ? რა შენიშვნები აგიტყდა. ზვიად გამსახურდია დებუტანტი ხომ არ არის, რედაქციამ აგოს პასუხი პუბლიკაციისათვის. ამისთანა განა რა ეწერა, შენიშვნები რომ დაახვავე თავზე.

– ეს ვინ ყოფილა, კი ვიცი, ვინც არის, მაგრამ მაინც ვინ ყოფილა, – აღშფოთდება მოადგილე, – თხუთმეტი მძიმე აკლდა ტექსტს, თხუთმეტი, მე რალაც შვიდი თურვა ჩამოვუთვალე და იუკადრისა. თხუთმეტივე უნდა მეთქვა და მერე ნახავდა...

– მოიცა, როგორ, მძიმეების გამო მოხდა ეს ამბავი?

– მძიმე რა, უბრალო რამეა? თუ სადმე აკლია, ირღვევა ყველაფერი, აქ თხუთმეტი აკლია, თხუთმეტი.

– სასწრაფოდ სტამბაში გაუშვებ... შენ რეებს მელაპარაკები!.. რა მძიმე, რის მძიმე...

– როგორ თუ... მძიმეზე მაგის თქმა როგორ შეიძლება... – ლამის ენა ჩაუვარდეს, – მძიმე ანესრიგებს ტექსტს, ეგ არის მსჯელობის საყრდენი, კომპოზიციის ხერხემალი...

– შენთან სადისკუსიოდ არა მცალია, წერილი სასწრაფოდ სტამბაში.

გართულება მარტო ჯუმბერ თითმერიას არა ჰქონია ამ სასვენ ნიშანზე, მძიმეებს მართლაც გადაეღებოდა ტექსტები. ლინგვისტებს თავიანთი არგუმენტაცია მოემარჯვებინათ –



ეს ჩართულიო, ეს დანართიო, ეს ესაო, ეს ისაო... და ლამის ყველა სიტყვას მძიმე მოსდევდა, მართლაც დამამძიმებლად და შემანუხებლად, მაგრამ ორთოგრაფიის წესებში მტკიცედ დაემკვიდრებინათ და ოთარ ჩხეიძე საგანგებოდ მოინდომებდა მძიმეების გამომხიროვას, პუბლიცისტური სტატიის დაწერასაც აპირებდა ამ, მისი თქმით, სქოლასტიკური გადმონაშთის წინააღმდეგ. ითვალისწინებდა ევროპული ენების ორთოგრაფიას, სადაც ჩართული სიტყვები აქეთ-იქიდან არ შემოსალტულიყო მძიმეებით – ეს სიტყვები ხომ თავისთავად აღიქმებოდნენ ერთგვარ პაუზებად და მამ გამკვეთრება რილასთვის სჭირდებოდათ?!. უმძიმეებოდაც კარგად ანესრიგებდნენ მსჯელობისა თუ თხრობის მდინარებს. ამიტომაც მართლა აუცილებლობის გარდა სჯობდა მოვრიდებოდი ტექსტების გადახუნძვლას მძიმეებით.

ეტყობა, ზვიად გამსახურდიაც ევროპულ ორთოგრაფიას ითვალისწინებდა და, ათასგვარი სქოლასტიკისაგან გაბეზრებული, ცდილობდა მძიმეების ლაშქრისათვის მაინც აერიდებინა თავი.

* * *

თემო ჩიტაძის ეზოში ვსხედვართ, კაკლის ჩრდილქვეშ, ერთ-ერთ საუკეთესოდ მოვლილ გარემოში, რასაც მთელ ქართლში შეიძლება ნაანყდეოთ, არამცთუ ყელქცეულში.

მასპინძელთან ერთად მისი ძმაცაა – ვახტანგი, პაატას, უჩა შერაზადიშვილისა და ჩემი სტუმრობა შეუტყვია და გადმოსულა. ღვინო თემოსაც დიდებული აქვს, მაგრამ ძალიან მომინდა იმ სუფრაზე ჩემი ღვინო შესმულიყო, მამაჩემის მიერ დაწურული და ჯერაც შემორჩენილი. ვიზოგავ, ყოველთვის არ გამომაქვს, მინდა, რაც შეიძლება დიდხანს გამწვდეს იმისი ხელით დაყენებული ღვინო, თხევადი მზისაგან რომ არც განერჩეოდა და რალაც იშვიათი ხელოვნებით ამსგავსებდა შამპანურს.

ვახტანგი იხსენებს ზოგიერთ ეპიზოდსა თუ სურათს, მამაჩემთან დაკავშირებულს, უფრო სახალისოს, იუმორით შეზავებულს, ყელქცეულელთა ცნობიერებაში მკვიდრად ჩაბეჭდილს.

– ბატონმა ოთარმა იცოდა ხოლმე, როდესაც ვინმე გაჭინჭყლდებოდა სუფრაზე, მთლად რიგიანად ვერ იქცეოდა, აუცილებლად ეტყოდა: დალიე და შეაყოლეო. რა ორლესული სიტყვაა, არა? თითქოს ლუკმის დაყოლებას გულისხმობს, მაგრამ იმავდროულად მკაცრი გაფრთხილებაცაა, სჯობს, დროზე გაგვეცალოო. ამის შემდეგ გაჭინჭყ-



მხატვარი მალხაზ იაშვილი

ლებული სტუმარი ან მაშინვე მოდიოდა აზრზე, მართლაც ლუკმას მიაყოლებდა სადღეგრძელოს და მის ჭირვეულობას ველარავინ გაიგონებდა, ანდა, თუ საკუთარი თავის იმედი არა ჰქონდა, უჩუმარი პირით ადგებოდა და გაეცლებოდა მოქეიფებს, შეაყოლებდა, ერთი სიტყვით.

მეც შევსწრებივარ ამისთანა სცენას, მაგრამ აღარ მასხოვდა და ვახტანგმა ერთბაშად წამომიტვიტოვა თვალწინ.

ახლა თემოს წამოაგონდება, თუ როგორ უთხრა მამაჩემს ერთმა თანასოფელელმა ვენახის

შენამვლისას, რა აუცილებელია ყველა მტევანსა თუ ფოთოლს მოხვდეს შაბიამანი, სუნიც ეყოფაო. და სუფრა რომ გაშლილა და მამას ყველა სტუმრისათვის ჩამოუსხამს ღვინო, იმას ხელში შერჩებოდა განვდილი ჭიქა, რაკილა მასპინძელი დოქს აარიდებდა: შენ სუნიც გეყოფაო. და ახარებულ თანამეინახეთა შემყურე ჩვენი გმირი სასწრაფოდ რომ წამოხტებოდა, თუ რაიმე დავაკელი ვენახს, მივხედავ და მოვალე, მასპინძელი, ადგილზე დასვამდა: მე უკვე ყველაფერს მივასხურე შაბიამანი, შენ კი დღეის მერე მაინც იცოდე, მარტო სუნი რომ არა კმარაო.

ვსხედვართ, ესაუბრობთ, და მიხარია, რომ ჩვენი ეზოკარისა არ იყოს, თემო ჩიტაძის ფაქიზად მოვლილ ეზოკარსაც ვერავინ დასდებს წუნს.

თავისუფლება ციხის საკანში

ცოფიანი ამერიკელი რასისტის მიერ 1968 წლის გაზაფხულზე მუხანათურად მოკლული მარტინ ლუთერ კინგის საფლავის ქვაზე ამოკვეთილია შემდეგი სიტყვები: თავისუფალი ვარ, ბოლოს და ბოლოს მეღირსა თავისუფლებათ.

ამგვარი ნაწარმა, ალბათ, არ მოუხდებოდა ბორის პასტერნაკის სამარეს, თუმცა განსხვავებით კინგისგან, რომელიც თავისუფლებისა და დემოკრატიის ბურჯად შერაცხულ ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა, პასტერნაკს წილად ხვდა ცხოვრება აშშ პრეზიდენტ რეიგანის მიერ „ბოროტების იმპერიად“ მონათლულ სახელმწიფოში.

პასტერნაკმა თავისი არცთუ ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში, მართალია, კინგზე არანაკლები ტანჯვა-წვალება გადაიტანა, მაგრამ სიკვდილი მაინც არ უნატრია თავისუფლების მოსახვეჭად, ვინაიდან სიცოცხლეშივე თავისუფალი იყო. ოღონდ უნდა გავითვალისწინოთ, რომ პიროვნული თავისუფლება მხოლოდ იმას როდი ნიშნავს, საზღვარგარეთ თავისუფლად იმოგზაურო ანდა ხელისუფლების დასამხობი ლოზუნგების ყვირილით იკმაყოფილებდე პოლიტიკურ ვნებებს.

პასტერნაკი ამბობდა: „არავის ძალუძს მაჩუქოს თავისუფლება, თუკი მისი სათავე თავად ჩემში არ სულდგმულობს. იმაზე ყალბი არაფერია, ვიდრე გარეგანი თავისუფლება – შინაგანი თავისუფლების უქონლობისას. ვთქვათ, ჩიკაგოს მცხოვრები, ყოველდღიური გაზეთებიდან და რადიოდან მიღებულ საზრდოს ბეჯითად რომ ლეჭავს, გაცილებით ნაკლებად თავისუფალია, ვიდრე ფილოსოფოსი, გამომწვევადეული ციხის საკანში“.

პასტერნაკი გამსჭვალული იყო „შინაგანი თავისუფლებით“, როდესაც 1936 წლის 1 იანვარს გაზეთ „იზვესტიის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა ლექსი „ხელოვანი“, რომელშიც ორიგინალური ფერებით დაგვიხატა კრემლის მაშინდელი მბრძანებლის პორტრეტი და მას „ქმედების გენიოსი“ უწოდა. ეს იყო სენსაცია. აპოლიტიკური პოეტისგან არავინ ელოდა ასეთ ნაბიჯს. მეხოტბეთა მომავალი ლეგიონიდან ჯერ თითქმის არავის გაელეხა კალამი ესოდენ მომგებიან თემაზე (მარტოოდენ ქართველები აჩქარდნენ). პასტერნაკის ლექსი უეჭველ შედეგად რჩება იმ უთვალავი ოდების უსასრულო ნაკადში, რომელიც მოედინებოდა ლამის ოცი წლის მანძილზე. ამავე დროს, ეს ლექსი ვერ აუხსნიათ და ვერც მოუხელებიათ დიდებული პოეტის იმ თავყანისმცემლებს, რომელთაც შემოქმედის ბიოგრაფიაში ყველაფერზე მეტად ხიბლავთ ე.წ. დისიდენტობა, სულერთია, ნაღდი იქნება თუ ყალბი, და ამდენად, ვერა ხვდებიან „შინაგანი თავისუფლების“ არსსა და ფასს. ამიტომაც, დასახელებულ ლექსს „ხაკად“ უთვლიან პოეტს ან საერთოდ არ ახსენებენ, თითქოსდა ბუნებაში არ არსებობდა.

პასტერნაკმა, იმავე „შინაგანი თავისუფლების“ კარნახით, ამ ლექსის მეორე ნაწილი, სტალინს რომ ეძღვნებოდა, უღმობლად მოჰკვეთა ტექსტს და თავის ლექსთა კრებულებში აღარასოდეს შეუტანია – ნიშნად პროტესტისა, რომელიც გაუჩნდა სულში ოცდაჩვიდმეტ წელს დატრიალებული მოვლენების გამოისობით.

როგორც აღნიშნავენ, პასტერნაკს არ ერცხვინებოდა ცრემლები არც ცხოვრებასა და არც შემოქმედებაში. ესეც „შინაგანი თავისუფლება“, როცა უწი თავი შენად გეყუდნის, და ტოლფასია სიამაყისა.

1948 წელს თავის მამიდაშვილს, ცნობილ მეცნიერს ოლგა ფრეიდენბერგს სწერდა: „მე ნამდვილად ბედნიერი ვარ, მაგრამ არა რალაცნაირი ეგზალტაციით, არამედ ნაღდად, რადგანაც შინაგანი თავისუფლებით ვარ შეპყრობილი და ჯერჯერობით, მაღლობა ღმერთს, ჯანსაღად ვგრძნობ თავს“.

სხვა რა იყო, თუ არა „შინაგანი თავისუფლება“, როდესაც იმავე 1948 წელს მოსკოვში გამართულ პოეზიის საღამოზე ნაიკითხა მაცხოვრისადმი მიძღვნილი ლექსი „გარიჟრაჟი“. და გასუსულ დარბაზში გაისმა მოულოდნელი: „ღამით ვიკითხე შენი მცნებანი და გულწასული კვლავ გამოვცოცხლდი“. მსმენელთა გაცნობიერებულ ნაწილს ერთგვარი შიშიც კი დაატეხა თავს პოეტის უჩვეულო სიტამამემ (იმ დროის კვალობაზე!), მაგრამ პასტერნაკი იხსნა იმ სამარცხვინო თუ სამწუხარო გარემოებამ, რომ მსმენელთა უმრავლესობა, ათეიზმის ჰაერით რომ სუნთქავდა, საერთოდ ვერ გაერკვა საქმის არსში და ვერ მიხვდა პასტერნაკის ალტკინებას, იმდენად წარმოუდგენელი იყო ამგვარი ლექსის საჯაროდ წაკითხვა სტალინის დროინდელ მოსკოვში.

სწორედ „შინაგანმა თავისუფლებამ“ დაანერჩა პასტერნაკს ქრისტიანული სულისკვეთებით დამუხტული „ეკიმი ჟივაგო“, რამაც, ცოტა არ იყოს, აანრილა საზღვარგარეთ მცხოვრები მისი ნათესავები და მეგობრები, რომლებიც შიშობდნენ, რომ აშკარად გამჟღავნებულ რელიგიურ იდეებს არ შეეებლათ პასტერნაკის რეპუტაცია თვისტომთა თვალში (რომანი აღმოჩნდა ორმაგი ცენზურის წნეხქვეშ).

ბორის პასტერნაკის ნაწერებთან ერთად მისივე „შინაგანი თავისუფლება“ აღტაცებას ჰგვრიდა უნიჭიერეს რუს მწერალს, სიცოცხლეში დაუფასებელ ვარლამ შალამოვს, რომელმაც ჩვიდმეტი წელიწადი გაატარა ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში ანუ „არქიპელაგ გულაგის“ ყველაზე სასტიკ კუნძულზე, კოლიმის ნახევარკუნძული რომ ჰქვია, სადაც ერთი რუსული შაირის თანახმად, თორმეტი თვე ზამთარია, დანარჩენი – ზაფხული. და აი, ეს უზომოდ ტანჯული კაცი უშურველ ქებას ასხამდა მისთვის საძულველი სტალინის მიერ „ზეცის ბინადრად“ წოდებულ თანამოკალმეს:

„აბა სცადეთ და დაწერეთ თუნდაც ერთი სტრიქონი, თქვენს სინდისს რომ ლალატობდეს. თქვენ ამას ვერ შეძლებთ. და ყველაფერი საუკეთესო, რაც სუფევდა რუსულ ინტელიგენციაში, რომელსაც ყველაზე ღრმად ესმოდა ჭეშმარიტება და ავადმყოფურად უფრთხოდა ყოველგვარ სიყალბეს, სიცრუეს, სულის გამრუდებას, ყველაფერი ეს განხორციელდა თქვენს არსებაში, თქვენს შემოქმედებაში. ვიცი, რომ საკმარისი სულიერი სიმტკიცე, სინათლე და ძალ-ღონე მოგეპოვებათ საიმისოდ, რათა თქვენი გზით იაროთ იმ არნახულ სიმაღლეზე, ზღაპრული რომ გეგონება ჩვენი გახრწნილი ჟამისათვის და არავითარი ცდუნება თუ მორიგი სატყუარა ვერ მოგხიბლავთ. ჯერ არასდროს მომიწერია ის, რაც ყოველთვის მწამდა: რომ სწორედ თქვენა ხართ სინდისი ჩვენი ეპოქისა – ის, რაც თავის დროზე იყო ლევ ტოლსტოი. თქვენა ხართ ღირსება ჟამისა, თქვენა ხართ მისი სიამაყე. ჩვენი ჟამი მომავლის წინაშე თავს გაიმართლებს იმით, რომ თქვენ მისი ბინადარი იყავით“.

...ბრწყინვალე ლექსებთან ერთად შინაგანი თავისუფლების სანიმუშო გაკვეთილები დაუტოვა შთამომავლობას.



ბორის პასტერნაკი

აჩრდილუბი პირქუში ნარსულისა

ნარმატებით ჩაბარა გამოც- და „სიცრუის დეტექტორზე“.

1973 წლიდან 1975 წლამდე

ჩვენ იმ რკინის ფარდის მიღმა ვცხოვრობდითო, რო- გორც მისტერ ჩერჩილი ბრძა-

ნებდა, ბალტიკის ქალაქ შტეტინიდან ადრიატიკის ტრიეს- ტამდე რომ დაეშვა და ევროპა ორ ნანილად გახლიჩაო. ჩვენ ბოროტების სამყაროში ვცხოვრობდით და ბნელი გვირაბის ბოლოშიც კი სინათლის ნამცეცს ვერა ვხედავდითო. ჩვენ მომხამულ ჰაერს ვსუნთქავდით და თავისუფლების სიო სიზ- მარშიც კი არ გველანდებოდაო, – ასეთი იყო ჩხოსლოვაკიი- დან დასავლეთში გაქცეული ცოლ-ქმრის ღალადისი.

თავდაპირველად ავსტრიას შეაფარეს თავი, მერე კი იქით გასწიეს, საიდანაც სახელგანთქმული ძეგლი თავისუფლები- სა ასე მიმართავდა ბოროტების იმპერიასა და მის ქვეშევრ- დომ ქვეყნებს, საბჭოეთში სოციალისტურ ბლოკს რომ ეძახ- დნენ: „მომეცი შენი ტანჯული, შენი ღარიბ-ღატაკი, შენი უბედური შვილები, თავისუფლება რომ სწყურიათ“.

1965 წლის 4 დეკემბერს კარელ კოჩერი, თავისი თვალწარ- მტაცი მეუღლის ჰანას თანხლებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა და პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა.

ოცდათერთმეტი წლის პოლიტიმიგრანტი ამტკიცებდა, რომ სამშობლოში, როგორც შეურიგებელ დისიდენტს, სახრჩობელა ეშუქებოდა და იძულებული გახდა, მიეტოვებინა იქაურობა.

ჯერ ინდიანის უნივერსიტეტში ჩაირიცხა, მერე ნიუ-იორ- კში გადაბარდნენ და კოლუმბიის უნივერსიტეტში გააგრძე- ლა სწავლა.

1971 წელს კოჩერებმა აშშ მოქალაქეობა მიიღეს. შებორ- კილი სოციალისტური სამყაროდან თავისუფალ კაპიტალის- ტურ სამოთხეში თავი რომ ამოჰყვეს, ხარბად დაენაფნენ თავ- ვანწყვეტილ ცხოვრებას. დროს გამუდმებით ატარებდნენ იმ ნვეულებებზე, სადაც მოდამი იყო ქმრების მიერ ცოლების გაცვლა-გამოცვლა ერთი ღამითა თუ ერთი საათით, სექს- კლუბებსაც და ნუდისტურ პლიაჟებსაც ხშირ-ხშირად სტუმ- რობდნენ. თვალისმომჭრელი თავისუფლება აბრმავებდათ.

კარელ კოჩერმა ამერიკული უმაღლესი განათლების მი- ლების შემდეგ მოინდომა სამსახურის დაწყება ამერიკულ დაზვერვაში. რატომაც არა! გამოძიების ფედერალურმა ბიუ- რომ შემონმება ჩაუტარა, ხოლო 1972 წლის ოქტომბერში მან

კოჩერი თარჯიმნად მუშაობდა ცენტრალურ სადაზვერვო სამ- მართველოში და ხელი მიუწვდებოდა „სრულიად საიდუმლო“ კატეგორიის მასალებზე, 1975 წლიდან კი ითვლებოდა ცსს ნიუ-იორკის განყოფილების შტატგარეშე თანამშრომლად.

და ერთ მშვენიერ დღეს ამერიკულმა კონტრდაზვერვამ გა- მოარკვია, რომ პოლიტიმიგრანტი და თავისუფლებას მოწყუ- რებული კარელ კოჩერი სინამდვილეში ჩხოსლოვაკიის სა- დაზვერვო სამსახურის ოფიცერი ბრძანდებოდა. ისიც გამოირ- კვა, რომ „სიცრუის დეტექტორი“ არა ცრუობდა. თურმე კოჩე- რის პასუხები სხვა გამოსაცდელი პირის პასუხებში არევიათ.

კოჩერი დააპატიმრეს ნიუ-იორკში 1984 წლის 27 ნოემ- ბერს, როდესაც შვეიცარიაში გასაფრენად ემზადებოდა.

კოჩერმა თვრამეტი თვე გაატარა კომფორტულ ამერი- კულ ციხეში.

ამერიკელები გაოცდნენ, როდესაც საბჭოთა კავშირმა მათ შესთავაზა, კარელ კოჩერი გაეცვალათ სახელგანთქმულ საბჭოთა დისიდენტ ანატოლი შჩარანსკიზე.

გადაცვლა ჩატარდა, როგორც ყოველთვის, ბერლინში, გლი- ნიკეს ხიდზე, რომელიც აღმოსავლეთ გერმანიას ჰყოფდა დასავ- ლეთ გერმანიისგან. ეს მოხდა 1986 წლის თებერვალში. გაზეთ „ვა- შინგტონ პოსტის“ კორესპონდენტმა ეს სცენა ასე აღწერა: „ულ- ვაშები და პალტო ბენვის საყელოთი კოჩერს ამსგავსებდა მელი- ას. მის ცოლს ეცვა ნაულის ქურქი და თავზე ეხურა მაღალი, თეთ- რი შლიაპა. ქერათმიანი და მიმზიდველი, საოცრად დიდრონი ცისფერი თვალებით, პოლიგუდის ვარსკვლავს მოგაგონებდათ“.

მართალია, ყაირათიანი ამერიკელები გაოცდნენ, რომ რუსებმა შჩარანსკი გაცვალეს კოჩერში და კმაყოფილი ხე- ლებს იფშვნეტდნენ, ეს რა სარფიანი გარიგება გავჩარხეთო, მაგრამ აბა რუსებსაც ჰკითხეთ, ვინ მოიგო და ვინ წაავო.

წყეული საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვის შეფს, გენერალ ვლადიმირ კრიუჩკოვს თურმე უთქვამს: კოჩერში სამ შჩარანსკის გადავიხდიდიო. კოჩერს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ რომ ვიცნობდე, ბოდიშს მოვუხდიდი იმ ქირთათვის, ჩვენს სამსახურში რომ გამოიარაო.

ქრონიკა

დიდად დასაფასებელია განუული ჯაფა დაგვირგვინებულია სქელტანინ გამოცემად და, შესაბამისად, მიითვლება მნიშვნე- ლოვან შენაძენად ქართული კულტურის საგანძურში.

„ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია“ (სიტყ- ვანი) — ასე ჰქვია ნაშრომს, რომელიც მომზადდა მწერლის სახე- ლობის კვლევის ცენტრის მიერ და გამომცემლობა „უნივერ- სალმა“ დაბეჭდა.

სარჩევის მოშველიებაც ცხადყოფს, რა რანგის სამუშაოა გასრულებული: თხზულებების ქრონოლოგია, ილია ჭავჭავა- ძის კულტურულ-ლიტერატურული და საზოგადოებრივი გარ- რემოცვა, გეოგრაფიული სახელები და პუნქტები (რეალურად არსებულნი და ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ნახსენები), მხატვრული შემოქმედება, ლიტერატურული და პუბლიცის- ტური სტატიები, კერძო წერილები, ილიას დროინდელი პერი- ოდიკა.

ერთი სიტყვით, აქ ანბანურ რიგზეა ყველაფერი დალაგებუ- ლი, სტატიების სათაურები თემატურადაა დაჯგუფებული, რათა მკითხველს გაუადვილდეს ილიას ენციკლოპედიის შინაარსისა და ხასიათის შეცნობა.

წიგნი გახლავთ 738 გვერდიანი და მოიცავს წლებს 1837-დან 1907-ის ჩათვლით.

სიტყვანზე მუშაობდნენ: გიორგი აბაშიძე, ნინო მამარდაშ- ვილი, მანანა ბარათაშვილი, ნანა ზღულაძე, ზეინაბ ლომჯა- რია, თამარ მიქაძე, ნათელა საღირაშვილი, ლეილა სულხანიშ- ვილი, მანანა ყიფიანი, მარი წერეთელი, გურამ ჭოხონელიძე.

ენციკლოპედია გამოიცა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდის დაფინანსებით, პროექტის გენერალური სპონსორია „ვითიბი ბანკი ჯორჯია“; და რაც მთავარია, პროექტი ხორციელდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარ- ქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.

ამ შესანიშნავი გამოცემის წარდგინება გაიმართა ამას წინათ ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმში.

ლონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ: ზაზა აბზიანიძე, ნინო მამარდაშვილი, როინ მეტრეველი, ზურაბ ჭუმბურიძე, ლადო მინაშვილი, თამაზ ჯოლოგუა. მათ მაღალი შეფასება მიანიჭეს ამ ნაშრომს, შეუქეს მეცნიერთა გუნდს თავდადება საშვილიშვი- ლო საქმის ხორცშესხმისათვის და ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის ვალმოხდილება სანიმუშოდ იქნა მიჩნეული.